



N14 (513) 8/IV-14/IV-2010 ფასი 1 ლარი

ქართული პროზის საბანკო

გზა №6 ვაჟა-ფშაველა

შემიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს

შემდეგი გზა

რეზო ჭიჭიჭი



**ვინ აკონტროლებს
ნიკო გომელაურის
ქალიშვილს**

**რის გამო
ნერვიულობს
ეკა ნიჟარაძე**

**ტასო გომელაური:
„ჩვენ ერთი ოჯახი ვართ“**



„თბილისის-ნოსტალგია
დაერსიანში ჩაბაბლო“



**საქართველოზე
უყვარესული
მოსკოველი კასის
ტრაგედია**



**ემსკლუზიური
ინტერვიუ
ია ფარულავას
მეუღლესთან**



**მსახიობი,
რომელიც უორჩენა
ბეგაშვილმა ახლუნა**

ISSN 1987 - 5029



„გზა“ 10 წლისაა!

„კვირის პალიტრა“ 15 წლისაა!

სიურპრიზი იუბილარისაგან!

ქართული პოეზიის მარგალიტები:

„63 ლექსი“

სახიფათო, გასაყვანი, ვაჟა, აყაყა, ალმა, ხიხინი,

სადა, ხეივანი...

კითხულობს:

სანო სანაძე

მხოლოდ 19 აპრილის

„კვირის პალიტრასთან“ ერთად!

63 ლექსი 2 დისკზე
განსაკუთრებულ ფასად! 5 ლარად.

(პოეზიის ეს კრებული მაღაზიებში 20 ლარამდე ღირს)



დამზადებულია „სანო სანაძის“



რეზო ჭიუჭვილის კინემატოგრაფიული მარგალიტები და „საგანძურის“ სიგოლური დამთხვევა...

მომავალ ხუთშაბათს „გზასთან“ ერთად, „ქართული პროზის საგანძურის“ მეშვიდე ტომს — მწერლისა და დრამატურგის, რეზო ჭიუჭვილის რომანს — „ასკილის წითელი ყვავილი“ და მოთხრობას — „ვაიმე, ჩემო ვენახო“ წარმოგიდგენთ.

8



„ამოვიდა ყელში აბღენი წუნწანი!“

„სამწუხაროდ, არ გვცალია შოუბიზნესისთვის — ჯერ საქართველო გვაქვს დასაბრუნებელი. ეს სფერო იმ ქვეყნებშია აყვავებული, სადაც ყველაფერი შედარებით კარგადაა. დღეს კი ჩვენში ჯერ სხვა რამეები ლაგდება...“

20



ცხოვრება

„ეპირისტზე ღმერთთან ყველაზე ახლოს ვიყავი“



„რაც შეეხება ასაკს, გინესის რეკორდების წიგნზე არც ვფიქრობდი. საერთოდ, მთაში რეკორდომანია მიუღებლად მიმაჩნია. იქ თავისი მკაცრი კანონებია და ისინი უნდა დაიცვა. უბრალოდ, ისე დაემთხვა, რომ წინა რეკორდსმენს, ვენესუელელ რამონ ბლანკოს ერთი დღით ვაჯობე.“

31



- **მინიატიურები** 5
იუბილე ანუ ჩახსნილი ვაგონი
- **ჭრელი მსოფლიო** 6
- **თარიღი** 8
„დღეს ჩვენი გზის დღეობაა ანუ როგორ ჩაეკვიჩეთ დედამიწა“
- **პროექტი** 11
- **ფაქტი და კომენტარი** 12
- **მტარ-მოყვარე** 14
საქართველოზე შეყვარებული მოსკოველი კაცი, კომპლექსში მხილებული მშობელი ერი და ქართველის მიერ გადარჩენილი აფხაზი ბიჭი
- **თაფიდა** 19
მონმეთა დაკითხვა ცოტნე გამსახურდიას პროცესზე
დაზარალებული სამართალდამცველებს ზენოლაში ამხელს
- **ნარმატება** 20
„ემტივის“ ქართველი რჩეულის ეგვიპტური გამარჯვება
- **ამაღლა** 22
„ამოვიდა ყელში აბღენი წუნწანი!“
- **სცენა** 24
საქართველოში დაუფასებელი შრომა და საზღვარგარეთ „გაქცეული“ მსახიობები
- **თაოზა** 26
ტასო გომელაურის პირველი ნაბიჯები
- **მსახიობი** 28
დაბნეული მსახიობი, „ინცესტის ტოლფასი“ კონცან ნანკასთან და უცნაური სექსი შორენასთან
- **პარსკვლავები** 30
- **მინირომანი** 31
- **ფსკარი** 34
მკვლელი

გზაგანილები

რაც მტრობას დაუნბრავია...



„მძლოლი რადიოს უსმენდა და ლამის ჩაქოლეს, ე, ბიჭო, გამორთე, ამ გამწარებულ ხალხს რა გვესურამელაშვილებო (რა სიტყვა მისცა?!)? ღვინო მქონდა გასაყიდად წაღებული და ვერ გავყიდე, ეგ მასწავლის „ბედი ისეთი რამაა?““

77

■ მწერალი	36
„ვერესტზე ღმერთთან ყველაზე ახლოს ვიყავი“	
■ ეს საფარო	38
■ ისტორიის ლაბირინთები	40
ალექსანდრე ბატონიშვილი — ბაგრატიონთა გვარის მრისხანე შურისმაძიებელი	
■ საკითხავი ქალაქისათვის	43
■ შეხვედრა	45
■ ტაქარი	46
ჭეშმარიტების დამცველი წმინდა გრიგოლ პალამა და განადგურების პირას მყოფი ბიზანტიის იმპერია...	
■ ავტო	48
■ ჯანმრთელობა	50
■ ფსიქოლოგია	53
„ზიმის“ მოყვარული კიკინიანი ფოტოგრაფი, 4 ცოლი და ნამდვილი სიყვარულის შიშველი ფოტოები	
■ პროფესია	55
„ჩვენი გვარი მედიცინის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩევა“	
■ კარიერა	58
წარმატებული ბიზნესმენის წარეკლიანი გზა	
■ წვითი პოეზია	61
■ ავტოპორტრეტი	62
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)	
■ ქართული ღებავები	66
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)	
■ რომანი	70
სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი ქალი (დასაწყისი)	
■ რეალური	74
ULTRIX (გაგრძელება)	
■ გზავნილები	77
რაც მტრობას დაუგრვეია, სიყვარულს უშენები	
■ ყველა ერთისათვის	81
■ მოსაიკა	87
■ მუნდიალი	88
■ ნამდვილი აზგავი	91
■ კრედიტი	92
„ჩემზე ამბობენ, ჯადოებს აკეთებსო...“	
■ გასართობი	94
■ ანბროლოგია	96
■ სქანოვრდი	97
■ საფირმო კროსვორდი	98

საზოგადოებრივ-კომუნიკური ჟურნალი „გზა“
 გამოდის კვირაში ერთხელ, სუბსაბსკრიპციით
 გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
 ჟურნალი ხელმძღვანელობს თვისუფალი პრესის პრინციპებით.
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
 პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
 მენეჯერი: მათე კბილაძე
 დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,
 რეზო თხილიძე

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
 ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
 რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



ჯადოსნური სიტხის უამქმნელები

ბუნებაში ალბინოსი ფუტკრებიც გვხვდება. ყოველწლიურად, ამ მწერის ნაკებებისგან უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე — გველის. ფუტკრები „მათემატიკოსები“ არიან: მათ მიერ აშენებული ფიჭის კუთხეები ყოველთვის ტოლია.

37

ადამიანი



„ჩვენი გვარი მედიცინის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩევა“

„გვარში ბევრი ცნობილი ექიმი გვყავს, მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი არ მენათესავება, უბრალოდ, მოგვარეები ვართ. კამოს (ახლანდელი უზნაძის) ქუჩაზე ალექსანდრე ალადაშვილის ძეგლიც კი დგას.“

53

ბიბლუსი



— ჰო, მართლა, რამდენი წლის ხართ? — სიჩუმე პირველმა ვაკომ დაარღვია.
 „რა უზრდელია! — გაიფიქრა სალიმ.
 — არ იცის, რომ ქალს ასაკს არ ეკითხებიან?!“

— ოცდახუთის, — მაინც უპასუხა, რადგან წლოვანებას არასდროს მალავდა.
 — დიდხანს იყავით გათხოვილი?

61

ტაიმ-აუტი



ბიკა ჯაჯანიძის ავტოპორტრეტი

„ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი უცნაურად ხდება. მაგალითად, სახალხო ფსიქოლოგი ისე გავხდი, ფსიქოლოგიაზე ერთი წიგნიც კი არ მქონდა წაკითხული და თუ დამიჯერებ, უზნაძის ნაშრომებს 10 წლის წინ გავეცანი. ბევრი რამ არ წამიკითხავს, ხოლო რაც წამიკითხავს, იქიდანაც ცოტა რამ თუ მასსოვს.“

87

იუბილე ახუ ჩახსნილი ვაგონი



შესავლის ნაცვლად სამი მიზეზი მაქვს, რომ ეს „პროვოკაცია“ ლანძღვა-გინების გარეშე ჩავამთავრო: ჯერ ერთი, დღესასწაულია და ყველას გილოცავთ; მეორე — ჩვენს ჟურნალს იუბილე აქვს, ათი წლის გავსდით! და მესამე — არ ვარ ქალაქში, აქ კი ინფორმაციის ნაკლებობას განვიცდი (სომართლე რომ ვთქვა, მთავარი მიზეზი ეს არის, თორემ „პროვოკაციამ“ სულაც არ იცის დღესასწაული, ბიძაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“)...

ისე, რა დრო გასულა... ჟურნალისთვის ათი წელი ცოტა არ არის — მონიჭულობის ასაკია უკვე და რალაც დასკვნების გაკეთებაც შეიძლება, წარსულს უნდა გადავხედოთ და ვნახოთ, რას მივალნივთ და რას — ვერა, მაგრამ მე მხოლოდ „პროვოკაციებზე“, უფრო სწორად, ჩემი „პროვოკაციების“ მიზეზებზე, მის წარსულსა და პერსპექტივაზე მოგახსენებთ და სხვამ თავისი თქვას...

მაშ ასე, მოდი, ათი წლით უკან დავიხიოთ: ეს ის დრო იყო, ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტი რომ ჯერ არ იყო პრეზიდენტი და მამინდელ პრეზიდენტს რომ სხვა მინისტრების სასახლეების (თურმე რა სასახლეები, ახლანდელბთან შედარებით ქოხები ყოფილა) ფოტოებს ცხვირწინ უფრიალებდა... ეს ის დრო იყო, როცა ავტოინსპექტორი მთვრალს გაგაჩრებდა, „კაცურად“ დაელაპარაკებოდი და ორმოცოდე ლარის „ხათრით“, შენს გზაზე გაგიშვებდა... კიდევ, ის დრო იყო, როდესაც ერგნეთის ბაზრობაზე ჩრდილოეთ ოსეთიდან ცხინვალის გავლით შემოტანილი საქონლის კონტრაბანდა ყვაოდა და ქართველი და ოსი „კრიმინალ-კონტრაბანდისტები“ ოჯახებსაც არჩენდნენ და ამ ალბ-მიცემობით ის ურთიერთობა მანც არსებობდა, რომ დიდუბის ავტოსადგურიდან დღემო სამჯერ გადიოდა ცხინვალის ავტობუსი... კიდევ ის დრო იყო, როდესაც საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები რალაც ფეხბურთისმაგვარს ჯერ კიდევ თამაშობდა და გულშემატიკვარსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა იმდენი ამბიცია, რომ რუმინეთთან „სულ რალაც“ 0:2 წაგების გამო, კინალამ ანათემას გადასცეს მწვრთნელიც, ფედერაციაც და ფეხბურთელებიც... კიდევ? კიდევ ის დრო იყო, როდესაც საქართველოში იმდენი ყველასაგან დამოუკიდებელი ტელევიზია და გაზეთი არსებობდა, რომ დღეს გახსენება უხერხულიც კია...

ჰოდა, მორჩა, წავიდა ის დრო... „ვაჰ დრონი, დრონი, ნაგემნი მტკებარად, წარილტვენენ, გაჰქრენენ, სიზმრებრივ ჩქარად...“ ახლა, ისე კი არ იფიქროს ვინმემ ჩემზე, რომ ცუდი დრო ენატრებაო, მაგრამ გულწრფელი რომ ვიყო, ვიტყვი: ეს „პროვოკატორობა“ ისე მაქვს უკვე „ქვალ-რბილში“ გამჯდარი, რომ სასიკეთო ცვლილებები მაშინებს კიდევ — ვაითუ, საკბილო გამოშვების-მეთქი. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ: როგორც უკვე მოგახსენეთ, ათი წელი გავიდა და „პროვოკატორის“ მუდმივი შიში ყოველი „ძირული“ ცვლილების, „მსოფლიოში საუკეთესო“ პროექტისა და „ევროპაში პირველი“ რეფორმის წამოწყების შემდეგ არასოდეს მართლდება, ჩემი უმუშევრობაც გაურკვეველი დროით გადაინევს ხოლმე...



ზემოთ ვთქვი, წარსულს უნდა გადავხედოთ-მეთქი და ამაში წარსულზე მხოლოდ „გონების თვალის“ გადავლება არ მიგულისხმია: დავექი და ჟურნალის ძველი ნომრები გადავთვალიერე... ვილაც იტყვის, შენ თუ შარზე არ ხარ, ცვლილებას როგორ ვერ ხედავო? მაგრამ რა ვენა? მომკალით და, სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ მაალ დონეზე გადაღებულ-დამონტაჟებული „მოდელირებული ქრონიკა“ სჯობს რომელიმე „ევრიკასა“ თუ „მეჩვიდმეტე არხის“ თუნდაც დაბალი პროფესიულ-ტექნიკური დონის, მაგრამ ვილაცების კონტროლის გარეშე გაკეთებულ სულელურ გადაცემას; არც ის მგონია, რომ ათი წლის წინ ნაკლებად გვიხაროდა ჩვენი მორაგბების მიერ რუსების ძლევა და მათთვის ღირსების ორდენების გადაცემა სულაც არ მიგვაჩნდა გარდაუვალ აუცილებლობად (ისე, ძალიან მაინტერესებს, ღმერთმა დაგვიფაროს და, მორაგბებმა შემთხვევით ერთი თამაში რომ წააგონ რუსებთან, იმ ორდენებს ჩამოართმევენ?); ისიც ვერ გამიგია, რა უფრო უარესი იყო — ასლარიანი ჩინოვნიკი რომ ათას ლარს ქრთამად იღებდა, თუ იმავე ჩინოვნიკს რომ ხუთი ათასი ლარი აქვს ბიუჯეტიდან ხელფასი და არავინ რომ არ იცის — რისთვის; ისიც მაინტერესებს, სხვათა შორის, მაშინაც რომ „მაჰ“-ის კანდიდატები ვიყავით და ახლაც რომ ვერ ავცდით ამ სტატუსს, შევარდნაძის ბრალია?.. შევარდნაძეზე გამახსენდა (ისე, მაგის ბრალია, აბა, რა!), ერთი მამინდელი „პროვოკაცია“ მენიშნა ძალიან, „დებილების სკოლა“ ერქვა და ჩვენი დიზაინერის მიერ შექმნილი კომპიუტერული ილუსტრაცია ყდაზეც იყო გამოტანილი — ის „დირექტორი“ და მისი მონაფეხები. დირექტორი მოხუცი,

ჭალარა კაცია, მოსწავლეები კი... აღარ ვიტყვი, თორემ ბოლოს და ბოლოს, ამათ მოთმინებასაც აქვს საზღვარი, ჩამიდებენ რამეს და უყარე მერე კაკალი (ჰო, ეს მეთოდიც რომ უცვლელია?)

P.S. არ ვიცი, რა გითხრაო, წინა ნომერში ვწერდი, ყველაფერი მუდმივად იცვლება-მეთქი, ქართველი პოეტი-რომანტიკოსის ციტატაც მოვიშველიე ამის დასამოწმებლად, თუმცა... ძალიან კი მეუხერხულდება, მაგრამ ჩემივე ნათქვამის უარყოფა მომიწევს: ამ ქვეყანაში არაფერიც არ იცვლება! რა სოსუღელეებსაც ათი წლის წინ ჩავდიოდით „ზევითაც“ და „ქვევითაც“, იგივე გრძელდება დღესაც და მიუხედავად იმისა, რომ დღეს იმ ალტერნატივაზე გვიხდება საუბარი, უტყნი ჰოუსტონი ჩამოვიყვანოთ თუ სტეფ უანდერო, ოცდამეერთე საუკუნის მატარებელს მაინც ჩახსნილი ვაგონით ჩამოვჩით და ახლა სულ ერთია, „მეისრის“ ბრალია ეს თუ „სადგურის უფროსის“...

P.P.S. ოპონენტებს ვთხოვ, ასფალტისა და 24-საათიანი დენის „არგუმენტები“ არ მოიშველიონ, თორემ გავბრაზდები და უარესებს ვიტყვი!

პრომოკატორი

არაბული ქვეყნები ერთიანდებიან...



არაბული ქვეყნები სერიოზულად აპირებენ იემენის პრეზიდენტ ალი აბდალა სალესის წინადადების შესწავლას იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკავშირის მსგავსად, „არაბული კავშირი“ ჩამოაყალიბონ. „არაბმა ლიდერებმა ერთობლივი საქმიანობის სრულყოფის მიზნით, შესაბამისი დოკუმენტის მოსამზადებლად, სუთმსრივი კომისიის შექმნის შესახებ ინფორმაცია დაადასტურეს“, — ნათქვამია არაბულ სახელმწიფოთა ლიგის 22-ე სამიტის შემდეგ გავრ-

ცელებულ განცხადებაში. კომისიის შემადგენლობაში არიან: ლიბიის, ეგვიპტის, კატარის, ერაყისა და იემენის ლიდერები, ასევე არაბულ სახელმწიფოთა ლიგის გენერალური მდივანი. კომისიის მიერ მომზადებული დოკუმენტი განსახილველად არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს გადაეცემათ, მიმდინარე წლის სექტემბერსა ან ოქტომბერში კი გეგმას სპეციალურ არაბულ სამიტზე განიხილავენ. არაბმა ლიდერებმა ასევე გადანაცვლეს, განიხილონ ლიგის გენერალური მდივნის, ამირ მუსის წინადადებაც, რომელიც არაბული ქვეყნების მეზობელ ირანთან და თურქეთთან გამაერთიანებელი სტრუქტურის შექმნას ითვალისწინებს.

ეკვიპური ოჯახის უსნაური გადაწყვეტილება

ერთ-ერთ ეგვიპტურ ოჯახში უცნაური რამ მოხდა. 11 წლის განმავლობაში მამა, დედა და ქალიშვილი ერთმანეთს მხოლოდ წერილებს საშუალებით ელაპარაკებოდნენ. ასეთი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ოჯახის მამამ — მუჰამედმა ბინამი მოსასმენი მოწყობილობა აღმოაჩინა. როგორც ადგილობრივი გაზეთი იტყობინება, აპარატი მუჰამედს მისმა ყოფილმა ქალმა დაუთმოტაყა. ექსპერტულე, რომელსაც მოსმენისგან თავის დაღწევა სურდა, საცხოვრებლად სხვა ბინაში გადავიდა, მაგრამ მოსასმენი მოწყობილობა იქაც მალე იპოვა... როდესაც ოჯახის წევრები ერთმანეთისთვის წერილების გამოდგმული წერიტ გადაიღალენ, დახმარებისთვის ამ დარგის სპეციალისტებს მიმართეს. მათ კი მუჰამედის სახლის დათვალეერების შემდეგ განაცხადეს, რომ მოსასმენი მოწყობილობა მხოლოდ ცარიელი კოლოფი იყო და სინამდვილეში არასოდეს უმუშავია.

სასჯელი ორცხოზილას ჭამისთვის

ბრიტანეთის ქოლ-ცენტრის თანამშრომელი სამსახურიდან იმის გამო დაითხოვეს, რომ ლამის მორიგეობის დროს შეჭამა ერთი პაკეტი ორცხოზილა, რომელიც მის კოლეგას ეკუთვნოდა. მოსამართლემ 27 წლის მაიკლ კემპბელს ორცხოზილას ფასის (7 გირვანქა სტერლინგი) ანაზღაურება და ჯარიმის (150 გირვანქა სტერლინგი) გადახდა დააკისრა. როგორც თავად კემპბელი ამბობს, ის დარწმუნებული იყო, რომ ორცხოზილა უფროსმა ყველა თანამშრომლისთვის იყიდა; ლამის ცვლაში მუშაობისას მოშვიდა და ორცხოზილა აიღო კოლეგის მაგიდიდან, რომელიც იმ დროს სამსახურში არ იმყოფებოდა. მომდევნო დღეს ორცხოზილას პატრონმა დანაკარგი აღმოაჩინა და ამის შესახებ უფროსს აცნობა. დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა სათვალთვალ კამერის ჩანაწერით დაადგინეს, რომ ეს საქციელი კემპბელმა ჩაიდინა. სასამართლო პროცესზე ორცხოზილას მფლობელმა აღნიშნა, რომ არა დანაკარგის შედეგად მიყენებულმა ზარალმა, არამედ მის „კუთვნილ სივრცეში“ უნებართვოდ შეჭრამ აღაშფოთა.

რუსიზმის ნებისმიერი კავკასიელი — ტერორისტია

„რუსი ძალოვნები ჩრდილოეთ კავკასიაში დაღუპულ მშვიდობიან მოქალაქეებს კლავენ და შემდეგ მათ ტერორისტებად აცხადებენ“ — ასეთია ჟურნალის — The New Times — კორესპონდენტისთვის რუსული სპეცსამსახურის თანამშრომლებისგან მიღებული „ღიარებითი ჩვენება“. მოსკოვის მეტროში მომხდარი ტერაქტებიდან რამდენიმე საათში ჟურნალის რედაქციას შს სამინისტროს თადარიგის პოდპოლკოვნიკი ტუვატულინი დაუკავშირდა და ჟურნალისტს „ომონის“ წევრების მიერ შედგენილი წერილი გადასცა, სადაც მოთხრობილი იყო, თუ როგორ მოკლეს 2009 წლის დეკემბერში ტერორისტი, ვინმე „ხამზა“ (23 წლის სასაფურტელი მუსლიმ სამზავეი) საინფორმაციო წყაროების ინფორმაციით, „ხამზა“ სამიში ტერორისტი გახლდათ და მისი გაუვნებლების ოპერაციის შემდეგ სახლიდან დიდი არსენალი ამოიღეს. როგორც მილიციელთა წერილიდან ირკვევა, ხამზავის დაკავების ოპერაციაში ადგილობრივი და ფედერალური სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ. ოპერაციის დაწყებისთანავე ხამზავეი სახლიდან გამოვარდა და გაქცევას შეეცადა, მაგრამ ადგილობრივმა ძალოვნებმა რამდენიმე ადგილას დაჭრეს და შემდეგ დააკავეს. სამართალდამცველები დაკითხვის დროს მიხვდნენ, რომ 23 წლის ახალგაზრდა სხვაში შეეშალათ, ამიტომ ის ფედერალებს გადააბარეს და იქაურობას გაეცალნენ. ფედერალური სპეცსამსახურის ნაწილის ხელმძღვანელმა დაჭრილის მოვლა და მის სახლში იარაღის შეტანა ბრძანა. ამით მან ორი კურდღელი დაიჭირა — გაუმართლებელი სროლისთვის პასუხისმგებლობა თავიდან აიცილა და „ტერორისტის“ გამოვლენა-გაუვნებლებისთვის სამსახურებრივ ჯილდოსაც გამოჰკრა ხელი. ტუვატულინის ცნობით, „ომონის“ წევრებმა მსგავსი წერილი შს სამინისტროს შესაბამის უწყებასაც გაუგზავნეს, მაგრამ ამას რეაგირება არ მოჰყოლია...

„ბომჟა“ 1.5 მილიონი დოლარის ქონება დატოვა



ქალაქ სველეფტის მკვიდრის, კურტ დედჟერმანის საიდუმლომ, რომელსაც მისი სიკვდილის შემდეგ აეხადა ფარდა, მსოფლიო გააოცა. ის ჩვეულებრივი „ბომჟი“ იყო, არ თავილობდა სანაგვე ურნაში ძრომიალს, საიდანაც თავისი კოლექციისთვის საკონსერვო ქილებს არჩევდა; ჭუჭყიანი ქურთუკითა და დახეული შარვლით დადიოდა, მაგრამ თურმე საზოგადოებას საგულდაგულოდ უმაღავდა ერთ საიდუმლოს: ყოველდღე ბიბლიოთეკას სტუმრობდა, სადაც დროის უდიდეს ნაწილს ატარებდა; ბიბლიოთეკიდან, ინტერნეტის მეშვეობით, საფონდო ბირჟაზე ემ-მაკურ დაბანდებებს ახორციელებდა, რის შედეგადაც, 1,5 მილიონი დოლარის ფასიანი ქალაქების, 350.000 დოლარის ღირებულების 124 ოქროს ზოდისა და საბანკო ანგარიშზე 10.000 დოლარის მფლობელი გახდა. კურტმა მთელი ქონება, გარდაცვალების შემდეგ, ბიძაშვილს დაუტოვა, რომელიც მას ხშირად ნახულობდა, მაგრამ 60 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაცვლილი „ბომჟის“ სურვილი არ შესრულდა და დანატოვარი მხოლოდ კანონიერ მფლობელს არ გადაეცა, რადგან ქონებაზე პრეტენზია მისმა ბიძამაც გამოთქვა, რომელთანაც კურტს, მხოლოდ ბოლო 2 წლის მანძილზე ჰქონდა ურთიერთობა.



„ქართული პროზის საგანძური“


თქვენთვის

და თქვენი შვილებისთვის!




ვაჟა-ფშაველა
გუბაიის მკონსენტი

6




რაზო ჟივოლიძე

7



ბაბი ნორდელი
კავშირთადასახე

8



ბურამ ღოჩანაშვილი
სამხარე

9

ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან“ ერთად შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები

ტომი №6 - ვაჟა-ფშაველა

წიგნის ფასი

3!

დიახ, სამი ლარი!



ეს ფასი, მეექვსე ტომისთვის, ძალაშია მხოლოდ 8 აპრილიდან - 15 აპრილამდე!

გამოიწერეთ **გზა** და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „**გზა**“ ბაზა: 38 26 73; 38 26 74

სპეციალური პირობები სკოლებისთვის

„ქართული პროზის საგანძურის“ I-IV ტომი — ბურამ ღოჩანაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნოდარ დუმბაძე და ილია ჭავჭავაძე — შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში.



ქვეყანა

დღეს ჩვენი „გზის“ დღეობაა ანუ როგორ ჩავკვირეთ დადაშიძე

ირმა ხარშილაძე

მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულით მიიმე მარხვა დასრულდა, გაგვიხსნილდა და მხიარულების, სიმღერისა და ცეკვის დროც დაგვიდგა. უკვე შეგვიძლია, სრული „მობილი-ზაცია“ გამოვაცხადოთ და „პრემიერის“ „პრეზენტაციისთვის“ მოვეზადოთ. მთავარია, ყველა ერთისათვის“ გავისარჯოთ: ზოგმა „საკითხავი ქალებისათვის“ წამოიყოლოს, ზოგიერთმა „გონიერმა მკითხველმა“ „ბედი კაცისა“ გაიზიაროს და „თქვენთვის, ქალბატონებო“, „საფირმო კროსეორდი“ „ისტორიის ლაბირინთებში“ გამოატაროს, ვილაცამ „ასპარეზი“ „მოდელებს“ დაუთმოს, „თინეიჯერულ პონტებში“ თუნდაც „შეუცნობლად“ მოახვედროს და „რეალურ“ „ვარსკვლავებად“ აქციოს; ზოგმა „ჭრელი მსოფლიოს“ „გზავნილები“ „ავტოთი“ „ოსტატურად“ გაანანილოს, რამდენიმემ „ჯანმრთელობისთვის“ სასარგებლო „ანტიდებურსანტი“, „დოკუმენტური პროზა“ „რომანში“ ჩაატაროს, ვილაცამ ყველა „ერუდიტი“ „შემოქმედისა“ და „არტისტის“, „სპორტის ლეგენდისა“ და „ოსტატის“ „არაჩვეულებრივი გამოფენა“ მოაწყოს, რომელიმე „პერსონამ“ „ოჯახის“ „სამართლიანი“ „ფსიქოპორტრეტი“ დახატოს, „ემიგრანტმა“ მთელ „შთამომავლობას“ თავი „იუბილუმზე“ მოუყაროს, ვილაცამ სადღესასწაულო სუფრა გაშალოს და „ჩაკბეჩილი დედაშინის“ ფორმის, „წვეთი პოეზიით“ გაუღენთილი 10-სართულიანი ტორტიც შემოაბრძანოს. ერთ-ერთმა წამყვანის „ამპლუა“ მოირგოს, „ასეულმა“ დიდი წრე შეკრას და... შეგვიძლია, ყველამ ერთად დავინყოთ: „დღეს ჩვენი „გზის“ დღეობაა, გამოვაცხოთ ხაჭაპური, აი, ასეთ სიმბოლეზე (ხელების ანევიტ ფეხის წვერებზე ვდგებით), აი, ასეთ სიდაბლეზე (ვიკუხებით)..“

უი, ტექსტი დაგვაინყდა (ვიცინით). მერე „პროვოკატორული“ ლიმილითა და მსუბუქი „ტკივილით“ ვალიარებთ, რომ ვბერდებით, მაგრამ „სიტუაცია“ რომ არ დაეძაბოთ, გზადაგზა „გასართობ“ „მინიატიურებს“ ვიგონებთ და ყველა „ფაქტი-

სა და კომენტარის“ გათვალისწინებით, საკუთარ „ავტოპორტრეტს“ ვქმნით.

ავანგარდში, ნიღბაფარებული რომ დგას, „გზის“ პროვოკატორია. მას არათუ მკითხველი, არამედ „გზის“ მთელი შემოქმედებითი ჯგუფიც კი არ იცნობს. ყველას აინტერესებს მასთან გასაუბრება, მაგრამ რატომღაც „გავივრის“. თვითონ ამბობს, ძველი „პალიტრელები“ კარგად მიცნობენ; თქვენ რომ ვერ გხვდებით, ინტერნეტის ბრალია — მასალის მოტანა აღარ მჭირდება, ელექტრონული ფოსტით ვგზავნი. თუმცა ჩანს, მინც გამომართლა: ერთ უქმე დღეს რედაქციაში შევირბინე და სწორედ იმ დროს შემოიარა, მთავარმა რედაქტორმაც გამაცნო და... საიუბილეო ნომრის ინტერვიუზე უარი არ გაუვიდა. აი, ფოტოზე კი ვერაფრით დავითანხმე. მართალიცაა: ასე ხომ, ჩვენი „პროვოკატორი“ იდუმალებას დაკარგავს..

— თუ გახსოვთ, როგორ მოხვედით „გზაში“ და მის პირველ ნომერში რა დანერეთ?

— გაზეთ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი ვიყავი, საარქივო მასალებს ვამუშავებდი და მკითხველს რუბრიკით „ჩვენ — ქართველები“ ბევრ ჩვენს სასიქაულო მოღვაწეზე საინტერესო ინფორმაციას ვანუდიდი. გურულ ფირალბებზეც კი ვწერდი, — ოზურგეთისა და ჩოხატაურის არქივებში



სერიოზული კვლევა ჩავატარე... ასე რომ, „გზაში“ მოსვლა არ დამჭირვებია, რადგან ჟურნალი სწორედ ამ გაზეთის შემოქმედებითაა ჯგუფმა შექმნა. მხოლოდ ბატონი ზურაბ აბაშიძე — „გზის“ მთავარი რედაქტორი შემოგვიერთდა მოგვიანებით. მასსოვს, „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი, ქალბატონი ლალი გუნთაიშვილი (ღმერთმა აცხონოს მისი სული!) და მისი ვაჟები, ირაკლი თევდორაშვილი, რომელიც დღეს მედიასახლ „პალიტრას“ ხელმძღვანელობს და გოგა თევდორაშვილი, რომელიც ამჟამად „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორია, როგორ ბჭობდნენ ჟურნალის სათაურზე, დიზაინზე, რუბრიკებზე. ისიც კარგად მახსოვს, რომ „გზის“ ლოგო — ჩაკბეჩილი დედაშინა გიორგი ჟორჯოლიანმა მოიფიქრა. სხვათა შორის, ჩემი რუბრიკის „პორტრეტები“ გიორგიმ შექმნა: ეს გახლავთ ძალიან ცნობილი ამერიკელი რეჟისორის ფოტო, რომელიც გიორგიმ „ფოტოშოპში“ დაამუშავა, გაალამაზა და ჩემს „სახედ“ აქცია. აუცილებლად მინდა, ვახსენო ჩვენი ერთ-ერთი პირველი დიზაინერი — ზურა ნაცვლიშვილი... ჩემი ვრცელი ინტერვიუც რევანძოძეშვილთან პირველივე ნომერში ჩაიდო.

— ამ ინტერვიუს ზვიად გურული აწერს ხელს, თქვენ კი სულ სხვა გვარი გაქვთ. გამოდის, ორი ფსევდონიმით სარგებლობდით, რადგან პირველივე „გზის“ პირველ გვერდზე სხვა ფსევდონიმით გამოჩნდით ვეფქრობ, უფრო დამაინტრიგებელი სწორედ ეს ფსევდონი — „პროვოკატორი“. თქვენ შეირჩიეთ სახელი?

— მახსოვს, ნომერი თითქმის მზად იყო,





გარეკანისთვის ირაკლი ალადაშვილის სტატიის ფოტოც — სამხედრო პოლიგონზე სამხედროები და მოდელი გოგონა უკვე გადაუღოთ და გოგა თვედორაშვილმა მთხოვა: იქნებ ამ ფოტოსთვის პატარა სატირული ჟანრის ტექსტი დაწერო. მეც დავწერე. ტექსტი მართლაც, ძალიან პატარა გამოვიდა და დანარჩენი ტექსტებისგან განსხვავებული შრიფტით დაბეჭდეს.

სათაური გახსოვთ?

— ფოტოდან გამომდინარე, მგონი, ცოტა უხამსი სათაური დაუწერე (ილიმის).

„გვინდა ახლა ჩვენ ტანკები და „შტიკ-ნოუები“? — ასე ერქვა.

— ზუსტად მართლა არ მახსოვდა, მაგრამ ფოტო არ მაინცნებდა — ძალიან შთამბეჭდავი იყო (იციანის). ასე სპონტანურად გამომჩნდა „პროვოკატორი“, შემდეგ, მეორე ნომერში აღარ გაუშვიათ, — „გზის“ ისტორიაში ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, — მესამე ნომრიდან კი კვლავ განაახლეს და დღემდე არსებობს. ფსევდონიმი კი გოგას იდეა გახლდათ: „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთ კონკურსში „ყველაზე ენამწარე ჟურნალისტიკის“ ნომინაციაში გავიმარჯვე; მახსოვს, გადმომცეს კონვერტი, რომელსაც გველი ესატა და გოგამ „პროვოკატორი“ შემარქვა. როდესაც ჩემი მწარე ენა „გზას“ დასჭირდა, გოგამ რუბრიკასაც ეს მეტსახელი უწოდა.

ნომ არ გენყინათ?

— არა, რას ამბობთ?! მე რომ ასე იოლად მენყინოს, მაშინ ჩემმა პერსონაჟებმა რაღა თქვა (იციანის)?! ისე, მთლად ყოჩაღად ვერ იქცევიან: ხანდახან იუმორზე საკმაოდ მწვავედ რეაგირებენ, ზოგიერთმა „მიპოვა“ და რეაქციაც ზედმეტად ცუდი ფორმით გამოხატა. მოდი, შემთხვევით ვისარგებლებ და მათ ვეტყვი: თუ რამ გაქვთ სათქმელი ან საპრეტენზიო, უმჯობესია, ელექტრონული ფოსტით მომწეროთ — provokatori67@gmail.com.

— რატომღაც „გზის“ პირველი ნომრის ფელეტონს — „შიშს დიდი თვალები აქვს“ — არ ახსენებთ; მასაც ზვიად გურული აწერს ხელს.

— აუ, ეგ აღარ მახსოვს.

— ბავშვობის დროინდელ შიშზე ლაპარაკობთ და სატირულ ზღაპარს ჰყვებით თანამედროვე საქართველოზე. ასე მწარე-მწარეს რომ წერთ, არ გეშინათ?

— რისი უნდა მეშინოდეს (ილიმის)? სხვათა შორის, ასეთი ფელეტონების ავტორები ყოველთვის წამგებიან პოზიციაში ვართ, რადგან ყველას „ვამათრახებთ“, გუნდრუჟს არავის ვუკმევთ და შესაბამისად, არავის ვუყვარვართ. სხვათა შორის, იმასაც გეტყვით, რომ ორ წელიწადს ვწერდი „გზაში“, მერე ჟურნალისტიკაში პაუზა მქონდა, მეგობრებთან ერთად, ერთ-ერთ ბავშვთა სახლში ვიყავი დიდი ხნის განმავლობაში, იმხანად კი რუბრიკას სხვა „პროვოკატორმა“ უპატრონა, ახლა კი ზახუხულიდან კვლავ მე გადმოვიბარე საქმე.

საინტერესოა, ოჯახშიც „მწარე ენა“ გაქვთ?

— ხანდახან — კი, თუმცა ჩემი შვილები დაიზარდნენ და მათთან ხმის აწვევაც აღარ აქვს აზრი. თუ დაჰკვირვებინართ, ჩემს რუბრიკაში ბებიას ვახსენებ ხშირად. ენამწარეობა სწორედ მისგან გამომყვა (იციანის). თურმე ბავშვობაში ძალიან დიდი თავი მქონდა (არც ახლა მაქვს პატარა). ერთხელ მამას მეგობარი მოუყვანია შინ. ეს კაცი მომფერებია: რა კარგი ბავშვია, მაგრამ რამხელა თავი აქვსო?! ამაზე ბებია გაგიჟებულა და, რა თქმა უნდა, იმ მეგობრისთვის ჩვენი სახლის კარი დაიხურა. მამა ძალიან მოწესრიგებული კაცი იყო. გაუფრთხილებლად არასდროს აგვიანებდა, მაგრამ ერთ საღამოს სერიოზულად გვანერვიულა: ძალიან გვი-



ან ძალიან მთვრალი დაბრუნდა შინ. ბებიას საყვედურიც არ აცალა, — დედა, მამატიე, მაგრამ ისეთ რამეს გეტყვი, ძალიან გაგიხარდება; ჩემს მეგობარს (მამა იმ კაცს გულისხმობდა, ჩემს დიდ თავს რომ გაუსვა ხაზი) ბიჭი შეეძინა და სანახავად მივედი; იმ ბავშვს თავი ჰქონდა, მსგავსს ვერსად იპოვიო. ბებია მორწმუნე ქალი არ იყო და მაშინ პირველად და უკანასკნელად ვნახე მისი გადანერვილი პირველარი: სასწრაფოდ წამოიწია ლოგინიდან, გადაიწერა პირველარი და ბედნიერი სახით დააყოლა, — ღმერთო, დეილოცოს შენი სამართალიო (იციანის)..

— რა კარგია, რომ ასე ხალისიანად მესაუბრებით, თორემ ფეიქრობდი, სულ გაბრაზებული და ენამწარეა-მეთქი...

— სხვათა შორის, ადრე „გზის“ ყოველი ნომრის მომზადებას მოლხენით ვას-

რულებდით: ლამის 2 საათიდან დილის 7 საათამდე სუფრასთან „ემუშაობდით“ ხოლმე, ერთ ლამეს არ „ვაგდებდით“ (იციანის). ახლა დავებრდი, ჩემო კარგო, და...

რამდენი წლის ხართ?

— ბევრის — 43 წლის გავხდი (იციანის).

სობერემდე დიდი გზა გქონიათ გასაფლელი. თქვენს სავალ გზაზე, რა ადგილი აქვს ჟურნალ „გზას“?

— ძალიან მნიშვნელოვანი. მაშინაც გამოირჩეულა „გზა“ და ვფიქრობ, ახლაც გამოირჩეულია. ერთადერთი, ცოტათი აკადემიურობა მოაკლდა. მე კი ისეთი „გზა“ უფრო მომწონდა, ამიტომ კვლავ აკადემიურობის გაზრდას ვუსურვებ, თორემ თემატურად, დღევანდელი ჟურნალი უწინდელზე გაცილებით მრავალფეროვანია.

ოდესმე სტატიას თქვენს ნამდვილ სახელსა და გვარს არ მოაწერთ?

— ერთხანს, მცირე დოზით, პოლიტიკაში ვიყავი ჩაბმული; გარდა ამისა, საკმაოდ გავრცელებული გვარი და სახელი მაქვს, თანაც საქართველოში ჩემი სენია და მოგვარე საკმაოდ ცნობილი ჟურნალისტი არსებობდა, ამიტომ, გაუგებრობისა და უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, თავიდანვე ფსევდონიმით წერა ვარჩიე. ასე რომ, ჯეროვნობით კვლავ ვარდლებურად განვაგრძობ, მერე კი ვნახათ.

...ეს ადამიანი კი „გზის“ ნებისმიერ პრობლემასთან დაკავშირებით, რაც მითხოვია, დაუზარლად დამხმარებია. ჩვენს ახალ პროექტს, „ქართული პროზის საგანძურსაც“ დასჭირდა მისი ხელი. ვიცოდი, ბიორბი ჟორჟოლიანი პირველი ნომრიდან მუშაობდა „გზაზე“ და ალბათ, ჟურნალთან მისი ურთიერთობის სტაჟმა და გულმოდგინებამ მაფიქრებინა, — „გზა“ განსაკუთრებით უყვარს და მისდამი გამორჩეულად ყურადღებანიანია-მეთქი.

— არა მგონია, მხოლოდ „გზის“ მიმართ ვიჩინე განსაკუთრებულ ყურადღებას. აქ ადამიანურ ურთიერთობებს აქვს მნიშვნელობა. „გზის“ მთავარ რედაქტორთან, ბატონ ზურაბ აბაშიძესთან 10 წელიწადი

Advertisement for 'Classica' furniture. Title: 'ტყავის სამეშულაბი 2300 ლარი'. Image of a sofa and armchair. Text: 'შარტა არჩივანი', 'კაპისიშარი', 'პორდისშარი', 'შაპისშარი'. Website: www.classica.com.ge. Phone: 38 88 11, 37 11 11. Address: ალ. ჭავჭავაძის გამზ. 14ა, პატა-ფშაველას გამზ. 25.

მაკავშირებს, მისგან ბევრი რამ ვისწავლე და მგონი, ეს ცოტა დრო არ არის. საერთოდაც, ამ ადამიანთან ძნელია, ცუდი ურთიერთობა გქონდეს ან უბრალოდ, ძალიან უნდა მოინდომო, რომ ცუდი ურთიერთობა დაამყარო, თუმცა მეტყვება, რამე გამოგივიდეს (ილიმის)... მაშინ, 10 წლის წინ, პირველად ვმუშაობდი ჟურნალზე და ყველაფერი ძალიან მაინტერესებდა. ფაქტობრივად, დიზაინით დაწყებული, ყველაფერში ვმონაწილეობდი. იმის თქმაც შემიძლია, რომ დღეს თუ რამ ვიცი, იმ წლებსა და ყველაფერის შესწავლის მცდელობის შედეგია. თუნდაც „გზის“ ლოგოს შესაქმნელად, უამრავი, სხვადასხვა ვარიანტი მოვსინჯე, საბოლოოდ კი ვაშლივით ჩაკვებილი დედამინა მივიღე. განსაკუთრებული იდეა არ ჩამივლიდა ჩემს ნამუშევარში, მხოლოდ ვიფიქრე, რომ ჩაკვებილი დედამინას და ყველაფერს გავარკვევდით მასზე. ლოგო მომიწონეს და როგორც ხედავთ, დღემდე არავის შეუცვლია. სხვათა შორის, კარგა ხანს ეძებდნენ მასში ჩადებულ „საიდუმლოს“ და უამრავ კითხვასაც მისვამდნენ; ჩანს, ეს კითხვები ყელში ამოუვიდა ჩვენს ენაკვიმატ თანამშრომელს, ნინო ჭიჭინაძეს, რომელიც ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს და რომელსაც მართლაც საუცხოო „კაცური იუმორი“ ჰქონდა და აბუნარ ცნობისმოყვარეს მთელი სერიოზულობით უპასუხა: რას ნიშნავს და, მინა ჭამა თქვენმა პირმაო (იციანის!) ამგვარმა ახსნა-განმარტებამ გაამართლა, ჩვენც ავიტაცეთ და მომდევნო შეკითხვის სურვილი აღარავის უწინდებოდა.

გიორგი, რას უსურვებ იუბილარ „გზას“?

— დღეს სამხედრო ჟურნალის, „არსენალის“ რედაქტორი ვარ. „გზის“ ნახევარზე ცოტა მეტი გზა გავიარეთ და ზუსტად ვიცი, რომ „გზაში“ მიღებული გამოცდილება ძალიან მენმარება მუშაობისას და არა მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით, არამედ ჟურნალისტიკებთან ურთიერთობის, თემების მოფიქრების, ნომრის მასალების დაგეგმვის მხრივ, — მოკლედ, შიდა სამზარეულოს აწყობაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „გზა“ განსაკუთრებულად უნდა დავაფასო. იუბილარს ისედაც ყველაფერ კარგს უსურვებენ ხოლმე, მე კი „გზას“ კიდევ მეტ კარგს და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებ!



იმხანად აკურის ქუჩაზე, ძველ ოფისში ვიყავით და ოთახიც არ გვქონდა

გახსოვთ, კონსტანტინე გამსახურდიამ სიყვარული რას შეადარა?... „სიყვარული კორექტურას ჰგავს, — ისე გაგებარება, ვერ გაიგებო“. ასეც არის: ტექსტს ასწორებ, ასწორებ და შეცდომას მაინც ვერ ასცდები. ხოლო თუ შეცდომა „ზღვარს გადასცდა“, ვეღარც ჯარიმისგან დაიძვრენ თავს — ჩვენთან ასეთი კანონია. არადა, რა უსიამოვნოა შეცდომებით სავსე სტატიების კითხვა! ეს ჩვენმა კორექტორებმაც კარგად იციან და არა ჯარიმის შიშით, არამედ საკუთარი პროფესიონალიზმის დასტურად, მაქსიმალურად იზვიათად ცდებიან.

საკუთარი საქმე შეიძლება, ძალიანაც გიყვარდეს და კარგადაც გამოგდიოდეს, მაგრამ ერთ სამუშაო ადგილას დიდხანს ვერ გაძლო. იქნებ გოცდეთ კიდეც, მაგრამ ჩვენს საყვარელ იუბილარს უერთგულესი სტილისტი-კორექტორები (ეკა გუნთაიშვილი და მარინა ინანიშვილი) ჰყავს — სათავიდან მოჰყვებიან. ამჯერად ერთ-ერთი მათგანი — **ეკა გუნთაიშვილი** მოვწყვიტე საქმეს:

— 10 წლის წინ ახალი ჟურნალის გამოცემა რომ გადაწყვიტეს, მახსოვს, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კი არა, მამაკაცებისთვის განკუთვნილი უნდა ყოფილიყო; შესაბამისად, სახელწოდებაც სხვა უნდა ჰქონოდა. შემოსულ მასალებშიც სამხედრო თემატიკა ჭარბობდა. ამას პირველი ნომრის პირველ გვერდზე დაბეჭდილი ფოტოც ადასტურებს. პირველი ნომერი ძირითადად, თარგმანებზე იყო აგებული და ორი-სამი ცოცხალი ინტერვიუ გვქონდა. კარგა ხანს ორი კორექტორი, მე და მარინა ინანიშვილი ვმუშაობდით. იმხანად აკურის ქუჩაზე, ძველ ოფისში ვიყავით და ოთახიც არ გვქონდა — „კვირის პალიტრის“ ოთახში ვისხედით. მევე ჟურნალ „კარუსელის“ რედაქციამ „შეგვიფარა“. ჯერ ბატონი ზურაბ აბაშიძე მოვიდა. მასთან პირველი შეხვედრა კარგად დამამახსოვრდა: შევედი ოთახში და სოლიდური გარეგნობის და მკაცრი გამომეტყველების უცხო მამაკაცი დამხვდა. გამაცნეს, „გზის“ მთავარი რედაქტორიაო. გამოვედი და მარინა ინანიშვილს ვუთხარი, — ახალი რედაქტორი ისეთი სახით იყურება, მგონი, დავიღუპეთ-მეთქი (იციანის).

— **მერე, „დაიღუპეთ“?**

— ახლა, საიუბილეოდ, ნომინაციები ჩამოვწერეთ და ერთ-ერთ ნომინაციაში ბატონი ზურას გვარი ჩავწერე, არ ვიცი, გაიმარჯვებს თუ არა, მაგრამ შედეგებს რომ გაეცნობით, მიხედვით, როგორც „დავიღუპეთ“ (იციანის)... მოგვიანებით გონა ტყემელაშვილი შემოგვიერთდა. მახსოვს, ლადო ნაპირელის ფსევდონიმით „კვირის პალიტრაში“ ნოველები დაბეჭდა, მერე კი „გზის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ დაინიშნა მუშაობა. ნელ-ნელა დანარჩენებიც შემოგვემატნენ, მათ შორის, ჩემი უშუალო კოლეგა — ნანა ცომაია; სარედაქტორო „შტაბიც“ გაძლიერდა რედაქტორების — ლიკა ქაჯაიასა და ლალი ფაციათა მოსვლით.

— ეკა, პირველი ნომრიდან 10 წელიწადი გავიდა და უამრავმა მასალამ გაიარა შენს ხელში. როგორ შეიცვალა „გზა“?

— ძალიან გაიზარდა: ჯერ ერთი, გვერდების რაოდენობა მოემატა, შესაბამისად, თემატიკადაც მრავალფეროვანი გახდა, კოლექტივიც გამრავლდა, თანაც თითოეული გამოჩენილი კარგი ადამიანია. ასე მგონია, ჩვენი რედაქცია განსაკუთრებულია. ყველაზე მშვიდები, წყნარები და უკონფლიქტოები ვართ, ერთმანეთის გატანაც კი სხვანაირად შეგვიძლია და ეს, უპირველესად, ბატონი ზურას დამსახურებაა. რედაქცია მხოლოდ სამსახური არ არის, ის ჩვენი ოჯახივითაა. მუშაობის სპეციფიკაც ძალიან დაიხვენა: ადრე ასეთი ოპერატიულები არც ჩვენ ვიყავით და არც ჟურნალისტები.

— ბევრი ჟურნალისტი გამოიცვალა „გზაში“. დონის თვალსაზრისით, რამე ცვლილებას ატყობ ჟურნალს?

— ჟურნალისტებმა მასალების თემატიკურად უკეთ მოძიება ისწავლეს. მართლწერასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, რადგან ჩვენთან უკვე წაკითხული მასალა მოდის, მაგრამ შალაშინი მაინც ბევრს სჭირდება. ძველებიდან ნათია ჟივიძე და ემა ტუხიაშვილი შემოგვრჩნენ, დანარჩენები გზადაგზა იცვლებიან. მიხარია, რომ „გზა“ ძალიან პოპულარულია. ახალმა პროექტმა, — „ქართული პროზის საგანძურს“ გვულისხმობ, — ხომ პოპულარობის ზენიტში აიყვანა ჩვენი ჟურნალი. ამ რედაქციაში ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და ერთი წუთითაც არ ვფიქრობ, სხვაგან წავიდე...

„მე შენ მოგილოცავ დაბადების დღეს, მოვალ და მოგიტან საჩუქრებს...“ — უკვე თანამედროვე სიმღერებით განვაგრძობთ „ჩაკვებილი დედამინის“ გარშემო ტრიალს. მალე „აზარტში“ შევალთ და ავცეკვდებით კიდეც, შიგადაშიგ კი „ტიმი-აუტს“ ავიღებთ და „გზის“ სამზარეულოშიც შევიჭვრიტებით: იქაც არანაკლებ საინტერესო „მოზაიკა“ დაგხვდება, ოღონდ „გზის“ ერთკვირიანი მონაკვეთის გავლა მოგვინევს; მანამდე „გზა“ დროებით დადინჯდება, დასერიოზულდება და ჩვეულ „ასტროლოგიურ“ ტრადიციორიას გაივლის... ერთ კვირაში კი „10-წლიანი იუბილეს“ მეორე განყოფილებაზე შევიკრიბებით.



ვიფიქრე, რომ ჩაკვებილი დედამინას და ყველაფერს გავარკვევდით მასზე



რეზო ჭეიშვილის კინემატოგრაფიული მარგალიტები და „საგანძურის“ სიბოლური დათხოვნა...

„მე, თქვენი და სხვათა მონა-მორჩილი, ვიქცევი ისე, როგორც ვიქცეოდი აქამდე, ამ პრინციპისთვის არასოდეს მიღალატნია“ — „ცისფერი მთები“.

მომავალ სუთშაბათს „გზასთან“ ერთად, „ქართული პროზის საგანძურის“ მეშვიდე ტომს — მწერლისა და დრამატურგის, რეზო ჭეიშვილის რომანს — „ასკილის წითელი ყვავილი“ და მოთხრობას — „ვაიმე, ჩემო ვენახო“ წარმოგიდგენთ.

საინტერესო მწერალს, ქუთაისისა და თბილისის კოლორიტს, ყველა თაობის უსაყვარლესი ფილმების სცენარის ავტორს, რომელმაც რეჟისორ ელდარ შენგელაიასთან ერთად, ქართული კინოს ისტორიას არაჩვეულებრივი ფილმები შემატა, სააღდგომოდ მის მშობლიურ ქუთაისში დაფუკავშირდით, მეგობრებს „მოვწყვითეთ“ და „საგანძურში“ წარმოდგენილ რომანსა და კინოსთან მის ურთიერთობაზე მცირე კომენტარი ვთხოვეთ:



ირმა ხარშილაძე

— „ასკილის წითელი ყვავილი“, სადაც „ვარდების რევოლუციამდელი“ ეპოქა აღწერილი, ჯერ სცენარად დაწვრიე და ელდარ შენგელაიამ ამ სცენარით „ექსპრესინფორმაცია“ გადაიღო. ფილმი თავდაპირველად ორსერიანი უნდა ყოფილიყო, მერე ერთ სერიად გამოვიდა ეკრანზე, მე კი იმდენი მასალა დამიგროვდა, მოგვიანებით რომანი დაწვრიე.

— ფილმის გადაღებას ესწრებოდი?

— გადაღებას — არა, მაგრამ გახმოვანებაში კი ვმონაწილეობდი. სამაგიეროდ, ხშირად ვიყავი „ცისფერი მთების“ გადასაღებ მოედანზე. გზადაგზა ბევრი რამ იცვლებოდა და ხშირად ახალი დიალოგების დაწერაც მიწევდა.

— ბატონო ელდარის მიერ ეკრანზე გაცოცხლებული თქვენი გმირები ლიტერატურული პირველწყაროს პერსონაჟებს ხომ არ „დაშორდნენ“?

— უკეთესები იყვნენ. ცოტას ვშიშობდით, არაპროფესიონალ მსახიობს, თემიკო ჩირგაძეს არ გასძნელებოდა მთავარი გმირის განსახიერება, მაგრამ ელდარის არჩევანი აქაც შესანიშნავი აღმოჩნდა.

— ბატონო რეზო, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ბევრი თქვენი ნაწარმოებია ეკრანზე გამოვიდა რა გადაიღეს და ვინ გადაიღო თქვენი სცენარით ფილმი?

— პირველად კინოსტუდიაში 1960 წელს რედაქტორად მივედი. სხვის სცენარებს ვასწორებდი. მერე

იქვე, რეზო თაბუკაშვილის ხელმძღვანელობით, მწერალთა გაერთიანება შეიქმნა. ორი განყოფილება ჰქონდა ამ გაერთიანებას და ერთს მე ვხელმძღვანელობდი, მეორეს — რეზო ინანიშვილი. სხვათა შორის, კინოსტუდიაში 1992 წლამდე ვიმუშავე, თუმცა პარალელურად, სხვაგანაც ვიყავი. ამ წლებში, გარდა საკუთარი, ორიგინალური სცენარებისა, სხვისი ნაწარმოებების მიხედვითაც დამიწერია სცენარი. მაგალითად, „ყვარყვარეზე“, „სამანიშვილის დედინაცვალებზე“, „ბაკულას ლორებზე“ მე ვიმუშავე. ჩემი პირველი სცენარი კი გეგმის შესასრულებლად, შეკვეთით დაწვრიე და არც მივიჩინე ჩემად, შესაბამისად, მას არც არასდროს ვიხსენებ. სინამდვილეში, პირველი ფილმი, რეჟისორ დავით რონდელის „ჩემი მეგობარი ნოდარი“ იყო, — ნაწარმოების მიხედვით გაკეთდა ეკრანიზაცია. მას „გამოაღეთ ფანჯრები“ მოჰყვა. საერთოდ, რასაკვირველია, ფილმის საკუთარი სცენარით გადაღება გაცილებით საინტერესოა, მაგრამ სამსახურებრივად, სხვის ნაწარმოებზე მუშაობაც მევალეობდა და რას ვიზამდი?! მაგალითად, სცენარისტი ლევან ჭელიძე ქართულად ვერ წერდა, ამიტომ მისი რუსულად დაწერილი სცენარების თარგმნაც კი მიხდებოდა, თუმცა იმ ფილმებისთვის ჩემი

გზადაგზა ბევრი რამ იცვლებოდა და ხშირად ახალი დიალოგების დაწერაც მიწევდა




გვარი არასდროს მიმინერია. ახლა, სამწუხაროდ, მხოლოდ ვიდეოფილმებს იღებენ, ამ ფილმების სცენარებს კი თვითონვე წერენ. გაამარტივეს ყველაფერი. ქართული კინო კი აღარ არსებობს. ფილმი კომერციად გადაიქცა, ამას კი ქართული სინამდვილე ვერ უძლებს. ამერიკულმა კინომ ყველაფერი მოსპო, გაანადგურა, კინოს მხატვრული ღირებულება დაუკარგა. დღეს ფასეული ფილმის გადაღებას მილიონები და გასაღების ბაზარი ესაჭიროება, ეს კი ძალიან რთულია. მაგრამ იმედი მაქვს, ყველაფერი გამოსწორდება.

„ზოგს არ ვენდობი, ზოგს კი კარგ პოლიტიკოსად არ მივიჩნევ“

„ახლა ვსდილობ, გამოვიცნო – გვატყუებს თუ მართალს გვეუბნება...“

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ჩვენში ყველაზე აქტიურად და საინტერესო თემა კარს მომდგარი ადგილობრივი არჩევნები გახლდათ. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის აღსანიშნავად შეკრებილ ნათესავ-მეგობრებს ერთმანეთის მოკითხვა არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ წინასაარჩევნო კამპანიის განხილვასა და მერობის კანდიდატების საქმიანობის განსჯას იწყებდნენ... შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ პოლიტიკური ექსპერტებისა და პოლიტოლოგებისგან განსხვავებით, ოპოზიციურად განწყობილ ადამიანთა უმრავლესობა სულაც არ მოითხოვს ოპოზიციისგან საერთო კანდიდატის დასახელებას; მათი მოსაზრებები, შეიძლება ითქვას, საინტერესო, მაგრამ ცოტა უცნაურია...



სათუნა ბახტურიძე

თამარ ლაფარაძე, სტუდენტი:

— ზუსტად ვიცი, რომ „ნაციონალებისა“ და ნოლიდელის გუნდის წარმომადგენლებს ხმას არ მივცემ, დანარჩენ კანდიდატებზე ჯერ კიდევ ვფიქრობ... ძალიან მომწონს ირაკლი ალასანია, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სიმპათიურია და ლოყაზე ხალი აქვს (ზოგიერთი არარეიტინგული პოლიტიკოსი ალასანიას პოპულარობის მიზეზად მის გარეგნობას მიიჩნევს); ის შესანიშნავი დიპლომატია და საჭიროების შემთხვევაში, შემტევი და პრინციპულიც ხდება. მე ახლაც მახსოვს, აგვისტოს ომის შემდეგ მისი გამოსვლები გაეროში... ნოლიდელმა ცოტა კი დააბნია და კინაღამ მცდარ გზაზე დააყენა, მაგრამ არა უშავს, ასეთი შეცდომისგან არავინაა დაზღვეული. ერთი სიტყვით, საპრეზიდენტო არჩევნები რომ იყოს, მას დაუჭერდი მხარს, მაგრამ მერის თანამდებობაზე მისი ხილვა ნამდვილად არ მინდა: ქალაქის განათებაზე, საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებასა და სხვა საყოფაცხოვრებო საკითხებზე ჯობია, ისევე სხვებმა იზრუნონ.

თეაგურ სისვაძე, მწარმე:

— მეც ვფიქრობ, რომ ქალაქის მერობა — სამეურნეო საქმიანობაა, ამიტომ კარგი იქნება, თუ ამ თანამდებობაზე მმართველი გუნდის წარმომადგენელს ავირჩევთ. უგულავა რაღაცას მაინც აკეთებს... ის რომ ოპოზიციონერი იყოს, ან ხელისუფლება

არ მისცემდა კარგად მუშაობის საშუალებას, ან თავად არ იზრუნებდა ქალაქის კეთილდღეობაზე, რათა უბრალო მოქალაქეები ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილიყვნენ.

მარიამ სარატიშვილი, დიასახლისი:

— რამდენიმე დღის წინ შინ ერთი ქალბატონი მეწვია; აგიტატორად გამეცნო, ქრისტიან-დემოკრატების კოორდინატები დამიტოვა და მიითხრა, — წყალთან ან გაზთან დაკავშირებული პრობლემა თუ გაქვთ, დაუკავშირდით, აუცილებლად დაგეხმარებიანო... მეერ კითხვაც შემომპარა, — ამ არჩევნებზე ხმას ვის აძლევო? ქრისტიან-დემოკრატებს ნამდვილად არ მივცემ ხმას. გაზის — არა, მაგრამ წყლის პრობლემა დიდი ხანია, მაქვს... აქამდე რატომ არ დაინტერესდნენ ჩემი პრობლემით?! ჰგონიათ, ასე მარტივად, ყალბი დაპირებებით მოიპოვებენ ხალხის ნდობას?! თარგამაქვს ვინც ენდო, მათ რა ხეირი ნახეს, მე რომ ვენდო?!

P.S. „დრო დგას და მიდის, სოსო, და ჩვენც თანამიმდევრობით, ოღონდ არა ერთმანეთის მიყოლებით, გაგდივართ წრებრუნვიდან, ვტოვებთ სცენას, სადაც ყველას ჩვენი როლი და სიმართლე გვერგო, ამიტომ ჩვენჩვენი სიმართლითაც გაგვიმარჯოს...“ — „ცისფერი მთები“.

P.P.S. 24 აპრილს ბატონ რეზოს 77 წელი უსრულდება. „ქართული პროზის საგანძურის“ მე-7 ტომად მისი ნაწარმოებების გამოცემა მწერლის დაბადების დღისთვის საგანგებოდ არ ჩაგვიფიქრებია. ეს სიმბოლური დამთხვევა მხოლოდ სტატიის წერისას აღმოვაჩინე და ძალიან მესიამოვნა. ბატონო რეზო, ჩვენი იუბილარი ჟურნალი და „საგანძურის“ შემოქმედებითი ჯგუფი დაბადების დღეს გილოცავთ! მრავალწელიწადს იდღეგრძელებთ და თქვენი არაჩვეულებრივი სცენარებით გადაღებული ფილმებითა და ნაწარმოებებით კიდევ დიდხანს გაგვახარებთ.





გოგი სომასურიძე, გლეხი:

— ეს ხელისუფლება და ოპოზიციის ჯერ თავად ვერ გარკვეულა ვერაფერში... ოპოზიციონერი ლიდერები ისე არიან არეულ-დარეულები, მე კი არა, მგონი, თავადაც აღარ იციან, ვინ ვისი კანდიდატია და ვინ ვის დაუჭერს მხარს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიას შორის კი არა, თავად თანაპარტიელებს შორისაც არ არის თანხმობა. ისე, მე თუ მკითხავთ, ოპოზიციას არც უნდა ჰყავდეს საერთო კანდიდატი... ალასანია პროამერიკულია, ნოლაიდელი — პრორუსული, გუბაზ სანიკიძე — პროქართული; თუ ამ ადამიანებმა ერთ აზრზე შეთანხმება შეძლეს, ე.ი. ძალიან დიდი აფერისტები ყოფილან. ხელისუფლებას რაც შეეხება, — მაგათი ნამდვილად აღარ მჯერა, თვალსა და ხელს შუა მატყუებენ... ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი ზოგჯერ ისეთ რამეს ამბობს, თვალზე შუბლზე ამდის: თურმე პენსიები გაგვეზარდა, გლეხებს მინის დამუშავებაში გვეხმარებიან, საყოფაცხოვრებო პირობებს გვიუმჯობესებენ, წყალიც გვაქვს, გაზიც, შეშაც... სიმართლე კი ის გახლავთ, რომ იმ მომატებული პენსიით ახლა იმასაც ვეღარ ვყიდულობ, რასაც ადრე 14 ლარით ვყიდულობდი. წყლის მიღები გამოგვიყვანეს, მაგრამ წყალი კვირაში ერთხელ მოდის; გაზი ისეთი ძვირია, მეუღლე და რძალი მხოლოდ ყავის მოსადუღებლად ანთებენ; მინის დამუშავებაში ნეტავ, როგორ მესმარებიან?! ბარითა და თოხით ეგენი არ მორბიან ჩემს ყანაში და სანვავს არ მაძლევენ, რომ მინა ტრაქტორს დავახვევივინო. ადრე შეშა გვექონდა თავზე საყრელი და ახლა ესეც აღარ გვაქვს იმიტომ, რომ ტყე ჩინელებისაა. ერთადერთი, რაც შეიძლება, ამ მთავრობის დამსახურებად ჩაითვალოს, ეს ახალი დაგებული გზა გახლავთ, მაგრამ რასაც ჩვენი პრეზიდენტი უცხოეთიდან ფულს სესხულობს, გზა მაინც აღარ უნდა დაგვიგოს?! ერთი სიტყვით, არც ადგილობრივ და არც სხვა რომელიმე არჩევნებში ხელისუფლების წარმომადგენელს ხმას არ მივცემ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ არც ის ვიცი, ოპოზიციიდან ვის ვენდო...

ანა ლომასაძე, დიზაინერი:

— არჩევნებში აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას და ხმას უგულავას მივცემ, იმიტომ, რომ ჩემი აზრით, დედაქალაქის მერი ხელისუფლების კაცი უნდა იყოს, რათა სამეურნეო საქმიანობაში ხელი არ შეშალოს.

ოთარ თითზარიძე, მძღოლი:

— ხმას არავის მივცემ, იმიტომ, რომ არავის ვენდობი. ჩემი შვილი



„ნაციონალების“ აქტივისტია და ცდილობს, გადამიბიროს, მაგრამ არაფერი გამოუვა... როგორ უნდა მივცე ხმა იმ ხელისუფლების წარმომადგენელს, რომელიც ომის დროს საკუთარ ხალხს მტერს შეატოვებს და უკანმოუხედავად გაიქცევა?! როგორ ვენდო იმ პრეზიდენტის სიტყვას, რომელიც ომის დასრულებისთანავე სასახლეს აიშენებს?! არც ოპოზიციას ვენდობი. ნოლაიდელზე ლაპარაკიც კი ზედმეტია: ცალ-ცალი „კალოშით“ ჩამოსულმა, ჯერ ხალხი გაძარცვა და ჩვენს ხარჯზე მილიონერი გახდა, ახლა რუსეთის მონებად გადაქცევას გვიპირებს. სხვებთან შედარებით, გუბაზ სანიკიძე მომწონს; ვფიქრობ, რომ კარგი ქართველია, მაგრამ როგორც პოლიტიკოსზე, რა მოგახსენოთ...

ათარ არაბიძე, დიასახლისი:

— არჩევნებში ალბათ, საერთოდ არ მივიღებ მონაწილეობას, იმიტომ, რომ დღეს წარმოდგენილი პოლიტიკური ძალებიდან ზოგს არ ვენდობი, ზოგს კი კარგ პოლიტიკოსად არ მივიჩნევ. გარდა ამისა, არც იმის მჯერა, რომ არჩევნები ობიექტურად ჩატარდება. საქართველოში არჩევნები მხოლოდ ერთხელ — 1990 წელს ჩატარდა ობიექტურად. თუ მაინც უნდა გააყალბონ, ჩემს საქმეს რაღაზე მოვცდებ?! ყველას კისერიც უტეხია! ქვეყნისა და ხალხისთვის მაინც არავინაა და დაჭამონ ერთმანეთი, რა მენადვლებია?!

რეზო ოქოჩიშვილი, ექიმი:

— არჩევნებში აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი ხმა საკუთარი ინტერესებისთვის არ გამოიყენონ. არჩევანი უკვე გაკეთებული მაქვს, თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ გადანყვებილებას არ შევიცვლი. ერთ-ერთი კანდიდატის დაპირებები

ძალიან მომწონს, მაგრამ ახლა ვცდილობ, გამოვიცნო — გვატყუებს თუ მართალს გვეუბნება...

თაზუნა ბანისუბაძე, პედაგოგი:

— ვიცი, რომ იმ კაცს არ მივცემ ხმას, ვისაც ნოლაიდელი დაუჭერს მხარს, დანარჩენი ჯერ კიდევ არ გადაამინყვეტია... ნოლაიდელის მხოლოდ პოლიტიკური კურსი და კორუმპირებული წარსული კი არ მაშფოთებს, მისი მუქარებიც ძალიან მაღელვებს; ჯერ არ მოსულა ხელისუფლებაში და ყველას ემუქრება, მაგან მართლა რამეს რომ მიაღწიოს, წარმოგიდგენიათ, საქართველოში რა მოხდება?! ისედაც დაქცეულები, სულ მთლად დავილუბები. არც ალასანია მომწონს, ეს კაცი საკუთარ თავს პატივს არ სცემს: ჯერ იმან გამაოგნა, რომ ნოლაიდელის გამო „ალიანსი“ დაშლის საფრთხის წინაშე დააყენა, მერე — იმან, რომ გამყრელიძემ და უსუფაშვილმა, ყური აუწიეს თუ არა, მაშინვე მათ დამორჩილდა... ჭანტურიას არ ვენდობი, იმიტომ, რომ მაგის დანაპირები არარეალურად მიმაჩნია. უგულავაზე ლაპარაკიც ზედმეტია... ვიცი, ზოგიერთი იტყვის, — უგულავას რას ერჩით? ნუთუ ვერ ხედავთ, თბილისს როგორ ალამაზებსო?! მე არ მიმაჩნია, რომ თბილისი ლამაზდება, პირიქით — ჩვენს დედაქალაქში საშინელ და უგემოვნო პროექტებს ახორციელებენ...

P.S. რესპონდენტებთან საუბრისას ერთი რამ შევნიშნე: უმრავლესობამ მხოლოდ ის იცის, თუ ვის არ უნდა მისცეს ხმა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა იმდენი შეცდომა დაუშვეს და იმდენჯერ მოატყუეს ამომრჩეველი, მისი ნდობა საბოლოოდ დაკარგეს...

უცხო ენების სასწავლო ცენტრი
OXFORD HOUSE
 გათავაზობთ უცხო ენების შესწავლას უმოკლეს ვადაში:
 • ზოგადი ინგლისური
 • ბიზნესინგლისური
 • პოლიტიკური ტერმინოლოგია
 • საბავშვო პროგრამები.
 სწავლება მიმდინარეობს უახლესი სახელმძღვანელოებითა და მეთოდებით. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საუბარს, მოსმენას, გრამატიკას, წერისა და კითხვის უნარების გაუმჯობესებას.
 კურსდამთავრებულნი მიიღებენ საერთაშორისო სერტიფიკატს, ხოლო წარჩინებული სტუდენტები გაიზარდებიან საზღვარგარეთ სასწავლებლად.
 მოიგათ დრო! მიიღათ განათლება ჯოჯოხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
 მის.: რეზო თაბუკაშვილის ქ. №1 (კოლეჯი-საბავშვო) მოთხოვნით
 ტელ.: 99-56-76; 890 115-115



პეტერბურგელი ქართველი მრავლი, „ტერორისტი“ ემიგრანტები და ახალი დაპირების პოლონი

„გამარჯობა, მამაო, მე ქართველი ვარ, საქართველოდან... ცუდად ვარ, იმიტომ, რომ ჩემი ქვეყანა მენატრება, მაგრამ იქაც ცუდად ვიყავი, იმიტომ, რომ ადამიანური საქმელი და ცხოვრება მენატრებოდა. აქ ხშირად თავდაუზოგავი და ძალღური სამუშაოთი ჩემს ოჯახს ვარჩენ და ახლობლებსაც ვუმართავ ხელს... ცუდად ვარ, ჩემს მინაზე მინდა, ვიცხოვრო, მირჩიო რამე!.. — ამ სიტყვებით ჩემი ქართველი მრევლის უდიდესი ნაწილი მომმართავს. ერთმა ქალბატონმა მამამო: მეუღლე ესპანეთში მყავს, ერთი შვილი ამერიკაში ცხოვრობს, მეორე კი ესპანეთში, შინ მოხუცი დედა მყავს, რომელიც მესამე, ავადმყოფ გოგონას უვლის; რომეც ასე თავდაუზოგავად რომ არ ვიშრომით, შვილი დაგველუპებაო... — ასეთ დროს თავს ადამიანური სისუსტის გამოვლენის უფლებას არ ვაძლევ, მაგრამ მათი გასაჭირით გულდამძიმებულს, ნუგეშისცემა მიჭირს“ — ეს ერთი-ერთი ემიგრანტი, მღვდლის სიტყვებია, რომელიც უკვე წლებია, სანქტ-პეტერბურგის ქართულ ტაძარში მსახურობს და მრავალრიცხოვანი ქართველი მრევლი ჰყავს. ბევრი თანამემამულე ტელეფონითაც უკავშირდება და სთხოვს, უბრალოდ მოუსმინოს... მამა აკაკისთან გასაუბრება პეტერბურგში მცხოვრები ქართველის დახმარებით მოვახერხებ, რომელიც მისი მრევლია. მისგანვე გავიგე, რომ ქართველ მოძღვარს აღსარებას რუსებზე აბარებენ...

ლალი პაპასკირი

— რუსეთის საპატრიარქოსთან ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. ვცდილობთ, პოლიტიკური დაძაბულობა არ შეგვეხოს, თუმცა როცა ორი ქვეყნის ურთიერთობაში დაძაბულობა პიკს აღწევს, ტაძარში მუხლებზე დაცემული რუსი და ქართველი მლოცველები ერთად ევედრებიან ღმერთს მშვიდობას. მეც, სხვა ადამიანებივით, ეს ყველაფერი მტკივა და მანუხებს, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შემიძლია და საკუთარ თავში უნდა ვიპოვო ძალა, რომ ეს ხალხი დავაიმედო... მართლა

მჯერა, რომ ოდესღაც ეს შუღლი ჩაცხრება და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება...

ემიგრანტების ცხოვრებას არასტაბილური გარემო ამძიმებს, რომელიც ბოლო ხანს რუსეთში სულ უფრო მეტად მწვავდება. მოსკოვსა და ყიზლარში მომხდარი ტერაქტების შემდეგ, კავკასიელებისადმი მტრული განწყობილება დღითი დღე ძლიერდება. რუსეთის ხელისუფლების იდეოლოგიის „წყალობით“, ქართველებსა და ჩეჩნებს ერთმანეთთან აიგივებენ, ამიტომაც, სამუშაოდ წასული „ლეგალებისა“ და „არალეგალებისთვის“ საფრთხის შემცველი მხოლოდ „სკინჰედები“ როდი არიან...

დათო, 29 წლის:

— რამდენიმე დღის წინ, სურსათის მაღაზიაში პურის ყიდვა მინდოდა და გამყიდველმა არ მომყიდა; მითხრა, — თქვენ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობთ, ფულს აკეთებთ და ოჯახებს არჩენთ, თან უდანაშაულო ხალხის დახოცვაზეც უკან არ იხევთო!.. ეს სიტყვები ისეთი ზიზღით წარმოთქვა, ვეღარ მოვითმინე და ვუპასუხე, — როცა თქვენი ჯარები ჩემს ქვეყანას ბომბავდნენ, მაშინ იქაურ რუსებს, რომლებიც სახლში იყვნენ შეკეტილები, ჩვენი ხალხი საქმელს აწვდიდა-მეთქი. — ამას იმისთვის აკეთებთ, რომ დაყვედრების საბაბი გქონდეთო... ამას წინათ ჩემი მეგობარი ავტობუსით მგზავრობდა; სახლში ბავშვებისთვის ყუთით საჩუქრები მიჰქონდა და ცარიელ სავარძელზე დაუდგამს. მგზავრებმა სასწრაფოდ მილიცია გამოიძახეს — ტერორისტი ეგონათ. ჯერ ყუთი „გააუფნებლეს“, შემდეგ კი მისი პატრონი განყოფილებაში წაიყვანეს, სადაც ერთი კვირა აყურყუტეს, მერე ჯარიმა გადაახდევინეს და „კარგად“

ნაცემიც გამოუშვეს... ადრე ხალხი თავისი ხელისუფლებისა და მილიციის ქმედებებს და საერთოდ, საქართველოსთან ურთიერთობის გაფუჭებას პუტინს აბრალებდა, ახლა მისი პოზიციაც შეიცვალა. ზიზღი და აგრესია ჩვეულებრივ ადამიანებსაც შეეცყოთ. პირდაპირ გვეუბნებიან, — ამ ბოლო დროს ძალიან დაგვიბრიყვეთ კავკასიელებმა და ჩვენი ძალის გემო უნდა გაგასინჯოთო...

ნანა, 34 წლის:

— სანქტ-პეტერბურგში ქართული ტაძრის მრევლი ვარ. ჩემ გვერდით რუსებიც ლოცულობენ, დღემუდამ მშვიდობას შესთხოვენ უფალს... ეს ხალხი ტაძარში სხვანაირია, ქუჩაში — სხვანაირი. ბოლომდე ვერ გვენდობიან, არადა, იცით ალბათ, საერთოდ, გახსნილი და კონტაქტური ხალხია. ამან გაგვაძლებინა აქამდე: წლების განმავლობაში ერთად ცხოვრება და ყოველდღიური ურთიერთობა ერთგვარი შეღავათი იყო ჩვენთვის, რომლის წყალობითაც ნებისმიერ დაძაბულობას ვუძლებდით. ომის შემდეგ ჩვენ შორის ნაპრალი თანდათან გაიზარდა, ერთმანეთთან საუბარაც კი გვიჭირს, ვინაიდან ყველა თემა პოლიტიკური დებატებით სრულდება... იცით, ზოგადად, რუსი ხალხი ბოლო დროს შეიცვალა, ადამიანები პოლიტიკულად და სხვა ერების მიმართ აგრესიულები გახდნენ. სულ ჰგონიათ, რომ რუსი თავისავე მინაზე იჩაგრება, რომ მას ებრძვიან და დანარჩენი მსოფლიო მისი გენის მოსპობას ლამობს... ერთი ამბავი მინდა მოგიყვებო: ამას წინათ ერთ-ერთ რუსულ ტაძარში შევედი, სანთლის ანთება მინდოდა. ამ დროს ჩემმა ქალიშვილმა დამირეკა; ვთხოვე, — რამდენიმე წუთში დამირეკე-მეთქი,

— და ჩანთაში ხელი ჩავეყავი... არასდროს დამავინწყდება გარშემო მყოფთა დაფეთებული სახეები — ტერორისტი ვეგონე!.. კავკასიური სახეების დანახვისას უკვე ყველას ასეთი რეაქცია აქვს, ჩვენ კი იმდენი ვართ — ნახევარი საქართველო რუსეთშია მიმოფანტული. შესაძლოა, ახალი დეპორტაცია მოგვინყონ...





ლალი პაპასკირი

ოღები:

— საქართველოში დავიბადე და გავიზარდე... დედ-მამა რუსი მყავს, მაგრამ ქართულ გარემოში გავიზარდე და ვქართველობდი. საბჭოთა საქართველოში მგონი, ერთადერთი რუსი ვიყავი, ვინც ქართულად ლაპარაკობდა და ამით ბევრის გაღიზიანებას ვინვევდი. როცა პირველმა პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა, საქართველო ქართველებისთვის უნდა იყოსო, რასაც ქვეყნიდან რუსების მასობრივად წასვლა მოჰყვა, ეს ჩემთვის ტრაგედია იყო... ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა მთანმინდაზე, ჩემს ტოლებთან „საქმის გარჩევებიც“ მიქონდა „დაგემოვნებული“, კლასში აგროვებული ხურდებით ჩუმიად ნაყიდი არყის გემოც და სადარბაზოებში მოგროვილი „ბიჩოკების“ სიმწარეც... „მატალოზე“ თანატოლ გოგონებთან ერთად, ნარიყალაზე ავდიოდით, გულზე ხელს ვიბრაგუნებდით და მამლაყინებოვით აქოჩრილები ვამბობდით: ლამაზია ეს ყველაზე თბილი და პატარა თბილისი-თქო (ახლა არ ვიცი, მაგრამ ჩემს ყმანვილკაცობაში ასეთი „გამოსვლები“ მოდური იყო). „ვტიპობდით“, რა... ვაკის მაღალსართულიან ბინებში (ახლანდელ რუსეთის საელჩოსთან) ქართულად გაზრდილი ბიჭი, ერთადერთი თუ არა, ერთერთი მანაც ვიყავი, ვისაც ამ თბილი და მზიანი ქვეყნის დატოვება დაენანა, მაგრამ ქართველები „დამოუკიდებლობის ტალღას“ იყვნენ აყოლილი და ჭორფლიანი და წითური „რუსი

საქართველოზე შეყვარებული მოსკოველი კასი, კოვალესუი მხილავული მხოვალი პრი და ქართველის მიერ გაღარჩენილი აუხაზი ბიჭი

თბილისში გაზრდილ და დღეს მოსკოველ ახალგაზრდა კაცს, ოლეგს მშობლიური თბილისისა და ქართული გარემოს ნოსტალგია ანუხებს. ოლეგი და მისი კიდევ ერთი თანამემამულე — ანტონი რუსეთ-საქართველოს ნაკრები გუნდების სარაგბო მატჩის საყურებლად თურქეთში ჩასულან, ხოლო იქიდან, ჩვენთან სტუმრად გამოშურებულან. ოლეგს „აქ დაღრჩენილი“, „ქართული“ ბავშვობა ენატრებოდა, ანტონს კი — რუსეთის დედაქალაქში ქართულ გარემოში გატარებული ბავშვობის გაცოცხლება სურდა...

ბაცნის“ პატრიოტიზმი არავის სჭირდებოდა... როცა მამაჩემს ვუთხარი, აქაურობას ვერ დავტოვებ, ეს ჩემი ქვეყანაა-მეთქი, ისეთი ალიყური მითავაზა, ორი დღე დალილავებული დავდიოდი. ცალ ლოყაზე მამის ხელი მეტყობოდა, მეორეზე კი — მაგიდაზე დახეთქებისას მიღებული „სინიაკი“. გამომიჩნდა „Hellados“-ის გმირიო!.. — ჩაიბურტყუნა და „ვილისში“ ჩემოდნების გვერდით მიმაგდო...

— იცოდით, რომელი ნანარმოების პერსონაჟს მიგამსგავსათ?

— კი, როგორ არა?!. მართალია, ბევრს დავენანალებდით, მაგრამ მთლად ისეთი „წყალწაღებულიც“ არ ვყოფილვარ... თან, ქართულ სკოლაში ვსწავლობდი და დუმბაძის რამდენიმე მოთხრობა პროგრამაში გვქონდა (სხვათა შორის, ქართველი მწერლების ნანარმოებებს ჩემი მშობლებიც კითხულობდნენ, ოღონდ



რუსულად)... მშობლები სამხედრო პირები იყვნენ და საბჭოთა კავშირის უამრავ რესპუბლიკაში მსახურობდნენ. სანამ საქართველოში მივლინებით გამოგზავნიდნენ, აქ რამ-

განახლებული რუბრიკა

სიტყვა და საქმის
საქმიანი გაცემა www.saqme.ge

ავტოგანცხადებები
სიტყვა და საქმის
ხუთშაბათის
ნომერში



დენჯერმე მოუწიათ დარჩენამ, შემდეგ კი — სამუდამოდ; უფრო სწორად, საბჭოთა კავშირი რომ არ დაშლილიყო, აქ იცხოვრებდნენ... ჩვენს მეზობლად ერთი უშვილო ცოლქმარი ცხოვრობდა. ცოლი, სოფია, „ქართველი ებრაელი“ იყო, რუსი ქმარი ჰყავდა, ნიკოლაი. მამა მას დიდ პატივს სცემდა. „ონ ვაენი მუჟიკო“, — იტყოდა... შვილი არ ჰყავდათ და შვილივით მზრდიდნენ. საბჭოთა რესპუბლიკებში მივლინებაში წასული დედ-მამა მათთან მტოვებდა და მეც „ნიონ სოფიას“ და „ძიად კოლიას“ ლოგინში მეძინა. „ნიონ სოფია“ მგონი, მთელ თბილისში ერთადერთი ქალი იყო, ვინც მანქანას მართავდა. თეთრი „ნივა“ ჰყავდათ და ყოველ დილით სკოლაში მივყავდი. საქვსთან მჯდარი ხმამალა იგინებოდა. ზოგჯერ, ქმარზე გაბრაზებული, „ლოთ კოლიას“ ხმამალა აგინებდა და მეც კვერს ვუჭრავდი (მისგან ვისწავლე თბილისური მსუყე გინება, რომელიც შემდეგ რუსეთშიც ბევრჯერ გამომაგდა...). მეორე კლასში გადავიდი, როცა ჩემმა მშობლებმა გაიგეს, რომ თურმე ქართულ სკოლაში ვსწავლობდი. დედა გაბრაზდა, მამამ კი ხელი ჩაიქნია: „ვისიო რავნო, ონ უყე ნე რუსკიო“... მესამე კლასში ვიყავი, მოხუცმა სოფიამ ფუნუკლორის ტრასაზე მანქანის ტარება რომ მასწავლა... მთელი ჩემი ბავშვობა — ერთი ლამაზი ქართული ზღაპარი იყო... არ ვიცი, რომელი ერთი გავისხენო... მაშინ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს შტაბი ვაკე-საბურთალოს გზაზე ჰქონდა, სადაც ჯარისკაცებიც მსახურობდნენ. უბნის ბიჭები სისხლს ვუმშრობდით — ხან რას ვპარავდით, ხან — რას, მერე კი სასაფლაოს ტერიტორიიდან ვუყურებდით, როგორ სჯიდა მათ უფროსობა... იმ ჯარისკაცებს სადმე მარტო თუ დავიგულებდით, ვცემდით. „ვტიობდით“ და „გვისწორდებოდა“... ზოგჯერ ისინიც გვცემდნენ, მაგრამ მერე რა?!

— რუსეთში წასვლის შემდეგ

როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?

— მოსკოვში ჩასვლის შემდეგ, საქართველოს ნოსტალგიამ დეპრესიაში ჩამაგდო. სკოლას იმ წელს ვამთავრებდი, გარდატეხის ასაკი მქონდა და განსხვავებული მენტალობის ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან გამიჭირდა... ქართული განათლებაც პრობლემას მიქმნიდა და ჩემი მშობლები ხელს სულ თავში იცემდნენ, — ეს რა მოგვივიდაო!.. ქართული განათლებით რუსეთში რას გავაწყობდი?! ჰოდა, მამის გადაწყვეტილებით, მის მეგობარ „პრაპორშიკს“ მიმბარეს, თანაშემწედ. მაშინ მივხვდი, ქართველ და რუს ერებს შორის რამხელა განსხვავება იყო. არადა, საქართველოშიც ხომ რუსების გვერდით ვცხოვრობდი, მაგრამ აქ ასე მწვავედ არ მიგრძნია... ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ რამდენჯერმე, აქ ნაცემი ჯარისკაცები შემხვდნენ; ზოგ მათგანს სამხედრო წოდება ჰქონდა მიღებული და ივგიმებოდა... ქართული მენტალობით გაზრდილს, მშობლიურ ატმოსფეროსთან შეგუება იმდენად გამიჭირდა, რამდენჯერმე, მალულად აქეთ წამოსვლა დავაპირე და ასეც მოვიქცეოდი, მაგრამ როცა ბიჭებთან დავრეკე, მითხრეს, — შენ კი არა, ნეტავ ჩვენ არ ვცხოვრობდეთ ახლა საქართველოში: სამოქალაქო ომია და თბილისში შეიარაღებული დაპირისპირება არისო... ჩემი ბავშვობის მეგობრებისგან ვიგებდი, რომ ზოგი „მხედრონს“ შეუერთდა, ზოგი — კიტოვანის გვარდას, რამდენიმე კი „ზვიადისტობდა“. როცა გავიგე, რომ ერთად გაზრდილმა ბიჭებმა ერთმანეთს ესროლეს, ლამის გავგიჟდი, არ დავიჯერე. ბიჭებს ვეხვეწებოდი, — სისულელეს ნუ აკეთებთ-მეთქი! — მაგრამ მათი გონზე მოყვანა გამიჭირდა...

— თქვენს გამზრდელ მოხუცებს რა ბედი ეწიათ?

— კოლია რუსეთში აღარ დაბრუნებულა, საქართველოში გარდაიცვალა. ცოლმა ქმრის საფლავი არ მიატოვა და არც მას უფიქრია რუსეთში წასვლაზე... მერე გავიგე, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ჩემი მეგობრები, ჩემი თხოვნით, მოხუც ცოლ-ქმარს ყურადღებას არ აკლებდნენ და მათ სახლში შემთხვევით შეხვედრიან კიდევ ერთმანეთს... როცა საკუთარ ხალხზე გაღიზიანებული, მამაჩემს მივვარდებოდი და ვეტყოდი, — სადან მოხ-

ვედით ასეთი უსისხლოები-მეთქი?! — ნიშნის მოგებით მპასუხობდა, — შენი გაიდეალებული ქართველები ერთმანეთს დაერივნენ; იქ უნდა დამეტოვებინე, რომ ის სასაკლავო საკუთარი თვალთ გენახა და მერე სხვანაირი დაბრუნდებოდი რუსეთშიო...

— იქ მცხოვრებ ქართველებთან თუ გქონდათ ურთიერთობა?

— მქონდა, ოღონდ... იცით, გაჭირვებამ ადამიანები შეცვალა... არ მინდა, რაღაც საყვედური ან გაკიცხვა გამომივიდეს, მაგრამ იქაური ქართველები სხვანაირები არიან: ვიცი, რომ რუსეთში სამოვარზე წასული ქართველები ზოგადად, ქართველი ერის სახეს არ წარმოადგენენ... თუმცა კარგი და ცუდი მათ შორისაც არის... რუსეთში უყვართ ქართველები, ოღონდ — თავისებურად...

— რას ნიშნავს „თავისებურად“?

— ანუ ის ქართველები უყვართ, ვინც რუსს ისევ „უფროს ძმად“ აღიარებს. ეს ჩემი ერის კომპლექსია, რომელსაც ვერასდროს მოიშორებს. არ აღიარებენ, მაგრამ მათთვის ქართველობა ერთი დიდი პლუსია: იმას, რასაც 10 რუსი ვერ შეძლებს რუსეთში, ერთი, თუნდაც „ჩმორი“ ქართველი გაგიკეთებს. ჰოდა, ეს რუსებს აკომპლექსებს, ამიტომ მისი დაჩაგვრის სურვილიც უჩნდებათ, რათა ვილაცის, თუნდაც იმავე ქართველის თვალში უფრო ამაღლდნენ... არ ვიცი, რამდენად გასაგებად ამოვხსენი რუსეთში ქართველთა ძულეობისა თუ მოყვარულობის ფორმულა, მაგრამ ასეა... რუსებს ეზიზღებათ ნებისმიერი „ნე რუსკი“, თუნდაც — სომეხი, რომელიც მათ „უძვრება“, ან აზერბაიჯანელი, რომელიც რუსის აგრესიას ღიმილით ხვდება, ან უკრაინელი, რომელსაც მათსავით უყვარს სასმელი... ყველაზე მეტად ქართველს აფასებენ (შეგნებულად არ ვამბობ სიტყვას „პატივისცემა“, კიდევან ისინი ამ სიტყვას თავისებურად ხსნიან). მე მინახავს ქართველის უანგარო სიკეთით გაცემული რუსი, რომელიც ვერ ხვდებოდა, თუ რატომ გაუკეთა სრულიად უცხო ქართველმა მას ასეთი კარგი საქმე და ამას „ქართული ხასიათით“ ხსნიან... ჩემ გვერდით ერთი ქართული ოჯახი ცხოვრობს, რომელიც თავის მეზობლად მარტოხელა რუსს უვლის. ბევრს ეგონა, იმ მოხუცის ბინა უნდოდათ, მაგრამ ასე არ იყო, — უბრალოდ ებრალებოდათ და იმიტომ უმართავდნენ ხელს... 2008 წლის აგვისტოში, მაშინ, როცა რუსები საქართველოს ბომბავდნენ, ქუჩაში აღარ გამოვიდიოდი, ჩემი ხალხის დანახვაც კი არ მინდოდა... მაშინ



ერთ რამეს მივხვდით: რუსი ის ერია, რომელსაც საკუთარი უტვინობის კომპლექსი აწუხებს: როცა დარწმუნდნენ, რომ ქართველებს მათთან ცხოვრება აღარ უნდოდათ, მათი დასჯა გადანყვიტეს... თურქეთში რუსეთ-საქართველოს რაგბის თამაშზე დასწრება ჩემმა ქართველმა მეგობარმა შემომთავაზა. რუსეთში იცოდნენ, რომ საქართველოს რაგბის ეროვნულ ნაკრებთან რუსეთის გუნდს გამარჯვების შანსი არ ჰქონდა და არც ერთ ტელეარხზე რეკლამა და ანონსი არ გასულა... სტამბოლში ბიჭებმა შემომთავაზეს, — ნამოდი ჩვენთან ერთად, რამდენიმე საათში საქართველოში იქნები, ერთიორი დღე დარჩი და მერე მოსკოვში „ჩერეზ ერევან“ დაბრუნდებიო... 1990-იანი წლების შემდეგ ქართული ცა არ მინახავს და ცდუნებას ვერ გავუძელი... თბილისი შეცვლილია, მაგრამ ისე არა, თავი სხვა ქალაქში მეგონოს. აქ ჩამოსვლისთანავე ჩემი ბავშვობის სუნი მეცა... თქვენთან შეხვედრამდე ბიჭებთან ერთად, რესტორანში შევედი და ცოტა დავლიე, ამიტომ ვარ საღერღელაშლილი... ხომ მაქვს ცოტა ქართული თვისებები?... ოდესმე, როცა საქართველოში რუსოფობია გადაივლის, თბილისში, რომელიმე მყუდრო რაიონში ერთოთახიან ბინას ვიყიდი და აქ დავრჩები...

ოლეგისგან განსხვავებით, ჩემი მეორე რესპონდენტი — ანტონი საქართველოში პირველად იყო ჩამოსული, თუმცა, როგორც თავად ამბობს, მასაც გაუმართლა და მოსკოვში, ქართველებით დასახლებულ უბანში გაიზარდა. ამიტომაც, როგორც თვითონ მითხრა, საკუთარი ხალხის უარყოფით მხარეებზე ლაპარაკი არ უჭირს...

— ჩემს ქართველ მეგობრებს ჩამოვყევი. ქართული გარემო ჩემთვის უცხო არ არის, მაგრამ საკუთარი თვალთ დახახული მაინც სხვაა... 2008 წლის ომის შემდეგ, ბევრი რამე შეიცვალა და მართალი გითხრათ, მეგონა, აქ რუსოფობია თვალში საცემი იქნებოდა, მაგრამ პირიქით არის — რუსეთში უფრო იგრძნობა ქართველთმოძულეობა, ვიდრე აქ რუსოფობია... მე ქართველებთან ერთად გავიზარდე და ვიცი, თქვენი ხალხი როგორია, მაგრამ რუსეთში ჩემი თაობის ადამიანები ქართველს ისე უყურებენ, როგორც ჩვენს, რომელსაც შურისძიება სწყურია...

ერთხელ ჩემი კლასელის სადარბაზოში სკინჰედებს ვილაც ბიჭი მოემწყვდიათ კუთხეში და გამეტებით სცემდნენ. საბედნიეროდ, ისინი იარაღს არ ატარებენ, მაგრამ რკინებსა და ჯაჭვებს ურტყამდნენ. იქვე ვიდექით, მაგრამ მისვლას ვინ გაბედავდა?! არც მილიციაში დაგვირეკავს: ყველა საკუთარ ტყავს უფრთხილდება... უეცრად მანქანიდან ვილაც დანით შეიარაღებული ბიჭი გამოსობა და ნაქცეულს მიეშველა; სკინჰედები გაიქცნენ. ამ ბიჭმა გვთხოვა, იქნებ წყალი მოიტანოთ ან „სასწრაფოს“ გამოუძახოთო. აქცენტზე ეტყობოდა, ქართველი იყო... როცა ნაცემი გონს მოვიდა, აღმოჩნდა, რომ აფხაზი ყოფილა. ბიჭები სახტად დავრჩით: რას იკლავდა თავს ამ აფხაზის გამო-თქო?! ერთ-ერთმა უთხრა კიდეც ეს, რაზეც ბიჭმა შეუღრინა, — „ვისიო რაენო — ონ ჟე ჩელოვეკს!..“ ჩემს მშობლებს არასდროს ჰქონიათ იმის პრობლემა, რომ ქართველებთან ვმეგობრობდი, პირიქით, სულ მეუბნებოდნენ, — ქართველებმა მტრობა არ იციანო... მე თქვენს ხალხს უფრო ახლოს ვიცნობ და ვფიქრობ: მტრობა კი იციან, თანაც — როგორი, მაგრამ ეს თვითგადარჩენის ინსტიქტი უფროა... და კიდეც ერთს ვიტყვი: ვაღიარებ, რომ რუსეთისა და ზოგადად, რუსი ერის განვითარებისთვის, პოსტსაბჭოთა ერებიდან, ყველაზე დიდი საქმე ქართველებმა გააკეთეს (მანიაკური თვისებებით შეპყრობილ სტალინზე არ მაქვს ლაპარაკი)... უნივერსიტეტში, სადიპლომო თემად, ერთი პოსტსაბჭოთა განვითარებადი ქვეყანა მქონდა. საქართველო ავირჩიე, მაგრამ აქ ჩამოსვლას ვერ ვბედავდი: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, ჩვენი ლექტორების აზრით, საქართველოში რუსებს ცოცხლად ჭამდნენ... ჩემი მეგობრების თხოვნით, ნაწილი — სამოყვარულო კამერით გადაღებული, ზოგიც ტელეგადაცემებიდან ამოჭრილი კადრებით ვისარგებლე და დოკუმენტური ფილმი გავაკეთე — „საქართველო საბჭოთა რეჟიმის შემდეგ“. მეგონა, ამ ფილმის ჩვენების შემდეგ დიპლომს საერთოდ არ მომცემდნენ, მაგრამ „წითელ“ დიპლომზე „გამიშვეს“ და „ინსტრუქციაც“ მოაყოლეს: მხატვრული თვალსაზრისით, მაღალ დონეზეა გაკეთებული, მაგრამ ფრთხილად იყავი — ამ ფილმის ფართო აუდიტორიისთვის ჩვენ

ნებას თუ შეეცდები, შესაძლოა, იქ დაგიბარონ, სადაც არც ისე „კარგიაო“... მერე გავიგე, რომ ჩემი სადიპლომო ნამუშევრის ხელმძღვანელი ლექტორი გაათავისუფლეს, ჩვენ კი — „ყოველი შემთხვევისთვის“ — საცხოვრებელი ადგილის შეცვლამ მოგვინია... რუსი საზოგადოება ისევე საბჭოურად აზროვნებს. „ქერჟავა“ ისევე რუსეთის გადარჩენის გზად მიიჩნევა. იმ საზოგადოების ნაწილი, ვისაც „ძმურ რეჟიმში“ ცხოვრებამ მოუწია, ორად არის გაყოფილი: ერთი მიიჩნევს, რომ საბჭოთა საქართველოში ნამყვან თანამდებობებზე ყოველთვის ქართველები მუშაობდნენ, რუსი კი სულ დაბალ საფეხურზე იდგა და ამიტომ, ქართველების პრეტენზია უსაფუძვლოა; მეორის მტკიცებით კი — საქართველო დიდი რუსეთის მფარველობის ქვეშ იყო და იქ მცხოვრებლებს ქართულად საუბარი დამამცირებლად მიაჩნდათ, რუსულად ლაპარაკობდნენ და ეს პრივილეგიად მიიჩნეოდნენ... ასეთი რუსეთის ნოსტალგია ტანჯავს ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებას, ეს ამბიცია „გენტიკურად“ გადაეცემა ახალ თაობასაც და სიამოვნებით



იცხოვრებდნენ ისეთ დიდ გაერთიანებაში, სადაც რუსი პირველი იქნებოდა, ოლონდ — არა გონებრივი თვალსაზრისით, რადგან დიდი ქვეყნის შვილია... ბევრს ეს ამბიციაური ერის ამბიციად მიაჩნია, სინამდვილეში კი — ბრიყული მენტალობის გამოვლინებაა. ამიტომაც დაგვცინის მთელი დასავლეთი ევროპა...

დაუსვით
www.mkurnali.ge **კითხვა ექიმს**

მოცხებითა დაკითხვა ცოტნე გამსახურდიას პროცესზე

დაზარალებული სამართალდაცვლაც ზანოლაში ახელს

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „გზა“, №13

როგორც წინა ნომერში გაუნცეთ, „გზის“ ფურცლებზე თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე, ცოტნე გამსახურდიას პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტების ამსახველ მასალას (გაგრძელებით) შემოგთავაზებთ. შეგახსენებთ — წინა ნომერში გამოძიების მთავარი მონშის — რაისა საიადოვას დაკითხვის შესახებ მოგიტორობდით...

თბა სურსილავა

საიადოვას შემდეგ, მონშების დაკითხვა გაგრძელდა. პროკურატურამ კიდევ ერთი შუამდგომლობა დააყენა და საქმეში მორიგი ფარული ჩანაწერების დართვა მოითხოვა. როგორც გაირკვა, ძალოვნებს სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის დაფარვის ფაქტზეც აქვთ აღძრული და იკვლევენ — დამალა თუ არა ვინმემ დავით ბაჯელიძის დაჭრის ფაქტი. ასევე მოითხოვეს დამატებითი მონშის — გოგიაშვილის დაკითხვა. ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ დაეთანხმნენ ბრალდებულის ადვოკატები და მიიჩნევდნენ, რომ ეს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის მცდელობა იყო. „გოგიაშვილის დაკითხვაც არ მიგვაჩნია საჭიროდ, დანტერესებულია საბოლოო შედეგით. მან უფლებამოსილებას გადაამტეა, განახორციელა ზენოლა ბაჯელიძეზე და პროცესზე უნდა დაიკითხოს?...“ — დასვეს მათ რიტორიკული კითხვა. მოსამართლემ ახალი ფარული ჩანაწერები ადვოკატების პროტესტის მიუხედავად საქმეს მაინც დაურთო. ძმები ბაჯელიძეები და მონშე რაისა საიადოვა ფარულად გოგიაშვილმა ჩანერა.

ჩვენება სასამართლო უკვე მისცა დაზარალებულმა **დავით ზაჯალიძემ**. ის ცოტნე გამსახურდიას დანაშაულის ჩადენაში არ ამხელს:

„ცოტნე მეზობელია და მეგობარია... იმ დღეს სახლში ვიყავი, კარზე კაკუნის შემომესმა. ბებია სამზარეულოში გაბჭურასთან იჯდა, კარი გავადე და აუეთქების მავარი ხმა გაისმა. უცებ ტკივილი მუცლის არეში ვიგრძენი, ფეხები წაშერთვა, გათიშული ვიყავი. ჩავიკეცე, ვინ მესროლა და რა მოხდა, ვერ გავიგე, თან მავარი ნასვამი ვიყავი; ამის შემდეგ გავითიშე. გონებაზე რომ მოვედი, უკვე რენანიციამი ვიყავი. ეტყობა, მეორე დღეს მოვედი გონზე. თავზე პოლი-



ციელები მაღგნენ. მითხრეს, — ხომ იცი, ვინც იყო, — შემდეგ ექიმი შემოვიდა და უთხრა, თავი დაანებეთო. დღეგამოშვებით პოლიციელები მოდიოდნენ. გამომძიებელი ზურაბ სხირტლაძე სახლში მოვიდა და დამკითხა, ამ დროს ადვოკატ ქეთი ბეჭაურს უკვე ჩატარებული ჰქონდა ჩემი გამოკითხვა... თქვენ უკვე იცით, სასამართლოს შენობაში, როცა საქმის მასალებს ვეცნობოდი, მაშინ გამომძიებელმა სხირტლაძემ დამირეკა და მითხრა: მე და გოგიაშვილი ერთად ვართ, ვიცით, სადაც ხარ და ხელი დაადე გამსახურდიასო... მას მერე ჩემზე ზენოლა ხორციელდება, სახლში ხან საპატრულო მანქანა, ხან უცხო მანქანა დგას.“

მოსამართლის კითხვას, — უჭერს თუ არა ბრალდებას მხარსო? — დაზარალებულმა უპასუხა, რომ მხარს არ უჭერს, რადგან ცოტნეს ის არ დაუჭრია.

თავის ჩვენებაში **დავით ზაჯალიძე** ფარულ ჩანაწერებსაც შეეხო. ამბობს, რომ ძლიერი ტკივილების გამო ძლიერ გამაყურებლებს უკეთებდნენ და ძალოვნები სწორედ მაშინ მოდიოდნენ, როცა წამლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა:

„გამომძიებელმა მითხრა: ჩვენ ვიცით, რა მოხდა და როგორ მოხდაო, პოლიციელები და გამომძიებელი სულ იმას მიჩინებდნენ, რომ ცოტნე გამსახურდია იყო დამნაშავე... ფარულ ჩანაწერებში რასაც ვამბობ, ცოტნე გამსახურდია მხედველობაში არ მყოლია... სამინისტროში შექვეს სართულზე სისხლის ანალიზი ამიღეს, მაშინაც მითხრეს, ვიცით ყველაფერი და მაინც მოიფიქრეო... შემთხვევის დღეს შელაპარაკება და კამათი არავისთან მომსვლია, გამსახურდია რომ ყოფილიყო, მის სილუეტს ყველა ვარიანტში ვიცნობდი. ხელს არ ვაფარებ გამსახურდიას, მაგრამ ვინც დამჭრა, ის ცოტნე

არ ყოფილა. მტრული დამოკიდებულება ჩვენ შორის არ ყოფილა. სახლში ღამე ვერ გამოთვია, რადგან ზენოლა და მეუბნებიან, რომ ჯიბეებს ჰეროინით გამოვსებენ... თავს დაზარალებულად არ ვცნობ...“

პროცესზე მონშის სტატუსით, საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლისინა დაიკითხა, რომელიც შემთხვევის ადგილზე იყო მისული. სწორედ მან აიღო ცოტნე გამსახურდიას ხელებიდან ანაწმენდები. ამ დასკვნით, ცოტნეს ხელზე დენტის კვალი აღმოაჩნდა. ექსპერტმა განმარტა, რომ ნიმუში 4 ცალად აიღო და ტანსაცმლიდან არანაირი ანაწმენდი არ აუღია. განსასჯელის ადვოკატებს უამრავი კითხვა ჰქონდათ ექსპერტთან და მისი პასუხების მოსმენის შემდეგ, ადვოკატმა ბეჭაურმა კიდევ ერთი შუამდგომლობა დააყენა: „დღევანდელ პროცესზე ცუდი ფაქტის წინაშე დავდევით. დაკითხულმა ექსპერტმა ვერ გავცა კითხვებზე პასუხი და ვერც ერთი ლიტერატურა ვერ დაასახელა. მას აქვს მხოლოდ იურიდიული განათლება, არც ქიმიკოსობასთან და არც ბალისტიკასთან შეხება არა აქვს. წარმოდგენაც არა აქვს დენტის წვის ნიმუშების აღების მეთოდებსა და გამოკვლევებზე. მიმაჩნია, რომ სასამართლო გამოძიების დამთავრებამდე უნდა დაიკითხოს ექსპერტი გაიგოგია, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებს და ამბობს, რომ ნიმუშის აღებისას დაშვებულია შეცდომები. ვერ დავადგენთ ობიექტურ ჭეშმარიტებას, თუ ექსპერტი გოგია არ დაიკითხა.“

„არ დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა. ამ ჩვენებას სასამართლო მისცემს შეფასებას“, — დაასკვნა **მოსამართლემ**.

მონშე მურთაზ გოქაძეც დაიკითხა, იგი ცოტნე გამსახურდიას სახელოსნოში მუშად მუშაობდა. გამომძიების მტკიცებით, სწორედ ამ სახელოსნოში მოხდა შელაპარაკება გამსახურდიასა და ბაჯელიძეს შორის.

„დავით ბაჯელიძეს უბნიდან ვიცნობ. ცოტნესთან „მალხარად“ მ თვე ვიმუშავე. სახელოსნოში დათო შემოვიდა და ცოტნემ უთხრა, — რა გინდა, რატომ შემოხვედიო? ბაჯელიძეს მისთვის პასუხი არ გაუცია და წავიდა. მათ შორის არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა, ცოტნე იქ დარჩა. 4 საათი იქნებოდა, სამსახურიდან რომ წავედი. ცოტნე იქ დავტოვე. მისი დაკავების ამბავი ტელევიზიით შევიტყვე... პოლიციელებმა მომავითხეს და განყოფილებაში წამიყვანეს. იქ გავიგე, რომ დათო დაჭრილი იყო. პოლიციის უფროსის მოადგილესთან შემიყვანეს და



მითხრეს, ყველაფერი იცი და დანერგო... მესამე დღეს ისევ წამიყვანეს და მითხრეს, — ჩვენებს არ აძლევ სწორად და შეცვალეო. ისე მექცეოდნენ, თითქოს ტყუილს ვამბობდი. თუ არ დანერგ, გავაღებთ კარს და იქ შეგიშვებთო (მონმემ საკანი იგულისხმა). ვუპასუხე, — რაც ვიცი, ვამბობ, და თუ გინდათ, შემიშვიტეთ-მეთქი...“

დავით ბაჯელიძის მეზობელი, აზერბაიჯანელი ლუჩანა მამედოვაც დაიკითხა. ამბობს, რომ სროლის დროს სახლში არ იმყოფებოდა. გვიან დაბრუნდა და როცა კარი გააღო, ბინაში პოლიციელი შეჰყვა. ძალოვანმა ოთახები დაათვალიერა და აღმოაჩინა, რომ ფანჯრის მინა ჩამსხვრეული იყო. შემდეგ, პოლიციელი ქალიც მოვიდა და მოგვიანებით — სხვა ძალოვნებიც. ამბობს, რომ სამართალდამცველებმა პატარა რკინის ნაჭერი უჩვენეს და უთხრეს, რომ იქ იპოვეს.

მონმეს ადვოკატებმა სთხოვეს, დაეხასიათებინა მეზობელი რაისა საიადოვა.

„ყველა მეზობელი ეჩხუბება, შარიანი ქალია. გუშინ ჩემს ქმარსაც ეჩხუბა და მეც. პენსიონერია, თვითონ მშვიერი კვდება და როგორ შეეძლო, ფული ცოტნესთვის მიეცა?.. ყველაზე ამბობს, ჩემი ვალი აქვს და ფული მივეციო. ისიც გამიგონია, რომ მანანა არჩავაძესაც ეჩხუბებოდა“.

ყველაზე სკანდალური კი — მონმის სტატუსით, პატრულ-ინსპექტორ ნათია ყორშიას დაკითხვა აღმოჩნდა:

„შეტყობინება მოვიდა და გავმუშურეთ გალის ქუჩისკენ, ეკიპაჟთან ერთად. მანქანა გავაჩერეთ და იმ დროს „სასწრაფოს“ მანქანაც მოვიდა. ეზოში სათვალისი ქალი დაგვხვდა, რაისა, და მან გვითხრა, რომ დავით ბაჯელიძე ცოტნე გამსახურდიამ დაჭრა; მიგვითითა დაჭრილის სახლისკენ. რომ შევედით, დავით ბაჯელიძე, რომელიც მუცელში იყო დაჭრილი, პირაღმა იწვა; ოთახში იყვნენ: ბებია, მისი ძმა და ორი მეზობელი. ბაჯელიძემ გვითხრა, — ცოტნე გამსახურდიამ დამჭრაო; სამივე პოლიციელმა მოვისმინეთ. ამ დროს „სასწრაფოც“ მოვიდა და ექიმები მივუშვივით მასთან. მეორე ოთახში მისი ძმა გაეყვანეთ. მანაც თქვა, რომ გამსახურდიამ დაჭრა და ადრე სხვაც ჰყავს დაჭრილიო. ამის შემდეგ მე გარეთ გამოვედი და შემთხვევის ადგილის დაცვას შევეუდევი... შემდეგ სხვა ესკორტის წევრებიც მოვიდნენ... ბიჭებმა დამიძახეს. ამ დროს მანქანასთან დავინახე მამაკაცი, რომელიც შემდეგ გავიგე, რომ იყო ცოტნე გამსახურდიამ. როგორც ბიჭებმა შენიშნეს, მას ტანსაცმელზე სისხლის კვალი ჰქონდა. გაეკუთვნენ. ცოტნემ უთხრა, — აქ ნუ შეიკითხებით, განყოფილებაში წამიყვანეთ და იქ ვიტყვიო. მე დაზიანება გამსახურდიასთვის არ შემინიშნავს, მისთვის ხელბორკილები არ დავგიდვია. მივიყვანეთ განყოფილებაში, ბიჭებმა იქ დატოვეს და განვადრძეთ პატრულირება“.

როგორც გაირკვა, პატრულ-ინსპექტორი ნათია ყორშია წინასწარი გამო-

ძიებისას მიცემულ ჩვენებაში არსად აღნიშნავდა, რომ მისთვის ცნობილი იყო, ბაჯელიძე გამსახურდიამ რომ დაჭრა. მან პროცესზე არაერთხელ გაიმეორა, — გამოძიებელი რა კითხვებსაც მისვამდა, იმის ირგვლივ ვცემდი პასუხსო. ადვოკატებმა პატრულის თანამშრომელს თავისი უფლება-მოვალეობის განმარტება მოსთხოვეს, მაგრამ ის მაინც ჯიუტად იმეორებდა, რომ მას არ ევალებოდა გამსახურდიას დაკავება, რადგან დაჭრილ ბაჯელიძეს წერილობით არ ჰქონდა დადასტურებული ეს ფაქტი.

დამაბნეველი კითხვები ინსპექტორს ადვოკატმა ზურაბ როსტიაშვილმა დაუსვა. კითხვები მას ცოტნე გამსახურდიას ადვოკატებმაც დააყარეს. არაერთხელ შეახსენეს, რომ ცრუჩვენებისა და დანაშაულის დაფარვისთვის შესაძლებელი იყო, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო.

კითხვები ადვოკატებს წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენების ირგვლივაც ჰქონდათ. მონმე ირწმუნებოდა, — გამოძიებელმა რა კითხვები დამისვა, იმ კითხვების ირგვლივ გავეცი პასუხი, არ უკითხავს ჩემთვის, ვინ დაჭრა დავით ბაჯელიძე და არ ჩამითვლია საჭიროდ, ეს მეთქვაო. სასამართლოზე ყორშია კიდევ ერთი ტყუილისგან პროკურორმა მანანა მოსურიშვილმა იხსნა. კანონით, წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენების გამოქვეყნება მხოლოდ მონმის თანხმობით ხდება. როცა მოსამართლემ მონმე ყორშიას ჰკითხა, იყო თუ არა თანახმა, მისი ჩვენება პროცესზე გამოქვეყნებულყო, სწორედ ამ დროს პროკურორმა თავისი ქნევით ანიშნა, რომ უარი ეთქვა. ეს ფაქტი განსასჯელ ცოტნე გამსახურდიას არ გამოჰპარვია და პროკურორის ქმედება გააპროტესტა. ამ პროტესტით ნათია ყორშია კიდევ უფრო დარწმუნდა, რომ უარი უნდა ეთქვა ჩვენების გამოქვეყნებაზე. გამოძიების მასალებიდან კი აშკარაა, რომ მონმეს ჩვენება საკუთარი ხელით აქვს დანერილი და კითხვა-პასუხი არ ჩანს. სამწუხაროდ, იმავე დღეს ყორშიას მენეჯილეების დაკითხვა პროცესზე მოსამართლემ ვერ შეძლო, რადგან სამუშაო დრო ამოიწურა. მონმეებს კი ერთმანეთთან კონტაქტის საშუალება ჰქონდათ. მართლაც, მოგვიანებით დაკითხულმა პოლიციელებმა ანალოგიური შინაარსის ჩვენება მისცეს.

არანაკლებ ბევრი დრო დასჭირდა ბრალდების დამატებითი მონმის — პოლიციის უფროს ნიკოლოზ გოგიაშვილის დაკითხვას. პოლიციის კაპიტანი, ბუნებრივად, ბრალდების პოზიციის გამყარებას ცდილობდა; თქვა, რომ ფარული ჩანერა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა. „...ცოტნეს გავესაუბრე. მან თვალით მინიშნა, გარეთ გავსულიყავით. სკამზე დავეჯექით, ვკითხე, რა მოხდა? მითხრა, იარაღი გადავაგდეთ. აქ მორჩა ჩვენი საუბარი. სახეზე ცოტნეს სისხლის ლაქები ეტყობოდა. „სასწრაფო“

გამოვიძახეთ. დაუმუშავეს, მაგრამ ჩათვალეს, რომ უნდა გადაეყვანათ საავადმყოფოში. დაჭრილი არ იყო, მაგრამ ჩვენი პოლიციელი გავაყოლეთ, უბრალოდ, ასე ვიქცევით ხოლმე. მერე უკან ერთად მოვიდნენ...“ ადვოკატები დაინტერესდნენ, რატომ არ ჰკითხა ცოტნე გამსახურდიას ძალოვანმა, მთავარი ნივთმიტკიცება — იარაღი სად გადააგდო? „დრო არ მქონდა, გადამემონმებინა, ცოტნე ორჯერ ჩამეხუტა და არ მინდოდა, ენახა, რომ ფარულად ვინერდი. ის ნასვამი იყო. მისი ძმის, გიორგის მოსვლამ უკმაყოფილება გამოიწვია; მას დუდავევის ვაი ახლდა. მივეცით გასაუბრების საშუალება, რადგან ცოტნე ექვმიტანილი არ იყო...“ მიიღო თუ არა საპატრულოს თანამშრომლებისგან მნიშვნელოვანი ინფორმაცია? — ამ კითხვაზე მონმემ უპასუხა: „რაიმე საინტერესო ინფორმაცია რომ ჰქონოდათ პატრულის თანამშრომლებს, მეტყოდნენ, მაგრამ არ უთქვამთ. ან გამოძიებულს, ან თავიანთ უშუალო უფროსს ჩააყენებდნენ საქმის კურსში“.

ადვოკატთა კითხვების უდიდესი ნაწილი პოლიციის უფროსმა უპასუხოდ დატოვა. რატომღაც, ფარული ჩანანერების ავტორმა მისივე ჩანანერიდან საკუთარი საუბრის ვერც ერთი დეტალი ვერ გაიხსენა; ყველა ციტატასა და კითხვაზე ერთი პასუხი ჰქონდა, — არ მახსოვსო, — სამაგიეროდ, კარგად ახსოვდა ჩანანერში გაკეთებული, მეორე მხარის ნაამბობი. ადვოკატები იმითაც დაინტერესდნენ — 11 თებერვალს მაინც რატომ დაარღვია პოლიციის უფროსმა კანონი და ფარული ჩანანერისთვის მოსამართლის ნებართვა რატომ არ მიიღო? მონმემ უპასუხა, რომ ესეც გადაუდებელი აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, რადგან ბაჯელიძეებმა ისურვეს მასთან შეხვედრა. ვერც იმაზე მიიღეს პასუხი, თუ რატომ არ აღიძრა საქმე გამსახურდიას სხეულის დაზიანების გამო? „არ ვიცი, ეს ჩემი საქმე არ არის“, — თქვა მონმემ. მან არც დაზარალებულ ბაჯელიძეზე ზენოლის ფაქტი დაადასტურა.

გამსახურდიასაც ბევრი კითხვა ჰქონდა მონმესთან, მათ შორის — ფსიქოტროპული ნაშლის მიღებასთან დაკავშირებით, მაგრამ გოგიაშვილმა არც ეს ფაქტი დაადასტურა. ცოტნე გამსახურდიამ პოლიციის უფროსს დაკავებამდე მომხდარი ინციდენტიც შეახსენა: „წინა დღეებში 4-5 პოლიციელი მთვრალი შემოვარდა დედაჩემის კუთვნილ ნაკვეთზე, რომელსაც „პროფილაქტიკას“ ეძახით. ამის შესახებ პოლიციის სამმართველოს უფროსი ჩააყენე საქმის კურსში. თქვენ არ მოსულხართ და არ ნაგვიყვანიათ თქვენი მთვრალი პოლიციელები? ამას არ მოჰყვა ჩემი დაკავება?“ — ჰკითხა განსასჯელმა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ფაქტიც მონმე გოგიაშვილმა უარყო.

სასამართლო გამოძიება გრძელდება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სახსუ

„ამბივის“ ქართული რჩეულის ებვი პტური გამარჯვება

ეგვიპტის საკურორტო ქალაქ ხურგადაში მუსიკალური კონკურსი — „ოქროს პირამიდა“ წელს პირველად ჩატარდა. კონკურსზე ქართველმა შემსრულებელმა — გოგა მესხმა ჯემალ სეფიაშვილის სიმღერით — „ქარი ქრის“ — გრან-პრი აიღო, პირველი ადგილი კი ასევე ქართველმა — მარი ასათიანმა ლიტვის წარმომადგენელთან „გაიყო“...

თუო ჟორჯანაშვილი

ამ ცოტა ხნის წინ, გოგა მესხი მოლდავეთში „ემტივის“ რჩეულიც გახდა. ახალგაზრდა მომღერალმა ბევრი საინტერესო შეთავაზება მიიღო — ესპანეთიდან, რუსეთიდან, ესტონეთიდან. ჯერჯერობით (დაახლოებით, თვე-ნახევრის განმავლობაში) გოგა ერთ-ერთი ცნობილი ბაქოელი მომღერლის პროექტში მიიღებს მონაწილეობას. ეგვიპტიდან დაბრუნებულ, „ოქროს პირამიდაში“ ხელდამშვენებულ ქართველ შემსრულებელს ბაქოში გამგზავრებამდე ვესაუბრე.

გოგა მესხი:

— ეგვიპტეში, ქალაქ ხურგადაში მუსიკალური კონკურსი — „ოქროს პირამიდა“ წელს პირველად ჩატარდა. ხურგადა საკურორტო ქალაქია და ასეთი კონკურსები მისთვის, ცოტა არ იყოს, უცხო ხილია. ყველაფერი საკმაოდ კარგად ორგანიზებული იყო. გამარჯვებას არ ველოდი.

— კონკურსზე როგორ მოხვდი?

— ცოტა ხნის წინ მოლდავეთში გამართულ კონკურსზე — „ოქროს ხმა“ — პირველი ადგილი დავიკავე. ბოლო დროს ოქრო ძალიან „მომეჩვია“ (ილიმის). მოლდავეთში ჯემალ სეფიაშვილის სიმღერა — „ქარი ქრის“ შევასრულე. შემდეგ ქალბატონმა მანანამ (ჯემალ სეფიაშვილის მეუღლე) „ოქროს პირამიდაში“ მონაწილეობაც შემომთავაზა. დავთანხმდი. ვიფიქრე, — სხვა თუ არაფერი, ეგვიპტეს მაინც ვნახავმეთქი (იცინის)...

— ხურგადაშიც „ქარი ქრის“ შეასრულე?

— კი, ეს სიმღერა ძალიან მიყ-



ვარს! თუ არ გიყვარს, ვერც იმღერებ: შეიძლება, სიმღერა კარგი იყოს, მაგრამ „შენი“ არ იყოს. ვფიქრობ, „ქარი ქრის“ მართლა „მომეჩვია“.

— სულ რამდენი კონკურსანტი იყავით?

— თვრამეტი (14 ქვეყნიდან). გამარჯვება ცოტათი გამიჭირდა, რადგან 4 საკმაოდ ძლიერი კონკურსენტი მყავდა.

— დანარჩენი ადგილები როგორ განაწილდა?

— პირველი ადგილი ლატვიისა და საქართველოს კიდევ ერთმა წარმომადგენელმა — მარი ასათიანმა გაიყვეს.

— ჟიურიზე რას მეტყვი?

— ჟიურის თავმჯდომარე ქალბატონი მანანა თოდაძე გახლდათ, მაგრამ საქმე ისე არ იყო, რომ კონკურსში აუცილებლად საქართველოს წარმომადგენელს უნდა გამარჯვება; დავიმსახურეთ და გავიმარჯვეთ!

— ანუ ჟიური ობიექტური იყო?

— მაგალითად, ჟიურის თავმჯდომარე გერმანელი რომ ყოფილიყო და კონკურსშიც გერმანიის წარმომადგენელს გამარჯვება, შეიძლება, მეც სხვაგვარად მეფიქრა, მაგრამ მართლა კარგად ვიმღერეთ. გრან-პრის ადების შემდეგ, საკმაოდ სერიოზული პერსპექტივა გამიჩნდა, რომელსაც არ ველოდი. სამაგიეროდ, ველოდი, რომ გამარჯვების შემთხვევაში ბარსელონაში გავემგზავრებოდი. ბარსელონაში, მუსიკალურ კონკურსზე საპატიო სტუმრად მიმიწვევენ თუ მონაწილის სტატუსით, ჯერჯერობით არ ვიცი. მე კონკურსში მონაწილეობა უფრო მინდა.

— ეს რაზეა დამოკიდებული?

— კონკურსში დაახლოებით, 22 წლამდე ასაკის მომღერლები მონაწილეობენ. თუ ამ „ლიმიტს“ გაზრდიან, მონაწილეობას მეც მივიღებ.

— რამდენი წლის ხარ?

— ცოტა ხანში 25-ის გავხდები.

— წელან ნახსენებ, მოულოდნელად გაჩენილ, სერიოზულ პერსპექტივას რაც შეეხება?

— დღეს საღამოს ან ხვალ (ინტერვიუ ჩანერილია 4 აპრილს. — ავტ.) ბაქოში დაახლოებით თვე-ნახევრით გავემგზავრები. ერთ-ერთ ცნობილ აზერბაიჯანელ მომღერალთან ერთად, საკმაოდ საინტერესო პროექტი მელის. ხურგადაში კიდევ ერთი საინტერესო წინადადება შემომთავაზეს: კურორტზე ძალიან ცნობილი პიროვნება ისვენებდა, რომელიც გალა-კონცერტს დაესწრო და ჩემ მიერ შესრულებული სიმღერაც მოისმინა. შემოთავაზება სწორედ მისგან მივიღე. არ დაგიმალავთ — ეს ადამიანი რუსეთის წარმომადგენელია. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, რა გვაკეთო... მაცდუნებელი წინადადება კი არის (იცინის).



ეგვიპტეში მოგზაურობა ძალიან მაგარი იყო: კონკურსშიც გავიმარჯვე და კარგადაც დავისვენე!

— ფინანსური თვალსაზრისით? — ფინანსური თაც. ერთ-ერთ კონკურსში მონაწილეობა შემომთავაზა და მითხრა, — მინდა, ჩემი პროტექტე იყო. მიდი და ნუ დათანხმდები (იცინის)!.. თან, საუბარი იცი, როგორ დაიწყო?.. „ქარი ქრის“ ჩემი საყვარელი სიმღერაა, რომ გისმენდი, ცრემლები წამომივიდაო... დავიბენი. ვნახოთ... მოკლედ, ეგვიპტეში მოგზაურობა ძალიან მაგარი იყო: კონკურსშიც გავიმარჯვე და კარგადაც დავისვენე!

— ეგვიპტეში თაყვანისმცემლებსაც გაიჩენდი...

— აჰ, არა (იცინის)!.. რა თქმა უნდა, თაყვანისმცემლებიც გამოიჩინდნენ. რატომღაც, ყველას ფოტომოდელი ვეგონე. სიმპათიურ ბიჭად მივიჩნევი, ხომ?

— კი, ცუდად ნამდვილად არ გამოიყურები.

— ზღვაში ცურვას რომ აღარ ვკადრულობდი და დღე და ღამე აუზში „ვეგდე“, ძალაუნებურად, კარგ ტანზე „დავდექი“ (იცინის). სასტუმროს დიდი აუზი ჰქონდა. ერთ მშვენიერ დღეს, შავებში ჩაცმული ქალბატონი თუ გოგონა (ვერ გავარკვე) წყალში დავინახე. მეგონა, აუზში ჩავარდა; თურმე ცურავდა (იცინის)! შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, უბრალოდ, გამიკვირდა... ეგვიპტიდან გამომგზავრებისას, რეისი გადაიდო. ამიტომ გასეირნება შემოგვთავაზეს. ამ გასეირნებისას შემთხვევით, ქალაქ ხურგადაში მართლმადიდებლური ტაძარი აღმოვაჩინეთ. ძალიან გამიხარდა! ტაძარში მივედი, სანთელი დავანთეთ, მამაომ დაგვლოცა.

— ერთ თვეში 2 კონკურსზე გრან-პრი და პირველი ადგილი ნამდვილად დიდი წარმატებაა. გვიამბე, მოლდავეთში „ემტივის“ რჩეული როგორ გახდი.

— მოლდავეთში მართლა ძლიერი კონკურენცია იყო! კონკურსანტებმა პირი რომ გააღეს, ვამბობდი, — ვაიბე, დედა, აქ რა მინდა-მეთქი (იცინის)! ისე მაგრად მღეროდნენ, რომ

გრან-პრი არავის მისცეს! ჟიურიში რომ ვყოფილიყავი, ვერც მე გადავწყვეტდი, მთავარი ჯილდო ვისთვის მიმეცა. სხვათა შორის, ჟიურის ერთ-ერთი წევრი ინგრიდი გახლდათ. ის ძალიან უშუალო ადამიანია. დავმეგობრდით კიდევ. კონკურსზე პირველ ადგილს არ ველოდი. უფრო მეგონა, მეორე ადგილს დავიკავებდი. ისე მოხდა, რომ მეორე და მესამე

ადგილებიც სხვებმა დაიკავეს. მოვიწყინე და კულისებში წავედი ძალიან ვიჯექი. ვიფიქრე, პრიზის გარეშე დავრჩი-მეთქი. ჩემი სახელი და გვარი რომ გამოაცხადეს, თავდაპირველად ვერ მივხვდი, რა ჯილდო მივიღე: ერთი კონფერანსიე რუმინულად ლაპარაკობდა, მეორე — ინგლისურად, ამას ხალხის ხმაურიც ერთვოდა და ვერაფერი გავიგე. სამაგიეროდ, ჩემმა პროდიუსერმა და მეგობარმა — ლევან ჯიბლაძემ გაიგო და სკამიდან გადმოვარდა (იცინის)!.. „ემტივის“ პრიზი ყველაზე პერსპექტიულია: ევროპაში სრულიად უსასყიდლოდ „გამაპირებენ“. ამჟამად, ერთ-ერთ კომპანიასთან მოლაპარაკებებს ვანარმოებთ და უახლოეს მომავალში, „ემტივის“ ფორმატის ძალიან ხარისხიან კლიპს გადავიღებთ, მერე კი — ევროპისკენ ჰერი-ჰერი!

— გოგა, რა მუსიკალური განათლება გაქვს მიღებული?

— ბავშვობიდან ფორტეპიანოზე, ხალხურ საკრავებზე ვუკრავდი; საქართველოს ფარგლებს გარეთაც გავსულვარ. ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ყველა მღერის (სამწუხაროდ, მამა აფხაზეთის ომს შეენირა). დედის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად — იურისტი ან სტომატოლოგი გამოვსულიყავი, პროფესიით მსახიობი ვარ. დედაჩემი — ნანა ცისკარიძე 70-იან წლებში ცნობილი ანსამბლის — „აისის“ წევრი გახლდათ. მუსიკალურ სამყაროში მას ყველა იცნობს, მაგრამ თავისი ნაცნობობა ჩემს დასახმარებლად არასოდეს გამოუყენებია. წინათ საზოგადოებისთვის „ნანას შვილის“ სახელით ვიყავი ცნობილი. ადრე დედაჩემს ვუთხარი, — დადგება დრო, როცა „გოგა მესხის დედა“ გახდები-მეთქი (იღიმის)... ანსამბლ „აისის“ ერთ-ერთ ყოფილ წევრთან — გულიკო ჭანტურიასთანაც არაჩვეულებრივი ურთ-


იერთობა მაქვს. შეიძლება ითქვას, ჩემი დედობილია.

— მსახიობის განათლება ალბათ სცენაზე გავსლისას ძალიან გეხმარება. სპექტაკლებში თუ მონაწილეობ ხოლმე?

— სპექტაკლებში დაკავებული არა ვარ. სიმართლე რომ გითხრა, კინო ძალიან მიყვარს და ამ სფეროში გარკვეული შემოთავაზებებიც მქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, აგვისტოს ომის შემდეგ ყველაფერი „ჩაქრა“. მსახიობობა ჩემი პროფესიაა და მომავალი წინ მაქვს. უბრალოდ, შეიძლება, სიმღერა ცოტათი უფრო მეტად მიყვარს...

— ფართო საზოგადოებაში პროექტით — „ვარსკვლავების აკადემია“ გაგიცნო. მანამდე რას საქმიანობდი?

— მანამდე მუსიკალური ჯგუფის — „ვივოს“ წევრი გახლდით. გულსატკეპია, რომ ჯგუფი დღეს აღარ არსებობს, თუმცა მისი სხვა წევრებიც — გიორგი სუხიტაშვილი, დათუნა მეგლაძე, მიხეილ შარაშენიძე კვლავ მუსიკალურ სფეროში საქმიანობენ. ხმებში სიმღერა ყველას ძალიან გვიყვარს. არ გამოვრიცხავთ, რომ „ვივო“ ისევ შეიკრიბოს... „ვარსკვლავების აკადემიის“ შეწყვე-



ხმებში სიმღერა ყველას ძალიან გვიყვარს

ტის შემდეგ, 2-3 თვე არაფერს ვაკეთებდი — პროექტის სხვა მონაწილეების მსგავსად, ფსიქოლოგიურად კარგად ვერ ვგრძობდი თავს. მერე ისევ ცხოვრების ფერხულში ჩავები — კვლავ სიმღერა დავიწყე: კლუბებში, კონცერტებზე გამოვდიოდი. სამწუხაროდ, საქართველოში დღეს ფულის შოვნა მომღერლისთვის მხოლოდ კლუბებსა და რესტორნებშია შესაძლებელი, კონცერტი იზიარადაც ტარდება. სიმართლე გითხრა, საზღვარგარეთ ამიტომ მიმიწვევს გული. ძალიან მაღალ შემოსავალზე არ მაქვს ლაპარაკი, მაგრამ ხომ უნდა იარსებო?! უნდა იცხოვრო! ამას დიდი გულისტკივილით ვამბობ, რადგან მიჩვევია, ჩემს სამუშაოში ვიყო...

„აპოკალიფსიკური აპდანი წუწუნი!“ დაბრუნებული კაპუს ახალი აკაკია

მის გვერდით ვერ მოიწყენო, თუ, რა თქმა უნდა, თავადვე არ არის მოწყენილი. ამბობს, რომ „პრიატნი“ ადამიანია და გული სწყდება, როდესაც ხალხს ისევ წამალზე დამოკიდებული ჰგონია... ხანგრძლივი ძილის შემდეგ, როდესაც გაიღვიძა, ძალიან განსხვავებული და არასასიამოვნო სიტუაცია დახვდა, რამაც დაბოლმა... მიაჩნია, რომ მღვრიე წყალმა ჩაითრია, მაგრამ მორევს თავი მაინც დააღწია. დღეს კი ცხოვრებას ისე აპირებს, როგორც საქართველოს თანამედროვე მოქალაქეს შეეფერება. კაბუ ახალ ალბომს წერს და სულ მალე, ახალ ამპლუაშიც მოგვევლინება. მასთან ინტერვიუზეც სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ მივედი, მაგრამ ამით არ შემოვფარგლულვარ.



ელენე ბასილიაძე

— დიდი ხანა, არ მინახავარ, როგორ ხარ?

— კარგად ვარ, ჯანმრთელად, ბედნიერად (ილიმის)... ვმუშაობ: მარჯანიშვილის თეატრში 2 სპექტაკლში ვთამაშობ — „ხანუმასა“ და „ფაუსტში“. ჭოლა ალბათ მალე დაიწყებს ახალ სპექტაკლზე მუშაობას და დიდი იმედი მაქვს, რომ იქაც დაგვაგებენ. კიდევ ერთი სიახლე მაქვს — მალე ალბათ ტელევიზიაშიც დავიწყებ მუშაობას...

— ოო, ეს რაღაც ახალია! გადაცემის წაყვანა მოგინდეს?

— საერთოდ, ტელევიზია ჩემი საქმე არ არის, არასოდეს ვყოფილვარ „ტელევიზიონშიკი“, მაგრამ... რატომაც არა?! ძალიან საინტერესო იქნება, როგორც ჩემთვის, ასევე ტელევიზიის მესვეურთათვისაც (ილიმის). ტელეკამერასთან ჩემი ურთიერთობა ზოგს მოსწონს, ზოგსაც — არა. ვნახოთ, დიდი შანსია იმისა, რომ მაყურებელს ტელეკრანიდან მივესალმო, მაგრამ რატომღაც მგონია, ჩემი ადგილი მაინც კინოსა და თეატრშია, როლები მინდა, კინო — ჩემი ცხოვრება!

— როგორი ფორმატის გადაცემის წამყვანად გამზადდებენ?

— სიმართლე გითხრა, ჯერ თავადაც არ ვიცი. ვერ ვიქნები ისეთი გადაცემის წამყვანი, სადაც „მკაცრი ბიძა“ ვიქნები, ცივი თვალებითა და შუშის „გამომეტყველებით“ ვერ დავჯდები ეთერში. დიდი სიამოვნებით წავიყვან ისეთ გადაცემას, სადაც ბევრს ვიმზიარებ, გავერთობი და პროდიუსერები „მასწრობის ლიმიტს“ არ დამინესებენ (იციინის). ყველა ფორმატს ვერ მოვერგები. ვნახოთ, ჯერ მხოლოდ მოლაპარაკებებს ვანარმოებთ მე და „თიბისი ტვ“ სტუდია (იციინის)...

— მახსოვს, განმოვანებაზეც მუშაობდი...

— უჰ, მართლა მაგარი დრო იყო (იციინის)! სამწუხაროდ, სერილების

გამხმოვანებლად ვერ ვივარგე. „ქალბატონო ემანუელა, ცხენები უკვე შევკაზმე!“ — ასეთი ფრაზების თქმა ჩემთვის, სიკვდილია. გახსოვს, მულტიფილმი „ტყის საქმო“? იქ დათვს ვახშოვანები და მართლაც, ნორმალურად გავართვი მაგ საქმეს თავი. რომელიმე ტელევიზიის ხმა ვერაფრით გავხდები, ჩემი საქმე „ყველაფრისტობა“ არაა, ისიც მყოფის, ორ საქმეს ერთად რომ ვეჭიდები. ისეთი ხელოსნებისაც არ მნამს, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ამბობენ... ასეთ ადამიანებს არაფერზე დავაკარებინებ ხელს. ერთი კონკრეტული საქმე რომ იციან კარგად, აი, ასეთი ადამიანები მიყვარს.

— კაბუ, დღევანდელ „მიძინებულ“ შოუბიზნესზე რას მეტყვი?

— საქართველოში შოუბიზნესის აღორძინება შეიძლება.

— ხალხს ფული არა აქვს, კონცერტზე ვინ მოვაო?! — ამბობენ.

— რამდენის შესაძლებლობაც აქვთ, იმდენი დააფასე ბილეთი და როგორ არ მოვა მსმენელი?! სამწუხაროდ, არ გვცალია შოუბიზნესისთვის — ჯერ საქართველო გვაქვს დასაბრუნებელი. ეს სფერო იმ ქვეყნებშია აყვავებული, სადაც ყველაფერი შედარებით კარგადაა. დღეს კი ჩვენში ჯერ სხვა რამეები ლაგდება... სიმართლე გითხრა, კარგი თაობა მოდის და მისი იმედი მაქვს. მომღერლები ამბობენ, — ფული არ გვაქვს, სიმღერებს ვერ ვწერთო... ადრე, როდესაც სრული დატვირთვით ვმუშაობდით, ფული გვექონდა?! მაგრამ მაინც ვაკეთებდით რაღაცას... სირცხვილია ძველი სიმღერების მღერა. სატელევიზიო შოუებში ორ სიმღერას ჩანერენ, „ჯოზოუმერში“ გაუშვებენ და ფულს იღებენ. არც ერთ რაიონში არ გადიან კონცერტის ჩასატარებლად, ყველა ერთმანეთს უყურებს და არაფერს აკეთებს! მაინცდამაინც მაგარი აპარატურა

რა სჭირდებათ სიმღერისათვის?! ძალიან არ მინდა, რომ შოუბიზნესში დაბრუნებული კაბუც ასეთი იყოს, მინდა, მართლა გავაკეთო რამე, არავის არაფერს ვპირდები. ვიცი, რომ ძალიან გამიჭირდება ორი საქმის ერთდროულად კეთება, მაგრამ ეს ჩემთვის ჩვეული სიტუაციაა. რა საქმესაც ხელს მოვკიდებ, იმას ხუთიანზე გავაკეთებ!

— გავიგე, ახალ ალბომს წერ...

— მართალი ხარ, ხელი ნამდვილად არ ამიღია სიმღერაზე. უკვე დავიწყე ახალი სიმღერების ჩანერა. ჩემი ახალი ალბომი განსხვავებული იქნება. მშრალ რიტმებზე „ყვიფის“ დრო წავიდა, თუ გინდა, ალბომი გაყიდო და ვინმეს მოანონო შენი შემოქმედების ნაყოფი, რაღაც დადებითზე უნდა იმღერო. ადამიანებს ყოველდღე ახალ-ახალი პრობლემები ესმით და თავი ისედაც გადატვირთული აქვთ ნეგატიური ინფორმაციით, მათ აღარ უნდა დაუმატო „ჭირი“. არადა, აიღებ კალამს და ცუდის მეტი არაფერი მოგდის თავში... მაგრამ ხომ შეიძლება, ცუდთან ერთად, კარგიც დავინახოთ! მუდამ ცუდ და დეპრესიულ ხასიათზე ყოფნა ხომ არ შეიძლება?! ყველაფრით შეიძლება კაიფის დაჭერა ამ ცხოვრებაში, იმის გარდა, რითიც დღეს კაიფობენ! ძალიან მწყდება გული, რომ ქართველი ახალგაზრდები ნამალს თავს ვერ ანებებენ, მე კი მოვახერხე და შეუძლებელი არაფერი გამიკეთებია. ყველას შეუძლია, ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს! დღეს გაცილებით საინტერესო გახდა ცხოვრება, ბევრი კარგი რამის გაკეთება და სწავლა შეგვიძლია. პროექტ „ნიჭიერში“ პატარა მარიამ კახელიშვილი რომ მონაწილეობს, ხომ იცი?... ბავშვს სამჯერ არ



გაუმართლა, მაგრამ მაინც სცადა კიდევ ერთხელ ბედი! ვენაცვალე მაგ ბავშვს, ყველაზე მაგარი ადამიანია, იმიტომ, რომ „ცხოვრებას აწვება“ და მიეცა კიდევ საშუალება, საკუთარი ნიჭი გამოეგვლინა. ვიცი, ბევრს მართლა ძალიან უჭირს, მაგრამ მივიჩნევ, რომ რაც მეტს ინუნუნებ და ილაპარაკებ პრობლემებზე, მით უფრო მეტი პრობლემა შეგექმნება! რაც უფრო მეტ კარგს ვილაპარაკებთ, ვიფიქრებთ და დავგეგმავთ, მით უფრო აგვისრულდება. ცხვირჩამოშვებული და გაბოროტებული ადამიანები არავის მოსწონს! ბოლოს და ბოლოს, რაღაც კარგის დანახვა ქუჩაშიც შეიძლება! ლამაზი გოგონა რომ გამოივლიოს და შემოგხედავს... ესეც ხომ კარგია! საქმე უნდა ვაკეთოთ და თან გავერთოთ. მე რომ ვიარო, უკან ხალხი მომდევდეს და ვსკანდირებდეთ, — „არაფერი გვეშველება!“ — მართლა არაფერი გვეშველება და დავრჩებით ასე. ყველამ რაღაც უნდა ვაკეთოთ იმისათვის, რომ გვეშველოს. არ მჯერა იმათი, ტელევიზიით რომ გამოხტებიან და გამწარებულნი ილანძლებიან; რომ ჰკითხო, ისინი გადაგვარჩენენ! საქართველოს იფიცებენ და სამშობლოს გადასარჩენად ხელიც არ გაუძრევიათ! ომი წავაგეთო, რომ ამბობენ, რომელი ერთი იყო ომში?! სახლში ისხდნენ და „პამპერები“ ეცვათ, შინისგან შარვალი რომ არ დასვროდათ!.. გული მწყდება დაღუპულ ბიჭებზე, შეიძლება, ისინი მართლაც, ვილაცების ინტერესებს შეენიონენ, მაგრამ გმირები არიან და არც ერთი ომი არ შეიძლება, უაზროდ მივიჩნიოთ, როდესაც საქმე საკუთარი სამშობლოს ინტერესების დაცვას ეხება. არ შეიძლება სახალხო ბევრ რამეზე კვილი, ამას პატარები ისმენენ. ტყუილზე ბავშვების აღზრდაც დაუშვებელია. მთავარია, პატარებს ვასწავლოთ კარგისა და ცუდის გარჩევა და დასკვნებს თავად გამოიტანენ, რა არის კარგი და რა — ცუდი!

— შედარებით დამშვიდებული ხარ: გქონდა პერიოდი, როდესაც მძაფრი პროტესტი გამოსატე ნინა ხელისუფლების მიმართ...

— მე პროტესტი ყოველთვის მაქვს. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ყველაფერი მოსწონს ამქვეყნად. „საქართველოო ლამაზო“ — იმიტომ ჩავწერე, რომ დავიხრჩვი „კერასინკის“ სუნით. სახლში მისვლა არ მინდოდა. მანქანებს იმის მიხედვით ვარჩევდით, რაც უფრო მაღალი „პასადკა“ ჰქონდა, იყო თუ არა გამძლე, რომ ორმოებში სიარულისას არ დაშლილიყო... მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, ავდექი და პროტესტი გამოვთქვი!.. საერთოდ კი, რაც ადამიანს ემართება, მხოლოდ მისი ბრალია. ჩვენივე უბედურება-

ში თავად ვართ დამნაშავენი და არასოდეს უნდა გადავებრალოთ ჩვენი უუნარობა სხვას.

— საჯარაუდოდ, შენი ალბომი ოპტიმიზმით აღსავსე იქნება.

— ჩემი ალბომი ისევ ისეთი სიმართლის მლაღადებელი იქნება, როგორც ადრე იყო, მაგრამ ეს სიმართლე ცოტა სხვა კუთხით იქნება დანახული. უფრო უკეთესი კუთხით შეგხედავ ყველაფერს, თორემ ყელში ამოვიდა ამდენი წუნუნუნო! „ჩვენ დღეს გაზი და დენი გვაააქვს!“ — ცხადია, ამის მღერას არ დავიწყებ! იმიტომ, რომ დენითა და გაზით არ შემოვიფარგლებით, მეტზე გვაქვს პრეტენზია.

— მით უმეტეს, რომ ხშირად გვახსენებენ, — დენი და გაზი გაქვითო...

— არის და ვერც მიედავები, გააკეთეს და ამბობენ კიდევ (იციანს)... რა გააკეთო?! — ყელში რომ ეცემი, ისიც გეტყვის, რაც გააკეთა, ასე არაა?! დამიჯერე, არც ბარაკ ობამა ეხმარება რამით ბროქსში მიგდებულ ზანგს. დემოკრატია ასეთი „როჟა“ — ამბობს, ყველამ საკუთარ თავს თავად უშველოსო! კომუნისტები უშუშვერებს შველოდნენ, გარეთ თუ იჯექი, — რატომ ზიხარ აქო?! — გეკითხებოდნენ და მაშინვე რომელიმე ქარხანაში მიჰყავდი სამუშაოდ. ახლა, არ გვინდა კომუნისმიო, გავიძახით; აგერაა კაპიტალიზმი და თავად დასაქმდი, კაცო (ილიმის)!.. ყველა ქართველს რატომღაც, მედიცინის დოქტორობა უნდა და ასე სადაა?! ყველა პროფესია საჭიროა და პროფესიონალები გვჭირდება. არ დავლავებთ მანამ, სანამ ყველა ქართველი სამედიცინოსა და იურდიულ ფაქულტეტზე შევეტენებით!

— როგორ გგონია — რამდენად დადებითად იმოქმედებს შენი ახალი ალბომი საზოგადოებაზე?



დემოკრატია ასეთი „როჟა“ — ამბობს, ყველამ საკუთარ თავს თავად უშველოსო!

— არ ვიცი. სიმართლე გითხრა, ვერ ვინიანსარმეტყველებ, ვინ მოუსმენს ჩემს ნამღერს, მოისურვებს თუ არა ჩემი ალბომის შექმნას ბევრი ადამიანი... თუმცა ხანდახან ისეთი ადამიანი მეუბნება, შენი ესა და ეს სიმღერა მაქვს მოსმენილიო, გაკვირვებისაგან ხმას ვეღარ ვიღებ. ერთადერთი კითხვა, რომელიც მეზადება, ესაა: ჩემს სიმღერას თქვენ რატომ მოუსმინეთ, ბატონო (ილიმის)?.. იმედი მაქვს, ჩემი ნამღერი ბევრს დააფიქრებს.

— ანუ კაბუ დაგიბრუნდა?

— კაბუ დიდი ხანია, დაგიბრუნდათ, — უბრალოდ, ბევრი ვერ ხედავდა ამას...

— ბოლო პერიოდში ქართველმა რეჟისორებმა რამდენიმე ახალი ფილმი გადაიღეს, შენც ხომ არ თამაშობ რომელიმეში?

— ჩემი ბოლო ფილმი, „გასეირნება ყარაბაღში 2“ იყო. მას მერე კინოში აღარ მითამაშია და სიმართლე გითხრა, ძალიან მომეწონა კამერასთან მუშაობა. ხშირად მთხოვენ რეჟისორები, — თამაში არ გინდა, რაც ხარ სინამდვილეში, ის იყავი... კაცო, საკუთარ თავს თუ ვითამაშებ, გოგა როგორ ვიქნები?! კაბუ რომ ვითამაშო, ვის მოეწონება?! კაბუ მე არ მომწონს თავად და (ილიმის)... მაგიჟებენ ეს რეჟისორები (იციანს)! —

— კაბუ, ახალ ამბულაში როგორი იქნები?

— კარგი, კეთილი, მხიარული, ჯანმრთელი და ბედნიერი (იციანს)!.. და რაც მთავარია — ოპტიმისტი! ადრე, როდესაც ვინმე ასე ლაპარაკობდა, მას ვლანძლავდი, — ნახე, როგორ ლაპარაკობს, თითქოს ამას და იმას ვერ ამჩნევდეს-მეთქი, — მაგრამ ისინი უარყოფითსაც რომ ხედავდნენ, მე იმას ვერ ვხვდებოდი.

— ბევრ უარყოფით რამეზე ვისაუბრეთ, ბოლოს ისევ კარგი გვითხარი რამე...

— მე მართლა მჯერა ჩემი ერის და ჩემი ხალხის, ისიც ვიცი, რომ ადრე თუ გვიან, ყველაფერი მართლაც, ძალიან კარგად იქნება. ხომ გაგიგონია, ზოგს რომ უთქვამს, — თუ ახლა არ იქნება ყველაფერი კარგად, ჩემ მერე ქვა ქვაზეც წუ დაჩრჩინილაო! არა ვარ ასეთი ეგოისტი! მთავარია, ჩემი შვილი იყოს კარგად; ჩემი შვილი თუ არა, მისი შვილი და შვილიშვილი ხომ იქნებიან კარგად?! ან — შვილებზე რატომ ვლაპარაკობ?... მთავარია, ჩემი ქვეყანა იყოს კარგად და მერე ჩემი შთამომავლობაც ბედნიერად იცხოვრებს! კარგი თაობა მოდის და მე მისი მჯერა! ჩვენ რა, კომუნისტებს გადარჩენილი, სისტემას მიჯაჭვული ხალხი ვართ, აი, ჩვენი შვილების თაობა კი მართლაც, თავისუფალი ადამიანები იქნებიან. აი, ნახავთ (ილიმის)! ■



საქართველოში დაუფასებელი შრომა და საზღვარგარეთ „გაქცეული“ მსახიობები



ერთი პორტრეტის შესახებ

— პროფესიით მხატვარი ვარ. 7 წელია, რაც ილუზიონიზმის სფეროში ვსაქმიანობ. გამიმართლა და ცირკის არენაზე საკმაოდ მოკვლე ხანში აღმოვჩნდი.

— **მხატვარმა ილუზიონიზმის სფეროში საქმიანობა რატომ დაიწყეთ?**

— ვფიქრობ, ამ სფეროთი ბევრი ახალგაზრდა ინტერესდება — ალბათ, რაღაც ფოკუსს ნებისმიერი გიჩვენებთ, მაგრამ მე განსაკუთრებულად დავინტერესდები და დაახლოებით 25 წლის ასაკში, ამ საქმის სერიოზულად შესწავლა გადავწყვიტე. მიმაჩნია, რომ ილუზიონიზმი ხელოვნების ყველაზე საინტერესო სფეროა. მასში ფიზიკა-ქიმიაცაა „ჩართული“. ამ საქმეზე მთელი სულით, გულით ვარ შეყვარებული და როგორც ზურა ვადაჭკორიამ თქვა, — „ილუზიონისტები მყურებელს კი არ ვატყუებთ, ვაოცებთ!“

— **კარგი, მაშინ მითხარით — პირველად ვინ და რომელი ფოკუსით გააოცეთ?**

— თავდაპირველად, მეგობრებს პატარ-პატარა ფოკუსებით ვაოცებდი, 6 წლის წინ კი ჩემი პირველი ფოკუსები — ილუზიები თოკებთან დაკავშირებით (თოკის დაჭრა, გამოთვლება და ა.შ.) ერთ-ერთ სადღესასწაულო ცენტრში ფართო აუდიტორიას ვუჩვენე.

პატარ-პატარა ფოკუსებით ვერ ახლობლებს აოცებდა, შემდეგ თავისი შესაძლებლობები ფართო აუდიტორიასაც უჩვენა და მონონებაც დაიმსახურა. ამჟამად, თვითნასწავლი ილუზიონისტი — როსტომ მავალიაშვილი ძირითადად, თურქეთში საქმიანობს, რადგან, როგორც თავად აღნიშნავს, ცირკის მსახიობების შრომა საქართველოში ვერჯერობით დაუფასებელია. სამშობლოში ალბულის ტაიმ-აუტის შედეგად, როსტომის ფოკუსების ხილვის საშუალება ქართველ მყურებლებსაც მიეცათ — ილუზიონისტმა საზოგადოებას თავი „მტრედებით მანიპულაციით“ დაამახსოვრა.

— **ფოკუსების ჩატარება როგორ ისწავლეთ?**

— თვითნასწავლი ვარ. როცა ადამიანს რაღაც აინტერესებს, შეიძლება, მას პირადი მასწავლებელი არ ჰყავდეს, მაგრამ საჭირო ლიტერატურა, ვიდეომასალა თავად მოძებნოს და სანადელს მიაღწიოს. ზურა ვადაჭკორიას ლიტერატურასაც ვიყენებდი. სხვათა შორის, მისი წიგნით ახალგაზრდები ძალიან ინტერესდებიან, რაღაცებს სწავლობენ და მერე ერთმანეთს აოცებენ. ბევრი ბიჭისგან მსმენია, — ნეტავ, 5 ფოკუსი მაინც ვიცოდე, გოგონებთან ურთიერთობას უკეთესად ავანყობდიო (იცინის).

— **გოგონებთან ურთიერთობისას ფოკუსებს თქვენც იყენებთ?**

— არა, მათ მოსახიბლავად სხვა მეთოდები მაქვს (ილიმის).

— **როსტომ, ილუზიონისტობასთან დაკავშირებით თქვენს გადამწყვეტილებას მშობლები როგორ შეხვდნენ?**

— ისინი ილუზიონისტები არ არიან, მაგრამ როცა ნახეს, რომ ჩემი საქმით ხალხის სიმპათია დავიმსახურე, გადამწყვეტილებაც დადებითად შემეფასეს.

— **ილუზიონისტობა შემოსავლიანი პროფესიაა?**

— საქართველოში — არა. არ დავიჩივლებ, ჩვენს ქვეყანაში ხალხს არ უნდა, რომ ილუზიონიზმის სფერო განვითარებული იყოს-მეთქი; ალბათ უნდა, მაგრამ თვითღირებულებასთან შედარებით, ჩვენი საქმე საქართველო-

ში დაბალანაზღაურებადია: მაგალითად, „მეჯიკ-შოპებში“ ილუზიონისტის საჭირო რეკვიზიტები ძალიან ძვირია, იაფი არც მათი დამზადება.

— **თქვენი საქმიანობის თურქეთში გაგრძელება ჩვენში დაბალი შემოსავლის გამო გადამწყვეტია?**

— ნაწილობრივ: შემოსავლის გარდა, მყურებელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს — როცა იცი, რომ ხალხი ყოველ კვირას ცირკში მოდის, სანახაობისგან სიამოვნებას იღებს, საოცარი განცდა გეუფლება...

— **თურქეთში როგორ გაემგზავრეთ?**

— ცირკის მსახიობი მეგობრები მყვანან, რომლებიც საცირკო სფეროში გარკვეულ ამინდს ქმნიან. მათი რეკომენდაციით, თურქეთში — „ავრაზია-ცირკში“ სამუშაოდ გავემგზავრე. რამდენიმე წელია, რაც თურქეთში საცირკო ხელოვნების პროგრესი დაიწყო. ადგილობრივი მსახიობები თითქმის არ ჰყავთ — ძირითადად, უკრაინიდან, რუსეთიდან, საქართველოდან, მონღოლეთიდან ჩასულებს „ეყრდნობიან“.

— **თქვენ გარდა, თურქეთში**



თავდაპირველად, მეგობრებს პატარ-პატარა ფოკუსებით ვაოცებდი



სხვა ქართველი ილუზიონისტებიც საქმიანობენ?

— დიას. ჩემთან ერთად, „ავრაზია-ცირკში“ 3 ქართველი მუშაობდა. გარდა ამისა, თურქეთის საცირკო სისტემაში მუშაობენ: ქართველი ჟონგლიორები, აკრობატები, ეკვილიბრისტები, „კაუჩუკი გოგონები“ და ა.შ. საცირკო ხელოვნება საქართველოში სამწუხაროდ, დაუფასებელია, ამიტომ ცირკის მსახიობები თავშესაფარს უტყბოეთში პოულობენ.

— თურქი მაყურებლების გაოცება რთულია? როგორც ილუზიონისტს, თავის დამკვიდრება გაგიჭირდათ?

— მათი გაოცება ძალიან იოლია. ალბათ იმიტომ, რომ მალალი დონის საცირკო სანახაობას მიუჩვეველნი არიან. მათთან მუშაობა სასიამოვნოა: ყველაფერს გულლიად იღებენ და კმაყოფილები არიან.

— მაყურებლებს ძირითადად რას სთავაზობთ?

— „მტრედებით მანიპულაციას“, რომელიც სხვადასხვა ფოკუსთანაა კომბინირებული — ეფექტებით, მოულოდნელობებით... ჩემი „მტრედებით მანიპულაცია“ ქართველ მაყურებელს ტელევიზიით რამდენჯერმე ნანახი აქვს. საკმაოდ ლამაზი სანახაობაა — ფაქტობრივად, მტრედი ცარიელ ხელეში ჩნდება...

— ნომრის შესრულებისას წარუმატებლობა არასოდეს განგიცდიათ?

— ნებისმიერ ილუზიონისტურ ინსტრუქციაში წერია: ერთი და იმავე მაყურებლის წინაშე ტრიუკი არ გაიმეორო, საიდუმლო არ „გაუხსნა“ (თუნდაც — მინიშნებით), არ უჩვენო რეკვიზიტი... ილუზიონისტებისთვის ასევე არსებობს რჩევა: თუკი თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ტრიუკმა საჭირო მიმართულება არ მიიღო, მაყურებლის ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანეთ. ვინც ილუზიის ჟანრში ერკვევა, ტექნიკურ შეცდომას გაპატიებს, ჩვეულებრივი მაყურებელი კი ამას ვერც მიხვდება — ეგონება, რომ ასე იყო საჭირო.

— წელან თქვით, ერთი და იგივე ტრიუკი ერთსა და იმავე მაყურებელს ორჯერ არ უნდა უჩვენო. ხომ შეიძლება, ადამიანი წარმოდგენას მეორე დღესაც დაეხსნოს? ბილეთის მეორედ შეძენას ხომ ვერ აუკრძალავთ!

— რა თქმა უნდა, ასეთი პრეცედენტი ყოველთვის იქნება. მეტსაც გეტყვი: 8-10 წლის წინ, ილუზიონისტის წარმოდგენას 3-4-ჯერ ვესწრებოდი ხოლმე (ილიმის).

— ცხადია, გარკვეული საიდუმლოების „დაჭერასაც“ ახერხებდით?

— კი. ვინც ილუზიის სტუქტურაში ერკვევა, ის საიდუმლოებებს „იჭერს“ და შეუძლია, ილუზია თავდაც წარმოადგინოს. ამ სფეროში



ილუზიონისტმა საზოგადოებას თავი „მტრედებით მანიპულაციით“ დაამახსოვრა

საქმიანობა სწორედ ასეთი მარტივი მეთოდით დავინყე. ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად აწყო. ერთი და იმავე წარმოდგენის რამდენჯერმე ნახვას ვერავის აუკრძალავ, მაგრამ როცა შთამბეჭდავი ტრიუკის ხილვის შემდეგ, მაყურებელი ნომრის გამეორებას ითხოვს და ილუზიონისტიც თანხმდება, სწორად არ იქცევა — 10 წუთის შემდეგ იმავე ფოკუსის გამეორება დაუშვებელია.

— რომელიმე ფოკუსის შესრულებისას მაყურებელს თუ „გამოუჭერილობა“?

— ასეთი რამ იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება. საერთოდ, კულტურული მაყურებელი ჩუმიდაა, წარმოდგენაზე დამსწრე სხვა ადამიანებს შეურაცხყოფას არ აყენებს.

— რას გულისხმობთ?

— იცი, რაშია საქმე? მაგალითად, როცა 50 მაყურებლიდან ერთი რალაცას შენიშნავს და აყვირდება, — დავინახე, ცხვირსახოცი მკლავიდან ამოიღო! — ამით შეურაცხყოფას ილუზიონისტს კი არ აყენებს, არამედ — სხვა მაყურებლებს: თქვენ დებილები ხართ, მე კი — ყველაზე ჭკვიანი, რადგან ფოკუსის საიდუმლო ამოვხსენიო. თუ ადამიანი რაიმეს მიხვდება, პრობ-

ლემა არაა — სცენაზე თავადაც დადგეს და ფოკუსი გააკეთოს. უარს ხომ არ ვეუბნები!

— თურქეთის გარდა, კიდევ რომელ ქვეყნებში გიმუშავიათ?

— აზერბაიჯანსა და კვიპროსში.

— დიდი ხანია, რაც საქართველოში იმყოფებით?

— შემოდგომაზე გამოვემგზავრე, საახალწლო დღესასწაულებზე ტაიმ-აუტი ავიღე. მერე საქმეები ისე აეწყო, რომ აქ ყოფნა გამიგრძელდა.

— ქართველი მაყურებლის წინაშეც გამოდინართ?

— რა თქმა უნდა. საახალწლოდ, მერიის მიერ ორგანიზებულ კულტურულ ღონისძიებებში ვმონაწილეობდი, სადღესასწაულო ცენტრებში გამოვდიოდი...

— ე.ი. ჩვენს მაყურებელს საცირკო ხელოვნება აინტერესებს?

— რა თქმა უნდა, მაგრამ „ბაზარი“ პატარაა: აბა, სად თურქეთი და სად — საქართველო? მაგალითად, ანტალიაში უამრავი დამსვენებელი ჩადის. ტურიზმის სფერო ჩვენს ქვეყანაშიც რომ განვითარდეს, მუშაობის საშუალება ცირკის ყველა მსახიობს ექნება. თურქეთის დიდ ტურისტულ ქალაქებში ბევრი სცენიანი რესტორანია. დამსვენებელს უნდა, რომ ყოველი საღამო სასიამოვნო შთაბეჭდილებით იყოს დატვირთული. ამიტომ, თუკი სასტუმროს საცირკო, საესტრადო ნომრები არა აქვს, ტურისტის საცხოვრებლად სხვა ოტელში გადავა. თუ გართობის საკითხი კარგად არა აქვს მოგვარებული, კომერციული ობიექტი ვერ იმუშავებს. ასე რომ, იქ ყველგან, შენზე დიდი მოთხოვნაა, თუ საინტერესო სანახაობას მართავ. სამწუხაროდ, საქართველოში მსგავსი რამ ჯერჯერობით არ შეინიშნება.

— **სამომავლოდ რას აპირებთ?**
— მასშტაბური სანახაობის დადგმა ყველა ილუზიონისტს უნდა. თუკი მოტივირებული ვიქნები, ამასაც განვახორციელებ... საერთოდ, მსახიობებს წინასწარ ლაპარაკი არ გვიყვარს. ამჟამად, მოკლევადიანი მიწვევით, თურქეთში მივმგზავრები. მინდა, საქართველოში ტურიზმი განვითარდეს და სამუშაოს საძებნელად, მსახიობები სხვა ქვეყნებში არ გარბოდნენ. ვისურვებ, რომ ნიჭიერი მაყურებლები გყავდეს და მსახიობების შრომა დააფასონ.

„მუობლებმა მოგვალე პროფესია მომიწონეს“

ტასო გომელაურის პირველი ნაბიჯები

ჩემი რესპონდენტი 18 წლის გახლავთ, მეთორმეტეკლასელია და სტუდენტობისთვის თავდაუზოგავად ემზადება. ტასო გომელაურს სწავლის გაგრძელება სამხატვრო აკადემიაში უნდა; სურვილი აქვს, ლანდშაფტის დიზაინერის პროფესიას დაეუფლოს, რომ შემდეგ ჩვენს გარემოზე საფუძვლიანად იზრუნოს. გამოცდებამდე ცოტათი კი ლელავს, რადგანაც იცის, რომ დიდ კონკურსში მონაწილეობა მოუწევს, მაგრამ იმედი აქვს, რომ გაუმართლებს, წარმატებით ჩააბარებს და სანატრული პროფესიის შესწავლას შეუდგება. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ტასო ცნობილი მსახიობების — ნიკო გომელაურისა და ეკა ნიჟარაძის უფროსი შვილია.

ლელი ფასია

— საკმაოდ უცხო პროფესია აგირჩევია. არადა, მსახიობების შვილი ხარ და რატომღაც მეგონა, რომ შენც ამ გზას გააპყვებოდი...

— მიმაჩნია, რომ მსახიობობის დიდი მონაცემები არ მაქვს. ამ პროფესიისკენ დიდად არც მიმიწევს გული. ლანდშაფტის დიზაინერობა კი ძალიან მომწონს და ამიტომაც ავირჩიე. თან, ეს სფერო ჩვენთან დიდად არ არის განვითარებული და მისკენ ამან უფრო მიბიძგა.

— როგორც ვიცი, ცოტა ხნის წინ ლევან კოლუაშვილმა ფილმში „ქუჩის დღეები“ ეპიზოდურ როლში გადაგიღო...

— ფილმში რომ გადამიღეს, ძალიან მესიამოვნა. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ გადაღების პროცესი ასეთი მაგარი იქნებოდა. ეპიზოდური როლი მერგო — ჩემი პერსონაჟი მთავარ გმირს მოხსონს, ისინი ერთმანეთს ებრუნებიან... მგონი, დავალეხას თავი გავართვი. სამუშაო ძალიან ჩამითრია და გადაღებები რომ დასრულდა, გულიც კი დამწყდა. მაგრამ კინომ ისე მაინც ვერ მიმიზიდა, რომ საბოლოოდ მსახიო-

ბობა მომწოდებოდა. სამსახიობო ნიჭი ჩემს ძმას — ჯეჯის აქვს.

— რამდენი წლის არის?

— ჩემზე უმცროსია, 16 წლის არის...

— და შესაძლებელია, რომ მშობლების პროფესია აირჩიოს?

— კი, მაგრამ აი, რა მოხდა: ჯეჯი, გოგა პიპინაშვილის „არტ-პოლში“ დადიოდა და იქ სპექტაკლებში თამაშობდა. შეიძლება ითქვას, ამ პროფესიას ბავშვობიდან მიჰყვებოდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ გადაიფიქრა. თან, მსახიობობა არც დედაჩემმა ურჩია. ახლა აპირებს, პლასტიკური ქირურგი გახდეს. ასეთი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. არადა, მე არ ვარ ამის მომხრე, რადგანაც მართლა ძალიან ნიჭიერია და მინდა, რომ მსახიობი იყოს.

საუბარში ჩართვა ჯეჯისაც ვთხოვე და რამდენიმე კითხვით მასაც მივმართე:

— მსახიობობა რატომ გადაიფიქრე?

— ნიკოს ეს მაინცდამაინც არ მოსწონდა... ამიტომ, ავდექი და გადაწყვეტილება შევცვალე. ახლა მინდა, პლასტიკური ქირურგი გახდეთ. დედა ამ ამბით აღფრთოვანებულია. ისე, რატომაც არა, ძალიან მაგარი პროფესიაა!..

ტასო:

— იცით, ეკას თურმე ბავშვობაში ქირურგობა ნდომებია, მაგრამ ბოლოს მსახიობი გამოვიდა...

ჯეჯი:

— ჩემს შემთხვევაში, პირიქით მოხდა — მე ჯერ მსახიობობა მინდოდა და მოგვიანებით, ექიმობა გადავწყვიტე...

— როგორი და-ძმა ხართ? ხშირად ჩსუბობთ?

— მშვენიერი და-ძმა ვართ. არაფერზე ვჩსუბობთ. ისე, ხანდახან კი წაგვინკლავდებით ხოლმე, მაგრამ სერიოზული ჩსუბი ჯერ არ მოგვსვლია.

ტასო:

— ძირითადად, სისულელეებზე ვჩსუბობთ ხოლმე...

— მიუხედავად იმისა, რომ უმცროსი ხარ, დას მაინც აკონტროლებ?

— კი და ტასო დამჯერი გოგო რომ არის, იმიტომაც არ ვჩსუბობთ...

— თვითონ თუ ხარ დამჯერი?



— ერთი მხრივ, კი, მაგრამ მეორე მხრივ — არა... (თქვა ჯეჯიმ, მერე ბოდიში მომიხადა და დაგვტოვა. — ავტ.)

— ტასო, ყველაზე მეტად დროს რას უთმობ?

— ამჟამად, იმის გამო, რომ ძალიან ბევრი სამეცადინო მაქვს, დროს სწავლის გარდა ვერაფერსაც ვერ ვუთმობ. მთელი დრო აბიტურიენტობას მიაქვს: 6 გაკვეთილზე დავდივარ (დღეში 3-4 გაკვეთილი მიწევს). ძალიან მიყვარს სატევა... მომავალში, აკადემიაში რომ ჩავაბარებ, სურვილი მაქვს, გიტარაზე დაკვრა და ფრანგული ენა (ძალიან მსიბლავს, ტკბილი ენაა) ვისწავლო. ასე რომ, მაქვს ჩემი პატარა-პატარა გეგმები...

— გაპრანჭვა თუ გიყვარს?

— კი, გაპრანჭვა ყველა გოგონას უყვარს... მაგრამ მაკიაჟის გაკეთება და ზედმეტი სამკაულები მაინცდამაინც არ მიზიდავს...

— შეყვარებული არ ხარ?

— ახლა აღარ...

— როგორი გემოვნება გაქვს და საინტერესოა, როგორი ბიჭი შეიძლება, რომ შეგიყვარდეს?

— ალბათ, განათლებული, რომელსაც იუმორის გრძნობა ექნება; ყურადღებიანი, ერთგული უნდა იყოს, ჩემი უნდა ესმოდეს და ყველაფერში გამიგოს...

— რას ნუნავს შენტვის ის, რომ ასეთი ნიჭიერი და ცნობილი მშობლების შვილი ხარ?

— მათი შვილობა მეამაყება!.. სასიამოვნოა, რომ მათ იცნობენ, უყვართ, პატივს სცემენ... ვვიქრობ, რომ მართლაც, ძალიან მაგარი მშობლები მყავს. ვგიჟდები ნიკოს ლექსებზე, სპექტაკლებზე... მაგრამ ნამდვილად არ მინდა, რომ ისინი რამეში დამეხმარონ, ყველაფერს ჩემით უნდა მივაღწიო და ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ მე ვიყო მე და არა ნიკოს ან ეკას შვილი...



პატარა ტასო მშობლებთან ერთად



— მათ სპექტაკლებზე ხშირად დადინარ?

— ნიკოს სპექტაკლებზე დიდი ხანია, აღარ ვყოფილვარ, რადგანაც ხომ გითხარით, თავისუფალი დრო მართლა არ მაქვს. ეკას სპექტაკლებზე („ხანუმა“) ერთი თვის წინ ვიყავი... მოკლედ, თეატრში ხშირად ვეღარ დავდივარ. დღეს მაგალითად, ეკას პრემიერა აქვს მარჯანიშვილის თეატრის მცირე დარბაზში და მინდა, ამ დღეებში როგორღაც მოვახერხო და ამ სპექტაკლებზე წავიდე...

— განსაკუთრებულად რა მოგწონს შენს მშობლებში? რთი ჰგავხარ მათ?

— ვფიქრობ, ნიკოს იმაში ვგავარ, რომ მასავით გაბრაზება მჩვევია. როცა ცუდ ხასიათზე ვარ, მეც ვიცი ხოლმე, ნიკოსაგონით, მწარე შენიშვნების მიცემა. როცა ვცხარდები, თავს ვერ ვაკონტროლებ და რაც იმ წამს გონებაში მომდის, იმას ვამბობ, არაფერს ვაანალიზებ და არაფერზე ვფიქრობ. არ ვიცი, ეს ჩემი კარგი თვისებაა თუ — ცუდი... ისე, გაცხარების გამო ბევრჯერ მინანია; მერე დამირეკავს და ბოდიშიც მომიხდია იმ ადამიანისთვის, ვისაც გული ვატყინე... ეკას კი ჩემზე ბევრად უკეთესი ხასიათი აქვს. დედაჩემში ის მომწონს, რომ გაბრაზების შემდეგ, ორ წამში აღარაფერი ასხოვს. წყენას ადვილად ივიწყებს...

— ნიკოს შენთვის რა შენიშვნები მოუცია?

— მნიშვნელოვანი არაფერი. უფრო, მარიგებს ხოლმე.

— ლანდშაფტის დიზაინერობა რომ გადამწყვეტე, არჩევანი მოგიჩინა?

— როდესაც მას ამის შესახებ ვუთხარი, გაუკვირდა, თუმცა ჩემი არჩევანი მოეწონა, რაც ძალიან გამიხარდა. მაგრამ ნიკოს გაკვირება თავიდან იმან გამოიწვია, რომ ასეთი არაპოპულარული დარგი ავირჩიე. ჩემი მომავალი პროფესია ეკასაც მოსწონს. ამ სფეროს შესახებ ლიტერატურას ყიდულობს, კითხულობს და ამ დარგს ახლოს ეცნობა. სახლში უამრავი მცენარე გვაქვს და მათ დიდი მონდომებით უვლის. მცენარეებს მასთან ერთად, მეც ვუვლი. ჩვენ ბევრი საერთო თვისება გვაქვს...

— დედას გარეგნულად ჰგავხარ.

— გარდა გარეგნობისა, ხომ ვამბობ — ჩვენ შორის მსგავსება კიდევ ბევრ რამეშია. გარდა იმისა, რომ დედაჩემია, ის ჩემი ძალიან ახლო მეგობარია. მას ყველაფერს ვუყვები. ეკამ ჩემ შესახებ მართლა, ყველაფერი იცის.

— არადა, შენი ასაკის გოგონები მშობლებთან ბოლომდე გახსნილები და გულწრფელები არ არიან ხოლმე, რაღაც პატარა-პატარა საიდუმლოებებს თავისთვის მაინც იტოვებენ. რთი დაიმსახურა ეკამ ასეთი ნდობა?

— როდესაც წამოვიზარდე, მან თავისი ცხოვრებიდან ისეთი პირადული რაღაც მიამბო, რომ მივხვდი — დედაჩემისთვის დასამალი არაფერი მქონდა... მას ჩემს პრობლემებსაც ვუზიარებ, აზრსაც ვკითხვები. რჩევებს მეგობრებისგანაც ვიღებ და

ვითვალისწინებ კიდევ, თუმცა მთავარ რჩევას მაინც დედა მაძლევს, თან, სერიოზულად არასდროს მსაყვედურობს.

— ტასო, გული არ გწყდება იმაზე, რომ შენი მშობლები ერთად არ ცხოვრობენ?

— როდესაც ისინი ერთმანეთს დასცილდნენ, მაშინ 6 წლის ვიყავი. მახსოვს, ამ ამბავს ძალიან განვიცდიდი... რაღაც მომენტში, რა თქმა უნდა, გული მწყდება, რადგანაც — რა სჯობს იმ ოჯახს, სადაც დედა და მამა ერთად არიან?! მაგრამ რომ ვთქვა, საშინლად გულდანყვეტილი ვარ-მეთქი, არ იქნება მართალი, რადგანაც მამაჩემს ჰყავს მეუღლე — ნინა, რომელიც ძალიან მიყვარს. მიხარია, რომ მას ეს ადამიანი შეხვდა. ისინი უკვე 12 წელია, ერთად არიან. ფაქტობრივად, მე წინას თვალწინ გავიზარდე. ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. თბილი და მეგობრული ურთიერთობა მაქვს მის შვილებთანაც. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ...

— ნიკოსავით, ლექსებს შენც ხომ არ წერ?

— სამწუხაროდ, არა, მაგრამ პოეზიის დიდი მოყვარული ვარ.

— ნიკოს რომელიმე ლექსს ხომ არ წაგვიკითხავ?

— მისი ერთი ახალი ლექსი მიყვარს, მეც ვარ მასში ნახსენები...

„რა დამავიწყებს იმ წლებს/ თავს ვუღალატე როცა/ დღემდე ამაოდ მიწევს, მონანიებით ლოცვა/ რა დამავიწყებს იმ ქალს, ვინც რომ პირველი იყო/ ეკი და უნდა ითქვას — ბეჟა, შალვა თუ ნიკო./ რა დამავიწყებს აპრილს, ხალხი რომ სცემდა ტანებს/ ცხედრებს გვერდიგვერდ დაყრილს/ იმ დღეს, გაბზარულ სარკეს/ რა დამავიწყებს ტასოს, პირველ ცრემლებს ან სიცილს/ პირველ წარმოთქმულ ასოს, დღეს კი რა აღარ იცის/ რა დამავიწყებს ჩემს ძმას/ გამაცნო ვაჟა, გალა/ რას ვფიქრობდი, შემძრავს, ისიც დამტოვებს, განა?/ რა დამავიწყებს ნატვრებს, მ წლიდან სევდის მომგვრელს/ ალბათ ამიტომ ამტვრევს ჩემი ლექსი თქვენს დოკუმენტს“.

— იქნებ მისი კიდევ ერთი ლექსიც წაგვიკითხო?

„ალბათ იტყვიან დედა, ეს რა კარგი გამიზრდია შვილი/ და ინატრებს ის დღე მისცა ნეტავ, პირველად რომ დამიკერა ლილი/ როცა წავალ, გაისხენებს მამა, პირველად რომ მნახა უკვე დიდი/ კარგია, რომ არ გამათამამა, კარგია, რომ ასე კარგად მსჯიდი/ როცა წავალ, მჯერა, იტყვის ქალი/ შესაძლოა, დაიდვაროს ცრემლად, ეცოცხლო, ყოფილიყო მთვრალი/ მთავარია, ვიქნებოდით ერთად/ მე არ ვიცი, რას იფიქრებს შვილი, ალბათ ცუდს და ალბათ ცოტა — კარგსაც/ ვითომ ვიცი, მოვაკელი ხილი, რომ ვაკლებდი ნაყინსაც და მარწყვსაც/ რას იტყვიან ძმები, ნავალ როცა/ ალბათ იქაც შემფიცებენ ძმობას/ ჩემ გარეშე დაიცლება ბოცა/ ჩემ გარეშე აწყვებიან გრძობას./ მოერიდეთ უსაფუძვლო ლეღვს, არ ვაპირებ მე ჯერ არსად წასვლას...“ ეს ლექსი ძალიან მიყვარს.

— ნიკოს ლექსები ყოველთვის

სასიამოვნო მოსასმენია... ტასო, წელან მითხარო, ეკას პრემიერის დღე აქვს... ის 3 შვილის პატრონი და, როგორც ვიცი, საოცრად ყურადღებიანი დედაა. ამასთან, არაერთ მთავარ როლს თამაშობს სცენაზე. საინტერესოა, თუ ეტყობა ხოლმე ლეღვა, როდესაც პრემიერისთვის ემზადება?

— კი, ცოტას ლეღავს. საერთოდ, ძალიან დატვირთული გრაფიკი აქვს: დილას რუბეტიცია აქვს, მერე გარბის და, ჩემი უმცროსი ძმა — ნოდარი, რომელიც 10 წლის არის, სკოლიდან მოჰყავს; შემდეგ ისევ თეატრში ბრუნდება. სწორედ ამ გადარბენებისას ეტყობა ხოლმე, რომ არის ძალიან დაღლილი, მშვიერი, გამოუძინებელი. ჩვენთვის ყურადღება არასდროს მოუკლავ, როგორც დედა, ბოლომდე იხარჯება...

— დღეს პრემიერის დღე აქვს და შვილები ყველანი სახლში ხართ.



ტასო ძმებთან ერთად

მას იქ რომ განცდები ექნება, ამაზე არ ლეღავთ?

— კი, მაგრამ თვითონ სპექტაკლის წინ ძალიან აღარ ნერვიულობს ხოლმე. ერთი მახსოვს — ძალიან განიცდიდა „ხანუმა“ პრემიერას და ამის გამო, დარბაზში მეც ვნერვიულობდი. ისე განვიცდიდი, ნახევარი სპექტაკლი არც მახსოვს, რა ვნახე...

— შენი მეორე ძმა ასევე მასზეც მესაუბრე.

— ნოდარი ძალიან საყვარელი ბიჭია. უნდა, რომ გამოვიდეს „რეჟისორი“, — თვითონ ასე ამბობს. ხატავს, მოთხრობებს, ლექსებს წერს... ნიჭიერი ბავშვია. ნაწილობრივ, ჩემი გაზრდილია: მ წლის ვიყავი, როცა ნოდარი გაჩნდა. დიდი ამაგი მაქვს მასზე. ერთად გავიზარდეთ.

— გათხოვბას როდის აპირებ?

— ჯერ არა, რადგანაც საინტერესო გეგმები მაქვს. უნდა ვისწავლო, მივადნო ჩემსას და შემდეგ გავთხოვდე.

— როგორ ფიქრობ — რა არის მთავარი ცხოვრებაში?

— გქონდეს პროფესია, გიყვარდეს შენი საქმე და გყავდეს გვერდში ისეთი ადამიანი, რომელიც ძალიან გყვარებდა.

დაბნეული მსახიობი, „ინსტის ბოლფასი“ კოსნა ნანკასთან და უსნაური სეჟსი შორენასთან

„ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ როლებს ვასრულებ. შეუძლებელია, სცენაზეც ისეთივე ვიყო, როგორც ცხოვრებაში ვარ“, — ამბობს მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი აჩიკო სოლოლაშვილი, რომელიც პოპულარობას მაინც ტელეეკრანზე განსახიერებულ პერსონაჟებს უნდა უმადლოდეს...

ელენე ბასილიძე

— 5 წლის ასაკიდან ცეკვაზე დავდიოდი და სცენის მტკვერიც გვარინანად იმ პერიოდში შევისუნთქე. დაახლოებით 14-15 წლის ვიყავი, როცა ტელევიზიით, თეატრალური სკოლა-სტუდია „ბერიკების“ შესახებ გადაცემა ვნახე. მანამდე არ ვიცოდი, თუ ასეთი სტუდია არსებობდა და გადავირიე! სამწუხაროდ, არ მქონდა იმის მატერიალური საშუალება, რომ იქ მეწლო. ჩემმა ცეკვის მასწავლებელმა, ცხონებულმა იგორ გითოლენდიამ, რომელიც მსოფლიოს ხალხთა ცეკვებს მასწავლიდა, ბატონ გოგი თოდაძეს სთხოვა: გაჭირვებული ბავშვია, დიდი სურვილი აქვს, თქვენს სტუდიაში იაროს და იქნებ ნება დართოთ?.. ბატონი გოგი დათანხმდა და მივედი „ბერიკებში“, სადაც შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო ბავშვობა გავატარე — არაჩვეულებრივი მეგობრები შევიძინე და სახლიდან პირდაპირ ზღაპარში შევბრუნდი. აი, მაშინ მივხვდი, რომ მხოლოდ მსახიობი უნდა გავმხდარიყავი. თუმცა ჯერ მაინც საესტრადო სასწავლებელში ჩავაბარე და ქართული ცეკვის მასწავლებელი გავხდი. საბოლოო ჯამში, ცეკვაზე სულ 15 წელი ვიარე, მალე კი თავადვე დავინიყე პედაგოგობა. მოგვიანებით თეატრალურ უნივერსიტეტშიც ჩავაბარე, რომლის დამთავრების შემდეგ სცენაზე ვდგავარ...

— მსახიობი აჩიკო სოლოლაშვილი დიდად განსხვავდება რეალურ აჩიკო სოლოლაშვილისგან?

— ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ როლებს ვასრულებ. შეუძლებელია, სცენაზეც ისეთივე ვიყო, როგორც ცხოვრებაში ვარ. მაგალითად, სპექტაკლში — „მერი პოპინსი“ 5 წლის ბავშვს ვთამაშობ, „მარლენ დიტრიხში“ — 26 წლის ფსიქოთერაპევტი გახლავართ. ასევე მინევს 80 წლის ბაბუის, მეძავი ქალის, მგლის და ფოსტალიონის თამაშიც... ეს პერსონაჟები კი, დამეთანხმები, რომ ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ერთადერ-



თი, რაც ჩემს პერსონაჟებს აერთიანებს, მე ვარ, აჩიკო (ილიმის)!.. ვცდილობ, თითოეულ პერსონაჟში რაღაც ჩემეული ვიპოვო, რომ გმირი ბუნებრივი და რეალური იყოს.

— ვიცო, რომ სპექტაკლებს თავდაპირველად „თეატრალურ სარდაფში“ თამაშობდი...

— მართალია. დღეს „თეატრალური სარდაფის“ წყალობითაა, რომ სცენაზე ვდგავარ. თეატრალური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, შემოქმედებითი პაუზა არ მქონია, მესამე კურსიდან სცენაზე ვიდექი და „სარდაფის“ სცენაზე არაჩვეულებრივ პარტნიორებთან ერთად ვთამაშობდი. პარტნიორზე ბევრია დამოკიდებული. ახალბედა მსახიობებს ხშირად ვურჩევ, რომ მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ ითამაშონ; როდესაც სცენაზე პარტნიორისგან მუხტს მიიღებენ, მაშინვე თვითონაც გასცენ.

— ცეკვასთან ერთად, მშვენივრად მღერი კიდევ...

— აბა, რა გითხრა (ილიმის)?! ეს ალბათ, გენეტიკის ბრალია — ჩვენს ოჯახში ყველა გადასარევედ მღერის. არა მაქვს იმის ამბიცია, რომ ძალიან კარგი მომღერალი ვარ, მაგრამ იმის ამბიცია ნამდვილად მაქვს, რომ სიმღერა კარგად ვისწავლო, რადგანაც ეს ჩემი პროფესიის ერთი-ერთი მთავარი კომპონენტია.

— როგორც წესი, თეატრის მსახიობებს საზოგადოება ნაკლებად იცნობს. შენც პოპულარობა ტელეეკრანზე, ცნობილმა პროექტმა — „იმედის ტალღა“ მოგიტანა...

— სიმართლე გითხრა, სურვილი მქონდა, რომ პოპულარული, თეატ-

რის წყალობით გავმხდარიყავი, რაც დამეთანხმები, ძალიან რთულია. თეატრს არა აქვს იმდენი შემოსავალი, რომ საკუთარ თავს რეკლამა გაუკეთოს. ამიტომაც, აუცილებელია, ზოგიერთ სატელევიზიო პროექტში მივიღო მონაწილეობა, მაყურებელი დავაინტერესო, რომ ის შემდეგ თეატრში მოვიდეს. ამ პროექტში კი, გამოგიტყდები, მომხიბვლელი პარტნიორის, თიკა ფაცაცისა და პრიზის მიღების იმედის გამო მივიღე მონაწილეობა. წესით, პროექტში გამარჯვებულ წყვილს ბინა ერგებოდა, მაგრამ...

— როგორ — შენ და თიკა საჩუქრად ბინა არ გადმოგცეს?

— სამწუხაროდ, არა. ვიცი, რომ რეიტინგული გადაცემა იყო, მაგრამ თქვეს, სპონსორები არ გამოჩნდნენ...

— მერე, პრეტენზია არ გამოგიტყვამს?

— როცა იცი, რომ პრეტენზიას აზრი არა აქვს, რატომ უნდა შეინუხო ტყუილად თავი?! ბინა არა, მაგრამ პრიზად ტელეკომპანია „იმედში“ ერთ-წლიანი კონტრაქტით სამსახური მერგო. არ ვიცი, ეს შეიძლება თუ არა, პრიზად ჩაითვალოს, რადგანაც ვშაობდი და ხელფასს ამაში მიხდიდნენ... ისე, ცოდვას ვერ ვიტყვი, რომ აღნიშნულმა გადაცემამ არაფერი შემამატა, იქ სერიოზული ვოკალური გამოცდილება მივიღე; ალბათ ყველა დაგვეთანხმება, რომ მე და თიკა ცდილობდით, ყველასაგან გამოჩნეული წყვილი ყოფილიყავით. სავროთოდ კი გამიმართლა, რომ ჩემი მეწყვილე თიკა ჩემი უახლოესი მეგობარი იყო.

— ცეკვის პედაგოგობა სად გინევს?

— ცეკვას გოგონათა ვოკალურ ანსამბლ „მზიურს“ ვასწავლი...

— როგორი პედაგოგი ხარ?

— გააჩნია, რა ასაკის ადამიანებთან მიწევს მასწავლებლობა. ბავშვებთან ბავშვური ვარ: დღევანდელ თაობას თუ გინდა, რაიმე ასწავლო, უნდა დაანახვო, რომ შენც ისეთივე ხარ, როგორც ისინი არიან. ეს მეთოდი კარგად ჭრის და პატარებსაც ძალიან ვუყვარვარ. ადრე „ბერიკებშიც“ ვასწავლიდი ცეკვას და თამაშად შემიძლია ვთქვა, რომ მე და პატარები კარგად ვუგებდით ერთმანეთს.

— დღეს მხოლოდ მუსკომედიის თეატრში თამაშობ?

— კი და ძალიან ბედნიერი ვარ ამით (ილიმის)!.. როცა სპექტაკლი — „მარლენ დიტრიხი“ იდგმებოდა, რეჟისორმა დათო დოიაშვილმა დამიძა-



ხა, პიესა წამაკითხა და მითხრა, ამა და ამ როლზე, ვფიქრობ, შენ დამჭირდებიო... მანამდე არც ერთ სპექტაკლში არ ვყავდი ნანახი და მეც დავთანხმდი, რადგან თვითონ როლიცა და სპექტაკლიც ძალიან მომეწონა. მოკლედ, „სარდაფიდან“ დიდ თეატრში ამოვყავი თავი... ამასთან, როგორც ქორეოგრაფმა, რამდენიმე სპექტაკლიც გავაფორმე. ერთ-ერთი იყო — „მაი სპუის, მარტოობის დღესასწაული“.

— ხშირად გინვთ გასტროლები უცხოეთში?

— კი, საკმაოდ... მაისში ხორვატიასა და ესტონეთში მივდივართ; შემდეგ კი, ისრაელსა და ინგლისში წასვლა იგეგმება. თეატრისათვის გასტროლები აუცილებელია, რადგან ხანდახან გარემოს შეცვლა მართლაც, ძალიან გვჭირდება. თან, გასტროლების დროს სცენაზე გაცილებით თავისუფლად ვგრძნობთ თავს — ქართველი მსაყურებელი არ გიზის დარბაზში და ავეთ, რაც გინდა (იციან)... ამიტომ, საზღვარგარეთ ბევრად უფრო კარგი სპექტაკლები გამოგვდის.

— რატომ?

— აქ სცენაზე ერთი სიტყვა თუ „გადაგიბრუნდა“, არათუ მსაყურებელს, შენც გეცინება. უცხოეთში კი მსაყურებელს შენი ენა არ ესმის და მთავარია, რომ ემოცია და მუხტი გადასცე. ესეც არ იყოს, ქართველი მსაყურებელი ძალიან კრიტიკულია, ტყუილად ტაშს ვერ დააკრევიან. საბოლოო ჯამში, სცენაზე ხომ იმიტომ ვდგავართ, რომ ტაში მივიღოთ... მსაყურებელი აპლოდისმენტებით ნაშრომს გვიფასებს!

— წელან ვითარ, საზღვარგარეთ ძალიან მიზნევიო...

— მართლაც, ძალიან დაბნეული ვარ, ტკიპასავით ვეკიდები იმას, ვინც უცხო ენა იცის. მე არ ვიცი და თუ სადმე დავიკარგე, „ჰელოუსა“ და „გუდბაის“ გარდა, ვერაფერს ვიტყვი (იციან). ერთხელ, პირდაპირ ჩემს სასტუმროსთან ვიდექი და ვამბობდი, — არა, ეს ის სასტუმრო არ არის, სადაც მე ვცხოვრობ-მეთქი... თბილისშიც ხშირად ვიბნევი. ბევრჯერ მეგობრის



ეს ჩემთვის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია...

სახლის კართან მივსულვარ და უკან დავბრუნებულვარ, არ არის ეს ის კარი, არ არის-მეთქი (იციან). კიდევ კარგი, მობილური ტელეფონი არსებობს — ვრეკავ და ვწუნუნებ, მიშველეთ-მეთქი. ისე, ხშირად მიფიქრია, სხვა ქვეყანაში წავსულიყავი, მაგრამ ვინაიდან ჩემი მარტო გაშვება არ შეიძლება, ყოველთვის თავს ვიკავებ. ეს ერთადერთი მიზეზი იყო, რომლის გამოც უარი ვთქვი საზღვარგარეთ სწავლაზე.

— აჩიკო, ახალ ფილმზე „ოცნების ქალაქი“ მოგვიყვი.

— ეს ჩემთვის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია... მოკლედ რომ გითხრა, კიდევ ერთი კარგი ქართული მელოდრამა შეიქმნა. თვით ფილმის გადაღება ძალიან სასიამოვნო და სინტერესო პროცესი ყოფილა, მაგრამ ბევრად უფრო დამლელი, ვიდრე თეატრი: ერთსა და იმავე სცენას სხვადასხვა რაკურსით იღებენ, რასაც ბევრი დუბლი სჭირდება; არც ერთ გადაღებაზე არ უნდა იზარმაცო, რადგან არ იცი, მონტაჟის დროს რომელი კადრი დარჩება ფილმში... სცენაზე კი, თუ რომელიმე ეპიზოდი ჩაგივარდა, გაქვს საშუალება, გამოასწორო, კინოში ეს არ ხდება და მოშვების უფლება არ გაქვს. ვინაიდან ეს ფილმი ჩემთვის პირველი ნამუშევარია, ძალიან ვლეღავ, არ ვიცი, მსაყურებელზე რა შთაბეჭდილებას დატოვებს. კინოში კიდევ ვითამაშებდი დიდი სიამოვნებით. არ

მეგონა, თუ ასე მომეწონებოდა. — **ფილმში, შენი პარტნიორი ნანკა კალატოზიშვილია, რომელთან კოცნის სცენის გადაღება ყველაზე მეტად გაგჭირვებია...**

— კი, მართალი ხარ. ნანკა ძალიან ახლო მეგობარია და ჩემთვის, მისი კოცნა „ინცესტის ტოლფასი“ იყო (იციან)... გადაღება რომ დავიწყებ, საკუთარ თავს ვამხნევებდი, — ერთი „მპუა“ და მორჩა, მეტი არაფერი იქნება-მეთქი, — მაგრამ გეგმები ჩამეფუშა: კოცნა ყველა რაკურსით გადაიღეს და ეს პროცესი არა და არ დამთავრდა! ბოლოს, ორივე გადავირიეთ, უკვე ნერვიულობის თავიცი აღარ გვქონდა (იციან)... ფილმი კინოეკრანებზე 14 აპრილს გამოვა და იმედი მაქვს, ბევრი მოიწონებს ჩვენს ნამუშევარს.

— ისიც გავიგე, აჩიკოს კამერის წინ ტანსაცმელი ვერაფრით გაახდევინესო...

— (იციან) ჩემი და შორენას „სექსის“ სცენას ვიღებდით და პრეტენზია გამოვთქვი, — მე არ გავიხდი, არ მინდა, ფილმი ამაზე არ არის გათვლილი-მეთქი!.. იმდენი მსაყურებლის წინაშე ნამდვილად ვერ გავიხდიდი: შორენას ნახვის სურვილით, გადასაღებ მოედანზე ძალიან ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი... თან, გადამლები ჯგუფის ყველა წევრი იქ იყო... ბოლოს, წელს ზემოთ გამხადეს და ეს სცენა ასე გადავიღეთ. გამიმართლა, რომ რეჟისორი მამაკაცი იყო: როცა კაცურად დაველაპარაკე და აუფხსენი ყველაფერი, ისე პროფესიონალურად გადაიღო, ვერავინ მიხვდება, იმ სცენაში გახდელი რომ არა ვარ.

— უახლოეს მომავალში შენგან რაიმე სიახლეს ხომ არ უნდა ველოდოთ?

— ზაფხული „ჩაგარდნილი“ პერიოდია მსახიობისათვის, სიახლეებს ჩემგან უფრო, სექტიმბერში უნდა ელოდოთ. წინასწარ არაფერს ვიტყვი, მაგრამ თუ რამე იქნება, თქვენ ჩემზე ადრე გაიგებთ, ასე არ არის (იციან)!.

ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ როლებს ვასრულებ





ვარსკვლავებისთვის პლასტიკური ქირურგია ნამდვილი ხსნაა

ის, რომ ცნობილი ადამიანები — მსახიობები, მომღერლები, ტელენამყვანები პლასტიკურ ქირურგებს მიმართავენ, უკვე დიდი ხანია, ჩვეულებრივ ამბად იქცა. ის კი არა და, პლასტიკური ქირურგია გარეგნული ფორმის შესანარჩუნებლად აუცილებელიც კი გახდა. შოუბიზნესი ამოსუნთქვის უფლებას არავის აძლევს. ქალები და მამაკაცები ერთნაირად კარგად უნდა გამოიყურებოდნენ! კლინიკებს ხშირად სრულიად ნორჩი „ვარსკვლავებიც“ კი აკითხავენ, არათუ ესტრადისა და კინოს ვეტერანები! მათთვის პლასტიკური ქირურგია ზოგჯერ ნამდვილი ხსნაა.



ალ პაჩინო — პლასტიკურ ქირურგთა მუდმივი პაციენტი

გამონაკლისს არც ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი ალ პაჩინო წარმოადგენს, რომელმაც პლასტიკური ქირურგიის დახმარებას მრავალჯერ მიმართა. ასაკი თავისას შვრება, მაგრამ ალ პაჩინო მას არ ნებდება. ხანდაზმული მსახიობი კინოში დღესაც აქტიურად მოღვაწეობს, ბევრს თამაშობს და მის შემოქმედებას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს, ამიტომ პლასტიკური ქირურგიისთვის ხშირად მიუმართავს. ბოლო წლებში მას გაკეთებული აქვს: სახის კანის გადაჭიმვის ოპერაცია (ფეისლიფტინგი), ბლექფაროპლასტიკა (თვალის ქუთუთოების გადაჭიმვა) და ნიკაპის ლიპოსაქცია. გარდა ამისა, გემრიელ საჭმელებზეც ვერ ამბობს უარს, ამან კი იქამდე მიიყვანა, რომ ზედმეტი კილოგრამები მრავალგვარი დიეტის საშუალებებითაც ვერ მოიცილა და ამ მიზნითაც პლასტიკურ ქირურგებს მიმართა — მუცლის ლიპოსაქცია და აბდომინოპლასტიკა (მუცლის კორექცია) ჩაიტარა. ვინ იცის, იქნებ სწორედ პლასტიკური ოპერაციების წყალობაა, რომ ალ პაჩინოს ნიჭით ტკბობა კვლავ შეგვიძლია, — ადამიანის სხეულის ნაკლი ხომ ევრანზე უკეთესად ჩანს. მით უმეტეს, რომ ალ პაჩინოს სწორედ ის უყვარს, რაც

მავნებელია: ალკოჰოლი, სიგარეტი, ნუგბარი და ქალები... ის ნამდვილი ოპტიმისტიცაა, ფულიც არ აკლია და ამიტომ შეუძლია, ძვირად ღირებული ოპერაციების გაკეთების უფლება მისცეს თავს! მიმზიდველი ასაკოვანი მამაკაცი ქალებს დღესაც მოსწონთ. ის ახალგაზრდულად გამოიყურება და ახალგაზრდა გოგონებთან ერთადაც ხშირად უნახავთ. ქალებისადმი სიყვარულს არც თავად მალავს...

სილიკონის ღიღება

ამერიკაში ყველაზე ცნობილი მკერდის პატრონმა — პამელა ანდერსონმა პოპულარობის მოსახვეჭად, სხეულის კორექციის არაერთი ოპერაცია, მათ შორის, რინოპლასტიკა ჩაიტარა. პლასტიკურ ქირურგიული მაქსიმალიზმისა და სხეულის მეტისმეტად არაბუნებრივი ფორმებისადმი მისწრაფების გამო მას ბევრი კიცხავდა, მაგრამ სხეულში სილიკონის რაოდენობის მიუხედავად, სილამაზის ეტალონად მაინც ძალზე დიდხანს რჩებოდა. ტელეეკრანებიდან და „პლენობის“ ფურცლებიდან პამელას მკერდმა უამრავი მამაკაცი მოაჯადოვა... სხეულის სრულყოფისთვის ზრუნვა პირველი ჰონორარის აღებისთანავე დაიწყო. ცხვირიდან კეხი მოიშორა და ფორმა შეიცვალა. მაგრამ პამელა ანდერსონის მთავარი და ყველაზე ცნობილი

„მიღწევა“ მისი მკერდი იყო. ესტეტიკური შრომის იარაღი პამელამ არაერთხელ გაიდიდა და იდეალსაც მიაღწია. მართალია, მისი მკერდი ნატურალური არ არის, იქნებ მეტისმეტად დიდი და არაბუნებრივიცაა, მაგრამ მან მსოფლიოს, პლასტიკური ქირურგიის სასწაული გააცნო!

პლასტიკური ოპერაციები ბევრად უფრო ადრე კეთდებოდა, ვიდრე ამერიკის პატარა, მიყრუებულ ქალაქში დაბადებული უბრალო გოგონა მედიცინის ამ მიღწევით სარგებლობას გადაწყვეტდა, მაგრამ მილიონობით ქალმა სილიკონის ბიუსტის სასწაულებრივი ძალა სწორედ პამელა ანდერსონის წყალობით გაიცნო. ქირურგიული ჩარევებისადმი ძალზე უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, პამელას მკერდის არაბუნებრივი ზომით ნაქეზებულმა მილიონობით ქალბატონმა ცხოვრების შეცვლა და პლასტიკური ოპერაციის გაკეთება გაბედა. პამელას მიერ დაწყებული „სილიკონის ბუმის“ გამო, ექიმები იძულებულნი იყვნენ, იმპლანტანტების სრულყოფაზე ეზრუნათ, რათა მათი პაციენტების მკერდი მაქსიმალურად რეალისტური ყოფილიყო... პამელამ მკერდის კორექციის ქირურგიული ოპერაცია არაერთხელ ჩაიტარა. პლასტიკური ოპერაცია დაუნდულებზე, თეძოებსა და ტუჩებზეც აქვს გაკეთებული. ანდერსონმა, როგორც მსახიობმა და მოდელმა მოიხვეჭა სახელი. ზოგი ამბობდა, რომ უნიჭოა, ზოგი გასაბერ თოჯინას ადარებდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — უბრალო გოგონამ ჯერ ჰოლივუდი, შემდეგ კი მთელი მსოფლიო დაიპყრო, მრავალი მილიონი დააგროვა და ამაში სწორედ სილიკონი დაეხმარა.

პამელა ახალგაზრდა აღარ არის, მაგრამ მისდამი ინტერესი დღესაც არ განელებულა, რადგან მსახიობმა დაამტკიცა, რომ მარადიული სილამაზის შენარჩუნება ესტეტიკური მედიცინის საშუალებებითაც შეიძლება... მისი სახელი საზოგადოებაში დღესაც არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი კვლავ პოპულარული რჩება.





ცხოვრება

სიყვარულის დღე

მარი ჯაფარიძე

საშინელი სიზმარი

აბაზანის კიდეზე ვიდექი და ჩემს საცვლებს თოკზე ვფენდი. ვცდილობდი, ისე გამეფინა, რომ ერთმანეთში არ გადახლართულიყო. საცვლები საკმაოდ ძვირად ღირებული და ცნობილი ბრენდის გახლდათ და საგანგებოდ, განსაკუთრებული შემთხვევისთვის ნაყიდი. თუმცა, ამის შესახებ მოგვიანებით გიაპობოთ.

კარგ გუნებაზე ვიყავი. მე და ჩემი ქმარი ახლახან დავბრუნდით საქონილო მოგზაურობიდან.

ამ დროს ზურგზე მხერვა ვიგრძენი. თითქოს შუბი დამასო ვილაცამ.

— ვინ ფენს საცვლებს ასე სასაცილოდ? — ამ ხმის გაგონებაზე ლამის მუხლები მომეკვეთა — თეთრეული ყოველთვის უკუღმა პირით იფინება.

შემოვბრუნდი. ჩემს ზურგს უკან ჩემი დედამთილი იდგა და თავისი „ალერსიანი“ მზერით მბურღავდა.

თითქმის 1 კვირაა, რაც გავთხოვდი. სასაცილოა, არა? სხვა ჩემ ადგილას გაჩუმდებოდა, მაგრამ მე არ ვიქნებოდი მე, თუ ბოლო სიტყვა ჩემი არ იქნებოდა.

— დედამ მასწავლა, რომ თეთრეული წალმა პირით უნდა დავფინო, რადგან შიგნითა მხარე ტანს ეხება.

— სასაცილოა... წალმა პირით დაფენა სისულელეა...

დედამთილმა ხელი მკრა და აბაზანის კიდიდან ჩამაგდო. პირდაპირ ქაფიან წყალში ჩავვარდი. ჩავვარდი და... გაფრინდი. ისე დიდხანს მივფრინავდი, რომ დავილაღე კიდეც. უამრავი საინტერესო რამ ვნახე, ვიდრე მივფრინავდი. აბაზანაში ჩარჩენილი წყალი იმ შადრევნის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა, სადაც მე და ჩემი ქმარი ვისხედით რამდენიმე

დღის წინ, საქონილო მოგზაურობის დროს... შადრევნის აუზში ჩავვარდი და ირგვლივ მიმოვიხედე. იქვე რეზინის ჩექმაში გამოწყობილი მამაკაცი დავინახე. ის იდგა და შადრევნის აუზში თევზაობდა.

— მოგეხმარებით, — მითხრა და ხელი გამომიწოდა. მისი სახის შეთვლიერება ვერ მოვახერხე, რადგან თავზე ჩამოფხატული, გახუნებული პანამა ხელს მიშლიდა. არ დავლოდებოვარ, როდის მომიახლოვდებოდა. ტანზე აკრული წყალმცენარეების მოცილება დავიწყე...

და გამეღვიძა...

ცხალი

საწოლში წამოვჯექი და სახის წინ ხელი გავიქნიე. თითქოს საშინელი ზმანების განდევნას ვცდილობდი.

ღმერთო ჩემო, კიდეც დიდხანს უნდა დამტანჯოს ამ მოგონებებმა? ლამის 100 წელია, რაც ჩემი „ძვირფასი და განუმეორებელი“ ქმრისგან წამოვედი, მაგრამ როგორც კი ამინდი შეიცვლება ან საესე მთვარე გამოჩნდება, მაშინვე თავს მახსენებს წარსული. იატაკზე ფანჯრიდან შემოსული მთვარის შუქი განწელილიყო. უზარმაზარი მთვარე მთელი თავისი მშვენიერებით ჩემს ოთახს ანათებდა...

ავდექი და ჟალღუბი ჩამოვუშვი.

ძილი აღარ მინდოდა. თითქოს ჩემს

აზრს გამოეხმაურაო, გუგულმა ჩახლუჩილი ხმით მაუწყა, რომ ლამის 3 საათი იყო. ეს ის დროა, როცა ადამიანს ყველზე მეტად ერევა ძილი. მე კი...

სამზარეულოში გავედი და ჩაიდან ჩავრთე. ძილი საბოლოოდ დამიფრთხა. არადა, გამოძინებას ვაპირებდი, რათა დილით კარგ ფორმაში ვყოფილიყავი. არა, რაც მართალია, — მართალია, ისედაც არ გამოვიყურები ცუდად, მაგრამ მაინც...

ხვალ მე და ფატი რესტორანში წასვლას ვაპირებთ. სიყვარულის დღე თენდება და მეგობრებს მოლხენა გვექონდა გადაწყვეტილი. რა თქმა უნდა, ასეთ დღეს რესტორანში თავყვანისმცემელთან ერთად ჯობია წასვლა, მაგრამ მე და ფატი თავისუფალი, უკაცო ქალები ვართ...

ყავის ფინჯნით ხელში სამზარეულოს დივანზე, კუთხეში მოვეწყე და ინტერესით დავინყე ახლახან ნაყიდი ჭურჭლის სარეცხი მანქანის თვალსაჩინოება. ეს ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო, რადგან ამქვეყნად ყველაზე მეტად ჭურჭლის რეცხვას ვერ ვიტან. დღემდე ერთხელ, საღამოობით თავს ვაიძულებდი, ეს საზიზღარი პროცედურა ჩამეტარებინა. ისიც იმიტომ, რომ შემთხვევით შემოხეტებულ ტარაკანს არ მიეგნო და არ ესარგებლა. ისე, სიმართლე რომ ვთქვა, ტარაკანი მხოლოდ სურათებზე მაქვს ნანახი.

უზომოდ მიყვარს სახლში რემონტის გაკეთება და შპალერის გამოცვლა. მაგრამ არ მიყვარს ჭურჭლის რეცხვა... მეზიზღება!

და აი, ჩემი მატერიალიზებული ოცნება სამზარეულოს ერთ კუთხეში, ავეჯს შორის იდგა. თანაც, ეს ადგილი თითქოს მისთვის იყო განკუთვნილი. სულ 45 სანტიმეტრში ჩაუტია. მის საყიდლად 2 დღის წინ ჩემი ბავშვობის მეგობარ ხუცოსთან ერთად წავედი.





საბავშვო ბაღში ჩემი და მისი სა-
ნოლები გვერდიგვერდ იდგა და წყ-
ნარი საათის დროს თავზე საბნებს ისე
გადავიფარებდით ხოლმე, რომ მარტო
ცხვირები გვიჩანდა და ერთმანეთს
საშინელ ამბებს ვუყვებოდით. ისეთი
კარგი მეგობრები ვიყავით, რომ ჩემს
წილ თევზის ქონსაც კი სვამდა. შემ-
დეგ სკოლაშიც გავაგრძელეთ მეგო-
ბრობა. ის ჩემთვის მეგობარიც იყო,
დამცველიც... მაგრამ ცოლად მაინც
სხვას გაყვიე. როდესაც სუცოს ვუთხ-
არი, რომ ვთხოვდებოდი, ამოიხსრა
და მითხრა: „გვიანია, თითზე კბენანი,
ბუსუნა“...

კარგია, როცა ქმარი შენი მეგობარი
ხდება, მაგრამ თითქმის არც ერთი
მეგობარი არ ხდება ქმარი...

ახლა სუცო დიდი ავტოპროფილაქ-
ტიკის მფლობელია და ისევ ისე ვმე-
გობრობთ... მხოლოდ ის მეძახის ბუსუ-
ნას. უკვე მივეჩვიე და არ მწყინს. მამა
ირიშვას მეძახის. დედა — ირმას... მხ-
ლოდ ძველი მეგობარი მეძახის ბუსუ-
ნას...

აი, ფიქრებმა ისევ შორს წამიყვანა.
სულ ასე ვარ. რალაცაზე ფიქრს დავი-
წყებ და ისე შემიტყუებს ხოლმე, აღარც
მასსოვს, თავიდან რაზე ვფიქრობდი.
შესაძლოა, აინშტაინიც ასე იყო და
ფარდობითობის თეორიაც იმიტომ
აღმოაჩინა. ვიდრე მე ფიქრებში
დავეჭროდი, ჩემმა გუგულმა სუთჯერ
ჩამოკრა. გადავწყვიტე, 1-2 საათი მაინც
დამეძინა. დილით სამსახურში უნდა
წავსულიყავი...

თვალუბი რომ გავახილე, მაშინვე
არ ავდექი...

გუგული ჩუმად იყო. ეტყობა, საათი
გაჩერდა... მობილურს დავხედე. ცხრის
ნახევარს აჩვენებდა.

ფატის პირველ საათზე უნდა შევხ-
ვედროდი და ცოტა უნდა ავჩქარებუ-
ლიყავი. არადა, აჩქარებით არაფრის
კეთება არ მიყვარს. ფატი კი ყველაფერს
გაქცევით აკეთებს. 15 წუთში ასწრებს
გამზადებას და სამსახურში გაქცევას.
სწორედ იმიტომ ყველაფერი შინ რჩე-
ბა და ტრანსპორტში აღმოაჩენს ხოლმე,
რომ სხვადასხვა ფესსაცმელი აცვია.
უჰ, ისეთი სასაცმელია... კიდევ კარგი,
სამსახურში ერთი წყვილი ფესსაცმე-
ლი აქვს დატოვებული.

მე კი ასე არ მიყვარს... თუ სადმე
12 საათზე უნდა გამოვცხადდე, 7-ზე
ვდგები... ჩაიდანს ჩავრთავ, ჩაის და-
ვლევ, ნახევარი საათი ტელევიზორს
ვუყურებ, შემდეგ ვისაუბრებ, მაკიაჟს
გავიკეთებ, ჩავიცვამ და შინიდან ისეთ
დროს გავალ, რომ შეხვედრაზე არ
დამაგვიანდეს.

ერთი ცუდი ჩვევა მაქვს: ყველგან
იმაზე ადრე ვცხადდები, ვიდრე საჭიროა.
ადრიანად მივალ და მერე ვიცდი.

დღესაც ადრე მივედი და უკვე 40
წუთია, დავბორიალებ. ქუჩაში უამრავი

წყვილი სეირნობს. გოგონებს თაიგუ-
ლი უჭირავთ, ბიჭები კი თვალბში
უყურებენ და ნაზად უღიმიან.

ვიდრე ფატი მოვიდოდა, მალაზია-
ში შესვლა გადავწყვიტე. კარგა ხანია,
მალაზიებში არ გამივლია, რადგან
ყოველთვის მანქანის გაჩერების პრობ-
ლემა მაქვს, დღეს კი უმანქანოდ ვარ.
თუმცა, სანამ მალაზიაში მივალნე-
დი, ფატიც გამოჩნდა. ძალიან გამიკვირ-
და, ასე ზუსტად დანიშნულ დროს
რომ მოვიდა. მას ხომ ყველაზე მნიშ-
ვნელოვან მომენტში უტყვდება გასაღები,
უფუჭდება „მარშრუტკა“ და მეტროს
ვაგონი გვირბაში იჭედება.

— ავად არ გამხდარხარ? — კვითხე
მეგობარს.

— არაა, სტუმრები მომივიდნენ.
სახლში საშინელი სიტუაცია იყო. დე-
დაჩემის მეგობრები არიან. სხედან და
ახალგაზრდობას ისხენებენ. კიდევ კარ-
გი, დროზე გამოვასწარი, ვიდრე საბ-
ოლოოდ არ დამარწმუნებდნენ, რომ
მათ ახალგაზრდობაში ყველაფერი სულ
სხვაგვარად და უფრო კარგად იყო...

— ჰო, მიძიმე სურათია...

— თანაც, რომ იცოდე, მთელი 3
დღით არიან ჩამოსულები. რა აიტანს
მაგათ? დღეს ნინოსთან დავრჩები
ღამის გასათევად და ხვალ შენთან,
თუ დამტოვებ.

— რატომაც არა?

ტროტუარს ფეხით გავუყვიეთ... კარ-
გი ვქევი, რომ დაბალძირიანი ჩექმა
ჩავიცვი.

რესტორანში საკმაოდ მყუდრო ად-
გილი შეგვხვდა. ძალიანაც კარგი. ჩვენ
მაინც ცრემლის ღვრას ვაპირებდით,
ჩვენი უიღბლობის გამო და მოწმები
სულაც არ გვჭირდებოდა.

— შენთან ახალია რამე? — მკითხა
ფატი.

— არა, უნდა იყოს?

— თმა შეგიღებია.

— მერე რა?

— მერე ის, რომ ძალიან კარგად
გიცნობ. რადგან თმა შეიღებე, ე.ი.
რალაც ხდება.

— არაფერი. სულ არაფერი არ
ხდება. დღეს საღამოს ჭურჭლის
სარეცხი მანქანის ხელოსანს ველოდე-
ბი, მანქანა რომ დაამონტაჟოს.

— ზაფხულში რომ გაიცანი, იმას
კიდევ არ დაურეკავს?

— შეგიძლია, მშვიდად იყო. არ
დაურეკავს.

— არა, ეგ როგორ მოგივიდა, რომ
პიჯაკი გარეცხე, ჯიბიდან მისი
სავიზიტო ბარათი კი არ ამოიღე?

— აი, ასე მოხდა, მაგრამ იმას
თვითონაც ხომ არ დაურეკავს? —
ფატის ხომ არ მოუყვებოდი, როგორ
ვინერვიულე, როცა პიჯაკის ჯიბეში
გარეცხილი „ვიზიტკა“ ვნახე.

— აი, ასე ამბობენ ადამიანები
უარს ბედნიერებაზე, — ფილოსოფი-

ური დასკვნა გააკეთა ფატი.

კონიაკი მოვსვი და ჩავფიქრდი.
უფრო სწორად, ზაფხულის მოგონებებ-
ში გადავევი.

რა თქმა უნდა, ყველაფერს ვამჩნე-
დი, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა და
მეგობარს კითხვებზე პასუხსაც კი ვცემ-
დი. თუმცა, ფიქრებით ძალიან შორს
ვიყავი — იმ ზაფხულის შაბათ დღეზე
ვფიქრობდი. ყველაფერი ფატის ბრა-
ლი იყო. რალა დღეს გაახსენდა ეს
ამბავი?

ერთმანეთი გასულ ზამთარს, ინ-
ტერნეტით გავიცანით. სურათები
გავცვალეთ, გავეპრანჭეთ, ერთმანეთს
თავი მოვანონეთ... ვირტუალურად
აღერთოვანებული დავრჩით ორივე.

შემდეგ ის თენახევრით მივლინებ-
ში წავიდა. იქიდან დაბრუნებულმა
შეხვედრა დააჩქარა. მე ამისთვის მზად
ვიყავი. დავინიშნეთ დღე, ადგილი და
დრო.

დანიშნულ ადგილზე, როგორც მწვე-
ვია, ადრე მივედი და ავტოსადგომი
მოვეძებნე, რადგან არ მინდოდა ენახა,
რომ მანქანით მივედი. საკმაოდ კარგი
მანქანა მყავს. ლიმონისფერი „ფოლკს-
ვაგენი — ხოჭო“. 6 წლის წინ ვიყიდე,
მაგრამ ისეთი ლამაზია, ყველა თვალს
აყოლებს. მალაზიების ვიტრინებში
საკუთარ გამოსახულებას ვუღიმიოდი.
ამ დღეს ყველაზე ლამაზი ვიყავი.
არასოდეს მანუხებდა კითხვა — როგორ
გამოვიყურებოდი ამა თუ იმ ტანისა-
მოსში, რადგან მხოლოდ იმას ვიცვამ,
რამაც თავს კომფორტულად ვგრძნობ.
თუ ვინმეს ჩემი ჩაცმის სტილი არ
მოსწონს, ეს მისი პრობლემაა.

დათქმულ ადგილს მივუახლოვედი,
მაგრამ მისვლას ჯერ არ ვჩქარობდი.
არ მინდოდა, პირველი გამოვჭიმ-
ულიყავი. მისი შეხედვა და შორიდან
შეთვალეურება მინდოდა. მაინტერე-
სებდა, როგორ მოიქცეოდა... ვიდრე
ფიქრებში ვიყავი გართული, დათქმულ
ადგილზე უცხო მამაკაცი მივიდა,
რომელიც ძალზე ჰგავდა იმ ფოტოზე
გამოსახულ ადამიანს, რომელიც ინ-
ტერნეტით გამომიგზავნა.

გაოფლილ ცხვირზე პუდრი წავ-
იცხე, სარკეში ჩავხედე და წელი
ნაბიჯით გავემართე მისკენ. რამდენ-
ჯერმე მივუახლოვედი და გავშორდი.
მისი საქციელიდან გამომდინარე მივხ-
ვედი, ან ის არ იყო, ვისაც ველოდი, ან
უბრალოდ, არ მოვეწონე. მეორე შემთხ-
ვევაში, ცხადია, გემოვნება ლალატობს.
ოჰ, ლალატობს და უღალატოს! ასეთი
კაცი არც არაფერში მჭირდება.

როგორც კი გადავწყვიტე, რომ „არ
მჭირდებოდა“, მოვბრუნდი და მანქანი-
სკენ წავიდი.

— ირინა, — ზურგს უკან მომესმა.

— ბატონო, — სახელის გაგონება-
ზე ინსტინქტურად შევბრუნდი.

ეს ის იყო... დათრგუნვილი მო-



მეჩვენა. გარეგნულად კი უფრო გამხდარი... ტარანს ჰგავდა... ტარანი კი არა, ურჩხული უფრო იყო, რომელიც ლამაზ ქალებს იტაცებდა და თავის კოშკში მიჰყავდა. თაიგული გამოიწოდა. ცუდს ვერაფერს ვიტყვოდი, საკმაოდ ლამაზი თაიგული იყო.

— ახლა სად წავიდეთ? — მკითხა მან.

— მომდევნო 3 საათის განმავლობაში საკუთარ იღბალს განდობთ.

— ძალიან კარგი.

ბარში დამპატიჟა. მაგიდასთან დავსხედით, მიმტანს შევევთა მივეცი და გაეჩემდით. აღმოჩნდა, რომ ინტერნეტში მშვენივრად ვკონტაქტობდით და არანაირი ბარიერი არ გვქონდა. რეალურად კი ყველაფერი სხვაგვარად გამოვიდა.

ასეთია ვირტუალური რეალობა და ამას ვერსად გაეცევი.

რამდენიმე წიკა სასმელმა ჩემს კავალერს ლაპარაკის საღერდელი აუშალა და კარგა ხნის განმავლობაში ჰყვებოდა მივლინების ამბებს. წუნუნებდა, რომ ვერა და ვერ იპოვა თავისი მეორე ნახევარი. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 50 წლისაა, შვილები არ ჰყავს იმ მიზეზით, რომ არც ერთი ქალი არ მიიჩნია ღირსად, მისი შვილების დედა გამხდარიყო.

— თქვენ გინდათ თქვით, რომ ისევე აცხილეთ მიზანს? — ვკითხე მე. „მიზანში“, რა თქმა უნდა, საკუთარ თავს ვგულისხმობდი.

— რას ამბობთ, ირინა?!

უნდა გავიქცე! — გავიფიქრე. სასწრაფოდ უნდა გავიქცე, ჩემს მანქანაში ჩავჯდე და ყველა კარი შიგნიდან ჩავერაზო.

ჩემმა კავალერმა როგორც ჩანს ეს ჩემს თვალეზში ამოიკითხა და მიმტანს უხმო:

— ანგარიში მოგვითხანეთ, თუ შეიძლება. ოღონდ — ცალ-ცალკე.

მე ამისთვის მზად ვიყავი და სულაც არ გამკვირვებია.

ჩემი თეფშის გვერდით 100-ლარიანი დავდე, თაიგულიც იქვე დავტოვე და არც დაფშვიდობებივარ, ისე გავემართე კარისკენ.

მან მიმტანს დანახარჯი გადაუხადა და სირბილით წამოიწინა.

— თქვენ არასწორად გამიგეთ. მინდოდა მეთქვა, რომ როგორც იქნა, ასეთ ქალს შევხვდი და ეს თქვენ ხართ. — მაგრამ ჩემთვის არ ხართ — „თქვენ“.

იმის წარმოდგენაც კი არ მინდოდა, რომ ამ მამაკაცის გვერდით აღმოვჩნდებოდი და თანაც — სანოლში. როდესაც ჩემი პირადი ცხოვრება ფიასკოს განიცდის, უხეშობაც შემიძლია.

ის ავტოსადგომამდე მომყვა. მანქანის კარი გამოვალე და სავარძელზე დავუხეთქე. გასაღები გადავატარიალე,

მაგრამ არ დაიქოქა. ძრავი ახმაურდა, ათუხთუხდა და ჩაქრა. თავის ხელში აყვანას ვცდილობდი... სახეზე ნაძალადევი ღიმილი გამოიშალა. „გამწოვის“ ღილაკს ხელი დავაჭირე, რამდენიმე წუთს ასე გავაჩერე, გასაღები გადავატარიალე და აქსელერატორის სატერფულს ფეხი მივადგი. „მიდი, ჩემო გოგონა, ჩემო ლამაზო და ერთგულ“... ვამხნევებდი ავტომობილს... არ მილაღატა და დაიქოქა.

მოსერხებულად მოვაბრუნე მანქანა ჩემგან მიტოვებული მამაკაცის თვალწინ და წამოვედი. სამახსოვროდ კი ცისფერი კვალი დავუტოვე.

ეჰ დროა, კარბურატორს მივხედო...

მანქანა რუსთაველზე, ფოსტის წინ გავაჩერე და ფეხით გასეირნება გადავწყვიტე. მალაზიაში შევედი და უამრავი „ბუზდელუშკა“ ვიყიდე. ყოველთვის ასე ვიცი, თუ ცუდ ხასიათზე ვარ, ყველაფერს ვყიდულობ, რაც მომიწონება. სამაგიეროდ, მერე საჩუქრის პრობლემა აღარ მაქვს. შემდეგ ნაყინი ვიყიდე და ტროტუარზე ჩამოვვდექი, საჭმელად. დაცხა...

იქვე, შადრევანთან უამრავი ბავშვი ირეოდა. ქალაქის მერმა ბრძანება გასცა, რომ ქალაქში არსებული სიცხის გამო შადრევანის აუზში ბანაობის უფლება ყველას ჰქონდა. ის კი არა და, წინა დღეებში სასმელი წყალიც დაარბიეს უფასოდ. ბავშვების ყურებამ წელანდელი შეხვედრაც დამავიწყა. ნაყინი შევჭამე, ქალაქი დავეჭმე და ურნაში ჩასაგდებად მივბრუნდი. მაშინღა შევნიშნე, რომ ჩემ გვერდით, ტროტუარზე ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა. მუხლებზე ლამაზი თაიგული ედო. რატომღაც მომიჩვენა, რომ ეს თაიგული ვილაცას ზურგზე რამდენჯერმე დაჰკრეს. მივხვდი, რომ თავს ცუდად გრძობდა. ისიც კი დავინახე, ნიკაბიდან ცრემლი მოსწყდა და ძირს დაეწვეთა.

მხარზე ფრთხილად შევეხე. ხელი მოიცილა და შემომხედა.

ამ დროს უეცრად დაიქუხა და წვიმა წამოვიდა. თავსმა იყო. უცნობმა მამაკაცმა თავისი პიჯაკის ქვეშ შემოფარა. წვიმა ისევე უეცრად შეწყდა, როგორც წამოვიდა. მე კი ისევ ისე ვიყავი შეუფუჭი მისი პიჯაკის ქვეშ. მისგან მოცილება აღარ მინდოდა. ძალიან სასიამოვნო სურნელი ჰქონდა: გემრიელი, ტკბილი, მიმზიდველი...

მას იმ მამაკაცის სურნელი ჰქონდა, ვისაც სიამოვნებით გავუჩენდი შვილებს და კრძალს მოვუშაადებდი. თავი ვაიძულე და ოდნავ განზე გავდექი.

— ვინ ხარ? — ვკითხე და თვალეზში ჩაახედე.

— გიორგი.

— მე ირინა ვარ.

— მოდი, სადმე წავიდეთ, აქ ჯდომამომწყინდა.

...და ეს ყველაფერი სიზმარი არ იყო.

თბილისი მოვიარეთ. ზოოპარკშიც კი ვიყავით. კაფეში შევედით და ნაყინი ვჭამეთ... ერთმანეთს ვაკოცეთ კიდეც. ასეთი ლამაზი დღე ცხოვრებაში არ მქონია.

თითქოს ეს ყველაფერი პირველად ვნახე. ერთმანეთს არაფერს ვეკითხებოდით. უბრალოდ, ამ გადარეულ ქალაქში ერთმანეთი ვიპოვეთ.

* * *

— შენ ახლა აქ არ ხარ, — ფატის ხმამ ფიქრებიდან გამომარკვია, — ნასვლის დროა. ხომ არ დაგავინყდა, რომ ჭურჭლის სარეცხი მანქანის ხელოსანი უნდა მოვიდეს?

დანახარჯი გადავიხადეთ, ერთმანეთი გადავკოცნეთ და სახლებში წავიდით.

მეტროს ვერ ვიტან, მაგრამ ახლა ყველაზე მოსახერხებელი ტრანსპორტი ჩემთვის სწორედ მეტროა.

ვაგონში დავჯექი და ისევ ფიქრებში წავიდე.

გიორგი აღბათ შეურიგდა იმ გოგოს, ვინც ნაჩუქარი თაიგულით სცემა. მე კი გეგმებს ვაწყობდი. გამარჯობა შენი... ვის სჭირდები?

შესასვლელი კარი ზურგს უკან მივხურე და ის იყო, ჩემმა გავისადე და პალტო საკიდოდ დავკიდე, რომ კარზე დააკაუნეს. ეტყობა, ხელოსანს ერთი ნაბიჯით მოვასწარი.

ხელოსანმა გამარჯობაო, ჩაიბურტყუნა და სამზარეულოსკენ წავიდა. ინსტრუმენტებიანი ჩანთა იატაკზე დადო და შემობრუნდა...

ეს გიორგი იყო.

ის ჩემზე არანაკლებ გოცნებული ჩანდა.

— შენ ხარ?

— შენ ხარ?

ერთდროულად ვიკითხეთ.

ისე თბილად გადამხვია, თითქოს დიდი ხნის უნახავი ნათესაები ვიყავით.

— დღეს ბევრი გამოძახება მქონდა. საშინლად მომშივდა. იქნებ რამე მაჭამო? — მითხრა მართლა შინაურივით.

ეს ის იყო, რაზეც ვოცნებობდი.

— წვნიანი და კატლეტი მაქვს. შეჭამ?

— გადასარევი მენიუა.

შვებით ამოვისუნთქე და საკუთარ თავს ვუთხარი, რომ სიყვარულის დღე გრძელდებოდა.

პ.ს. აღმოჩნდა, რომ ზაფხულის იმ დღეს, როცა მე და გიორგი ერთმანეთს დავვხვდით, „მარშრუტკაში“ მისთვის საფულე ამოუცლიათ, რომელშიც ჩემი სავიზიტო ბარათი ედო.

მაგრამ მას, ვინც ჩვენს ცხოვრებას ზემოდან აკვირდება, სურდა, რომ ჩვენ ერთმანეთს ისევ შევხვედროდით.



მკვლელები

თბა სურსილავა

რეალურ აზროვნება დაყრდნობით

ნესტიან საკანში მარტო აღმოჩნდა, უკვე მერამდენე ღამეს ათევდა თეთრად ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავდა, შიგნიდან მოწოლილ ბოლმასა და ტკივილს ვეღარ უძლებდა. არაადამიანური ბლავილი ცოტა ხნით შევებას ჰგვრიდა, რკინის კარს მუშტებს ძლიერად უშენდა, მერე ციკვ, ნახევრად სველ კედელს მიენარცხებოდა, ნელ-ნელა ძალა გამოეცლებოდა და იატაკზე მოადენდა ბრაგვანს... და ისევ თავიდან ინყებოდა ყველაფერი. სხვა საკნებში მყოფ პატიმრებს, განსაკუთრებით ღამით, მისი სასონარკვეთილი ხმა მოსვენებას უკარგავდა, ვერ იძინებდნენ.

— ამის ღრიალმა არ უნდა დაგვაძინოს?! ჩემი გასაჭირი მყოფნის, ძმაო; არ მინდა, ამის ყვირილს ვუსმინო, — გაბრაზებული პატიმრები ერთმანეთს შესწიოდნენ და იგინებოდნენ.

— კარგი, ბიჭებო, შეიცოდეთ, ხომ ხედავთ, სანყალი რა დღეშია, მგონი, შეიშალა, — ჩაილაპარაკა თანამოსაცემე და სიგარეტს მოუკიდა.

ზვიად შუბითიძის (გვარ-სახელები შეცვლილია) აზრები მთელმა ციხემ იცოდა. ზორბა აღნაგობის ზედამხედველი უკვე მერამდენედ ალებდა მეთხუთმეტე საკნის „კარმუშკას“.

— შუბითიძე, თუ არ გაჩუმდები, კარცერში გიკრავ თავს! პატიმრები დააძინე და შენც დაიძინე. ხვალ პროცესზე გინევს გასვლა, — უთხრა მორიგემ, ისევ ჩარაზა რკინის სათვალთვალო და აქეთ-იქით ჩამწერივებულ საკნებს ნელი სვლით ჩაუარა...

მეორე დილით, ერთმანეთს მიყოლებით რამდენიმე რკინის კარი ღრჭიალით გაიღო. ირგვლივ სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურებინა. მორიგე მეთხუთმეტე საკანთან ისევ შეჩერდა და ზვიადს შესძახა:

— მოემზადე, უნდა გაგიყვანოთ. არავინ უპასუხა, რკინის კარი ფართოდ გააღო და თანამშრომელთან ერთად, ნესტიან საკანში შევიდა. მკრთალად განათებულ კუთხეში ახალგაზრდა ბიჭი ძირს ეგდო, უმეტყველო გამოხედვა ჰქონდა, თითქოს ირგვლივ მყოფები ვერც კი შენიშნა.

— ადექი, პროცესზე უნდა გაგიყვანოთ, — შეაფხიზლა ხმამ ფიქრებში წასული ზვიადი.

„ნეტავ, რამდენ წელს მიუსჯიან ამ უბედურს? როგორი ახალგაზრდაა და მთელი ცხოვრება ციხეში უნდა გაატაროს“, — გაიფიქრა ციხის თანამშრომელმა.

ზვიადი უცებ წამოდგა, ნერვულად მუშტები კედელს ძლიერად დაარტყა, სახეზე წყალი შეისხა. არც კი შეუშმრალეობა, ისე გავიდა დერეფანში. მძიმე ნაბიჯით მიჰყვებოდა ბადრაგს, მის უკან მეექვსე რკინის კარი დაიკეტა და ეზოში აღმოჩნდა.

დღის სინათლემ თვალები მოსჭრა. საბადრაგო სამსახურის მანქანაში ასვლამდე სუფთა ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა და...

ცოტა ხანში უზენაესი სასამართლოს დიდ დარბაზში, გისოსებიან გალიაში იჯდა.

ბოლთას სცემდა, იმ მძიმე ტრაგედიის შემდეგ პირველად უნევედა ახლობლების ნახვა. დარბაზი თითქმის საესე იყო, პერიოდულად თვალს იქითკენ აპარებდა. მხოლოდ რამდენიმე ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი. დარბაზში ბევრი მართლაც, სერიის საყურებლად იყო მოსული.

მთელი სხეული უცახცახებდა, სული ეხუთებოდა, ჟრუანტილმა დაუარა, სიმწრისგან ხელისგულები დაენამა, კედელზე თავის მიხეთქების სურვილმა შეიპყრო, მაგიდას ორჯერ მუშტი ძლიერად დაარტყა და სკამზე მოწყვეტილი დაეშვა.

დაზარალებულის სკამზე მისი და, ლელა შუბითიძე დაძაბულად იჯდა, ნერვულად ცქმუტავდა. პერიოდულად სევდიან მზერას ძმას მიაპყრობდა და სახეზე სინითლე გადაურბენდა. ზვიადს თვალებს ვეღარ უსწორებდა.

მას კი დღის თვალებიდან მხოლოდ თანაგრძობის ამოკითხვა სურდა.

„ლელამ ზურგი თუ შემაქცია, რაღა მეშველება“, — ეჭვები გულს უღრღნიდა. პროცესის ყველა მონაწილე თავის ადგილზე იჯდა და მოსამართლის შემოსვლას ელოდა. ზვიადმა ადვოკატს გადაულაპარაკა, მერე ხელის კანკალით ჯიბიდან დაჭმუჭნილი ფურცელი ამოიღო და მიანოდა.

ლელას ეს არ გამოჰპარვია, ცნობის-მოყვარეობამ სძლია, აინტერესებდა, რა ქალაქი გადასცა ადვოკატს.

— ფეხზე ადექით, სასამართლო მოდის, — თქვა მდივანმა და დარბაზში ერთმანეთის მიყოლებით შ მოსამართლე შემოვიდა.

...18 წლის ბიჭს ორი ადამიანის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისთვის ასამართლებდნენ. საბრალდებო დასკვნა პროკურორმა გულმოდგინედ ჩაიკითხა. განსაკუთრებული ყურადღება გვამების მდგომარეობას დაუთმო.

— პოლიციამ ქალისა და მამაკაცის ლობოდაწმელები ცხედრები სახლში, ერთ კუთხეში მიგდებული იპოვა, — დაამრცვლით წარმოთქვა პროკურორმა...

არანაკლებ მძიმე მოსასმენი აღმოჩნდა გამოძიების ჩვენება:

— სახანძროს დახმარებით შევალწიეთ ბინაში... ზაფხულის ცხელი დღე იყო. ოთახში საშინელი სუნი ტრიალებდა. ცხედრები ბინის ერთ კუთხეში ეყარა. ზემოდან საბნები და სხვადასხვა ნივთი იყო დაყრილი. დამნაშავეს თითქმის სისხლიანი



კვალის ნაშლა მოეხერხებინა, მაგრამ იატაკზე სისხლის ლაქები იყო. იქვე ეყარა გასროლილი 3 მასრა. მამაკაცს ორი ნატყვიარი, ქალს ერთი სასიკვდილო ჭრილობა — გულმკერდის არეში ჰქონდა. მალე გაიკვვა, რომ დანაშაული შვილმა ჩაიდინა...

იმ დღეს ზვიადი სახლში გვიან მოვიდა. კიდევ ერთხელ არ გაუმართლა — ისევ წააგო ფული თანატოლებთან. იცოდა, მამა უკვე აღარ აბატიებდა, რადგან ამის გამო ბევრჯერ დასაჯა. ფაქტის დამალვა სცადა, მაგრამ ტელეფონში მისი საუბარი მამამ მოისმინა და შვილი სასტიკად სცემა. მევალესთან მისვლითაც დაემუქრა... ჩხუბის შემდეგ ბიჭი სახლიდან წასასვლელად მოემზადა, ნივთებიც ჩაალაგა, მაგრამ კარი ჩუქუტს და ამის საშუალება არ მიეცა. მოგვიანებით მშობლები დასაძინებლად გავიდნენ. სწორედ ამ დროს გადამწყობა მათი მოკვლა. ზვიადმა მამის ორლულთან სანადირო თოფი აიღო, ორი ვაზნა ჩადო, მშობლების საძინებელში ფეხაკრეფით შევიდა, ჯერ მძინარე მამას ესროლა, შემდეგ — დედას, იმ მოსაზრებით, რომ მკვლელობის თვითმხილველი მონმე მოემორებინა. შემდეგ მშობლების გვამების სახლიდან გატანა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო, მხოლოდ სისხლიანი ლეიბები და სხვა ნივთები იმავე ღამით კორპუსიდან მოშორებით მინდორზე გადაყარა და ცეცხლი წაუკიდა... მეზობლები საშინელმა სუნმა შეანუნხა და პოლიცია გამოიძახეს, ასე აღმოაჩინეს ცხედრები...

— უი, უი, სანყალი ხალხი როგორ დაუხოცავს, როგორ უნდა დადიოდეს ასეთი შვილი?! — წამოიძახა დარბაზში შემთხვევით მოხვედრილმა ქალბატონმა, რომელიც სულ სხვა პროცესზე იყო მისული და როცა გაიგო, გახმაურებული საქმე იხილებოდა, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად შემოვიდა.

— დატოვეთ დარბაზი, — გაისმა მოსამართლის მკაცრი ხმა და ქალი კარამდე მანდატურმა მიაცილა.

პროკურორი განსასჯელს საკუთარი მშობლების განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში ახეხლდა.

მოსამართლე შესვენება გამოაცხადა.

განსასჯელის ადვოკატი ლელას მიუახლოვდა და სწორედ ის დაჭმუჭნილი ფურცელი გადასცა.

გოგონას ხელები აუკანკალდა, ფურცელს დახედა და ძმის ხელწერა იცნო, წამიერად გაშემდა, თვალები ტრემლით აევსო, ფურცელი გულში ჩაიკრა და თვა-



ლის ცეცებით, მიფარებულ ადგილს დაუწყო ძებნა. ფანჯრის რაფას მიეყუდა და კითხვა დაიწყო:

„განადგურებული ვარ, ძალიან გთხოვ, ეს წერილი ბოლომდე ჩაიკითხე.“

ხომ იცი, როგორ მიყვარხარ და მინდა, ჩემი გესმოდეს, რადგან ამქვეყნად შენს მეტი არავინ დამჩნა. იცოდე, ფსიქიატრმა თუ დიაგნოზი არ დამისვა, მაშინ უეჭველია, სამუდამო პატიმრობას მომცემენ. გაიგე, ლელა? თუ რამე სასწაული მოხდა და სამუდამო არ მომცეს, მაშინ — 20 წელს... ვიცი, არ ვიმსახურებ, რომ რამეთი დამეხმარო, მაგრამ ის მაინც იფიქრეთ ყველამ, რომ ამქვეყნად ყველაზე ცოდვა ახლა მე ვარ. შენ არ იცი, რა დღეში ვარ. ჩემი ცხოვრება კომპარია, ლამისაა გავვიყოფე. საკანში მარტო ვარ და ჩემი ყვირილი ყველას ესმის. ვერც დღე ვიძინებ და ვერც ღამე, სულ ჩემი მშობლები მელანდებიან, ყველაფერი მაგონდება, ისეთ ხმაზე ვყვირი, რომ ცხის ხედამხედველები მოდიან. როცა ძალიან დავიღლები, უგონოდ დავგვადები ხოლმე... ასეთი ცხოვრება მერგო და ასეთი უბედური ვარ. იმ ამბის შემდეგ ფანჯრიდან გადახტომა და სიკვდილი მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი. შენ ხომ იცი, როგორი ეგოისტი და მშობარა ვარ. ლელა, თავს გაუფრთხილდი, შენ გვერდით არავინ დაგრჩა და ჩვენი მშობლების სიცოცხლებს გეფიცები, შენზე ვერვიყოლობ. შენ მაინც იცი, რამ მიმიყვანა აქამდე. ჩემზე ნუ ინერვიულებ. გაკოცე“.

უცნაურად ჟღერდა, მაგრამ ზურა დახოცილ მშობლებს ფიცულობდა...

ლელას თვალები ცრემლით აევსო და მწარედ აქვითინდა. ყველაფრის მიუხედავად, დედ-მამის მკვლელობა ყველაზე მეტად ამქვეყნად მას ეცოდებოდა...

...ლელას დაკითხვის დროც დადგა. ზვიადი უფრო ანერვიუდა. არ იცოდა, რას იტყოდა: „ჩემი ძმა ნერვიული ბავშვი იყო. ოჯახურმა მდგომარეობამ მიიყვანა აქამდე, ვერ ხვდებოდა, რას აკეთებდა“, — ასე დაიწყო ლელამ ჩვენების მიცემა და განაგრძო:

— მამას შეეძლო, ზვიადი სახლში დაგვიანების გამოც ეცემა. ის მისი შვილი იყო და ალბათ უნდოდა, კარგად მოქცეულიყო, მაგრამ ზვიადი ამბობდა, გული მწყდება, ასეთი უბედური რომ ვარო. ის ოჯახში შექმნილმა მდგომარეობამ მიიყვანა აქამდე, ვერ საზღვრავდა, რას აკეთებდა. დეტალებში ვერაფერს იხსენებს... ყოველთვის დარწმუნებული ვიქნები იმაში, რომ დედის სიკვდილი არ უნდოდა, მას დედა ძალიან უყვარდა. არ ვიცი, საღჭკუაზე არ იქნებოდა, როცა ეს საშინელება ჩაიდინა. როგორც ვიცი, ნაგებული ფულის გამო მას ეშუქებოდნენ. უთქვამს, თავი უნდა მომეკლა ან მშობლებიო. ვფიქრობ, აქ მიზეზი სხვა რამეა — ჩიხში მოაქციეს და გამოსავალი ვერ ნახა. რეალური ვითარების დადგენა კი არავის უნდა.

ლელას ხმაში ბზარი გაუჩნდა, გული შეეკუმშა, თვალები ცრემლით აევსო. მინ-

ვდა, საუბარს ველარ გააგრძელებდა, თავი დახარა და გაჩერდა.

ზვიად შუბითიძისთვის ყველაზე მოულოდნელი დეიდისა და მამიდის ჩვენებები იყო — ისინი მომხდარში გარდაცვლილებს ადანაშაულებდნენ.

„ბავშვი უმკაცრეს პირობებში იზრდებოდა, თავისუფლებას არ აძლევდნენ, ყველაფრის გამო სჯიდნენ, ხშირად სცემდნენ. ბავშვი პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდა. ვერ ვიტყვი, რომ მშობლებს არ უყვარდათ. ეგონათ, შვილებს კარგად ზრდიდნენ, მაგრამ ბევრი შეცდომა დაუშვეს. ალზრდის მეთოდი არასწორი იყო. შემდეგ, ზვიადი ცუდ ხალხთან მოხვდა და დააბნიეს. მას ხალხთან არასდროს უტრიალია და მგონია, დაიბნა. როგორც მამამისის უწინოდა, ისე ეწიოდა იმ ბიჭების და ვფიქრობ, ჩიხში მოექცა. ისიც წამოსცა, სიკვდილის პირას ვიდევო. ის არ არის პოტენციური მკვლეელი. დიდხანს ვებრძოდი ჩემს თავს, რომ ციხეში მასთან მივსულიყავი. პირველად ინტერესის გამო მივედი — მაინტერესებდა, ამ ტრაგედიის მიღმა რაიმე ხომ არ იმალებოდა, სიმართლის გარკვევას ვცდილობდი. მითხრა: მამიდა, სიყვარული კი შემეძლო, მაგრამ არ ვიცი, ტვინი რამ გადამიტრიალა, რატომ დავხოცე და არც ის მახსოვს, მკვლელობის შემდეგ რა გავაკეთე; ალბათ ყველაფერი შიშმა გამავეთებინა... მინდოდა, ჩემი მშობლები დამემარხა, მაგრამ მიცვალებულს ვერაფერი უზერხებდი, პოლიციაში მისვლა კი ვერ გავებდო“, — ამბობდა მამიდა. თითქმის ამის იდენტური იყო დეიდის ჩვენებაც.

...პროცესი ისე დასრულდა, ზვიადს სასამართლოსთვის მომხდარზე დეტალური ჩვენება არ მიუცია. მისი ადრინდელი ჩვენება მოსამართლემ გამოაქვეყნა, მკვლელობის მიზეზად მამასთან ჩხუბს ასახელებდა.

ყველა მოუთმენლად ელოდა ექსპერტიზის პასუხს, ამაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ექსპერტი წერდა, რომ ზვიადი მკვლელობის მომენტში აფექტის მდგომარეობაში არ იმყოფებოდა და შეეძლო საკუთარი ქმედების გაცნობიერება, თუმცა განსასჯელს ასთენიური აშლილობის დიაგნოზი დაუსვეს.

„ეს დაავადება ბავშვობის ასაკიდან იწყებს გამოვლინებას. ასეთი ადამიანები არიან განსხვავებულნი, მგრძობიარენი, ადვილად ექცევიან გავლენის ქვეშ, მძიმედ განიცდიან უხეშობას და აქვთ არასრულფასოვნების კომპლექსი“, — ეწერა დასკვნაში.

ზვიადს ამ დასკვნის მოსმენის შემდეგ ბოლო იმედი ამოეწურა და სამუდამო პატიმრობის მოლოდინში იყო.

სასამართლო გამოძიება დასრულდა. ბოლო სიტყვისთვის, მოსამართლემ დრო მისცა.

ფეხზე ძლივს წამოდგა, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა, ხელები სიმწრისგან გაეყინა, მთელი სხეული უცაცხაბდა:

— ძალიან ცუდად მექცეოდნენ, განადგურებული ვიყავი. იმ დღესაც მამა წიხლებით მირტყამდა. ამ დროს გამახსენდა, რომ სახლში თოფი იყო. შევიპარე ოთახში, ავიღე და ვესროლე. ეს ყველაფერი უცბად

მოხდა, მეც არ ვფიქრობდი, რომ მოვკლავდი. არ მახსოვს, დედას როგორ ვესროლე... ვნახობ ჩადენილს და არა აქვს მნიშვნელობა, რას მომიხვით, — ძლივს დაასრულა ფრაზა და რკინის გისოსებს მიეყრდნო.

პროკურორმა 19 წელი მოითხოვა, ამას არავინ ელოდა. დარბაზიც სამუდამო პატიმრობის მოლოდინში იყო.

ადვოკატები პროკურორს მაინც არ დაეთანხმნენ და კვალიფიკაციის შეცვლას ითხოვდნენ: „განსაჯელს მამა განსაკუთრებულად ცუდად ექცეოდა, ბავშვურ სიცვლქეს არ პატიობდა და ასეთი სასტიკი მოპყრობის გამო ჩამოუყალიბდა ფსიქიკური ნაკლი, ექიმთანაც მკურნალობდა... მას დეტალურად არ ახსოვს, თუ როგორ მივიდა იქამდე, რომ მშობლები დაესოცა. ეს დანაშაული აფექტში ჩაიდინა,“ — მიიჩნევდნენ ადვოკატები, რომლებიც სახანინო წესით იცავდნენ მას.

ახლა ჯერი მოსამართლეზე მიდგა. ლელას იმედი მიეცა. ყველა ეუბნებოდა, რომ მოსამართლე მოთხოვნილზე ნაკლებს სასჯელს გამოიტანდა.

...განაჩენის დღეც მოახლოვდა. სათქმელი თითქოს ბოლომდე ითქვა. დას კითხვები მაინც ჰქონდა. მკვლელობის მიზეზს ისევ სხვაგან ეძებდა. მისი მტკიცებით, მევალეს ასეთი ულტიმატუმი ჰქონდა მისი ძმისთვის ნაყენებული — ნაგებულ ფულს თუ არ ჩააბარებდა, მშობლები უნდა დაესოცა. ლელა ყველაფრის მიუხედავად, ძმისთვის მინიმალური სასჯელის მისჯისთვის იბრძოდა, მაგრამ მისი ვერსია გამოძიებამ არარეალურად მიიჩნია.

...ზვიადი ისევ ღელავდა, მისი ბედი მოსამართლეზე იყო დამოკიდებული. იმ დილით დიდი ხნის გაუპარსავი წვერი გაიპარსა, თავი მოიწირავდა, სუფთად ჩაიცვა. უნდოდა, დისთვის ეჩვენებინა, რომ მხნედ იყო. მართლა აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, რას მიუხვდნენ. ერთი შეხედვით, სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

ყველა ფეხზე იდგა, დარბაზში უხერხულ სიჩუმეს დაესადგურებინა, მხოლოდ მოსამართლის მონოტონური ხმა ისმოდა... იგი ბოლო ფრაზას მიადგა, თვალი ბრალდებულისკენ გააპარა, წამიერად შეყოვნდა და ზვიადისთვის 20-წლიანი პატიმრობის მისჯის შესახებ გამოაცხადა.

უეცრად დარბაზში ქალის შევიკვლების ხმა გაისმა. ირგვლივ ჩოჩქოლი ატყდა. დარბაზი უკმაყოფილო იყო — მოსამართლემ უპრეცედენტო განაჩენი გამოიტანა, სასჯელი დაამძინა.

ზვიადს ბუნდოვანად ესმოდა გამოთქმული პროტესტი. სასონარკვეთილ დას ჰაეროვანი კონცა გაუგზავნა და დარბაზიდან გაიყვანეს...

— 20 წელი, 20 წელი, — იმეორებდა წარაპარა და ბადრაგის თანხლებით მიუყვებოდა თავისი საწინსკენ მიმავალ დერეფანს. თან უსიცოცხლო თვალებს აყოლებდა სიგრძეზე ჩამწკრივებულ საწინებს, სადაც მის მსგავსად, ასობით პატიმარი ელოდა განაჩენს. თვალწინ კი თავისი ცხოვრების საბედისწერო ფრაგმენტები კადრებივით უტრიალებდა. ამის ამოშლა აღარ შეეძლო...



„ეპერისტზე ღმერთთან ყველაზე ახლოს ვიყავი“

1999 წლის გაზაფხულზე „კავკასია-99“-ის ექსპედიციის წევრები დედამიწის უმაღლესი მწვერვალის — ევერესტის (8848 მ) შტურმზე წავიდნენ. შუალაშე გადასულიყო. მწვერვალამდე რამდენიმე ათეული მეტრი რჩებოდა, მაგრამ სწორედ ეს ბოლო მონაკვეთია ყველაზე რთული. ჟანგბადის ბალონებით მძიმედ სუნთქავდნენ. ყოველი მომდევნო ნაბიჯის გადადგმა უფრო და უფრო ჭირდა. ქედზე ძლიერმა ქარმა დაუბერა, კარგა ხნით შეჩერდნენ. მწვერვალამდე დროულად უნდა მიეღწიათ. იქ ცოტა ხანს გაჩერდებოდნენ და შემდეგ ქვევით დაეშვებოდნენ. დაშვება უფრო სახიფათოა: დალილიმა მთამსვლელებმა შეიძლება, საბედისწერო შეცდომაც დაუშვას. თან მზის ჩასვლამდე ბანაკამდე ჩამოსვლა უნდა მოასწრო.

წინ აფი გიგანი მიდიოდა, შემდეგ — ექსპედიციის უფროსი, ბენო ქაშაკაშვილი და ყველაზე გამოცდილი ლევ სარქისოვი; ბიძინა გუჯაბიძე კი ჩამორჩა, აღარც ეგონა, მეგობრებს თუ დაენეოდა...



პოპი ურანოვივილი

ბიძინა ფილმს იღებდა და გზადაგზა ჩერდებოდა. ვიდეოკამერა უნდა ამოეღო, ხელთათმანები გაესადა, შემდეგ გულის ჯიბიდან შეფუთულ აკუმულატორს ამოიღებდა და წინ წასულ თანაგუნდელებს უღებდა. ყველაფერ ამას რომ მორჩებოდა, ახლა აპარატურა უკან უნდა ჩაეღებინა, რასაც ბევრი დრო მიჰქონდა.

„დედამიწის სახურავზე“ პირველმა აფი გიგანმა შედგა ფეხი. მერე ბენო ქაშაკაშვილი და ლევ სარქისოვიც მიაღწიეს მიზანს. ბოლოს დალილი-დაქანცული ბიძინა გუჯაბიძეც შეუერთდა მეგობრებს. ადგილობრივი დროით 10 საათსა და 30 წუთზე ჩვენმა ოთხივე ალპინისტმა უსაფრთხოდ დალაშქრა ევერესტი.

იმ დღეს ექსპედიციის უხუცეს წევრს — ლევ სარქისოვს 60 წელი და 161 დღე შეუსრულდა. ამ ასაკში მანამდე ევერესტზე არავინ ასულა და თბილისელი მთამსვლელებს გინესის რეკორდსმენი გახდა. ბატონი ლოვა ახლა უკვე 71 წლისაა, მაგრამ კვლავაც მთაში დადის და ალბათ ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება მისი ნაუბარი.

— თქვენი წინს კაცო, წესით, სახლში უნდა იჯდეს ბუხართან

და შვილიშვილებთან ერთობოდეს, თქვენ კი ისევ მწვერვლებისკენ გაგირბით თვალი. რა არის იქ, მთაში ისეთი, რის გამოც გამუდმებით იქით მივინვეთ გული?

— წარმოდგინეთ დათოვლილი ფერდობები, სადაც გარემო მხოლოდ ორი ფერია — ქათქათა სითეთრე და ლურჯი ცა. სუნიც არაფერს არა აქვს. მერე, ცოტა ხანში ჩადისარ ალპურ ზონაში და ფეხს ადგამ მწვანე ბალახს, გრძნობ მის სურნელებას და ამ სილამაზისგან თავბრუ გეხვევა. კავკასიონის, ტიან-შანისა თუ პამირის მთების შემყურეს, უნებლიეთ რერიხის პეიზაჟები გასენდება, ასე შთაბეჭდვად რომ გადმოსცემს ბუნების მთელ მშვენიერებას. ჩემი აზრით, მთებზე ლამაზი არაფერია.

რაც შეეხება ასაკს, გინესის რეკორდების წიგნზე არც ვფიქრობდი. საერთოდ, მთაში რეკორდომანია მიუღებლად მიმჩნია. იქ თავისი მკაცრი კანონებია და ისინი უნდა დაიცვა. უბრალოდ, ისე დაემთხვა, რომ წინა რეკორდსმენს, ვენესუელელ რამონ ბლანკოს ერთი დღით ვაჯობე.

ახლა უკვე მერვე ათეულ წელში გადავდექი, თუმცა თავს კვლავაც ჩინებულად ვგრძნობ. ჩემს ასაკში ბევრ ადამიანს სხვადასხვა ავადმყოფობა აწუხებს, ერთთავად პოლიკლინიკებსა და ექიმებთან დადის, მე კი აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ. ახლანან ძველ მეგობარ ბიძინა გუჯაბიძესთან ერთად, კავკასიონზეც ვიყავი და ორი მწვერვალზე დავლაშქრეთ. ერთიც მინდა გითხრა: არავინ იცის, სად გადის ადამიანის შესაძლებლობების ზღვარი, იგი ყველასთვის ინდივიდუალურია. ამიტომაც, ჩემთვის გაუგებარია,


როდესაც 45-50 წლის ასაკში განურჩევლად ყველას ათავისუფლებენ სამსახურიდან. უფროს თაობას დიდი გამოცდილება აქვს. მაგალითად, ალპინიზმში, ახალგაზრდებს ჩვენ ვასწავლით მთაში სიარულის ტექნიკას. ეს მემკვიდრეობითობა თუ დაირღვა, დიდი ნაპრალი გაჩნდება, რომელშიც მთელი ქვეყანა გადაიჩეხება.

— მთამსვლელობა მართლაც, სპორტის რთული და სახიფათო სახეობაა, ბევრი რამ მთამსვლელების გამოცდილებასა და ოსტატობაზე დამოკიდებული. ალბათ თქვენც გაქონათ ისეთი კრიტიკული მომენტი, როდესაც ჯგუფის რომელიმე წევრის სიცოცხლე ბენზე ეკიდა. საინტერესოა, რას გრძნობდით მაშინ და როგორ მოქმედებდით?

— როდესაც უკვე პროფესიონალი ალპინისტი გახდის და სიკვდილ-სიცოცხლეს ზღვარზე, ურთულესი მარშრუტებიც გავიარე, მივხვდი — მთა მხოლოდ სილამაზით არ არის გამორჩეული, იქ ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობა ძალზე დიდია. რა თქმა უნდა, არ ვფიქრობ, რომ აუცილებლად სადაც ქვა მოწყდება და ვინმეს ქვევით ჩაიტანს, მაგრამ მაინც ყოველ წამს მზად ხარ, რომ დროულად მოქიმიო თოკი, დააზღვიო მენყვილე და ხიფათისგან იხსნა ის თუ სხვა თანაგუნდელი. იცი, რომ ერთად უნდა იყოთ მწვერვალზე ასვლამდეც და საბაზო ბანაკში დაბრუნებამდეც. ყოფილა შემთხვევა — ღამით კარავში თოვლქვეშ გვიწინავს, ხოლო ჩვენ ზემოთ ასეულობით ტონა თოვლის მასაა; არ იცი როდის ჩამოწვება ზვავი და საერთოდ, დილით გაიღვიძებ თუ არა. მიუხედავად ამისა, არავინ გარბის, ყველანი ერთად ვართ... ერთხელ, პამირში ჩემი მენყვილე მოწყდა, რამდენიმე მეტრი იფრინა უფსკრულისკენ, მაგრამ მოვასწარი თოკის დროულად დაჭერა და მისი გადარჩენა. ასეთი შემთხვევები სხვა დროსაც ყოფილა, თუმცა ჩემთან ერთად არასდროს არავინ დაშავებულა. ყოველთვის მომზადებული მივ-

გაგრძელება იხ. გვ. 59





სამყარო

ქველქართული ხელოვნების ნიშუში — შავი კერამიკა

ბატონი როზიზონ იმერლიშვილი შავი ანუ შებოლილი კერამიკის ოსტატია. კერამიკის შებოლივა დღემდე, ქველქართული ტრადიციების მიხედვით ხდება. შავი კერამიკა პირველად 1956 წელს, პროფესორებმა — რეზო იაშვილმა და ალდე კაკაბაძემ, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს. თურმე, შებოლილი კერამიკისგან დამზადებულ ნივთებს საქართველოში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყენებდნენ... ბატონი როზიზონი არა მარტო თავად ამზადებს შებოლილი კერამიკისგან ნივთებს, არამედ თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდებსაც უზიარებს.

„ამ საქმეს აოჯარის საოლა-ინტარნების ბავშვებს ვასწავლი“

ელენე ბასილიძე

— როდის დაიწყეთ კერამიკაზე მუშაობა?

— 17 წლის ვიყავი, როცა მცხეთაში, სამხატვრო კერამიკულ სასწავლებელ-

ში ჩავირიცხე და სწორედ იქ ვეზიარე ამ ხელოვნებას, შემდეგ კი სწავლა სამხატვრო აკადემიაში განვაგრძე... ძალიან მიყვარდა თიხაზე მუშაობა და ყოველთვის მქონდა სურვილი, კერამიკისგან ნივთები დამემზადებინა...

— **სამხატვრო აკადემიაში რა ფაქტორებზე სწავლობდით?**

— მინის დამუშავებას ვსწავლობდი, მაგრამ პარალელურად, კერამიკაზეც ვმუშაობდი. სხვათა შორის, საქართველოში მინის დამუშავებისათვის აუცილებელი პირობები და




დანადგარები დღემდე არ არსებობს. როდესაც გამოფენისათვის მინის ნივთების დამზადება მჭირდებოდა, რუსეთში მივდიოდი... ბევრი კერამიკოსი თიხას თაბაშირით აქანდაკებს, მაგრამ უკეთესია, თუ თიხის ნაკეთობას ფორმას ხელით მისცემ და შემდეგ გამოწვავ. ტრადიციული მეთოდის მიხედვით, ქართველებს თიხის ნაკეთობა სპეციალური ჩარხის მეშვეობით, ხელით ამოჰყავდათ.

— **თიხას სად შოულობთ?**

— კრამიტის ქარხნიდან დამუშავებულ თიხას ვყიდულობ, სახლში მიტანისთანავე კი მას სხვადასხვანაირ ფორმას ვაძლევ. აღსანიშნავია, რომ ყველა ჩემს ნამუშევარს ძირი გაჩარხული აქვს — ძირგაჩარხული ნაკეთობა უფრო მსუბუქი და დახვეწილია. გაჩარხვის შემდეგ, ნაკეთობაზე კომპოზიციებს ვხატავ, მერე ვაშრობ (ამ პროცესს ერთი კვირა მაინც სჭირდება), ბოლოს კი გამოწვავ. პირველი გამოწვის შემდეგ, გაგრილებულ ნაკეთობებს ფერადი ჭიქურით ვხატავ, შემდეგ კი დაახლოებით, 1000 გრადუს ტემპერატურაზე, ღუმელში გამოწვავ. როგორც წესი, შებოლივა გუდრონით ან ხის ნაფოტების მეშვეობით ხდება.

— **ჭიქური მოხატულობისათვის სპეციალ-**





ურთ საღებავებია საჭირო?

— ჭიქურის საღებავში იგივე კომონენტები შედის, რაც მინის შემადგენლობაშია. იგი ფხვიერი ნივთიერებაა, რომელსაც წყალში ვხსნით და ფუნჯების მეშვეობით ნაკეთობის ზედაპირს ვხატავთ...

როგორც ვიცი, დღესდღეობით, შავი კერამიკისგან ნოვებს იშვიათად ამზადებენ...

— სამწუხაროდ, ამ საქმიანობით ძალიან ცოტა ადამიანი დაკავებული და იცით, რატომ? — ხარჯიანი საქმეა და ვერ მუშაობენ... ადრე რელიეფებზე, ფასადების, ინტერიერისა და ექსტერიერის გაფორმებაზე ვმუშაობდი, ვქმნიდი სხვადასხვა კომპოზიციას, დღესდღეობით კი კედლის ან ფასადის ამგვარად გაფორმების სურვილი იშვიათად თუ უჩნდება ვინმეს. ჰოდა, რადგან კედლების გაფორმებას არავინ მთხოვს, სუვენირებზე ვმუშაობ: დოქებს, თეფშებს, განსხვავებულ სასმისებსა და სახილველს ვამზადებ. ჩვენი კლიენტები ძირითადად, უცხოელი ტურისტები არიან.

შეკვეთებს თუ იღებთ?

— შეკვეთებს ადრე უფრო გავძლევდნენ... მე და ჩემი მეუღლე ძირითადად, ნამუშევრებს გამოფენა-გაყიდვებისათვის ვამზადებთ.



თქვენი მეუღლეც კერამიკოსია?

— კი და სხვათა შორის, ჩვენს ოჯახში ყველა ხელოვანია: მეუღლე კერამიკოსია, რძალი — მხატვარი, ერთი ვაჟი მოქანდაკე, მეორე — ხატმწერ-რესტავრატორი; მხოლოდ მესამე შვილმა აირჩია სულ სხვა გზა — ის პროფესიით ჟურნალისტი (ილიმის).

ბატონო რობიზონ, მოსწავლეებიც ხომ არ გყავთ?

— კი. წლების წინ სახელოსნოშიც მყავდა მოსწავლეები — 2-3 ბავშვი დადიოდა ხოლმე და ხელობას სწავლობდა, დღესდღეობით კი ამ საქმეს კოჯრის სკოლა-ინტერნატის ბავშვებს ვასწავლი.


თქვენს სამომავლო გეგმებზე რას მეტყვით?

— სანამ შემქმნელობა, მანამ ვიმუშავებ და სხვებსაც ვასწავლი ამ საქმიანობას. ხელობის გამოცვლას არ ვაპირებ (ილიმის)... ღმერთმა არ ქნას, ამ უძველესი ხელოვნებისადმი ახალგაზრდებმა ინტერესი სრულიად დაკარგონ.

წარმატებებს გისურვებთ!

— დიდი მადლობა.

ჯადოსნური სითხის უამქონელები



იც ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 7 ათასი წლის წინაა შექმნილი და მასზე გამოსახულია ადამიანი, რომელიც ფუტკრის ბუდიდან თავს იღებს. ცნობილი ფაქტია, რომ ბროლისას მოკლული ალექსანდრე მაკედონელის ცხედარი თავლში მოათავსეს და რამდენიმეკვირინი მგზავრობის შემდეგ, მისი გაუხრწნელი სხეული სამშობლოში ჩაიტანეს.

ჰერალდიკაში თავლი და ჭიანჭველა მოთმინებასა და შრომისმოყვარეობას აღნიშნავს.

ფუტკრების შემსწავლელ მეცნიერებას აპილოლოგია (აპიდოლოგია) ჰქვია. დაახლოებით 30 ათასი სახეობის ფუტკარი, ანტარქტიდის გარდა, ყველა კონტინენტზე ბინადრობს. ამ მწერის შესახებ უამრავი მითი და ლეგენდა არსებობს. აღსანიშნავია, რომ ყველა ეგვიპტელი ფარაონი „ფუტკართა მბრძანებლის“ ტიტულს ატარებდა. ფუტკარი სამეფო ემბლემაზე იყო გამოსახული, ხოლო ფარაონის გარდაცვალების შემდეგ, ამ მწერს მის აკლდამაზე გამოსახავდნენ.

ძველი ბერძნები დარწმუნებული იყვნენ, რომ ზევის ჩვილობაში ფუტკრის ნეტრით გამოკვებულს. ხშირად, ცხოველებისა და ნადირობის ქაღალდურ არტემიდესაც ფუტკრის თანხლებით გამოსახავდნენ. თავლის სამკურნალო თვისებები ჰიპოკრატემ შეისწავლა და აღწერა.

პალეონტოლოგთა აზრით, ფუტკრები დედამიწაზე 30 მლნ წლის წინ გაჩნდნენ, ადამიანებმა კი თავლი ჯერ კიდევ ქვის ხანაში გასინჯეს. ესპანეთის ერთ-ერთი გამოქვაბულის კედელზე აღმოჩენილია ნახატი, რომელ-

ზე ფუტკრებს ხშირად, ბანკების სიმბოლოებად გამოსახავენ.

100 გრამი თავლის შესაგროვებლად ფუტკარს 46 კმ-ის გაფრენაც უწევს. ზოგიერთი ჯიშის ფუტკარს საკუთარ წონაზე სამჯერ მეტი ტვირთით ფრენა შეუძლია. ფუტკარი 65 კმ/სთ სიჩქარით დაფრინავს, თავლით დატვირთული — ორჯერ ნაკლები სიჩქარით. ყველის არომატს ფუტკარი 1 კმ-ის მანძილზე გრძნობს. სხვათა შორის, განვრთილი მწერები ნარკოტიკს ადამიანსა და ძალზე სწრაფად, შეუცდომლად პოულობენ. ლაბორატორიებში გაზრდილ ფუტკრებს ისეთ სურათებზე უყვართ „ჩამოჯდომა“, სადაც ყვავილები ხატია, მათი საყვარელი ტილო კი — ვან გოგის „მზესუმზირები“ გახლავთ.

ბუნებაში ალბინოსი ფუტკრებიც გვხვდება. ყოველწლიურად, ამ მწერის ნაკუნისგან უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე — გველის. ფუტკრები „მათემატიკოსები“ არიან: მათ მიერ აშენებული ფიჭის კუთხეები ყოველთვის ტოლია.





ჯალათის პროფესია

შუა საუკუნეების ისტორია ჯალათების გარეშე წარმოუდგენელია. სიკვდილით დამსჯელები ანუ ჯალათები ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტესა და საბერძნეთში არსებობდნენ, მაგრამ ეს თანამდებობა ოფიციალურად, XIII საუკუნეში მიიღეს. ამ დრომდე, ადგილობრივი სასამართლო დამნაშავესა და დაზარალებულს აჩხუბებდა, ბოლოს კი დამნაშავედ იმას აცხადებდა, ვინც ჩხუბისას დამარცხდებოდა. გარდა ასეთი ფორმისა, დასჯის სხვა მეთოდ-



ბიც არსებობდა: დამნაშავეს კიდური მდულარე წყალში უნდა ჩაეყო, ხელი გაეარვარებული რკინისთვის მოეკიდა, სპეციალურად მისთვის მომზადებული სანამლავი დაეღია და ა.შ.

ჯალათი დაქირავებული თანამშრომელი იყო და ხელფასსაც იღებდა (მოკლულის ტანისამოსიც მას რჩებოდა). თუ კერძო პირს მისი დახმარება სურდა, ფანჯარაზე შავ ხელთათმანს უტოვებდა. ხშირად, ეს პროფესია მემკვიდრეობით — მამიდან შვილზე გადადიოდა. საფრანგეთში ჯალათების ყველაზე ცნობილი გვარი სანსონი იყო. სხვათა შორის, ამ პროფესიის ადამიანები ძალზე ცუდი რეპუტაციით სარგებლობდნენ (შუა საუკუნეებში ევროპის ქალაქებში ჯალათები, მეძავეები და მსახიობები უმდაბლეს კასტებად მიიჩნეოდნენ). მათ ქუჩაში განსხვავებული ტანისამოსი უნდა სცმოდათ — პარიზში ცისფერი, ხოლო ესპანეთში წითელარშიანი შავი, ყვითელქამრიანი ლაბადა ეცვათ, რათა ჩვეულებრივი ხალხი მათ გარიდებოდა. ესპანეთში ჯალათების სახლებს წითლად ლეზავდნენ. მათთან დანათესავებას ყველა ერიდებოდა, ამიტომ იძულებულნი იყვნენ, სხვა ქალაქში მცხოვრები ჯალათის ან მესაფლავის შვილზე ან სულაც მეძავეზე დაქორწინებულიყვნენ. თუ ქალაქში ჯალათების რიცხვი იკლებდა, ამ თანამდებობას, თავისუფლების საფასურად, პატიმრებს სთავაზობდნენ.

ერთხელ, გერმანიაში საქმეზე ჩასული მდიდარი პოლონელი მასპინძელმა გაქურდა. ქალაქში ჯალათის არარსებობის გამო, დამნაშავეს სიკვდილით დასჯა დაზარალებულს მიანდვეს. მომჩივნამა განაჩენისგან თავის არიდება ვერ შეძლო და ჯალათად იქცა.

შუა საუკუნეებში იტალიის, ესპანეთისა და სამხრეთ საფრანგეთის ჯალათების უმეტესობა ებრაელი იყო. უფრო მეტიც — ევროპის ქვეყნები ჯალათებით სიცილიის ებრაელთა სათვისტომოს უნდა მოემარაგებინა. თუ ქალაქს საკუთარი ჯალათი არ ჰყავდა, მას სხვა ქვეყნიდან ინვევდნენ. ხშირად ამ პროფესიის ადამიანს სცემდნენ და კლავდნენ კიდევ, ამიტომ დამკვეთებს ჯალათი დაცვითაც უნდა უზრუნველყოთ. იმის გამო, რომ სიკვდილით დასჯა მხოლოდ განსაზღვრულ დღეს ხდებოდა, ჯალათებს ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ და სხვაგანაც შეეძლოთ მუშაობა. მათი მეორე პროფესია სუტენიორობა, ქალაქის მანანნალა ძაღლებისა და ავადმყოფი ადამიანებისგან გათავისუფლება იყო. გარდა ამისა, მკვდრების ნივთებით ვაჭრობა შეეძლოთ. სხვათა შორის, ამ პროფესიის ადამიანი კარგ მკურნალდაც მიიჩნეოდა, რადგანაც მას შეეძლო, გვამი გაეკეთა და შეესწავლა...




სიმართლეს არ შეესაბამება ის ფაქტი, თითქოს დასჯის დროს ჯალათს სახეზე ნიღაბი ეკეთა. ეს შემთხვევა მხოლოდ ერთხელ, ინგლისის მეფის — ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯის დროს მოხდა.

სხვათა შორის, ჯალათები დღესაც არსებობენ. იმ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა და დამნაშავესთვის თავის მოკვეთა დაშვებულია (მაგალითად, საუდის არაბეთში), ჯალათების მთელი დინასტიები არსებობენ.

ინდური ჭა ჩანდ ბაორი

ინდოეთის შტატ რაჯასტანის ქალაქ აბანერის მახლობლად მდებარეობს ჭა ჩანდ ბაორი, რომელსაც უამრავი ლეგენდა უკავშირდება. ერთ-ერთის მიხედვით, იგი ერთ ღამეში, მოჩვენებებს აუშენებიათ. 30-მეტრიანი ჩანდ ბაორი 13 იარუსისა და 3500 საფეხურისგან შედგება. ის X საუკუნეში აუშენებიათ. გვალვის დროს ამ ჭას წყლით მთელი შტატის უზრუნველყოფა შეუძლია. დღესდღეობით, ჩანდ ბაორი ისტორიულ-არქიტექტურულ ღირებულებას წარმოადგენს და ის ყოველწლიურად, ათეულობით ტურისტს მასპინძლობს.





ალექსანდრე ბატონიშვილი — ბაგრატიონთა გვარის მრისხანე შურისმაძიებელი

1801 წელს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიას უკვალოდ არ ჩაუვლია: მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმის მესვეურებმა მარიამ დედოფალიც და მთელი სამეფო კარიც რუსეთში გადაასახლეს, ბაგრატიონთა გვარში მინც დარჩა ერთი მრისხანე შურისმაძიებელი — მეფე ერეკლეს უმცროსი ძე ალექსანდრე, რუსთა წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი, ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილი, რომელსაც იარაღი არასოდეს დაუყრია. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევამდე, ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობაზე თითქმის არაფერი იწერებოდა — მოსკოვს მისი უბრალო სხეულებაც კი აცოფებდა...

მიხეილ ლაბაძე

XVIII საუკუნის ბოლოს, როდესაც ერეკლე II-მ რუსეთთან ავადსახსენებელი „გეორგიევსკის ტრაქტატი“ გააფორმა, საქართველოში რუსეთის მფარველობაზე არავინ ოცნებობდა — მრავალჭირვარამგამოვლილი ქართველობა სამართლიანად მიიჩნევდა, რომ რუსს სპარსელისა და ოსმალოს წინაშე უპირატესობა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ჰქონდა, რომ ქრისტიანი იყო. ქართველებს, რომელთა რაოდენობა იმ დროს 700 ათას კაცს ოდნავ აჭარბებდა, უბრალოდ, სხვა გზა არ დარჩენოდა — მუსლიმანთა ხელში ჩაგარდნას, ქრისტიანების „მფარველობა“ სჯობდა.

ერეკლე II-ის მეფობის ბოლო პერიოდი საქართველოს ისტორიაში ერთგვარი „თეთრი ლაქაა“ — ძნელი სათქმელია, რამ აიძულა ჩვენი ქვეყნის მტერთა რისხვა, უმამაცესი პატარა კახი, საკუთარი ნებით, ყმად გახდომოდა გადამთიელებს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ერეკლე III-ს ქართლ-კახეთის შიგნით და გარეთ პრობლემები თავად რუსებმა და მათ მიერ მოსყიდულმა ავტოტებმა შეუქმნეს, რათა „ლოგიკური“ გადანყვეტილება მიეღო — წინამორბედთა მსგავსად, მფარველები რუსეთში ექებნა.

მეფე ერეკლეს უმცროსი შვილი ალექსანდრე, რომელიც 1770 წელს დაიბადა, „გეორგიევსკის ტრაქტატის“ ხელმოწერისას 13 წლის იყო. უფლისწული იმთავითვე ნიჭიერებით, სამხედრო საქმისა თუ მეცნიერებისადმი მიდრეკილებით გამოირჩეოდა დედამამიშვილებს შორის, მაგრამ მეფობა არ ეკუთვნოდა. ალექსანდრეს სწავლა-გა-



ალექსანდრე ბატონიშვილი

ნათლებზე ერეკლეს კარის ექიმი, გერმანელი იაკობ რაინეგსი ზრუნავდა — მას პირადად მეფისგან ჰქონდა დავალებული, უფლისწულისთვის ევროპული ენები, მედიცინა და სამხედრო ხელოვნება ესწავლებინა.

იაკობ კრისტიან რუდოლფ რაინეგსი 1744 წელს გერმანიის პატარა ქალაქ აისლენგენში დაიბადა, განათლება კი უნგრეთში, ტორნაუს უნივერსიტეტში მიიღო. რუსეთის საიმპერატორო კარის ჯამში გახლდათ 1773 წლიდან, რუსთა საიდუმლო დავალებით, აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობდა. რაინეგსი სანქტ-პეტერბურგს ყოველწლიურად აწვდიდა ცნობებს „აღმოსავლეთის ჩაგრული ქრისტიანი ხალხების“ შესახებ: რუსეთის იმპერიის მესვეურები იმხანად — არც მეტი, არც ნაკლები — იერუსალიმისა და ინდოეთის დაპყრობას აპირებდნენ და აქედან გამომდინარე, სურდათ, „აღმოსავლეთის საკითხებში“ მუდმივად გარკვეული ყოფილიყვნენ.

ქართლ-კახეთში იაკობ რაინეგსი 1779-1780 წლების მიჯნაზე ჩამოვიდა და აქ მალევე დაუახლოვდა მეფე ერეკლეს. სხვათა შორის, მას რუსეთის იმპერატორისგან პირადად ჰქონდა დავალებული, როგორმე შეეღწია ერეკლეს გარემოცვაში და პრორუსული პროპაგანდის პარალელურად, უფლისწულებზე გავლენა მოეპოვებინა. მართლაც, მოკლე დროში იაკობ რაინეგსმა ბევრი რამის გაკეთება შეძლო: გახსნა „საბატონიშვილო სკოლა“, რომელიც საქართველოში პირველ ევროპულ სასწავლებლად შეიძლება ჩაითვალოს; „სააქიმო სკოლა“; შეისწავლა ქართლ-

ლი ენაც და საგარეო საქმეებში ერეკლეს მთავარი მრჩეველიც გახდა.

იაკობ რაინეგსმა ალექსანდრე ბატონიშვილს ყურადღება იმთავითვე მიაქცია, მაგრამ მასზე რაიმე გავლენის მოხდენა ვერ შეძლო — უფლისწული გერმანელი მასწავლებლისგან ყველაფერს იოლად ითვისებდა, თუმცა საკუთარ შეხედულებებს ძნელად იცვლიდა. სანქტ-პეტერბურგში გაგზავნილ საიდუმლო კორესპონდენციებში რაინეგსი ხშირად აღნიშნავდა: „ნიჭითა და ინტელექტით ყველასაგან გამოირჩევა მეფე ერეკლეს უმცროსი შვილი ალექსანდრე, მაგრამ სადარდებელი არაფერი გვაქვს — ის ვერასოდეს გახდება მეფე“.

1798 წელს, როცა ქართლ-კახეთის მეფედ გიორგი XII აკურთხეს, ალექსანდრე უკვე კარგად ხედავდა, რომ რუსები ბაგრატიონთა დინასტიის წინააღმდეგ ინტრიგებს ხლართავდნენ — ახალ მეფეს სახელმწიფოს მართვაზე წარმოდგენა არ ჰქონდა და მთელ დღეებს ღრეობაში ატარებდა. უმწიფო გიორგი XII-ს რუსები თავიანთ ნებაზე ატრიბულებდნენ და თანაც ალუთქამდნენ, რომ თუ „კარგად მოიქცეოდა“, ქვეყნის საგარეო უსაფრთხოებაზე რუსეთი იზრუნებდა. პატარა კახის უღირსი მემკვიდრე, რომელსაც ქართლ-კახეთისა და მთლიანად საქართველოს ბედი იოტისოდენადაც არ ადარდებდა, ლამის მუხლებზე დაცემული ევედრებოდა ჩრდილოელებს — ჩემს შვილებს მეფობას ნუ წაართმევენო.

ამ დროს მეფის უმცროსი ძმა — ალექსანდრე, რუსებთან უთანხმოების გამო, ფაქტობრივად განდევნილი იყო საქართველოდან და მებობელ დაღესტანს, კერძოდ კი ხუნძახის სახანოს აფარებდა თავს. მეფე ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ, როცა გიორგი XII-მ საკუთარ ძმებს ერთგულების ფიცი მოსთხოვა, ალექსანდრემ დაფიცებაზე უარი განუცხადა: „შენ ქართლ-კახეთსა რუსთა ხელითა აღრჩობ და მე კი თანახმა არა ვარ ამასა ზედა“, — მისწერა მან მეფედ კურთხევის მომლოდინე ძმას და ბორჩალოში გადავიდა, იქიდან კი დაღესტანს შეაფარა თავი.

ხუნძახში „გურჯ უფლისწულს“ კარგად შეხედნენ — ალექსანდრეს შესახებ იქ ადრევე ყველაფერი სმენოდათ და დიდ პატივსაც სცემდნენ მას. სხვათა შორის, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოდან წამოსული ალექსანდრე ხუნძახში სწორედ იმ სოფელში ცხოვრობდა, სადაც იმამი შამილი დაიბადა — ხუნძებში ახლაც პოპულარულია გადმოცემა იმის შესახ-



ებ, რომ შამილი ქართველი უფლისწულისა და სოფელ გიმრის (ხუნძურად — გენუბ) ნაიბის ასულის შვილია. დოკუმენტურად ეს ცნობა არ დასტურდება, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ხალხური გადმოცემა ლეგენდარულია — შამილი 1799 წელს დაიბადა, ალექსანდრე ბატონიშვილი კი ხუნძახში 1798-1800 წლებში ცხოვრობდა, ანუ ადვილი შესაძლებელია, კავკასიელი მთიელების სახელგანთქმული წინამძღოლი მართლაც ქართველი უფლისწულის შვილი ყოფილიყო; მით უმეტეს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი და იმამი შამილი ერთმანეთს სახითაც ძალიან ჰგავდნენ.

1800 წლის 7 ნოემბერს ალექსანდრე ბატონიშვილი 18-ათასიანი ლაშქრით საქართველოში შემოიჭრა, რათა უღირსი ძმის მეფობისთვის ბოლო მოეღო, მაგრამ დამარცხდა — რუს-ქართველთა გაერთიანებულმა მხედრობამ მომხდურთა ლაშქარის სოფელ კაკაბეთთან, ნიახურას ველზე გაანადგურა. ბროლაში დაცვა ალექსანდრეს ხუნძი ძმადნაფიცო იმამ-ხანი — ლაშქრის ერთ-ერთი მეთაური, თვით უფლისწული კი ძლივს გადაურჩა ტყვედ ჩავარდნას: იგი ქართველმა მოლაშქრეებმა იცნეს და ბროლის ველიდან გალწვევის საშუალება მისცეს.

ალექსანდრე ბატონიშვილი მალევე მისვდა, რატომაც დამარცხდა — ქართველებს დაღესტნელების ისეთი ჯავრი სჭირდათ, რომ მათ წინააღმდეგ არანაკლებ ცბიერ მტერს — რუსებსაც კი შეეკრნენ. ამიტომ, ქართველ უფლისწულს ამიერიდან ხუნძახის ხანის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა. საჭირო იყო ისეთი მოკავშირის პოვნა, რომელიც ქართველთა თვალში რუსებს ვერ დაჩრდილავდა. ბატონიშვილი თავდაპირველად იმერეთში გადავიდა, სადაც იმ დროს სოლომონ II მეფობდა. მას იმთავითვე სურდა ალექსანდრესთან დაკავშირება, რადგანაც რუსები გულზე არ ესატებოდა; არადა, გრძნობდა, რომ ქართლ-კახეთის შემდეგ, იმერეთის ჯერიც მალე დადგებოდა.

სოლომონ მეფის კარზე ალექსანდრე ბატონიშვილი დიდხანს არ გაჩერებულა — სრულიად მოულოდნელად ქართლ-კახეთიდან ცნობა მოვიდა, რომ იქაური თავდა-აზნაურობა რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდა და ალექსანდრეს მეფედ დასმას უპირებდნენ. ალექსანდრე სასწრაფოდ ქართლ-კახეთში ჩავიდა და თავდა-აზნაურებს წარუდგა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, შეთქმულება გამცემლობის გამო ჩაიშალა — თავდა-აზნაურთა ერთ ნაწილს მეფედ ალექსანდრეს ძმა იულონი სურდა, ამ საკითხზე

ვერ შეთანხმდნენ და ამასობაში გამცემმაც თავისი საქმე გააკეთა...

ასე მიიღია XIX საუკუნის პირველი ათწლეული. რუსებმა იმერეთის სამეფოსაც ბოლო მოუღეს, სოლომონ II კარგა ხნის ბროლის შემდეგ დაატყვევეს და თბილისში ჩამოიყვანეს, მაგრამ მან გაქცევა მოახერხა და ტრაპიზონს შეაფარა თავი. ამავე დროს, რუსებმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაც გააუქმეს და, ერთი შეხედვით, რუსეთის ძლიერება კავკასიაში ყველასათვის აშკარა გახდა. იმხანად ალექსანდრე ბატონიშვილი ძირითადად, ერევნის სახანოს აფარებდა თავს; იგი საგონებელში იყო ჩავარდნილი — ჩრდილოეთიდან მოსული მტერი მის სამშობლოს თანდათანობით ყლაპავდა, საშველი კი არსაიდან ჩანდა: სპარსეთს რუსებთან ომი თავადაც დიდად უჭირდა, ხოლო ოსმალეთი ფრთხილად იყო და დაპირისპირებისგან თავს იკავებდა.

ალექსანდრე ბატონიშვილს იარაღის ხელში აღებისაკენ ევროპაში მიმდინარე მოვლენებმა უბიძგა: 1812 წელს საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე რუსეთში შემოიჭრა. მის შესახებ ამბები საქართველოში მანამდეც აღწევდა, მაგრამ ამჯერად ყველაფერი დაწვრილებით გახდა ცნობილი: „ნაპოლეონს“ ერთი პირადი მცველი ჰყოლია — მამლუქი, წარმოშობით ქართველი როსტომ რაზმაძე და სწორედ მისი თხოვნით ულაშქრია რუსეთში, საქართველოში რომ ბაგრატიონთა ტახტი აღადგინოსო, — არწმუნებდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს „კეთილისმსურველი“...

უფლისწულმა ამ ჭორებს ბოლომდე ყური არ უგდო, მაგრამ აჯანყებისათვის მაინც მზადებას შეუდგა: „ქმეფისწული ალექსანდრე სიყვარულით მოგიკითხავთ და გაცნობებთ, თუ: როგორც ერთგულნი უნჯნი ყმანი ხართ საქართველოსა და ახლაც თქუენი ერთგულება და დიდი სამსახური გუყმის და იმედიცა გუაქუს, რომ კუალ-

ადვე ჩუენთვის ერთგულად გაირჯებით... მაგ საქმეზედ ბეჯითად იყავით და ღვთის წყალობითა, გამარჯუებასა ზედა წყალობა გექნებისო“, — მისწერა მომხრეებს და მოციქულები ჩრდილო კავკასიაშიც გაგზავნა.

1812 წელს კახეთი აჯანყდა. ალექსანდრე ბატონიშვილს იქაურ თავდა-აზნაურთა ნაწილმა ერთგულება შეჰფიცა და მის ლაშქარში ყმებიც გაუშვა. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყება სწრაფად ვრცელდებოდა, რუსებმა მაინც შეძლეს, მუამბოხეთა შორის განხეთქილება ჩამოეგდოთ — მათ თავდა-აზნაურები მოისყიდეს და აღუთქვეს, რომ თუ ალექსანდრე ბატონიშვილს არ უერთგულებდნენ, იმპერატორისგან „ღენერლობას“ მიიღებდნენ. ასე რომ, ერევნის სახანოდან კახეთში გადმოსული ალექსანდრე, აჯანყების წარმატებით დაწყების მიუხედავად, ერთი წლის შემდეგ ისევ იძულებული გახდა, ახალი თავშესაფარი ეძებნა — 1813 წელს იგი პირიქით ხევსურეთში, შატილში გადავიდა და კვლავაც რუსებთან საბრძოლველად მზადება დაიწყო.

შატილელებმა სისარულით მიიღეს ერეკლე მეფის ძე, რომლის საგმირო საქმეებზეც ბევრი სმენოდათ და აჯანყებისაკენ მისი მოწოდებაც უცებვე აიტაცეს. ალექსანდრემ გადაწყვიტა, ფშავ-ხევსურებთან ერთად, რუსების წინააღმდეგ ჩერნები გამოეყვანა — მიუხედავად იმისა, რომ მთიანი ჩერნეთის თემები რუსეთის შემადგენლობაში ჯერ არ იყო შესული, ჩერნებს რუსებთან ომი მაინც სწყუროდათ, რადგან თერგისპირეთის მხრიდან კაზაკები ავიწროებდნენ. 1813 წლის დასაწყისში ალექსანდრემ ჩერნეთ-დაღესტანი თავადე მოიარა და იქაურები ერთგულებაზე დააფიცა. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი ხუნძური თქმულების თანახმად, სწორედ ამ დროს იხილა მან პირველად თავისი შვილი — 14 წლის შამილი, მაგრამ ლაშქარში წაყვანაზე ამ უკანასკნელს უარი უთხრა: „თუკი მე რუსები დამამარცხებენ, მაშინ შენ უნდა გაამარძელო ჩემი დაწყებული საქმე!“ — უთხრა ალექსანდრემ შამილს.

ალექსანდრე ბატონიშვილის სამომარი მზადების შესახებ თბილისში მყოფმა რუსებმა მალევე ყველაფერი შეიტყვეს. მათ გადაწყვიტეს, სანამ ალექსანდრე მთებიდან ბარში დაემარჯებოდა და ქართლ-კახეთს შეუტევდა, დაესწროთ და მთაში თავად ასულიყვნენ. რუსულ საჯარისო ქვედანაყოფებს, რომლებიც ხევსურეთში უნდა გაეგზავნათ, კავკასიის მთავარმართებელმა რტიშჩევმა ნაპოლეონთან ომში სახელმძღვანელო გენერლები —



გურიელი ხევსურები



ალექსანდრე ბატონიშვილის ჩიხენი თანამებრძოლები შაგილში რუსებს ხვდებიან (ევეგენი კნიაგინინის ჩანახატი)



სიმონოვიჩი და სტალი უსარდლა. 1813 წლის 13 მაისს ალექსანდრე ბატონიშვილის ხევსური მზირები — ბათაკა, განა და აბულეთ ჭინჭარაულეები პირიქითა ხევსურეთისკენ მიმავალ გზაზე, სოფ. ლებაისკარის მახლობლად შეეჩხენ რუსებს. სამივე მამინვე იძრო ხმალი და ჯარს მედგრად შეუტია. ეს ყველაფერი რუსი ჯარისკაცებისათვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ მათ პირიც კი იბრუნეს: ალექსანდრეს ხეობაში ჩვენი შეტყუება უნდოდა და ეს ფანდი განგებ მოგვიწყობო, — იმართლებდნენ შემდგომში თავს რუსი გენერლები, რომლებიც 1812 წელს თვით ნაპოლეონს არ უფრთხოდნენ.

„ქ. ჩვენ სრულიად საქართველოს მეფემან ალექსანდრე ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქუენ განას შვილებს განას, ბათაკას და აბულეთს, ასე რომ ჩუენს შადილსა შინა ყოფნაში ერთგულად გვემსახურნეთ... ღვითი ჩუენს ქვეყანაში რომ შესულა გუელირსება, მასა შინა ჩუენს საბრძანებელში ყუულგან გველებოდესთ და ყოველ წელს ხუთ ლიტრას სპილენძს გიბოძებთ და ტანსაცმელსა ფართალს“, — ასეთი „წყალობის წიგნი“ დააჯილდოვა ალექსანდრემ მამაცი ხევსურები. ამავ დროს კი ლაშქარი შეკრება და რუსთა დასახვედრად მოემზადა.

რუსული ჯარი შატილისაკენ უკვე სხვა გზით — არდოტის გავლით წავიდა. 30 მაისს ისინი სოფელ არჭილოსთან შეჩერდნენ. აქედან გენერალმა სიმონოვიჩმა ალექსანდრე ბატონიშვილს მისწერა — დამმორჩილდო, მაგრამ პასუხი არ მოსვლია, რადგან მოციქულად გაგზავნილი რუსი ჯარისკაცი ქავ-ციხეებში თავშეფარებულმა არდოტელეებმა გზაშივე მოკლეს. რუსებმა ორიოდე დღეს უცადეს ალექსანდრეს, მერე კი შატილისაკენ დაიძრნენ.

ალექსანდრეს ლაშქარი დაუპატიჟებელ სტუმრებს შატილიდან 12 კილომეტრის მოშორებით, სოფელ

გუროსთან დაუხვდა. სწორედ აქ მოხდა დიდი შეტაკება — რუსი ჯარისკაცები ხევსურებსა და ჩრდილოკავკასიელებს (ალექსანდრეს დროშის ქვეშ 700 ჩიხენი და დაღესტნელი იბრძოდა) 48 საათის განმავლობაში ებრძოდა და ძლივს შეძლო სოფლის აღება: „ვიბრძოდით დაახლოებით ორი დღელამე... აქაური „ბასურმანები“ საკვირველი ხალხი გამოდგა — ისინი ბრძოლის დროს ნაცქეულებს აღარ ერჩოდნენ და ხელსაც კი უწვდოდნენ ასაყენებლად... ჭეშმარიტად საოცარია, მაგრამ მათი ხმლები ისე ჭრიდნენ ჩვენსას, როგორც დანა ყველს“, — აღნიშნავდა შემდეგ ამ ბრძოლის მონაწილე, რუსი ეთნოგრაფი ევეგენი კნიაგინინი.

ამ ყველაფრის მიუხედავად, რუსებმა გუროც და შატილიც აიღეს და ერთიანად გადაწვეს — მაშინდელი დიდი ხანძრის ნაკვალევი შატილის ქვითკირებს ამჟამადაც კი ეტყობა. სხვათა შორის, გენერალმა სიმონოვიჩმა კავკასიის მთავარმართებელ რტიშჩევს გურო-შატილის აღებისა და ხევსური „ბუნტოვნიკების“ განადგურების თაობაზე ქედმაღლურად აახლა სპეციალური ანგარიში, რომელშიც დაღუპული ხევსურების რაოდენობა — 4 ათასი — ხელოვნურად იყო გაზრდილი; მაშინ ამდენი კაცი ხევსურეთში საერთოდ არ ცხოვრობდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ შატილს იმხანად მართლაც განუზომელი ზიანი მიადგა, რადგან რუსებმა იქაურ მოსახლეთა ნახევარზე მეტი განყვიტეს.

ალექსანდრე ბატონიშვილმა კი, რომელსაც ხევსურებმა და ქისტებმა ბოლომდე უფრთხულეს, ისევ ჩრდილო კავკასიას — ჯერ ჩიჩნეთს, მერე დაღესტანს — შეაფარა თავი. ამჯერად ის იქ კარგა ხანს დარჩა და სპარსეთთან და ოსმალეთთან საერთო ენის გამოხახვა სცადა, პარალელურად კი, რაოდენ გასაოცრადაც უნდა ჟღერდეს, კავკასიის მთავარმართებელ რტიშჩევს უგზავნიდა წერილებს: ერეკლე მეფის ძე რუსებს „გეორგიევსკის ტრაქტატს“ ასხენებდა და მათგან ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას ითხოვდა: „ქ. ჩვენ მეფემან ალექსანდრე ესე წიგნი მოგწერეთ თქუენ, ასე რომ მამამან ჩემმან მეფემან ერეკლე არა როდეს უბოძა მეფობა რუსთა, არამედ კუალადვე ტახტი ბაგრატიონანთა არს და კეთილ ინებეთ და როგორცა წაგირთმევიათ, მომეცეთ“. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ხასიათზე დადგებოდა რტიშჩევი, დამარცხებული მტრისაგან ამგვარ წერ-

ილ რომ მიიღებდა. ალექსანდრე მაინც არ ცხრებოდა და ხელახალი აჯანყებისათვის ემზადებოდა. რუსულ ჯარს დაღესტანში მიმავალი ყველა ბილიკი შეკრული ჰქონდა, რათა „საქართველოს მეფის მემამბოხე ვაჟიშვილი“ (ასე უწოდებდნენ ალექსანდრეს), არსად გაპარვოდათ.

1815 წელს ტრაპიზონში საქართველოს უკანასკნელი გვირგვინოსანი, იმერეთის მეფე სოლომონ II გარდაიცვალა. დაღესტანში მყოფმა ალექსანდრემ შორიდან დაიტირა ნათესავი და თანამებრძოლი. სწორედ იმხანად ხმა გავრცელდა ხუნძახში — გურჯი უფლისწულის დასატყვევებლად რუსები კახეთიდან შემოჭრას აპირებდნენ. ალექსანდრე ისედაც ხვდებოდა, რომ მისი იქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა და მოქმედების ახალი გეგმა დასახა: სოლომონ II-ის სიკვდილის შემდგომ იმერეთის თავდაზნაურობამ ტრაპიზონიდან მას წერილი გაუგზავნა და საქართველოს სამეფოს აღსადგენად, ოსმალეთისა და სპარსეთის დახმარებით ბრძოლის დაწყება შესთავაზა.

დაუდგრომელმა ალექსანდრე ბატონიშვილმა ეს შეთავაზება მაშინვე უყოყმანოდ მიიღო და 1818 წლის გაზაფხულზე, თანხმობა პირებთან ერთად, ლეკურ ჩოხაში ჩაცმული, დაღესტნიდან კახეთში გადმოვიდა; ყოველგვარი გართულების გარეშე გაიარა მანძილი ყადორის უღელტეხილიდან ბორჯომამდე და ოსმალეთის საზღვარი რომ გადაკვეთა, მერე და მიხვდნენ რუსები, ვინც დაუძვრათ ხელიდან, მაგრამ უკვე ძალზე გვიან იყო — მოუხელთებელი ქართველი უფლისწული ოსმალეთის სულთანს სტუმრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ იმერელ თავდაზნაურებთან ერთად ალექსანდრე მალე სპარსეთის შაჰსაც ეწვია და მისი მეშვეობით, ინგლისელებსაც კი დაუკავშირდა, საქართველოში ახალი აჯანყების მოწყობა ვერ მოხერხდა. შაჰის კარზე ალექსანდრეს მხოლოდ თავშესაფარი შესთავაზეს — ურმიის ტბის მახლობლად, ასურელი ქრისტიანებით დასახლებულ მხარეში მისცეს მამული.

სპარსეთის შაჰის ნაბოძებ მამულში დასახლებულმა ალექსანდრემ ცოლად შეირთო ასურელთა ეპისკოპოსის ძმისწული, რომელთანაც ერთი შვილი — ირაკლი ეყოლა. მას მოგვიანებით რუსებმა საქართველოში ცხოვრების ნებაც კი დართეს.

რუსების დაუძინებელი მტერი, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ალექსანდრე ბატონიშვილი 1844 წელს, 74 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან 60 წელზე მეტი ხანი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეაღია.



სტრესთან ბრძოლის კომპლექსური მეთოდები

სამწუნხაროდ, შეუძლებელია, გავექცეთ პრობლემებს, რადგან მათ გარეშე ცხოვრება მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც ყველაფერი მთავრდება. უბრალოდ, ეცადეთ გულთან ნაკლებად მიიტანოთ ის, რაც გარშემო ხდება და პირველ რიგში საკუთარი თავი დაზოგოთ.

თქვენ მრისხანებთ, გულზე სკდებ-ით, ცრემლები გახრჩობთ... ასეთ დროს, ყველას არ ძალუძს, დადგეს ცივი შხაპის ქვეშ „შუბლის გასა-გრილებლად“. გთავაზობთ რეცეპტს: მყუდროდ მოკალათდით და საკუ-თარ თავს გაესაუბრეთ; უთხარით, რომ გესმით თქვენივე ემოციების და სრული უფლება გაქვთ, წინააღ-მდეგობა გაუწიოთ მას, მაგრამ ის არ არის მეორე „თქვენ“. ის მხოლოდ მდგომარეობაა, რომელიც მოდის და მიდის! თქვენ კი რჩებით — გამარ-ჯვებული ან დამარცხებული. ასეთი „გადახარშვის“ შემდეგ, სრულებით მზად ხართ, გვერდიდან შეხედოთ საკ-უთარ თავს, დაუკვირდეთ, როგორ ნელ-ნელა ცხრება ემოციები, როგორ მშ-ვიდდება სხეული, სახე, თვალები. ხოლო ამ ყოველივეს შემდეგ თუ პლედშიც გახვებით, ჩაგვიჩნებათ კიდევ და სულ სხვა ადამიანად გაიღვიძებთ.



გამამხნეველი. ახლა საკუთარ თავს მაგალითი უჩვენეთ, როგორ უნდა გამ-ოიყურებოდეს ამაყი, თავდაჯერებუ-ლი ქალი: თავი მაღლა ასწიეთ, წარ-ბები აზიდეთ, იდუმალი, ცივი ლი-მილი აიფარეთ სახეზე და მკაცრი, შეუვალი გამოხედვა მოირგეთ. თქვენ უსათუოდ დამშვიდდებით და თავდა-ჯერებულობაც მოგმატებათ.

თუკი სტრესი, რომელიც გადაი-ტანეთ, თავმოყვარეობას გილახავთ, ნუ დაზოგავთ ნურც დროს, ნურც ენერჯიას და შემდეგი რეცეპტი მოს-ინჯეთ: წადით სილამაზის სალონში, მიაკითხეთ კოსმეტოლოგს, მასაჟისტს, შეიძინეთ ახალი კრემი, პომადა; თუ საშუალება გაქვთ, მეგობრებთან ერ-თად მიაშურეთ საუნას — მიანიჭეთ სხეულს სიამოვნება.

შეივსაოთ ფილტვები ჟანგბადით

გარეთ თბილა? ფანჯარა ფარ-თოდ გამოაღეთ, დაჯექით იატაკზე, მოეშვით და ღრმად ამოისუნთქეთ.

გათავისუფლდით უარყოფითი ემოციებისგან

დადექით მუხლებზე, ხელები რამდენჯერმე მომუჭეთ და გაჭიმეთ. შეგიძლიათ იყვიროთ კიდევ. შემ-დეგ წამიერად მოეშვით და ენ-ერგიულად ამოისუნთქეთ.

დაიბათ თავის ტკივილი

მოხერხებულად დაჯექით სკა-მზე ან იატაკზე, ღრმად ჩაისუნ-თქეთ და ორივე ხელის, შუა და საჩვენებელი თითები საფეთქელთან მიიდეთ. შემდეგ მსუბუქად ამოი-სუნთქეთ. გაიმეორეთ ათჯერ.

მოაზვარეთ ზურგის პრობლემა

სტრესის დროს ხშირად ვგრძნობთ, როგორ გველლება ზურგი, გვტკივა წელი. მოხერხებულად დანექით იატაკ-ზე, ფეხები მუხლებში მოხარეთ და ხელებში მოიქციეთ. მსუბუქი მოძრაო-ბით მიიტანეთ მოხრილი ფეხები მუცელთან, გააჩერეთ 6 წამის განმავ-ლობაში და შემდეგ ფრთხილად დაუშ-ვით. ვარჯიში გაიმეორეთ ათჯერ.

ესეც ასე! სულ თხუთმეტი წუთი და, თქვენ წესრიგში ხართ. შეგი-ძლიათ, თამამად თქვათ, რომ „შესანს-ლეთ“ სტრესი და უწინდებურად ამაყი და თავმომწონე ქალი ხართ!

რჩევები დიასახლისებს

● ბოსტნეულის წვნიანი უმჯობე-სია, ზუსტად სუფრის გაშლის მო-მენტისთვის მოამზადოთ. მაშინ მას-ში C ვიტამინი დიდი რაოდენობით შენარჩუნდება. წვნიანის მომზადე-ბიდან 3-4 საათის გასვლის შემდეგ ვიტამინების შემცველობა ბევრად ნაკლები იქნება.

● მყავვე ვაშლი ჰაერლუმელში დიდხანს არ გააჩეროთ — მისგან ნამდვილ პიურეს მიიღებთ. ხოლო ტკბილი ჯიშის ვაშლი, პირიქით, ჰაერლუმელში შეწვისას ფორმას შესანიშნავად ინარჩუნებს.

● ნიგოზი ალერგიას რომ იწვევს, ცნობილია. მაგრამ თურმე სულ იოლად შეიძლება ამ უსიამოვნო

შედგის თავიდან აცილება: ნიგოზი (თხილი, ნუში, მინის თხილი) ცოტა ხნით ჰაერლუმელში მოათავსეთ ან ტაფაზე ოდნავ მოხალეთ.

● ბრინჯი უკეთ შეინახება, თუკი შუშის ქილაში ჩაყრით და ერთ ცალ ცხარე წინაკასაც ჩააყოლებთ.

● თურმე კვერცხი ადვილად იღებს უცხო სუნს. ამიტომაც მისი შენახვა თევზის, გუდის ყველისა და სხვა სპეციფიკური ან მკვეთრი სუნის მქონე პროდუქტების გვერ-დით არ შეიძლება.

● კატლეტი განსაკუთრებით გემ-რიელი გამოგვათ, თუ ფარშს თანა-ბარი რაოდენობით უმ და შემწ-ვარ ხახვს, ასევე წვრილად გახე-

ხილ, უმ კარტოფილს დაუმატებთ. კარტოფილი კატლეტს უფრო ფუნ-ფულასა და გემრიელს გახდის.





რბ უპირატესობა აქვს ქალს მამაკაცთან ფიზიკური

ქალი უფრო ხელმარჯვეა, ვიდრე მამაკაცი

არავინ დაობს იმის თაობაზე, რომ ქალები ხელმარჯვეობით გამოირჩევიან და ადვილად მანიპულირებენ თვით ყველაზე პატარა საგნებითაც კი. ამ უნარს ქალის ორგანიზმში ესტროგენის ჰორმონის სიჭარბე განაპირობებს. ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ქალები, დროის უმეტეს ნაწ-

მონმებთან ურთიერთობისას ერთი საინტერესო რამ დაასკვნეს — ქალები საოცარი სიზუსტით იმასხორციელებენ ისეთ დეტალებს, როგორც არის თმის ფერი, წონა და სიმაღლე.

ქალი სექსუალური სტაბილურობა

ცნობილია, რომ თუ მამაკაცი სექსუალობის პიკს 25-30 წლის ასაკში აღწევს, ქალი ამ მხრივ „წინვლას“ 40-45 წლამდე აგრძელებს. ამასთანავე,

ბის უნარი. ეს ჯერ კიდევ იმ დროიდან მოდის, როცა ქალები საკვებად ვარგის ხილს თუ კენკრას სხვადასხვა სეზონზე, ერთსა და იმავე ადგილებში აგროვებდნენ.

ქალი უკეთესი ფინანსური მენეჯერია

უცხოეთში ის საინიციატივო ჯგუფები, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ, წელიწადში საშუალოდ 21,3% მოგებას იღებენ, მაშინ, როცა მამაკაცები, დროის ამავე მონაკვეთში მოგების მხოლოდ 15%-ს აღწევენ. აღმოჩნდა, რომ ქალები უფრო ფრთხილდებიან გარიგებების დროს, მამაკაცები კი ხშირად მიდიან უაზრო რისკზე. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ქალებს ერთი საინტერესო თვისებაც ახასიათებთ: ისინი, ვიდრე სერიოზულ გადაწყვეტილებას მიიღებენ, საგულდაგულოდ აგროვებენ ინფორმაციას ბიზნესპარტნიორის შესახებ. გარდა ამისა, ქალები მამაკაცებზე უკეთ ახერხებენ ბიზნესპარტნიორებთან, კონსულტანტებთან თუ თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას, რაც საქმეში წაადგებათ კიდევც.



ილს კენკროვანი ხილის შეგროვებაში ატარებდნენ. ხელმარჯვეობა, როგორც ბუნებრივი, ასევე ისტორიულად შექმნილი თვისებაა და ქალის მომხიბვლელობას კიდევ უფრო უსვამს ხაზს.

ქალს უკეთესი სმენა აქვს

გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით უკეთესი სმენით გამოირჩევიან. გარდა ამისა, ქალები თურმე ექვსჯერ უფრო მეტად მუსიკალურები არიან, ვიდრე მამაკაცები.

ქალი უკეთესი სეზონის, ვიდრე მამაკაცი

ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მათ გაცილებით უკეთესი კოორდინაციის უნარი აქვთ.

ქალი არ დაიხრება

ქალის ორგანიზმი ბუნებრივად მდიდარია რეზერვებით, რომლებიც მას სხეულის გამოფიტვისა და ავითამინოზისგან იცავს. რა თქმა უნდა, ამას უარყოფითი მხარეც აქვს: გადაჭარბებული კვების შემთხვევაში, ქალი გაცილებით იოლად იმატებს წონაში.

ქალი უფრო დაკვირვებული და ყურადღებიანი

ქალებს ნიუანსების დამახსოვრების გამოჩვეული უნარი აქვთ. ამას პოლიციელებიც ადასტურებენ: მათ

ის გაცილებით სტაბილური პარტნიორია, ვიდრე მამაკაცი.

ქალს ნაკლები უბედური შემთხვევის შემთხვევა მოსდის

მამაკაცები 3-ჯერ უფრო ხშირად იღუპებიან უბედური შემთხვევის გამო, ვიდრე ქალები. ამის მიზეზი, გარდა იმისა, რომ ბიჭები უფრო რისკიან და სახიფათო სპორტსა და საქმიანობას ირჩევენ, ის გახლავთ, რომ ტესტოსტერონის მომეტებული გამოშვების შედეგად ძლიერი სქესის აგრესიულობა იზრდება. ამასთანავე, ქალებს, მამაკაცებისგან განსხვავებით, გამძაფრებული აქვთ თავდაცვის ინსტინქტი.

ქალს უკეთესი

კორინტაისის უნარი აქვს

აბა, სცადეთ და სთხოვეთ თქვენს მეგობარ ბიჭს, დახუჭოს თვალები და ისე გიჩვენოთ, საით არის ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი. ნუ გაგიკვირდებათ, თუ იგი უშეცდომოდ გიპასუხებთ. მაგრამ სადმე თუ დაიკარგებით და გზის გამოგნება გაგიჭირდებათ, დარწმუნებულინი ბრძანდებოდეთ — სწორედ თქვენ იქნებით ის, ვინც შინისკენ გზას გაიგნებს. ექსპერტები ამბობენ, რომ ქალს ისტორიულად მოსდევს ადგილის დამახსოვრე-

ქალი უფრო ვერბალურია

საგანგებო ტესტებმა ცხადყო, რომ მეტყველების უნართა და ეფექტურობით, როგორც წესი, გოგონები ბიჭებს სჯობნიან. ამის მიზეზი ისევე და ისევე ესტროგენის სიჭარბეა, რომელიც თურმე ნეირონებს შორის ინფორმაციის გადაცემას უწყობს ხელს, რაც საბოლოო ჯამში, ქალს უფრო ვერბალურს ხდის.

ქალს უკეთესი მხედველობა აქვს

ქალის თვალის გუგებზე დაკვირვების მიხედვით, სპეციალისტებმა ერთი საინტერესო დასკვნა გააკეთეს: თურმე, ქალს, მამაკაცზე უკეთესი პერიფერიული მხედველობა აქვს. ეს ნიჭი მას ხელს უწყობს ადამიანის შეცნობაში და მნიშვნელოვან არავერბალურ ინფორმაციას აწვდის.

ქალი უფრო ბაჭითია

დააკვირდით, როგორ მუშაობს მამაკაცი — ცოტას ნაიმუშავეს თუ არა, ნახეშეხედაც და ლუდით გაგრილებაც მოუნდება. ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდება. ქალი კი საქმეს მუყაითად ასრულებს და ამ სიბეჯითის წყალობით, ზარმაც, მაგრამ მასზე ნიჭიერ მამაკაცზე მეტ წარმატებას აღწევს.



აზრის ფოტოგრაფია ანუ ფენომენი, რომელმაც მზარდ დიდებას ვერ გაუძლო

ყოფილი ამერიკელი მეზღვაური, შემდეგ კი სასტუმრო „ჰილგონის“ (ჩიკაგო) თანამშრომელი — მედერეფენ ტედ სირიოზი ზებუნებრივი ძალების „თავშესაფრად“ ნაკლებად გამოსადეგი ჩანდა. თავად ტედის აღიარებითაც, მას ალკოჰოლისა და სიგარეტის სისტემატური მიღება-გამოყენება ათასგზის უფრო ხიბლავდა, ვიდრე მატერიაზე მსჯელობა, თავის უჩვეულო უნარზე ლაპარაკი და საკუთარ თვისებებს მხოლოდ დამსწრე საზოგადოების გასართობად თუ იყენებდა.

თუმცა, ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგ, სირიოზის დაყოლიება მინც მოხერხდა და მან მეცნიერებს საკუთარი უნარის შესწავლის ნება დართო. მკვლევრებს განსაკუთრებით, მისი პარანორმალური ფოკუსი — აბსოლუტურად სუფთა ფოტოფირზე საკუთარი ხატოვანი ნაფიქრალ-ნაზრევის გადატანა აინტერესებდათ. დენვერში (კოლორადოს შტატი) მდებარე, დოქტორ ჯულ ეიზენბუდის ლაბორატორიაში სირიოზი ფოტოკამერის წინ მშვიდად დგებოდა და ცარიელ ფირს საკუთარ ტვინში შექმნილი ხატოვანი სურათებით „ავსებდა“ — ფოტოფირზე აღბეჭდილი სურათების უმეტესობა რეალური იყო და ბევრ მათგანზე ევროპაში მდებარე, სხვადასხვა შენობისა თუ ხედის ამოცნობაც იოლი გახლდათ, მაგალითად — პიაცა-სან-მარკოსი (ვენეცია) ანდა ვესტმინსტერის საბაზილიკა (ლონდონი)..

თვით იმ ადამიანებმაც კი, რომლებიც სირიოზის ნიჭს სკეპტიკურად უყურებდნენ, მალევე აღიარეს, რომ მართლაც, საოცარ მოვლენასთან ჰქონდათ საქმე. ექსპერიმენტების დროს „პოლაროიდის“ კამერას იყენებდნენ, ფოტოს გადასაღებად კი მხოლოდ

ლილაზე თითის დაჭერა იყო საჭირო, რაც ყველანაირ თალღითობას გამოორიცხავდა.

ზოგჯერ, როცა სირიოზი ნაფიქრალის ფირზე გადატანას საერთოდ ვერ ახერხებდა, ფოტო სრულიად შავი ან თეთრი გამოდიოდა — თითქოს მასზე რომელიღაც, აბსოლუტურად ჩაბნელებული ან პირიქით, გაკაშკაშებული ოთახი აისახაო. ძალზე იშვიათად ისეთი კადრებიც გამოდიოდა, სადაც წინა პლანზე რაღაც უფრო ზუნებრივი, მაგალითად, თავად ტედის დამანჭული სახე იყო აღბეჭდილი.

მსგავსი სენსები მხოლოდ ეიზენბუდის ლაბორატორიაში როდი ტარდებოდა. სირიოზის აზრობრივ-გრაფიკული შესაძლებლობების დემონსტრირება ცოცხალი აუდიტორიის წინაშეც — სალექციო დარბაზებსა თუ ტელესტუდიებშიც ხდებოდა. ასეთ შემთხვევებში, თავად დამსწრეებს მოჰქონდათ საკუთარი კამერები, რომლებიც შემდეგ, ყველანაირი შესაძლო თალღითობის თავიდან ასაცილებლად, ილუქებოდა, მათი საგანგებოდ მონიშვნაც ხდებოდა და მკვლევრები მხოლოდ ამის შემდეგ სთავაზობდნენ სირიოზს გარკვეული „შეკვეთის“ (ჩვეულებრივ, ეს რომელიმე, კარგად ნაცნობი ადგილის ფირზე აღბეჭდვის თხოვნა იყო) შესრულებას.

ათიდან ცხრა შემთხვევაში, სირიოზი მკვლევართა თხოვნას გამოგნებელი სიზუსტით ასრულებდა. ზოგიერთ ფოტოზე თითქოს „შეკვეთილ“ ობიექტთან სრულიად შეუთავსებელი, მაგრამ მასთან რაღაცით დაკავშირებული გამოსახულებაც ჩნდებოდა. მაგალითად: ერთხელ „აზრების გრაფიკოსმა“ რომელიღაც მაღაზიის ფასადის ფოტოების მთელი სერია „გამოუშვა“, თუმცა თავად ეს მაღაზია თვალისათვის არასოდეს ენახა. კირკიტა მკვლევრებმა დაადგინეს, რომ მაღაზია რეალურად არსებობდა და სენტრალ-სიტიზე (კოლორადო) მდებარეობდა, თუმცა სირიოზის ფოტოებზე ასახული ამ ობიექტის სახელწოდება — „ოლდ გოლდ სტორი“ — მის მეპატრონეებს კარგა ხნის წინ, „ოლდ უელს ფარგო ექსპრესოფისით“ შეუცვლიათ. სხვათა შორის, სირიოზის მიერ შესრულებულ, იმავე ადგილის ამსახველ მომდევნო ფოტოე-



ბზე ძველი და ახალი დასახელებები ერთმანეთში აირია.

იმხანად ჩატარებული კიდევ ერთი ცდის დროს სირიოზმა იმ შენობის ნაწილის პროეცირება მოახდინა, რომლის ამოცნობა თავადაც ვეღარ შეძლო. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს კანადის სამეფო პოლიციის საჰაერო ქვედანაყოფის ანგარი იყო.

რასაკვირველია, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც სირიოზის გამოგნებელი ნიჭის დაჯერება არ სურდათ და ამიტომაც, მის მიერ მოხდენილ ყველა სასწაულს ე.წ. „ხელეების სიმარჯვით“ ხსნიდნენ. ამიტომაც, თავად სირიოზი ყოველი სენსის წინ მსურველებს თავს სიამოვნებით აჩრეკვინებდა და სხვათა შორის, არასდროს არანაირ მანიპულაციაში არ ყოფილა შემჩნეული.

სამწუხაროდ, ტედ სირიოზმა საკუთარი საოცარი შესაძლებლობების ბოლომდე გახსნა ვერ მოახერხა, რადგან მზარდ დიდებას ვეღარ გაუძლო და სასმელს მიეძალა.

1967 წლიდან მისი ქცევა აუტანელი გახდა — სასმლისგან გამუდმებით აგზნებული სირიოზი საშინელი ლანძღვა-გინებით იკლებდა ყველას, ვინც კი მის უნიკალურ შესაძლებლობებში ეჭვის შეტანას გაბედავდა. მის გაკონტროლებას თვით დოქტორი ეიზენბუდიც ვეღარ ახერხებდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის ისინი ახლო მეგობრები იყვნენ. სირიოზმა ცდებისა და სენსების რეგულარული გაცდენა დაიწყო, სასმელმა კი ნელ-ნელა უნიკალური ნიჭიც დააკარგინა. ასე რომ, საკუთარი კარიერის დასაწყისში შექმნილი საოცარი შედეგები — დაშვებული ფარდის გამოსახულება — საბოლოოდ, ტედ სირიოზისთვის სიმბოლურიც აღმოჩნდა...





ჭეშმარიტების დამცველი წმინდა ბრიგოლ პალატი და განადგურების პირას მყოფი ბიზანტიის იმპერია...


XIV საუკუნეში დედაეკლესიაში ახალმა შფოთმა და მღელვარებამ იჩინა თავი, რომლის მიზეზიც მართლმადიდებელი ბერი ვარლამი გახლდათ. მან თაბორის ნათელს, რომელიც მაცხოვრის ფერისცვალების ჟამს გამოჩნდა თაბორის მთაზე და თავს ადგა მაცხოვარს, — ქმნილი მოვლენა ანუ შექმნილი ნათელი უწოდა... მოგვიხსრობს არქიმანდრიტი მამკარი (აბესაძე):

შორენა მერკვილაძე

— იერუსალიმზე ძალაუფლება ჯვაროსნებმა მალევე დაკარგეს; წმინდა მიწის დანარჩენ ტერიტორიებს, მთელ ზღვისპირეთს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აკონტროლებდნენ, ვიდრე ეს ტერიტორიები თურქებმა არ დაიპყრეს. ბოლო პუნქტი ჯვაროსნების კვიპროსი იყო, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში დაიპყრეს თურქებმა; ამ დრომდე ჯვაროსნები აკონტროლებდნენ.

რაც შეეხება კონსტანტინოპოლს — ჯვაროსნები 6 ათეული წლის განმავლობაში აკონტროლებდნენ, ლათინები მართავდნენ. 1261 წელს ნიკეელმა ბერებმა ქალაქი ჯვაროსნების ბატონობისგან გაათავისუფლეს და ბიზანტიის იმპერია თითქმის იმავე საზღვრებში აღადგინეს: ერთიანი ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი კვლავ კონსტანტინოპოლი გახდა, თუმცა ქალაქმა ველარ დაიბრუნა ის მინიერი დიდება და ბრწყინვალეობა — ვერც პოლიტიკური, ვერც ეკონომიკური, — რომელიც მანამდე ჰქონდა...

XIV საუკუნის 30-იან წლებში დედაეკლესიის წიაღში ახალმა შფოთმა და მღელვარებამ იჩინა თავი, რომლის მიზეზიც გახლდათ მართლმადიდებელი ბერი ვარლამი. იგი კონსტანტინოპოლში იტალიის ერთ-ერთი პროვინციიდან ჩავიდა. ვარლამმა ამ ქალაქის უნივერსიტეტში კათედრა მიიღო და ცნობილი ღვთისმეტყველიც გახდა. მან რამდენიმე წერილიც კი დაწერა კათოლიკური სარწმუნოების სანინაღმდეგოდ. თავის ნაშრომებში თითქოს მართლმადიდებლობას იცავდა, მაგრამ საკუთარი სწავლებაც შემოიტანა. განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენდა ძველი ფილოსოფოსების მიმართ. იმდენადც გავადნიერდა, ამბობდა, — ვინც ფილოსოფია არ იცის, ღმერთს ვერ შეიმეცნებს და სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებსო. XIV საუკუნეში ათონის მთაზე ჩამოყალიბდა ისიქაზმი; ის გამოიყო მოღვაწეობის განსაკუთრებულ სახედ, რომელიც ადამიანს განასხივოსნებს, აღწევინებს იმ მდგომარეობას, როდესაც ღირსი შეიქნება ღვთაებრივი ნათლის ხილვისა... ეს გახლავთ ბერმონაზნობის ხელოვნება, რომელიც დაკავშირე-



ბულია ღვთაებრივი ნათლის ხილვასთან, სულიერ გაცისკროვნებასთან. ამის მიღწევა შესაძლებელია განსაკუთრებული ასკეტური ღვაწლით. მაგრამ თუ ადამიანი ამ სახის მოღვაწეობას მხოლოდ საკუთარი ჭკუით მიჰყვება, ის ღვთაებრივ ნათელს ვერ იხილავს, ამ მდგომარეობას ვერ მიაღწევს. ისიქაზმი ადამიანმა გამოცდილი მოძღვრისგან უნდა ისწავლოს, იმის მეშვეობით აითვისოს, ვინც ამ მდგომარეობას მიაღწია და თან, შეუძლია აკონტროლოს, თუ როგორ სწავლობს... ვარლამმა ერთ-ერთი უბრალო ბერისგან შეიტყო ისიქაზმის შესახებ; შესაძლოა, ბერმა მას სათანადოდ ვერ აუხსნა, რას ნიშნავს ისიქაზმი ან თვითონ ვერ გაიგო, ვერ ჩასწავდა ამ სახის მოღვაწეობის არსს; ისიქაზმის შესახებ არასწორი წარმოდგენა შეექმნა და ისიქაზტ ბერებს ხიბლში მყოფნი უწოდა, აქედან

გამომდინარე, მათი ქმედება მწვალებლურ შეცდომილებად მიიჩნია. პირველი, ვინც ვარლამის ცრუმოსაზრებებისა და სწავლებების წინააღმდეგ გაილაშქრა, წმინდა გრიგოლ პალატი გახლდათ, რომელიც ათონის მთაზე მოღვაწეობდა. იგი სულიერად ცნობილი ისიქაზტი ბერების ხელში გაიზარდა და ისიქაზმის მტკიცე დამცველი გახლდათ. გრიგოლ პალატი ჯერ სიტყვიერად შეეცადა, დაერწმუნებინა ვარლამი მისი სწავლების ცდომილებებში; როდესაც ამას ჯეროვანი შედეგი არ მოჰყვა, წმინდა გრიგოლმა დაწინააღმდეგა წერილი, სადაც ახილა ვარლამის ცრუსწავლება და დაიცვა ისიქაზმი (მისი ნაშრომი შემდგომში ცნობილი გახდა სახელწოდებით — „ტრიაღები წმინდა ისიქასტა დასაცავად“). საღვთისმეტყველო კამათების დროს ვარლამმა თაბორის ნათელს, რომელიც თაბორის მთაზე მაცხოვრის ფერისცვალების ჟამს გამოჩნდა და მაცხოვარს ადგა თავს, ქმნილი მოვლენა ანუ შექმნილი ნათელი უწოდა. ეს უკვე დოგმატური დარღვევა იყო. თაბორის ნათება — უჩვეულო, თვალისმომჭრელი ნათება, რომელმაც იესო ქრისტეს ფერისცვალებისას გაანათა თაბორის მთა, იყო უფლის ნათება, გამოვლინება მარადიული, შეუქმნელი, ღვთაებრივი ნათლისა — ნათელში გამოცხადებული თავად უფალი. წმინდა გრიგოლ პალატი სწორედ ამასთან დაკავშირებით დაიწყო ვარლამის მხილება. მან ჩამოაყალიბა დებულება, რომ ღმერთი შეუცნობელი და მიუწვდომელია, ქვეყანას კი ეცხადება აღქმადი ენერგიების სახით (როგორც, მაგალითად, თაბორის ნათელი იყო), მაგრამ ეს ენერგიები არც გრძნობისმიერია და არც ქმნილი. 1339 წლის ზაფხულში, ვარლამის სწავლების სამხილებლად კონსტანტინოპოლში ორჯერ გაიმართა ადგილობრივი საეკლესიო კრება, რომელმაც ვარლამის სწავლა-მოძღვრება მწვალებლობად მიიჩნია და დაგმო, თვითონ ვარლამი კი ეკლესიიდან განკვეთეს. იმ პერიოდში, როდესაც ეს მოვლენა



კონსტანტინოპოლი, დღევანდელი სტამბოლი



ნები ხდებოდა, ვითარება დაიძაბა კონსტანტინოპოლშიც: 1341 წელს გარდაიცვალა ბიზანტიის იმპერატორი, რომელსაც დარჩა მცირეწლოვანი მემკვიდრე, მომავალში იმპერატორი იოანე V. ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრის მუურვეობა იკისრა მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველმა — იოანე კანტაკუზელმა, რომელმაც შემდგომ პრეტენზია განაცხადა იმპერატორის ტახტზე. ერთ მხარეს იდგა იმპერატორის ვაჟი — იოანე, რომელსაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოანე XIV და დიდგვაროვანთა ნაწილი უჭერდნენ მხარს, მეორე მხარეს კი — იოანე კანტაკუზელი, მის მომხრე დიდგვაროვნებთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ პალამა პოლიტიკურ საკითხებში, მათ შორის, ამ დაპირისპირებაშიც არ ერეოდა. მისი სიმპათია ტახტზე პრეტენზიის მქონე იოანე კანტაკუზელისკენ იხრებოდა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ის მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი გახლდათ. ამას მოჰყვა ის, რომ 1342 წელს, პატრიარქმა იოანე XIV-მ, რომელიც ვარლამის შესვლას იზიარებდა და იოანე კანტაკუზელის მოწინააღმდეგეთა მხარეს იდგა, წმინდა გრიგოლ პალამა ეკლესიიდან განკვეთა, როგორც მწვალებლური სწავლების შემომღები. წმინდა მღვდელმთავარი მონასტერში ჩაკეტეს, მაგრამ ესეც არ იქმარეს და 1343 წელს, მის მომხრე მონაზვნებთან ერთად, ციხეში გამოაწყვდიეს.

1347 წელს იოანე კანტაკუზელმა კონსტანტინოპოლი აიღო და იმპერატორის ტახტი დაიკავა. მოწვეულ იქნა ადგილობრივი საეკლესიო კრება, რომელზეც პატრიარქად ისიდორე აირჩიეს, რომელიც ე.წ. პალამისტური ფრთის წარმომადგენელი გახლდათ. წმინდა გრიგოლ პალამა პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მალე თესალონიკის მთავარეპისკოპოსად დაადგინეს. 1353 წელს ვლადიმერის ადგილობრივი საეკლესიო კრებაზე მიიღეს გრიგოლ პალამას მართლმადიდებლობაზე დაყრდნობილი სწავლება. კრებამ საზეიმოდ დაადასტურა მისი მოძღვრების, დებულების მართლმადიდებლური არსი. გრიგოლ პალამას მოწინააღმდეგენი კი ეკლესიიდან განკვეთეს.

ამის შემდგომ გრიგოლ პალამამ მწვინადი იცოცხლა. გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ მოხდა მისი კანონიზაცია — წმინდანად შერაცხვა. აღმოსავლეთის — მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოებმა საბოლოოდ მიიღეს გრიგოლ პალამას სწავლება, მის მიერ ჩამოყალიბებული დებულება, რადგან ეს არ იყო ახალი სწავლება ქრისტიანობაში, როგორც ამას ლათინი ღვთისმეტყველნი ამტკიცებდნენ, არამედ თავად მაცხოვრიდან და მოციქულთაგან მომდინარე ძველი სწავლება, რომელიც გრიგოლ პალამას მიერ დოგმატური სახით იქნა ჩამოყალიბებული.

მიუხედავად იმისა, რომ წმინდა გრიგოლ პალამა ბერი იყო და ათონის მთაზე მოღვაწეობდა (1350 წლიდან თესალონიკის მღვდელმთავარი გახლდათ), XIV საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიის იმპერიაში მომხდარი და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ცენტრში იმყოფებოდა. როდესაც ტახტის კანონიერ მემკვიდრეს — იოანეს ებრძოდა იოანე კანტაკუზელი, ისეთი დიდი მამა, როგორც გრიგოლ პალამა იყო, ტახტზე უკანონოდ პრეტენზიის მქონე იოანე კანტაკუზელს უჭერდა მხარს... მისი საქციელი ერთი შეხედვით, უცნაურადაც მოგვეჩვენება, მაგრამ თუ დაუფიქრებდით, სწორედ გამჭრიახობისა და წინასწარმეტყველური ნიჭის წყალობით დაუჭირა მხარი იოანე კანტაკუზელს, რომელიც მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი გახლდათ. იოანე V-მ კი, იმის შემდეგ, რაც 1355 წელს ტახტი დაიბრუნა, დასავლეთს მიმართა დახმარებისთვის; 1366 წელს კათოლიკობაც მიიღო (თუმცა რომის პაპისგან

რიოდს და პლიტონს მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. და მინც, წარმართობის აღორძინება არ მოხდა — ბიზანტიის იმპერიაში უამრავი, მტკიცე მართლმადიდებელიც ცხოვრობდა...

ბიზანტიის იმპერია და კონსტანტინოპოლი თანდათან სუსტდებოდა. 1422 წელს კონსტანტინოპოლს ალყა შემოარტყეს თურქებმა. ამ ამბიდან 2 წლის შემდეგ გადაწყდა, რომ კონსტანტინოპოლს ხარკი უნდა გადაეხადა თურქეთისთვის; ეს, ფაქტობრივად, კონსტანტინოპოლის დაცემას ნიშნავდა, რასაც რამდენიმე წლის შემდეგ მართლაც მოჰყვა კონსტანტინოპოლის საბოლოო დაცემა და განადგურება. ამ პერიოდისთვის თურქები თავისუფლად მოძრაობდნენ არა მარტო ბიზანტიის იმპერიის აზიურ ნაწილში, არამედ ბიზანტიის ევროპულ — დღევანდელი საბერძნეთის ტერიტორიაზეც. XIX საუკუნეშივე თურქებმა უკვე ათონის მთა დაარბიეს.

კონსტანტინოპოლის, საერთოდ, ბიზანტიის იმპერიის დასუსტებისა და საბოლოო დაცემის მიზეზი გახდა ქრისტიანობიდან, მართლმადიდე-

თაბორის მთა



დაპირებული დახმარება არ მიუღია), უნიათოდ მართავდა და ცდილობდა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მრევლი — მინიერად მის დაქვემდებარებაში არსებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მართლმადიდებლები კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოექცია...

1391 წელს ბიზანტიის იმპერიის ტახტზე იოანე V-ის შვილი, მანუელ II ავიდა. თავის წინამორბედთა მსგავსად, მანაც დასავლეთს მიაპყრო მზერა — რომის პაპს მიმართა დახმარებისთვის, მაგრამ დასავლეთისგან არც მას მიუღია დახმარება. ამ დროს ბიზანტიაში გამოჩნდა პიროვნება — გიორგი პლიტონი, რომელიც ელიზური წარმართობის აღორძინებას შეეცადა. იმპერიაში ამ პერიოდისთვის, ადრე შუა საუკუნეებისგან განსხვავებით, ძველი წარმართული ფილოსოფიისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, ადამიანთა ნაწილი თითქოს მისტიროდა ბრწყინვალე წარსულს — ელიზურ, წარმართულ პე-

ბლური სარწმუნოებიდან ნელ-ნელა გადახრა; მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში იქ ცხოვრობდნენ უდიდესი მართლმადიდებელი მამები, რომლებიც მტკიცედ იცავდნენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თითქოს გაუცხოებული იყო ქრისტიანობისგან; საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც წარმართობის აღდგენა მოინდომეს. გახშირდა შინაომებიც. ამასთან, ბიზანტიის ყველა იმპერატორი ხსნას დასავლეთიდან მოელოდა, დახმარებისთვის რომის პაპს მიმართავდა; ხოლო პაპისგან დახმარება რომ მიეღოთ, სარწმუნოებრივ დათმობაზეც მიდიოდნენ — იმპერატორთა უმეტესობა კათოლიკურ სარწმუნოებას იღებდა. ამ ყველაფერმა ბიზანტიის იმპერიის დასუსტება, საბოლოო ჯამში კი — დაცემა და განადგურება განაპირობა.



გზაში საკითხავი კოლაჟი

ჰელენელი თუკიდ ივანიძე

1. მექსიკა ვანილის სამშობლოა.
2. ქალაქ ნეაპოლში ხუთასამდე ეკლესიაა.
3. პალატუს რუსები „შეინოე იზდევატელსტვოს“ ეძახიან.
4. კლეოპატრა მჟავე კიტრს საკუთარი სილამაზის საიდუმლოს ეძახდა.
5. „მე ქვეყნად გაჩნდი, რათა სილამაზე გამომესახა“, — ამბობდა მიქელანჯელო.
6. უოლტ დისნეის სტუდიის წლიური ბრუნვა დღესდღეობით, 22 მილიარდ დოლარს შეადგენს.
7. წვიმისაგან ახალგაზრდასებულ ნიადაგს, რომელზეც ფეხი სხლტება, ლიჭყი ჰქვია.
8. პელეს მთელი საფეხბურთო კარიერის მანძილზე 1061 მატჩში 1281 გოლი აქვს გატანილი.
9. მხატვრული მიზნით, ლექსში გრამატიკული ან სტილისტიკური ნორმებიდან გადახვევას ლიცენცია ჰქვია.
10. შვეცია სიდიდით კალიფორნიის ხელაა, მაგრამ მისი მოსახლეობა 8 მილიონ ადამიანს არ აღემატება. ამ სახელმწიფოში უფრო ნაკლები ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე ლონდონში.

11. პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ღორი სისუფთავის მოყვარული ცხოველია. იგი უბრალოდ, არასდროს ოფლიანდება, გაგრილება უჭირს და ამიტომაც გორაობს ლაფსა და ტალახში.

12. ალკოჰოლის დოზა, რომელსაც შეუძლია ორგანიზმის ფუნქციათა მოშლა გამოიწვიოს, ინდივიდუალურია, მაგრამ ადამიანის 1 კილოგრამ წონაზე სუფთა ალკოჰოლის 7-8 გრამი უკვე მომაკვდინებელია.

13. ხვრინვის მსოფლიო რეკორდი 93 დეციბელია. შედარებისთვის, მეტროს მოძრაობის მატარებლის ანდა ელექტროსერვისის ხმა 90 დეციბელს არ აღემატება.

14. ერთმა სპარტელმა ტახტრევანში ჩაბრძანებული დიდგვაროვნები რომ დაინახა, წამოიძახა: „ღმერთმა ნუ ქნას, ისეთ ადგილზე დაგვადე, უფროსს ფეხზე ვერ წარმოვუდგეო“.

15. მას შემდეგ, რაც რომის იმპერატორ ადრიანეს ფავორიტი, ბერძენი ჭაბუკი ანტინოე ნილოსში დაიხრწო, იგი იმპერატორის ბრძანებით გააღმერთეს და მის სახელზე მრავალი ტაძარი ააგეს; მისი სახელი ეწოდა ვარსკვლავსაც, ეგვიპტეში კი აშენდა ქალაქი ანტინოოპოლისი, შეიქმნა პირმშვენიერი ჭაბუკის მრავალი იდეალიზებული პორტრეტული გამოსახულება. აღსანიშნავია, რომ მცხეთაში ნაპოვნია ვერცხლის მონეტა, ხოლო არმაზის ხეობაში — ვერცხლის თასი, რომლებზეც ანტინოეა გამოსახული.




„მერსედისის“ სარბოლო ავტო

ცოტა ხნის წინ გამოცემა Autotelegraaf-მა სარბოლო მანქანის — Mercedes-Benz SLS AMG — პირველი ფოტოები გამოაქვეყნა. ეს ავტომობილი GT3 კატეგორიაში მიიღებს მონაწილეობას. სარბოლო სიახლის პრემიერა მიმდინარე წლის აპრილში, ნიუ-იორკის მოტორშოუზე შედგება. ჯერჯერო-



ბილობაზე უარის თქმის შედეგად) სუპერავტოს მასა 300 კგ-ით ანუ

— 1300 კგ-მდე შემცირდა. სიახლის ძარას მასიური უკანა ანტიფრთა, უსაფრთხოების კარკასი, განსხვავებული ბორბლების დისკები და 571-დან 600 ცხ.ბ. სიმძლავრემდე ფორსირებული, 6,2 ლ. მოცულობის მქონე, 8-ცილინდრიანი მოტორი ექნება. ამ ეტაპზე სარბოლო Mercedes-



ბით, მანქანის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ ვრცელდება, თუმცა, წინასწარი მონაცემებით, ინტერიერში შეტანილი ცვლილებების ხარჯზე (კერძოდ, აუდიოსისტემასა და კლიმატურ მოწყო-

Benz SLS -ის ფასი უცნობია. შედარებისთვის, კუპე BMW Z4, რომელიც იგივე GT3-ში საასპარეზოდ შემუშავდა, ევროპაში მყიდველებს 300 ათასი ევრო დაუჯდებათ.





„ფორდის“ აღმასრულებელი დირექტორი გამოიდრდა

2009 წლის მონაცემებით, კონცერნ Ford-ის აღმასრულებელი დირექტორის, ალან მიულალის შემოსავალმა 18 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, — ამის შესახებ ინფორმაციას გამოცემა Detnews.com აქვეყნებს. ეს მაჩვენებელი მილიონი დოლარით აღემატება 2008 წლის ანალოგიურ მონაცემს. საგულისხმოა, რომ ხელფასის 30%-ით შემცირებისა (2-დან 1,4 მილიონ აშშ დოლარამდე) და ბონუსებზე უარის თქმის მიუხედავად, მიულალის შემოსავალი მაინც გაიზარდა. „ფორდის“ ხელმძღვანელის გამდიდრება მისი კომპანიის აქციათა პაკეტის შემოსავლის ზრდამ განაპირობა. ამგვარად, მიულალის დახლოებით, 16 მილიონი დოლარი მიიღო. Ford Motor Company-ს პრეზიდენტმა, ჰენრი ფორდის შვილიშვილმა, ბილ ფორდმა უკვე მეხუთედ, საკომპენსაციო გადასახადებზე უარი განაცხადა. თუმცა, ანალიტიკოსების მონაცემებით, მისი შემოსავალი მიულალისაზე გაცილებით დაბალია და 16,8 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. შედარებისთვის, General Motors-ის აღმასრულებელი დირექტორის, ედუარდ უაიტგერის შემოსავალმა 2009 წლის მონაცემებით, დაახლოებით, 9 მილიონ



ნი აშშ დოლარი შეადგინა. მიმდინარე კვირაში „ფორდის“ მესვეურებმა თვითმფრინავების საკუთარი პარკის გამოყენებაზეც კი უარი თქვეს — ამერიკულმა კონცერნმა 5 „ჯეტის“ გასხვისებაზე სამთავრობო კომისიას ჯერ კიდევ 2008 წელს აცნობა (ხარჯების შემცირების მიზნით), მაგრამ არც ერთ თვითმფრინავს ახალი მფლობელი არ გამოჩენია. „ჩვენი ანგარი დავხურეთ და თვითმფრინავების გაყიდვა გადაწყვიტეთ, მაგრამ ამჟამად, კერძო „ჯეტების“ გასხვისებისთვის მთლად შესაფერისი დრო არ არის“, — აცხადებენ „ფორდის“ წარმომადგენლები. კომპანიის ხელმძღვანელობა იჯარით აღებული ორი ბიზნესჯეტით სარგებლობს, ხოლო ბრუნდის დანარჩენი თანამშრომლები ჩვეულებრივი კომერციული ავიასაზღვით დაფრინავენ.

განახლებული MINI Cooper

ორიოდე დღის წინ ბრიტანულ ჟურნალს — Car — ხელში ჩაუვარდა განახლებული ჰენტიკის — Cooper — პირველი არაოფიციალური ფოტოები, რომლებიც ამ ავტომობილის ტესტირებისას არის გადაღებული. წინასწარი მონაცემებით, რესტაილირებული ავტომობილის შესახებ ინფორმაცია მიმდინარე წლის აგვისტოში გახდება ხელმისაწვდომი, ხოლო მისი მსოფლიო პრემიერა პარიზის მოტორშოუზე, შემოდგომაზე შედგება. სურათების თანახმად, განახლებულ

Cooper-ს შეცვლილი ჰაერშემაკავებლის მქონე წინა ბამპერი, ახალი უკანა ფარები და უმნიშვნელო შეცვლილი უკანა ბამპერი ექნება. მცირე ცვლილება განიცადა მანქანის ინტერიერმაც — სალონი კროსოვერ Countryman-ის სტილში გაფორმდება, რომლის პრემიერაც მარტში, ჟენევის მოტორშოუზე შედგა. როგორც მოსალოდნელია, ამ ეტაპზე ჰენტიკის ძრავათა გამა არ შეიცვლება, თუმცა მოგვიანებით, ახალი აგრეგატები და ჰიბრიდული დანადგარები დაემატება. Car-ის მონაცემებით, ჰიბრიდული მოდიფიკაციები, რომლებიც ბენზინის ძრავებზე 10-15%-ით ეკონომიური იქნება, მხოლოდ მომავალი თაობის MINI-ზე დამონტაჟდება. ევროპულ ბაზარზე სრულიად განახლებული „კუპერი“ 2013 წელს გამოჩნდება.



რუბრიკა მოამზადა ალექსი რახვიაშვილმა

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქეძლენელი თქუბ ივანიძე

16. 1983 წელს საბჭოთა კავშირის მიერ ჩამოგდებული კორეული თვითმფრინავის 269 მგზავრიდან, რომელთა შორის 26 ბავშვი იყო, ცოცხალი არავინ გადარჩენილა. ტრაგედიიდან ორი კვირისთავზე რუსებმა კორეელებს თვითმფრინავის გადარჩენილი ნაწილები გადასცეს, თუმცა, მათ შორის არ იყო საბორტო ჩანანერების შემცველი შავი ყუთი.

17. II მსოფლიო ომის დროს ბრიტანული რადიო ყველა იმ ხალხის ენაზე მაუწყებლობდა, რომელთა ქვეყნებიც გერმანელებს ჰქონდათ ოკუპირებული. რადიოს ხალხი ფარულად და დიდი რისკის ფასად უსმენდა, რადგან მის მსმენელებს ფაშისტები სიკვდილით სჯიდნენ.

18. ოქროს ციბე-ცხელების დროს ამერიკელი ოქროსმაძიებლები ალასკაში, ქალაქ დოუსონამდე ჩასაღწევად სამარხილე ძაღლებს ყიდულობდნენ და მეზარგულებად ადგილობრივ ინდიელებს, ტლინკიტებს ქირაობდნენ. ეს უკანასკნელნი არასაიმედო იყვნენ, გზაში დროდადრო ჩერდებოდნენ და გასამრჯელოს მომატებას ითხოვდნენ. საკმარისი იყო, მათთვის სხვა ოქროსმაძიებელს მეტი ფული შეეთავაზებინა, რომ ტლინკიტები ბარგს პატრონს მიუყრიდნენ და მარხილზე ახალი დამქირავებლის ტვირთს აწყობდნენ.

19. რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II პირად დღიურებს აწარმოებდა და რვეულში იწერდა ყველაფერს, რაც კი დღის განმავლობაში ხდებოდა. რვეული რომ შეიქცებოდა, ეკატერინე მას ფერად ქაღალდში ახვევდა, ლენტს შემოაკრავდა და ბეჭდით ლუქავდა. ამ რვეულებით იმპერატრიცას რამდენიმე კარადა ჰქონდა გასეხული, მაგრამ ჩანანერთა შინაარსი არავინ იცოდა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ პირველი რვეულის ყდაზე იმპერატრიცამ წაანერა — „Иѣтъ Чѣтъѣѣ“. საბოლოოდ, ეს ჩანანერები ვერავინ იხილა, რადგან დედის მოძულე პავლე I-მა, ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ, უკლებლივ ყველა რვეული გაანადგურა.

20. როცა გიორგი შენგელაიამ ლევან თედიაშვილს გოგია კენკიშვილის როლი შესთავაზა, ძველ მოჭიდავეს წარბი აუწევია: ფულს რამდენს გადამიხდინაო? — „8 ათას“, — უპასუხია რეჟისორს. თედიაშვილს ჯიბიდან ფული ამოუღია: აჰა, შენ 15 ათასი და თავი დამანებო.





ხერხემლის გამრუდება და ტანადობის დარღვევა

ტანადობის დარღვევას კუნთების ტონუსურ-ძალოვანი დისბალანსი განაპირობებს. ეს ხერხემლის სტრუქტურის ცვლილებასთან დაკავშირებული არ არის და პრაქტიკულად, მთლიანად შექცევადი პროცესია. ტანადობის დარღვევას სხეულის ფიზიოლოგიური მდებარეობის შენარჩუნებაში ერთი, ორი ან სამი კუნთის მონაწილეობის მიუღებლობა იწვევს, რასაც სხეულის პოზებისა და მოძრაობის მარეგულირებელი ნერვული ცენტრების „შეცდომები“ განაპირობებს.

ნერვული სისტემა ამა თუ იმ კუნთის დაძაბვის ხარისხსა და სახსრების დატვირთვაზე ინფორმაციას მრავალრიცხოვანი მგრძობიარე რეცეპტორის დახმარებით იღებს და მას კუნთების მართვისთვის იყენებს. სამწუხაროდ, ტანადობის უკვე ფორმირებული დარღვევის გამოსწორება მხოლოდ სწორი პოზის იძულებით შენარჩუნებით შეუძლებელია. ამ პრობლემის დასაძლევად, პირველ რიგში, საჭიროა მიზეზის პოვნა და ნერვულ-კუნთოვანი აპარატის „პერეკვალიფიკაცია“. დადებითი ეფექტი შესაძინევი სპეციალისტის ჩარევის პირველსავე დღეებში ხდება.

რა არის სკოლიოზი

სკოლიოზი ხერხემლის გამრუდებაა, რომელიც გამოწვეულია მალეების დეფორმაციით, მყესებისა და კუნთების სტრუქტურული ცვლილებებით. სკოლიოზის გართულება:

- * ტორსის დეფორმაცია (ამ უკანასკნელის ხშირი მიზეზია ორსულობის და მშობიარობის პათოლოგიები);
- * შინაგანი ორგანოების გადაინაცვლება;
- * გულმკერდის ყაფაზის „დაგრეხვა“ და ფილტვების მოცულობის შემცირება;
- * ბრონქიტი;
- * ზურგში ტკივილი;
- * მალთაშორისი დისკის თიაქარი;
- * ართროზი.

სკოლიოზი სრულიად შექცევადი დეფორმაცია არაა, მაგრამ მისი მკურნალობა აუცილებელია. ჩამოგითვლით იმ შედეგებს, რისი მიღწევაც სპეციალისტებს შეუძლიათ:

- * დაავადების პროგრესირების შეჩერება;
- * კუნთების გადაძაბვისა და ტკივილის მოხსნა;
- * ხერხემლისთვის ფიზიოლოგიური მოძრაობის აღდგენა.

ხერხემლის დათვლიერების მეთოდიკა ადვილია და შემდგომში მდგომარეობს:



* კარგია, თუ ბავშვის დათვლიერებას მზის სხივებით განათებულ ოთახში მოახდენთ. ბავშვს გახადეთ ტანსაცმელი (დატოვეთ მხოლოდ ქვედა საცვალში), დააყენეთ იატაკზე, ხელები უნდა ჰქონდეს დაშვებული და ზურგზე სინათლე თანაბრად ეცემოდეს. ბავშვის ზურგიდან 2-3 მეტრის მოშორებით დაჯექით გამართულად და დააკვირდით: სიმეტრიულადაა თუ არა ყურები, მხრები, ბეჭის ძვლები, წელი, ჩაღრმავებები გავის ძვლის ზემოთ, დუნდულების ნაოჭები და თავად დუნდულები. ასევე, დააკვირდით, ერთ სიმაღლეზე დგას თუ არა იდაყვის სახსრები. თუ ეს გამოსაკვლევი ორიენტირები არასიმეტრიულია ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ღერძის მიმართ, მაშინ ტანადობის დარღვევა ან სკოლიოზია საუკეთესო.

* დააკვირდით, სიმეტრიულად დააწყო თუ არა ბავშვმა ტერფები. არასიმეტრიულობა მენჯის ძვლის პრობლემაზე მეტყველებს.

* სთხოვეთ ბავშვს, ხელებით იატაკს მისწვდეს, ამასთან, ზურგი ამოხიქოს. დააკვირდით, შუა ხაზიდან ტანი ხომ არა აქვს გადახრილი, კუნ-

თი წელის მალეების რომელიმე მხარეს ხომ არაა ამოხურცული ან სულაც, გულმკერდის ყაფაზში რომელიმე ნეკნი ან ბეჭის ძვალი ხომ არაა „ამოვარდნილი“.

* სთხოვეთ ბავშვს, ხელები ზურგს უკან წაილოს და ერთმანეთს შემოაჭდოს, შემდეგ გადაიხაროს ჯერ ერთ, მერე მეორე მხარეს. დააკვირდით, რომელიმე მხარეს ხომ არა აქვს შეზღუდული გადახრა.

* შეხედეთ ბავშვს გვერდიდან. დააკვირდით, ხომ არა აქვს ზედმეტად გამოწეული ან პირიქით — ჩანეული მკერდის ძვალი ან მუცელი წინ ხომ არა აქვს გამოწეული.

თუ აღმოაჩინეთ რომელიმე სიმპტომს, მაშინ კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან. ასეთი დათვლიერება მიზანშეწონილია წელიწადში ორჯერ ან უფრო ხშირად, განსაკუთრებით, ბავშვის ინტენსიური ზრდის პერიოდში.

ტანადობის დარღვევა და სკოლიოზის მკურნალობა

რომელიმე ერთ მეთოდზე (მანუალურ თერაპიაზე, მედიკამენტოზურ თერაპიაზე, სამკურნალო ფიზკულტურაზე) ჩაცვიკვლა შეცდომა იქნება. აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა და ამ მეთოდების საჭიროებისამებრ, კომბინირებული გამოყენება.

მკურნალობის მთავარი ამოცანაა კუნთების სწორი ტონუსურ-ძალოვანი ბალანსის აღდგენა, რაც არცთუ მარტივი საქმეა.

ტანადობის დარღვევისა და სკოლიოზის პროფილაქტიკა

* არ დასვათ ჩვილი დროზე ადრე, არ ატაროთ მხოლოდ მარჯვენა ან მხოლოდ მარცხენა ხელით;

* ბავშვს შეურჩიეთ შესაფერისი ზომის ავეჯი;

* მოსწავლის სამუშაო ოთახი კარგად უნდა იყოს განათებული, სინათლე უნდა ეცემოდეს მარცხნიდან;

* სანერი მაგიდა უნდა იყოს ფართო: მასზე არა მარტო წიგნი და რვეული, არამედ წინამხრებიც უნდა ეტეოდეს;

* თუ მეცადინეობის დროს ბავშვი წიგნთან ძალიან ახლოს იხრება, აუცილებლად შეუმონშეთ მხედველობა:

* ნამოწოლილ მდგომარეობაში კითხვა ან ტელევიზორის ყურება რეკომენდებული არ არის;

* მეცადინეობის დროს აუცილებელია შესვენების გაკეთება და გავარჯიშება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვის ფიზიკური განვითარება. მისი „ვარჯიშის რაციონი“ უნდა შეიცავდეს როგორც სწრაფ მოძრაობებს (ჩვეულებრივი დილის გამამხნეველი ვარჯიში), ისე გაჭიმვებს ანუ ნელ



რა არის სვრინვა?

ხვრინვა ხახის რბილ ქსოვილებში ჰაერის ნაკადის გავლისას წარმოიქმნება. ხვრინვას უჩივის მოზრდილი მოსახლეობის 30%-ზე მეტი, ხოლო 60 წლის შემდეგ — 60% მეტი ადამიანი.



* მესხიერებისა და ყურადღების დაქვეითება.

ხვრინვის დიაგნოზის დასმა განსაკუთრებული ძალისხმევით გარეშე ხდება. ამისათვის გამოჰქითხავენ შინაურებს და ატარებენ ტესტებს, მაგრამ არსებობს ძილის აპნოეს ობსტრუქციული სინდრომის სადიაგნოსტიკო დამატებითი გამოკვლევის ინსტრუმენტული მეთოდები. ასეთია ე.წ. პოლისომნოგრაფიული გამოკვლევა — ამ დროს იკვლევენ ავადმყოფის სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას ძილის დროს.

ხვრინვის შემთხვევაში, ავადმყოფმა უნდა მიმართოს ოტო-რინო-ლარინგოლოგს (ყელ-ყურ-ცხვირის სპეციალისტს) და ნევროლოგს.

მკურნალობა

ავადმყოფმა აუცილებლად უნდა გამოირიცხოს რისკ-ფაქტორები: ძილის წინ არ უნდა მოსწიოს სიგარეტი და არ მიიღოს ალკოჰოლი.

არსებობს ხვრინვისა და ძილის აპნოეს კონსერვატიული (მედიკამენტური) და ქირურგიული მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი.

კონსერვატიული მეთოდები მიმართულია სასუნთქი გზების გაგანიერებაზე. ძილის დროს ავადმყოფმა უნდა ამოიჩიოს ძილისთვის სწორი მდებარეობა. აგრეთვე არსებობს სპეციალური მედიკამენტები, რომლებიც ხვრინვის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

გარდა ამისა, ავადმყოფმა შეიძლება ჩაატაროს სპეციალური ვარჯიშები ხვრინვის შესამცირებლად (სპეციალისტის დახმარებით).

ქირურგიული კორექცია მოიცავს ოპერაციების კომპლექსს, რომლებიც აუმჯობესებს ცხვირით სუნთქვას, ზრდის ხახის სანათურს, ამცირებს რბილი სასის და ხახის ლიმფოიდური ქსოვილის ზომებს. ეს ოპერაციები, როგორც წესი, ლაზერული, ულტრაბგერითი ან მექანიკურია.

ვარჯიშებს, რაც კუნთების ელასტიკურობას აუმჯობესებს. სასარგებლოა მოძრაობითი თამაშები: ცოცვა, ხეზე ასვლა, ჩაკუზ-აკუზვა (ბუქნები), სირბილი და რაც მთავარია, ცურვა. სწრაფი ზრდის პერიოდში ხტუნვისა და სირბილისგან თავის შეკავებაა საჭირო.

ძვლისთვის აუცილებელი კომპონენტის — კალციის შესავსებად, ბევრი ბავშვი თვითნებურად, ცარცსაც კი ჭამს. ცარცით კალციუმის შევსება არ ღირს. მიეცით ბავშვს რძის პროდუქტები, ხილი და ბოსტნეული, თევზი — ეს პროდუქტები კალციუმისა და ვიტამინების ბუნებრივ წყაროს წარმოადგენს.

არ დაივიწყოთ, რომ მამოდრავებელ აპარატზე გავლენას ემოციური მდგომარეობაც ახდენს. ნევროზიან ბავშვებს წელში მოხრილობისკენ აქვთ მიდრეკილება. ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატი თითქმის ყველა დაავადების უპირველეს პროფილაქტიკურ საშუალებას წარმოადგენს.

თუ ფხეაზე სოკო გაქვთ

დააქუცმაცეთ პიტნა, დაუმატეთ სუფრის მარილი და დაიდეთ ფენის თითებს შორის, 1 საათის განმავლობაში. პროცედურა გაიმეორეთ სოკოს სრულ გაქრობამდე.

ტერფები კარგად დაიბანეთ, შემდეგ ჩაყავით მაგარი ღვინის ძმარში და მოიშორეთ სკალპელის საშუალებით.



ხვრინვა შეიძლება, ისეთი სერიოზული დაავადების წინასიმპტომი იყოს, როგორცაა, ძილში სუნთქვის გაჩერება (ძილის აპნოეს ობსტრუქციული სინდრომი).

ხვრინვა ჩნდება ცხვირის ძგიდის გამრუდების, ცხვირის ან ხახის ჰაერგამტარი გზების თანდაყოლილი შევიწროების, ცხვირში არსებული პოლიპების, უკან ნანაცვლებული ქვედა ყბის (თანკბილვის დარღვევით), ნუშურაჯირკვლების გადიდების, სიმსუქნის დროს და ა.შ.

ასევე, ხვრინვას იწვევს ისეთი ფუნქციონალური ფაქტორები და დაავადებები, რომლებიც ხახის კუნთოვან ტონუსს აქვეითებს: ძილის დეფიციტი და დაღლილობა, ალკოჰოლისა და საძილე პრეპარატების მიღება, სიგარეტის მოწევა, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება, მენსტრუალური ციკლის შეწყვეტა, დაბერება — ყველაფერ ამას მიყვავართ სასუნთქი გზების შევიწროებამდე, რაც ძილის დროს სუნთქვისას გაჩენილი დამახასიათებელი ხმოვანებით ვლინდება.

ქრონიკული ხვრინვის ერთ-ერთი ძირითადი სიმპტომია ძილიანობა დღისით — ხვრინვის დროს ორგანიზმი და თავის ტვინი დასვენებას ვერ ახერხებს, ამიტომ ტვინი ცდილობს, აღიდგინოს ღამის დანაკარგები და ადამიანს დღისით ეძინება.

ხვრინვას აუცილებლად სჭირდება მკურნალობა, განსაკუთრებით მაშინ, თუ გამოვლინდა ძილის აპნოეს ობსტრუქციული სინდრომის პირველი ნიშნები:

- * მოუსვენარი, ზედაპირული ძილი;
- * ოფლიანობა;
- * გახშირებული ღამის შარდვა;
- * თავის ტკივილი და დამტვრეულობის შეგრძნება დილაობით;
- * მკვეთრად გამოხატული ძილიანობა დღის საათებში;
- * გაღიზიანებადობა;


P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგწერთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



ახალი ნიშანი
თუბის
მეურნატი



სხვამ იქიმიან მთვარე...



ადამიანი

„ზივის“ მოყვარული კიკინიანი ფოტობრაფი, 4 სოლი და ნამდვილი სიყვარულის უიშვალე ფოტოები

კოსტიუმში გამოწყობილ კიკინან ფოტოგრაფს — ბიორბი ავირაძის რუსთავში თითქმის ყველა იცნობდა. ის წლების მანძილზე, ქალაქში ავტომანქანა „ზიმით“ დადიოდა... ჰოდა, დღეს უმცროს გიორგი ავერკიევს სწირად ეკითხებიან: შენ იმ კაცის შვილიშვილი არ ხარ, ქალაქში „ზიმით“ რომ დადიოდაო?..

ეთო ყოვლანახვილი

ბიორბი, 19 წლის:

— ჩემი წინაპრები ბორჯომის თავადები გახლდნენ, გვარად — ავალ-იშვილები. შემდეგ ისე მოხდა, რომ გვარი შეიცვალეს და ავალიშვილის ნაცვლად, დღეს ავერკიევი ვარ. ბაბუაჩემი — გიორგი ავერკიევი სანქტ-პეტერბურგში დაიბადა. მამამისი ფოტოგრაფი არ იყო, მაგრამ ფოტოების გადაღება ძალიან უყვარდა. სამაგიეროდ, ბაბუამ პროფესიად სწორედ ფოტოგრაფობა აირჩია — მიხვდა, რომ სურათების გადაღება მისი საქმე იყო!

— თუ იცი, ბაბუამ რომელი ფოტოკამერით დაიწყო მუშაობა?



მეოთხე ანუ ბოლო ცოლი — ბებიაჩემი გალიაა. ბაბუამ ის 32 წლის ასაკში შეირთო


— მგონი, „ფედით“, „ზენიტით“, „მოსკოვითაც“ მუშაობდა. საბჭოთა კავშირის პერიოდში ბევრ ძალიან ცნობილ ადამიანს უღებდა სურათებს, მაგალითად: კოსმონავტ სევესტიანოვს, კომპოზიტორ მრავინსკის, მსახიობებს — ალისა ფრეინდლისს და მიხაილ ბოიარსკის... სხვათა შორის, ბოიარსკის მამასაც კარგად იცნობდა და მასთან მეგობრობდა კიდევ. ბაბუა პირველად 16 წლის ასაკში დაოჯახდა, ცოლად რუსი გოგონა — ანა შეირთო.

— სულ რამდენჯერ დაოჯახდა?

— ოთხჯერ: ანასთან დაახლოებით 5-6 წელი იცხოვრა, მერე დაშორდა. მალე მეორედ დაქორწინდა — ცნობილი ფრანგი არქიტექტორის ქალიშვილზე, ირენ ბენუაზე. ირენი ბალერინა გახლდათ. მათი თანაცხოვრებაც დიდხანს არ გაგრძელებულა... ბაბუაჩემის მესამე ცოლი პროფესიით ნოტარიუსი, სოფია გახლდათ. მეოთხე ანუ ბოლო ცოლი — ბებიაჩემი გალიაა. ბაბუამ ის 32 წლის ასაკში შეირთო. 40 წელზე მეტხანს იცხოვრეს ერთად. ერთმანეთი სანქტ-პეტერბურგში გაიცნეს, დაქორწინდნენ, 2 შვილი — ვაჟი და გოგონა შეეძინათ. მამაჩემი 13 წლის იყო, როცა ბაბუა ოჯახით საქართველოში გამოემგზავრა და რუსთავში დასახლდა.

— სანქტ-პეტერბურგიდან საქართველოში გამოგზავრების მიზეზი რა იყო?

— სანქტ-პეტერბურგში სხვაგვარი კლიმატია, რის გამოც ბავშვები თითქმის სულ ცუდად იყვნენ და ამიტომ



ბაბუამ პროფესიად სწორედ ფოტოგრაფობა აირჩია

საქართველოში ცხოვრება არჩიეს.

— როგორც ფოტოგრაფს, აქ თავის დამკვიდრება არ გაუჭირდა?

— არა. იმ პერიოდში ფოტოგრაფობა პოპულარული პროფესია არ გახლდათ და შესაბამისად, ბევრი ფოტოგრაფიც არ იყო. აქ ჩამოსვლის შემდეგ, ბაბუამ გარკვეული ფართობი იყიდა, სადაც ლაბორატორია გახსნა. მაშინ სპეციალური მანქანები არ არსებობდა და სურათების დამზადება ქიმიკატების საშუალებით ხდებოდა. ის ათასობით ფოტოს იღებდა და ყველას ლაბორატორიაში ამზადებდა. თავისი ფოტოკამერით ბოლნისში, მარნეულში, თბილისში ბევრს მოგზაურობდა.

— ძირითადად რას იღებდა?

— საბავშვო ბალებსა და სკოლებში გამართულ ზეიმებს.

— პეტერბურგში ბევრ ცნობილ ადამიანთან თანამშრომლობის შემდეგ, საქართველოში საბავშვო ბალებ-



გამოფენაზე, სხვა ფოტოებთან ერთად, ბებიჩემის შიშველი ფოტოებიც იყო წარმოდგენილი...

სა და სკოლებში მუშაობასთან შეგუება არ გაუჭირდა?

— აქაც მალე გაიცნო ცნობილი ადამიანები. ძალიან ბევრი რეპორტაჟული ფოტო აქვს გადაღებული, მაგალითად — რუსთავის შესასვლელის გახსნა. ამ ღონისძიებას ვერიკო ანჯაფარიძე, სოფიკო ჭიაურელი, ჟიული შარტავა, ევგენი ლეონოვი ესწრებოდნენ. თბილისში სშირად არა, მაგრამ რუსთავში გამართულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას ალბეჭდავდა ფოტოფირზე. შეიძლება ითქვას, ქალაქ რუსთავის მემატინე იყო. ძალიან კარგად იცნობდა მხატვარ ოთარ ჩხარტიშვილს. ისინი მეგობრობდნენ და ერთმანეთს გამოფენების მოწყობაში ეხმარებოდნენ. ბატონი ოთარის ერთი სურათი ჩვენც გვაქვს, ოღონდ — არა ორიგინალი: ბაბუამ ორიგინალი რომ ნახა, ძალიან მოეწონა და სთხოვა, — ასეთი მეც დამიხატეო; რა თქმა უნდა, მეგობარმა თხოვნა შეუსრულა, მაგრამ მეორე ნაშუქვეარი ზუსტად ისეთი აღარ გამოუვიდა. ამ სურათის ორიგინალი დღეს ძალიან ძვირი ღირს...

— როგორც აღნიშნე, შენი წინაპრები ქართველები იყვნენ. საქართველოში დასახლების შემდეგ, ბაბუა ნათესავებს თუ დაუკავშირდა?

— რა თქმა უნდა. ჩვენი ბევრი ნათესავი თბილისში ცხოვრობს. ბაბუას მათი პოვნა არ გასჭირვებია. ისეთი მოხერხებული კაცი იყო, პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრაც კი შეძლო — იმ პერიოდში შევარდნაძესთან შესვლა იოლი

საქმე ნამდვილად არ იყო.

— ედუარდ შევარდნაძეს რასთან დაკავშირებით ესაუბრა?

— ეგ არ ვიცი. რაღაც საქმე ჰქონდა, დაელაპარაკა და მოაგვარა...

— მაშინდელ პრეზიდენტთან პროფესიონალური კუთხით შეხება თუ ჰქონდა?

— ბაბუას — არა, მამაჩემს კი ჰქონდა: რუსთავის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, შევარდნაძე ჩვენს ქალაქს ესტუმრა და ფოტოები მამაჩემმა გადაუღო.

— გარდა იმისა, რომ თავისი საქმის პროფესიონალი იყო, ბაბუაზე კიდევ რას იტყვი?

— ნამდვილი არისტოკრატი იყო. ქალაქში ძალიან ცნობილი კაცი გახლდათ. დღემდე მეკითხებიან ხოლმე, — ბაბუაშენი ის არ იყო, „ზიმით“ რომ დადიოდაო (იცინის)? ასეთი მანქანა საქართველოში ბევრს არ ჰყავდა, რუსთავში კი მგონი, „ზიმით“ მხოლოდ ბაბუაჩემი დადიოდა.

მას, როგორც „ზიმის“ მოყვარულს, ისე იცნობდნენ. თითქმის სულ კოსტიუმში იყო გამოწყობილი და თმაზე კიკინა ჰქონდა. სპორტული სტილის სამოსი არ უყვარდა. აგარაკზე ან სოფელში თუ ვიყავით, სპორტულად მაშინ იცვამდა, ქალაქში კი სულ კოსტიუმით და კიკინით დადიოდა.

— იმ პერიოდში, კიკინიან ფოტოგრაფს ხალხი როგორ აღიქვამდა?

— როგორც ვიცი, ბაბუას კიკინასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული რეაქცია არავის ჰქონია... ახლა ციფრული ფოტოკამერა თითქმის ყველას აქვს და ფოტოებს თავად იღებენ, წინათ კი პროფესიონალ ფოტოგრაფებს უფრო აფასებდნენ, შესაბამისად, ფოტოგრაფობა ბევრად უფრო შემოსავლიანი პროფესია იყო. ბაბუა ძალიან შრომისმოყვარე გახლდათ. ბევრს მუშაობდა. იალღუჯის მთაზე აგარაკიც კი ააშენა... ძალიან განათლებული კაცი გახლდათ. სახლში ერთი ოთახი ბიბლიოთეკისთვის ჰქონდა გამოყოფილი, სადაც დღემდე უამრავი წიგნი ინახება; ყველა წაკითხული ჰქონდა. ინგლისურსაც სწავლობდა...

— ბებია რას საქმიანობდა?

— რუსთავის თეატრში მუშაობდა — პროფესიით მსახიობი იყო. ბებია ბაბუაჩემის ნამდვილი სიყვარული იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამდენი წელი ერთად არ იცხოვრებდნენ. სალამოს 6-7 საათზე ბაბუა ყოველთვის შინ ბრუნდებოდა — არსად „გულაობდა“ (იცინის). ალკოჰოლურ სასმელებს არ სვამდა. სამაგიეროდ, ძალიან უყვარდა ჩაი. ბაბუა საოჯახო საქმეებსაც

თავად აგვარებდა: რეცხავდა, საჭმელს ამზადებდა, მალაზიაში პროდუქტების საყიდლად მიდიოდა...

— ასე, საკუთარი სიამოვნებითვის იქცეოდა თუ საოჯახო საქმეებისთვის ბებიას დრო არ რჩებოდა?

— ბაბუას სიამოვნებდა, რასაც აკეთებდა. უყვარდა, როცა ოჯახის წევრებს ერთად შეგვეკრებდა.

— ქალბატონი გალიას გარდა შვილები სხვა ცოლებისგანაც ჰყავდა?

— კი, პირველ ცოლთან ერთი ქალიშვილი — ჟანა ეყოლა. ჟანას დედას დიდი ხანია, მეორე ქმარი ჰყავს. მის ოჯახთან დღესაც კარგი ურთიერთობა გვაქვს. მამაჩემი პეტრეზურგში, ბაბუის პირველ ცოლთან ხშირად მიემგზავრებოდა. ჟანას შარშან მეც ვესტუმრე და გავიცანი. ერთი თვის განმავლობაში მის ოჯახში ვცხოვრობდი.

— ბაბუა როდის გარდაიცვალა?

— 2 წლის წინ, 74 წლის ასაკში ინსულტით გარდაიცვალა.

— როგორც მითხარი, ის და ოთარ ჩხარტიშვილი ერთმანეთს გამოფენების მოწყობაში ეხმარებოდნენ. ბაბუამ ფოტოგამოფენა როდის მოაწყო?


— ზუსტი თარიღი არ მახსოვს — ეს იყო 80-იან წლებში. გამოფენაზე, სხვა ფოტოებთან ერთად, ბებიჩემის შიშველი ფოტოებიც იყო წარმოდგენილი...

— ასეთ ფოტოებს სხვა ქალებსაც უღებდა?

— არა.

— ყოფილ ცოლებს?

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ოჯახის წევრებს ბაბუას სხვა ცოლების



გიორგი ავერკიევი ბუბა კიკაბიძესთან ერთად



ფოტოები არ გვინახავს, ბებიას კი უამრავი ფოტო აქვს.

— ამჟამად შენ და მამაც ფოტოგრაფებად მუშაობთ, არა?

— ბაბუას გარდაცვალების შემდეგ, მამა ჩვეულებრივ შეკვეთებს იღებდა, მაგალითად, როგორც ფოტოგრაფს, ქორწილებში იწვევდნენ. ისე ხდებოდა, რომ ქორწილებში ცნობილი ადამიანებიც იყვნენ დაპატიჟებული. მამამ მათი გაცნობა და შემდეგ მათთან თანამშრომლობა მოახერხა. აჩიკო მეფარიძეს, დათო გომართელს, მერაბ სეფაშვილს, ლელა წურწუმიას, ბუბა კიკაბიძეს უღებდა სურათებს. ქალბატონი სანდრა რულოვსის წიგნის ყდაზეც მამაჩემის გადაღებული ფოტოა.

— ქალბატონ სანდრასთან დაკავშირება როგორ მოახერხა?

— სანდრა რულოვსი რუსთავის ერთ-ერთ სკოლას ეწვია. სკოლის დირექტორმა მამას დაურეკა და ღონისძიების ფოტოკამერით გადაღება სთხოვა... მოგვიანებით, მამაჩემმა ქალბატონ სანდრას ტელეფონის ნომერი გაიგო, დაურეკა და უთხრა: თქვენი ფოტოები მაქვს და თუ გნებავთ, გადმოგცემთო. სანდრა რულოვსს სურათები ძალიან მოეწონა, ერთ-ერთი კი თავისი წიგნის გარეკანზე „გაუმეა“... მახსოვს, ქალბატონი სანდრა მამას თავად ურეკავდა ხოლმე. მუშაობის პროცესს მეც ვესწრებოდი (ილიმის).

— შენს პროფესიულ არჩევანზე მამისა და ბაბუას ფოტოგრაფობამ იმოქმედა?

— პეტრებურგთან ახლოს, ნოვგოროდში ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი, მაგრამ იქაურ კლიმატს, ხალხს ვერ შევეგუე და საქართველოში დავბრუნდი. საქართველოში მაინც სხვაგვარი მეგობრობა, მეზობლობა ვიცი. თან, შეყვარებულიც მელოდებოდა და რუსეთში ვეღარ გავეჭლი. დღეს მეც ფოტოგრაფი ვარ. შეიძლება, რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარო. იმედია, ნორმალურ ინსტიტუტს ვიპოვი, ჩემი შეყვარებული „გეპეიში“ სწავლობს და მეუბნება, — დიპლომის გულისთვის დავდივარ, სწავლის დონე ძალიან დაბალიაო.

— შეყვარებულს არ უღებ ფოტოებს?

— კი, ოღონდ ჯერ ისეთ სურათებს არ ვუღებ, როგორიც ბაბუაჩემს ბებიათვის გადაუღია (იცინის)...

— ფოტოგამოფენის მოწყობას არ გეგმავთ?

— მამას ცნობილი ადამიანების ბევრი პორტრეტი აქვს. გამოფენაზე, რომლის მოწყობასაც დაახლოებით 2 წელია ვაპირებთ, სწორედ ამ ფოტოებს წარმოვადგენთ.

„ჩვენი გვარი მედიცინის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩევა“

რამდენიმე წელია, საქართველოს მოსახლეობაში ავთვისებიანი სიმსივნე მოხშირდა. სამწუხაროდ, ამ უკურნებელი სენით უამრავი ადამიანი ავადდება. სტატისტიკური მონაცემებით, ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი დაავადება — მსხვილი ნაწლავის კიბოა. ამის გამო, ონკოლოგიის ცენტრის პროქტოლოგიურ განყოფილებაში დღის განმავლობაში, რამდენიმე რთული ოპერაცია კეთდება... ერთ-ერთი ქირურგთაგანი, ვინც პაციენტთა გადასარჩენად იღვწის, 37 წლის არჩილ ალადაშვილი გახლავთ. ბატონ არჩილს ძალიან უყვარს თავისი პროფესია და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ევროპის არაერთ ქვეყანასაც სტუმრობს ხოლმე...

ნათია ჟივიკა

— თუ გახსოვთ, როდის მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ ექმი გამხდარიყავით და თანაც — ონკოლოგი?

— ეს გადაწყვეტილება მამაჩემმა უფრო მიიღო, ვიდრე — მე. რატომღაც უნდოდა, რომ სამედიცინოზე ჩამებარებინა. მამას დიდ პატივს ვცემდი, ამიტომ მისი სურვილი გავითვალისწინე და სამედიცინო ინსტიტუტში შევიტანე საბუთები... უნდა ვთქვა, რომ თავიდან ექიმობა საერთოდ, არ მომეწონა. დიდი ხნის განმავლობაში ვფიქრობდი, პროფესია გამომეცვალა. მით უმეტეს, რომ ინსტიტუტში 1989 წელს ჩავაბარე: იმ დროს ჩვენში ეროვნული მოძრაობა იყო დაწყებული, საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა იყო, რის გამოც კარგი სტუდენტობა ნამდვილად არ მქონია... მაგრამ როცა კლინიკაში პრაქტიკაზე გამამწესეს და პირველ ოპერაციას დავესწარი, მივხვდი, რომ ამ საქმისთვის ვიყავი განჩინილი. რაც შეეხება პროქტოლოგიას: მედიცინის ეს დარგი — უდიდესი ქირურგიაა... სხვათა შორის, ჩვენი გვარი მედიცინის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩევა — გვარში ბევრი ცნობილი ექიმი გვყავს, მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი არ მენათესავება, უბრალოდ, მოგვარეები ვართ. კამოს (ახლანდელი უზნაძის) ქუჩაზე ალექსანდრე ალადაშვილის ძეგლიც კი დგას — ამ კაცმა მილიონი ადამიანი გადაარჩინა სიკვდილს და ფუნდამენტური ნაშრომებიც შექმნა, რომლითაც უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში დღესაც ასწავლიან; მისმა შთამომავლობამაც ასევე ღირსეულად გააგრძელა მისი გზა...

— როგორ მოხვდით ონკოლოგიურ საავადმყოფოში?



— ერთადერთი შანსი, რომ ბოლომდე ექიმად დავრჩენილიყავი, ამ საავადმყოფოში მოსვლა იყო, რადგან თავიდანვე ონკოლოგიით ვიყავი გატაცებული. პროქტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ილია ბაქრაძე სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრის გამგე იყო ჩემი სტუდენტობის დროსაც და ახლაც ამავე თანამდებობაზეა. სწორედ ბატონმა ილიამ შეგვარჩია 10 სტუდენტი და ამ საავადმყოფოში მოგვიყვანა. ჩვენ შორის, ერთი ებრაელი გოგონა იყო, რომელიც ისრაელში წავიდა საცხოვრებლად, დანარჩენი 9 სტუდენტი აქ დავრჩით და დღემდე აქ ვმუშაობთ. სამსახური ისეთ საშინელ დროს დავიწყე, როცა არც შუქი იყო, არც გაზი და არც ტრანსპორტი, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ნუცუბიძის პლატოზე ვცხოვრობდი და სამსახურში ფეხით დავდიოდი. 1996 წელს ინტერნატურაში ჩავირიცხე. მისი დამთავრების შემდეგ კი, პირველ აპრილს, შტატში ამიყვანეს. მაშინ დირექტორი ბატონი რეზო ვეფხვაძე იყო, რომელთანაც ბატონმა ილიამ გამინია შუამდგომლობა და მანაც მიმიღო.

— ალბათ გახსოვთ, როდის გააკეთეთ პირველი ოპერაცია და



ინ იყო თქვენ პაციენტი.

— პირველი ოპერაციისას, რომელშიც უშუალოდ ვმონაწილეობდი, 22 წლის ვიყავი. იმ დღეს საავადმყოფოდან რომ წამოვედი, ძალიან მაგარი შეგრძნება მქონდა, — საკუთარი თავით უზომოდ კმაყოფილი



პირველი ხელფასი — არა, პირველი ჰონორარი მასსოვს — ერთი ბოთლი შამპანური მაჩუქეს

ვიყავი. ასეთი შეგრძნება ცხოვრებაში მხოლოდ ორჯერ მქონდა. მეორე შემთხვევაზე მოგვიანებით მოგიხსნობო. რაც შეეხება პირველ პაციენტს: მისი გვარი, ალარ, მაგრამ ის კი კარგად მასსოვს, რომ კახელი იყო... როცა დამოუკიდებლად ოპერაციების გაკეთება დავიწყე, 25 წლის ვიყავი. 26 წლის ასაკში კი მორიგე ბრიგადის ხელმძღვანელად დამნიშნეს.

— ძალიან მაინტერესებს, რა რეაქცია ჰქონდათ პაციენტებს, როცა იგებდნენ, რომ ოპერაცია ასეთ ახალგაზრდა ექიმს უნდა გაეკეთებინა?

— ოპერაციაზე მართო არასოდეს შევსულვარ: ონკოპროქტოლოგიური ოპერაცია იმდენად რთულია, რომ მას 3 ქირურგი მაინც სჭირდება...

— პირველი ხელფასი თუ გახსოვთ?

— პირველი ხელფასი — არა, პირველი ჰონორარი მასსოვს — ერთი ბოთლი შამპანური მაჩუქეს. ქალბატონი განყოფილების გასასვლელში დამხვდა და ბოთლი ჩუმიად მომანოდა. მაშინ ისეთი პერიოდი იყო, რომ ოფიციალური ხელფასი არც გვქონდა...

— ვიცე, რომ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, არაერთხელ ხართ ნამყოფი საზღვარგარეთ. იქნებ ამის შესახებაც გვიამბოთ...

— დისერტაცია 2002 წელს დავიცავი და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მომანიჭეს. შემდეგ სადოქტოროსთვის მზადება დავი-

წყე. ვიდრე სადოქტოროს დავიცავდი, გამოვიდა კანონი, რომლის თანახმადაც, ყველა დისერტაცია გაათანაბრეს. სადოქტოროს თავი დავანებე, გარკვეული კვლევების ჩატარება დავიწყე და რალაც შედეგებიც მივიღე... შემდეგ ჩემი დისერტაციის მასალა ევროპის ქირურგ-ონკოლოგთა საზოგადოებაში გავგზავნე. მიიღეს და გრანტი — 2.500 ევრო გადმომცეს. მომივიდა მონვევა ავსტრიიდან. იქ წასვლის დრო დავამთხვიე ონკოლოგთა მსოფლიო კონგრესს, რომელიც ბერლინში იმართებოდა. ჯერ ბერლინში ჩავედი და მოხსენება წავიკითხე. იქ სულ 72 ქვეყნის წარმომადგენელი ვიყავით. ყველა ქვეყანას თავისი დროშა ჰქონდა ჩამოკიდებული, საქართველოს გარდა. ტრაზახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მეამაყება ის ფაქტი, რომ ბერლინში საქართველოს პოსტერი მე დავკიდე. იქ ისეთი გიგანტები არიან, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მედიცინაში ამინდს ქმნიან. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო მათ გვერდით დადგომა და რალაცის შესწავლა. მართალია, ქართველები ვამბობთ, ყველაზე მაგრები ვართ-თქო, მაგრამ ეს ასე არ არის. მაგრები როგორ ვართ, როცა ონკოლოგიური ავადმყოფი მკურნალობაში ფულს იხდის?!

— როგორ, ევროპაში ონკოლოგიურად დაავადებულთა მკურნალობა უფასოა?

— არა, იქ ბევრად ძვირი ღირს, მაგრამ ამ ხარჯებს ავადმყოფი კი არა, სადაზღვევო კომპანიები ანაზღაურებენ. სადაზღვევო სისტემაზე ჩვენ ახლა ვადავდივართ...

— ბერლინის შემდეგ ავსტრიაში გაემგზავრეთ?

— კი, ბერლინში სულ 3 დღე გავჩერდი, შემდეგ კი ვენაში გავფრინდი, სადაც ვსწავლობდი, თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს სწორი ნაწლავის ოპერაცია ისე, რომ საჭირო არ გახდეს ნაწლავის გარეთ გამოტანა. იქ პრაქტიკის უფლება არ მქონდა, მაგრამ რატომღაც, პირველივე დღეს საოპერაციოში აღმოვჩნდი. იქაურ ქირურგებს დავეხმარე, მეტი თავისუფლება მქონდა და ამით ბედნიერი ვიყავი. იქ არავინ იყო ისეთი, ვისაც ჩემს ბედნიერებას გავუზიარებდი. ჩემს ცხოვრებაში ეს მეორე შემთხვევა იყო, როცა საკუთარი საქმიანობით დიდ კმაყოფილებას განვიცდიდი. ის საავადმყოფო ვენის ცენტრში მდებარეობს და დაახლოებით, საბურთალოსხელა ტერიტორია უკავია, სადაც ორი 22-სართულიანი შენობა და გარშემო უამრავი პატარა შენობა დგას.

— ალბათ გინდათ, ოდესმე მსგავს საავადმყოფოში იმუშაოთ. შეთავაზება არ გქონიათ?

— როგორ არა?! იმავე საავადმყოფოში მუშაობის დაწყების შანსი მქონდა. უნდა აღვნიშნო, რომ იქ უფრო ადამიანური ურთიერთობებია. საქართველოში კი ყველა სფეროში და მათ შორის, მედიცინაშიც, დიდი კონკურენციაა. საზღვარგარეთ, თუ შენს ცოდნას საქმით დაამტკიცებ, ბევრად წინ წახვალ, ვიდრე ჩვენში. სასვებით შესაძლებელია, რომ სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდე, მაგრამ სადაც უნდა ვიყო, აუცილებლად საქართველოსთვის უნდა გავაკეთო საქმე. ამის საუცხოო საშუალებას კი სწორედ ის გრანტები იძლევა, რომლის მოსაპოვებლადაც ვიბრძვი. იმ გრანტის თანხასაც შენს ხალხს ახმარ და შენი განვითარებაც ხდება. ვენაში მუშაობის დაწყება ჩემთვის მიუღწეველი არ არის. მით უმეტეს, რომ იქ რამდენიმე ქართველი ექიმი მუშაობს...

— ვენის შემდეგ კიდევ აიმაღლეთ კვალიფიკაცია?

— ჰამბურგის მასლობლად ძალიან დიდი სამედიცინო ცენტრია, სადაც ორკვირიანი კურსი — „კიბოს მკურნალობის თანამედროვე მეთოდების“ შესახებ გავიარე. იქაც წავიკითხე მოხსენება... უნდა აღვნიშნო, რომ ის შენობა, სადაც სემინარი ჩატარდა, ადრე ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ცენტრი იყო. ის ტერიტორია ერთ-ერთ ბარონს ეკუთვნოდა, რომელიც ტუბერკულოზით იყო დაავადებული და მისგან გარდაიცვალა; ამის გამო, მთელი თავისი ადგილ-მამულები ამ ცენტრს უანდერძა, რათა სხვა ავადმყოფები გადაერჩინათ... თურმე გერმანიაში 40 წლის წინ ტუბერკულოზი საერთოდ დაამარცხა, მაგრამ როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და იქ ემიგრანტები ჩავიდნენ, ეს დაავადება ქვეყანაში ისევ გავრცელდა. 40 წლის წინ კი ეს ცენტრი კიბოს საწინააღმდეგო ცენტრად გადააკეთეს, რომ ისიც აღმოეფხვრა, მაგრამ ახლა იქ ორივე დაავადებას მკურნალობენ. ეს ცენტრი წელსაც მეპატიჟება, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, გავემგზავრები თუ არა, რადგან ერთი კონფერენცია საფრანგეთში უნდა ჩატარდეს, ჰაიდელბერგში კი ძალიან კარგი კურსებია დაგეგმილი, რომელიც ჩემთვის, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, საკმაოდ მნიშვნელოვანია. იქ ჩემი მონაცემები მაქვს გაგზავნილი და იმედია, წახვალს შევძლებ.

— სწავლა სიბერემდე, თქვენზე ნათქვამი...

— ექიმმა ყოველდღე უნდა ისწავლოს. ქირურგია ისეთი დარგია, ყველა ოპერაციისას რალაც ახალს სწავლობ... თუ ექიმს თავისი საქმე არ უყვარს, არაფერი გამოუვა. ასე რომ, სწავლის გარეშე ჩემს ექიმობას აზრი არ აქვს.



— ვიცი, რომ მამას, რომელსაც თქვენი ექიმობა ასე სურდა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა...

— კი, ორი თვის წინ გაუუკეთეთ ოპერაცია...

— ოპერაცია თქვენ გაუკეთეთ?

— არა. ეს არაეთიკური იქნებოდა... იმ დღეს საოპერაციოში საერთოდ არ შევსულვარ, რადგან ჩემი იქ შესვლა დაძაბულობას გამოიწვევდა.

— მოკლედ, მამის იმედი გაამართლეთ...

— სხვათა შორის, სამი ძმა ვართ, უფროსი იურისტი, უმცროსი — ეკონომისტი. პროფესიები სამივემ მამის გავლენით ავირჩიეთ...

— თქვენს პირად ოჯახზეც მიაბნეთ...

— მყავს მეუღლე და სამი შვილი. მე და მარია თანაკლასელები ვიყავით და მალევე შევუღლდით. პროფესიით ისიც ექიმი, მაგრამ პრაქტიკოს ექიმად არ მუშაობს, რადგანაც პედიატრობა საკმაოდ რთული პროფესიაა, ძნელია, ავადმყოფ ბავშვებთან ურთიერთობა. ჩემი უფროსი შვილი ელენე 19 წლის არის და ფარმაცევტული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია; 13 წლის თორნიკე და 8 წლის ნოკოლოზი მყვანან.

— კიდევ ერთ შეკითხვას დაგ-

ისვამთ თქვენს სფეროსთან დაკავშირებით: ონკოლოგიურ საავადმყოფოში ოპერაციის გაკეთება საკმაოდ ძვირი „სიამოვნებაა“; როგორც ჩემთვის ცნობილია, ექიმებს მალალი ხელფასი არა გაქვთ; ოპერაციაში პაციენტი საშუალოდ, 3-4 ათას ლარს იხდის, რის საფასურადაც, კედლებჩამონგრეულ და მოუპირკეთებელიატაკიან პალატებში აწვენენ. როგორც შევიტყვევ, პაციენტის მიერ გადახდილი თანხა თქვენს ხელში საერთოდ არ ხვდება. საინტერესოა, რას ხმარდება ის?

— ამხელა შენობას შენახვა უნდა და პაციენტების მიერ გადახდილი თანხის უმეტესი ნაწილიც ალბათ ამას ხმარდება. ახლა ისეთი დროა, ის თანხა ვინმეს ჯიბეში რომ ხვდებოდეს, ეს აუცილებლად გამულავნდებოდა და ამის გამო პასუხსაც მოსთხოვდნენ...

— დაბოლოს — რა არის თქვენი პროფესიული წარმატების მიზეზი?

— ოჯახისგან, დე-

დისგან, ახლობლებისგან ბავშვობაში ისეთი ზნეობრივი ნორმები შევითვისე, რომელმაც შემდგომში ჩემი ჩამოყალიბებისას, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ასევე წარმატება მომიტანა იმ პროფესიონალებთან ურთიერთობამ, რომლებთანაც ქირურგიაში პირველი ნაბიჯების გადადგმისას მქონდა შეხება... ამის მიზეზი შეიძლება, საქმისადმი ის აზარტული დამოკიდებულება და უზომო სიყვარულიც იყოს, რომელსაც ყოველდღე განვიცდი...

თუ ექიმს თავის საქმე არ უყვარს, არაფერი გამოუვა



რადიომკურნალი

იმოვე შენი მკურნალი
„ჯალიცების“
ვაფრში!

ყოველ ოთხშაბათს,
15:30 საათზე
სალონი
დილაგვილთან
ერთად

FM 103.9



წარმატებული ბიზნესმენის წარეკლიანი გზა

მსახიობ ია ფარულავას მეუღლე, ბიზნესმენი **ზადი ასლი** დღეს-დღეობით ძალიან მსხვილი კომპანიის — „აგრიტექნიკს ჰოლდინგის“ მფლობელი და პრეზიდენტი, რომელმაც ბიზნესში წარმატების მისაღწევად საკმაოდ რთული გზა განვლო. აღსანიშნავია, რომ ქართველების სიძე სამი სახეობის სპორტში — დისკოსა და იარაღის მიზანში სროლა, შუბის ტყორცნა — ლიბანის ჩემპიონი იყო. იგი დღესაც აქტიურად ვარჯიშობს და ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევს.

„მინდა, თავი მივუძღვნა ქვეყანას, რომელმაც უამრავი ბედნიერება მაჩუქა“

თამთა დადუაელი

— ბატონო ფადი, გვიამბეთ, როგორი იყავით ბავშვობისას და რაზე ოცნებობდით?

— ლიბანში დავიბადე. მყავს და, რომელიც ჩემზე ორი წლით უფროსია. მამაჩემი განათლებული, კულტურული კაცი იყო. ის წარმატებული და პატივისცემი ბიზნესმენი გახლდათ. ჩემი ლამაზი დედა დროის უმეტეს ნაწილს შვილებს გვითმობდა, უნდოდა, წესიერები აღვზრდილიყავით. ჩემი დისგან განსხვავებით, რომელიც ნამდვილი ველური იყო, მე ზრდილობიანი ბავშვი გახლდით, კარგად ვიქცეოდი. მშობლები საკმაოდ მკაცრად გვზრდიდნენ — ყოველდღე 6 საათზე ვდგებოდით, ჩვენს საწოლებს ვასწორებდით, ვსაუზმობდით და სკოლაში მივდიოდით; აკრძალული გვქონდა ხელით ჭამა და უფროსების თანდასწრებით, ხმისთვის არ უნდა აგვეწია. ასე რომ, მე და ჩემს დას რთული ბავშვობა გვქონდა. მშობლებს სურდათ, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გვქონოდა და არა — ოჯახის სიმდიდრის.

— როგორი მოსწავლე იყავით?

— საშინელი და ძალიან ზარმაცი მოსწავლე ვიყავი, სწავლა მეზიზღებოდა. თავიდან იეზუიტურ-კათოლიკურ სკოლაში დავდიოდი, მასწავლებელი მღვდელი იყო და მასთან ურთიერთობა ძნელი გახლდათ. მას შეეძლო, უმნიშვნელო რამისთვისაც კი დავესაჯე. ერთხელ, ჩემი ყველაზე ცუდი საქციელისთვის, სკოლიდან გამომავდეს — ფრანგული ენის მასწავლებელმა შეურაცხყოფა მომაყენა, მე კი ის ვცემე. ამის შემდეგ, მშობლებმა სხვა სკოლაში გადამიყვანეს

და მალე, გაოცდნენ კიდევ — ყველასთვის მოულოდნელად, ბრწყინვალე მოსწავლედ ვიქცევი.

ყოველთვის მინდოდა, მოსამართლე გამოვსულიყავი, მაგრამ მამის საქმიანობამ, რომელიც პროფესიით აგრონომი გახლდათ და დიდი კომპანია ჰქონდა, ამ ოცნებაზე უარი მათქმევინა — ბავშვობიდან იმაზეც ვოცნებობდი, რომ მამის კომპანია ჩემი გამხდარიყო, ამისთვის კი აგრონომიული განათლებაც მჭირდებოდა...

— როდის გაგიჩნდათ საკუთარი ბიზნესის წამოწყების იდეა?

— სკოლის დამთავრების შემდეგ ბეირუთში, ამერიკულ უნივერსიტეტში ჩავაბარე და 1982 წელს აგრონომის დიპლომი ავიღე. შემდეგ, 1 წლის მანძილზე მამასთან ერთად ვმუშაობდი, მერე მასთან კონფლიქტი მომივიდა და კომპანიიდან წამოვედი კიდევ.

— მამასთან კონფლიქტი რის გამო მოგივიდათ?

— შენიშვნებს ხშირად მაძლევდა და ამის გამო, თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი. როცა კომპანიიდან წამოვედი, ჯიბეში მხოლოდ 500 დოლარი მქონდა და მიუხედავად ამისა, გადავწყვიტე, საკუთარი ბიზნესი წამომეწყო — დავიჭირავე სათბური და მეურნედ ვიქცევი. ნელ-



ნელა მეურნეობის ფართობის ზრდა დავინწყე და დღესდღეობით, ლიბანში ყველაზე დიდი სათბურის მფლობელი ვარ... თავდაპირველად, დავინწყეთ ტომატის წარმოება და მათი ექსპორტი შევიცარიანა. მოგვიანებით მივხვდი, რომ ბიზნესი დიდ სივრცეს მოითხოვდა, ამიტომ ვიყიდე პატარა საკონსერვე ქარხანა, რომლის მეშვეობითაც, ტომატს ფერისა და ქილის მოცულობის მიხედვით, აპრობირებული მეთოდებით ვახარისხებდით. რამდენიმე ხანში შევიძინე უზარმაზარი ქარხანა და ამავდროულად, დავინწყე ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი არაბულ ქვეყნებში... მოკლედ, 500 დოლარით წამოწყებული ბიზნესი თანდათან გაფართოვდა და დღესდღეობით, ჩემი კომპანია დაახლოებით, 35 დასახელების პროდუქციას აწარმოებს.

— რა არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანი წარმატებულ ბიზნესმენად იქცეს?

— ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, შეუპოვრობა, სიმამაცე და დიდსულოვნებაა საჭირო. ბიზნესმენი ყველანაირად მოწესრიგებული უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია აკონტროლო ხარჯები, თორემ ისე „ჩაიძირები“, ვერც შეამჩნევ. ყოველთვის კარგი ბიზნესსედევა მქონდა. ამასთანავე, მეზრძოლი სული მაქვს და გარისკვის არ მეშინია.

— თქვენი აზრით, ბიზნესის „კეთებისას“ თეორიული ცოდნა უფრო მნიშვნელოვანია,



ბიზნესმენი ყველანაირად მოწესრიგებული უნდა იყოს



იღბალი თუ თავდაუზოგავად შრომა?

— რა თქმა უნდა, განათლება და თეორიული ცოდნა აუცილებელია. თუმცა, არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომელთაც ასეთი ცოდნა არაფერში სჭირდებათ — მათ უბრალოდ, ბუნებამ უბოძა ერთგვარი ალლო და უნარი იმისათვის, რომ წარმატებული ბიზნესმენები გახდნენ. ზოგს წარმატება მხოლოდ ბევრი ფულის კეთება ჰგონია, მე კი ასე ნამდვილად არ ვფიქრობ! ყველაზე მნიშვნელოვანია იყო პატივსაცემი ადამიანი, შეასრულო დაპირებები, არ გატყუო სიტყვა, დაეხმარო ხალხს. ბიზნესმენი წარმატებულია მაშინ, თუ ის დარწმუნებულია, რომ მისი პარტნიორები, თანამშრომლებიც ახერხებენ ფულის დაგროვებას და მასთან ერთად მუშაობით კმაყოფილი არიან. ყველაზე მნიშვნელოვანია, ამქვეყნად კარგი სახელი დატოვო!..



ია ფარულავასთან ერთად

— როდის ჩამოხვედით საქართველოში და რითი მოგხიბლათ ჩვენმა ქვეყანამ?

— საქართველოში 1998 წელს, იმ პრობლემის მოსაგვარებლად ჩამოვედი, რომელიც ჩვენს კომპანიას სახელმწიფო უშიშროების სამსახურთან ჰქონდა — მათ, რაღაც მიზეზის გამო, ჩვენი ერთ-ერთი თანამშრომელი დააპატიმრეს. საქართველო აქ ჩამოსვლის პირველივე დღიდან შემიყვარდა და გადავწყვიტე, ამ ქვეყანაში მეცხოვრა.

— მაშინ თქვენს კომპანიას საქართველოში რა პროდუქცია შემოჰქონდა?

— ხილი შემოგვქონდა, ძირი-

თადად — ბანანი. ეს დიდი ხნის განმავლობაში, წარმატებული ბიზნესი იყო.

— თქვენი აზრით, რამდენად კარგი ბიზნესგარემოა საქართველოში და რა სახის კავშირებია საჭირო, რომ ბიზნესი არ „დაგეჩაგროს“?

— საქართველოში ბიზნესის კეთება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. არა მგონია, საკუთარი ბიზნესის დასაცავად ამ ქვეყანაში ვინმეს რაიმე სახის კავშირი ან „კრიშა“ სჭირდებოდეს. უბრალოდ, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ისეთი მტერი არა გყავს, რომელიც შენი ბიზნესის განადგურებას შეეცდებოდა... ამჟამად, ჩემს ბიზნესინტერესებში შედის საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, აშშ და ლიბანი.

— რა რჩევას მისცემდით ახალგაზრდა, დამწყებ ბიზნესმენებს?

— იმისათვის, რომ კონკურენტუნარიან გარემოში წარმატებას მიაღწიო, პირველ რიგში, განათლება უნდა გქონდეს მიღებული. ასე რომ, ახალგაზრდებს ვურჩევ, რაც შეიძლება მეტი ისწავლონ. ასევე, აუცილებლად უნდა სჯეროდეთ საკუთარი პოტენციალის და ვიდრე საქმეს წამოიწყებენ, თავიანთ ბიზნესგეგმას სიღრმისეულად გადახედონ. ნუ შეშინდებით, ირწმუნონ საკუთარი თავისა და იდეების, იბრძოლონ მიზნის მისაღწევად და წარმატებაც გარანტირებული ექნებათ! GO AND GET IT!

— თითქმის ყველაფერი გაქვთ, რაც შეიძლება, ადამიანმა ინატროს. და მაინც, არის თუ არა რაიმე ისეთი, რაზეც ოცნებობთ?

— ოცნების რა მოგახენოთ, მაგრამ ადამიანი, წლების მატებასთან ერთად, სულიერი ფასეულობებზე უფრო ფიქრობს, ვიდრე მატერიალურ კეთილდღეობაზე. არარეალური მოლოდინი არა მაქვს. ყოველთვის ვცდილობ, დასახულ მიზნებს მივაღწიო.

— დაბოლოს, იქნებ, თქვენი გეგმებიც გაგვიხილოთ...

— ჩემი გეგმა საქართველოში დარჩენა, ამ ქვეყნისთვის ახალი, მნიშვნელოვანი კონტაქტების დამყარებაა. საერთოდაც, მინდა, თავი მივუძღვნა იმ ქვეყანას, რომელმაც ბოლო 12 წლის განმავლობაში უამრავი სასიამოვნო ემოცია და ბედნიერება მაჩუქა.

დიოდი ექსპედიციაში და პარტნიორებსაც შესაფერის ვირჩევდი. მეგობარს რომ ენდობი, მის მარჯვენას — ეს ძალზე მნიშვნელოვანია მთაში. ჩემი კერპი მთასვლელობაში, ცხოვრებითი მიხეილ ხერგინი-უფროსი იყო, ხოლო ახლანდელი ალპინისტებიდან ერთ-ერთ საუკეთესოდ ბიძინა გუჯაბიძე მიმაჩნია. სწორედ მან ჩამომიყვანა ევერესტიდან, როდესაც თოვლის სიკაშკაშემ დამაბრმავა. ბიძინაც მხოლოდ ცალი თვალით ხედავდა, მაგრამ 8000 მეტრის სიმაღლიდან საბაზო ბანაკამდე, 5700 მ-მდე ჩამომიყვანა. ასე რომ, თქვენც და საერთოდ, ყველას ვუსურვებ, მთაშიც და ცხოვრებაშიც ისეთი მეგობრები გყავდეთ, რომლებიც თავს არ დაზოგავენ ხიფათიდან ახლობლის დასახსნელად.

— რადგან მთასა და ცხოვრებაზე ჩამოვარდა სიტყვა, ეგებ ისიც გვითხრობ, რით განსხვავდებიან ადამიანები მწვერვალზე ასვლის დროს და აქ, ქალაქში ყოველდღიური საქმიანობისას?

— იცით, ეს საკმაოდ საინტერესო თემაა. ერთი და იგივე ადამიანები მთაში და ბარში სხვადასხვანაირად იქცევიან. ჩემი აზრით, ქალაქში ადამიანთა ურთიერთობა მრავალმხრივია და ამიტომაც, აქ სხვადასხვა ეტიკეტი მოქმედებს: ერთ-თან სამსახური გაკავშირებს, სხვასთან — უბრალო ნაცნობობა და ა.შ. ბარში თითოეულ ჩვენგანს უამრავი პრობლემა და საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი. აქ ბევრი პირობითობაა და შესაბამისად, ახლობლებს თუ უცხო ადამიანებს განსხვავებული კუთხით უდგები. მთაში კი სულ სხვა კრიტერიუმებია. იქ ჩაკეტილ სივრცეში ხარ, მხოლოდ ვინრო წრესთან გაქვს კონტაქტი. რაც მთავარია, ყველას ერთი მიზანი გვაქვს და ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული. ზოგჯერ ისეთ ფერდობზე გადიხარ, სასწაულით იკავებ თავს, გეშინია, მაგრამ ერთიმეორეს ვენდობით. ჩემი სიცოცხლე მწყვეტილებზე დამოკიდებული, მისი კი — ჩემზე. რომელიმე რომ მოწყდეს, შეიძლება, ორივე გადავიჩიხნოთ. ალბათ ამიტომაცაა, რომ მთაში ადამიანები კრისტალურები ხდებიან. თავად სიტუაცია გვაიძულებს, ერთი მთლიანი ორგანიზმის ვიყოთ. მახსოვს, ყაზბეგზე ოთხნი მივდიოდით. არც ისე რთული მარშრუტი გვქონდა, მაგრამ წელამდე თოვლი იყო. გზას მონაცვლეობით ვიკვლევდით. ჩვეულებრივ, ამ მარშრუტით მწვერვალზე 4 საათში ავდიოდით, ამჯერად კი 2 დღე მოვუნდით. ერთმანეთს რომ არ დავხმარებოდით, მაშინ ისე გაგვიჭირდა, მწვერვალზე ასვლა კი არა, შეიძლება, ქვემოთაც ვერ ჩასვლიყავით.

— ასეთი სოფთიანი პროფესია რამ აგარჩევინათ? საერთოდ, როგორ მოხვდით მთაში?

— ესეც საკმაოდ საინტერესო ამბავია, რომელიც სიყვარულთანაა დაკავშირებული, მაგრამ არა ჩემს, არამედ — მეგობრის სიყვარულთან. მაშინ საავი-



ციო ქარხანაში ვმუშაობდი, სადაც ხშირად ეწყობოდა ალპინიზმი. ჩემი მეგობრის სატრფო ზედაზენზე სალაშქროდ მიდიოდა. ლამაზი გოგონა იყო და ბევრი თავყანისმცემელი ჰყავდა. საშინლად მეზარებოდა ნასვლა, მაგრამ მეგობარს ხათრი ვერ გავუტყებ და ერთგვარ „მცველებად“ გავყვით იმ გოგონას. ალპინიზმისა არაფერი ვიცოდი. მახსოვს, ზურგჩანთაში უპაროდ ჩავყარე სურსათ-სანოვაგე და გზაში დავიტანჯე. ვერც კარავი დავდგით ხეირიანად. ერთი სიტყვით, ლამის შევეწირე ამ სიყვარულს, მაგრამ ჩემი დებიუტი მაინც შედგა. შემდეგ იყო უშუა — 4710 მ; კომუნიზმის პიკი — 7495 მ; გამარჯვების პიკი — 7439 მ... ბოლოს, როგორც იცით, დედამინის უმაღლეს მწვერვალზე — ევერესტზეც ავიდა (8848 მ). სხვათა შორის, ტექნიკური თვალსაზრისით, ევერესტი არ არის ყველაზე რთული მთა. კავკასიონზე ჩვენ გვაქვს მწვერვალი — ჩატინი, რომლის ჩრდილოეთი კედელი იმდენად მიუდგომელია, რომ ბოლო პერიოდამდე ვერ ვებედავდი გუნდის აყვანას. ავილოთ იგივე უშუა. შვიდჯერ უფრო ჭირვეულია, ვიდრე ევერესტი. თუმცა, ამ უკანასკნელზე ასვლა მაინც ძალიან ძნელია, პირველ რიგში — უპაერობის გამო. უანგბადის ნაკლებობა თრგუნავს ადამიანს, გონება გებინდება და ფიზიკურად ვეღარ მოძრაობ. ყოფილა შემთხვევები, მწვერვალამდე ალპინისტს რამდენიმე ათეული მეტრილა რჩებოდა და უკან დაბრუნებულა. მაგალითად, იტალიელმა სერჯიო მარტინიმ ბოლო 70 მ-ის გავლა ვეღარ შეძლო და პრაქტიკულად, მწვერვალამდე მისულს, ძალა გამოეღია, მიზანს ვერ მიაღწია. მთამსვლელობა რთული პროფესიაა და არავითარი სურვილი არ მაქვს, ჩემმა ახლობლებმაც იარონ მწვერვალე-

ბზე. ერთხელ ძმა ნავიყვანე მთაში და სანამ ჩამოვიდა, ჩემი დამემართა.

— თქვენი ოჯახის შესახებაც გვამბოვთ.

— ჩემი წინაპრები ძირძველი თბილისელები არიან. დედის მამა — ვასილ ჯანუკაშვილი რევოლუციამდე საკმაოდ შეძლებული კაცი იყო, თბილისში 5 სახლი ჰქონდა. კომუნისტებმა რომ ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება, „წითლებს“ თავად ეახლა და უთხრა: საბჭოთა ხელისუფლების მოსვლა ძალიან გამიხარდა, ჩემს ხუთივე სახლსა და კოჯარის აგარაკს მუშების შვილებს ვჩუქნიო. ჭკვიანი კაცი იყო, იცოდა — მაინც არ შეარჩინდნენ. იმთავითვე რაღა უნდოდათ?! სიხარულით ჩამოართვეს ყველაფერი, თუმცა ბოლოს მაინც ინამუსეს და ერთი ბინა, დიდუბეში დაუტოვეს. რა თქმა უნდა, კომუნისტები გულზე არ ესატებოდნენ, მაგრამ რა ექნა?! მეორე მსოფლიო ომის დროსაც 3 შვილი და 2 სიძე ჯარში გაიწვიეს. ჩემი მშობლები მაშინ ვორონეჟში ცხოვრობდნენ. მამა ფრონტზე წავიდა. ვორონეჟის ოკუპაციის შემდეგ, დედამ პატარა ბავშვებთან ერთად, ძლივს გამოასწრო. ჩვენი ემელონი ბოლო იყო, რომელმაც დონი გადმოლახა. ომის წლებში ძალიან გვიჭირდა. ბაბუა 11 შვილი მშვილს არჩენდა. ზოგჯერ ამერიკელების დახმარებას გვაძლევდნენ — კვერცხის ფხვნილს. მაინც გვჭირდა. რომელიმე მეზობელი ლობიოს თუ მოხარშავდა, იმის სუნზე ნერწყვები მოგვდიოდა. ომი საშინელებაა, ყველას უჭირდა — ხალხსაც და ქვეყანასაც. მაინც ერთად ვიყავით: ქართველები, სომხები, ოსები და რუსები. ჩვენი საავიაციო ქარხანა ტაგანროგიდანაა ევაკუირებული. კედლები ჯერ კიდევ არ იყო აშენებული, დაზებები რომ ჩამოიტანეს. ხალხი ღია ცის ქვეშ მუშაობდა, წვიმაშიც და ყინვაშიც. მახსოვს, თვითმფრინავის ფრთებს დიდუბეში ამზადებდნენ და ტრამპით მიჰქონდათ ქარხანაში. როგორც მთაში, მაშინაც ერთიანობით გავიმარჯვეთ და 9 მისსაც ერთად ვზეიმობდით. ხალხი ყოველთვის უბრალოა, მას არაფერი აქვს გასაყოფი, მით უმეტეს — ჩვენ, ალპინისტებს. ადრე პამირის მთებში სხვადასხვა ეროვნების მთამსვლელები ვიკრიბებოდით და ყველასთან კარგი ურთიერთობა გვქონდა, ყველას უნდოდა ჩვენთან მეგობრობა. ერთხელ ორმა ციმბირელმა ალპინისტმა რამდენიმე უღელტეხილი გადმოიარა, ქართველების ბანაკში რომ მოხვედრილიყო. რა თქმა უნდა, ჩვენებურად ვუმაღლესობდით, კახური ჭაჭაც დავალევივით, მაგრამ მთავარი ეს არ იყო. იცოდნენ, რომ გაჭირვების დროს არ მივატოვებდით, ყოველთვის დავეხმარებოდით და ამიტომაც, პატივს გვცემდნენ.

საერთოდ, ალპინიზმი მარტო მწვერვალე-

ების დაპყრობა როდია. ჩვენს პროფესიას სამხედრო-გამოყენებითი და სამეურნეო მნიშვნელობაც აქვს, განსაკუთრებით, ჩვენი სანა მთიანი ქვეყნისთვის. გაიხსენეთ აფხაზეთის ომი, როდესაც ჭუბურის უღელტეხილზე ფეხშიშველა, გათოშილი ლტოლვილები გადადიოდნენ. იმ ადამიანებს მაშინ ჩვენ ვხმარებოდით. გამოცდილი მთამსვლელები ნებისმიერ ქვეყანას სჭირდება. პირადად მე, მეგობრებთან ერთად, ბევრი სასიმალო სამუშაო შემისრულებია. თბილისის სახელმწიფო არქივის შენობაზე 30-ტონიანი სარეკლამო ფარი ჩამოვკვიდეთ, მდინარე რაზდანზე 50 მეტრის სიმაღლეზე ხიდი შევცვლეთ; ჩვენმა ბიჭებმა შევცვლეს აგრეთვე, თბილისის სატელევიზიო ანძა; წმინდა სამების ეკლესიასაც ჩვენ დავადგინეთ გუმბათი.

— თქვენთან საუბარმა ისე გამიტაცა, დამთავრებაზე არც მიფიქრია, მაგრამ დროა, ჩვენი ინტერვიუ დავასრულოთ. ბოლოს კიდევ ერთი კითხვა მაქვს, ევერესტთან დაკავშირებით. საინტერესოა — მწვერვალზე რომ ასვდით, რა უთხარით ერთმანეთს და პირველი რა გაიფიქრეთ?

— იცით, განსაკუთრებული საუბარი არ შემდგარა. ბუნებრივია, ერთმანეთს მივულოცეთ, შემდეგ საქმე ბოლომდე უნდა მიგვეყვანა. თოვლში ჩავარჩეთ დროშები, გადავიღეთ ფოტოები, სპონსორებისთვის ფირზე დავაფიქსირეთ მათი ლოგოები. ჩვენი ექსპედიცია საერთაშორისო იყო, საქართველოს გარდა, აზერბაიჯანსა და სომხეთს წარმოვადგენდით. ჩვენი ლოზუნგი იყო — „მშვიდობა კავკასიონზე“. გვინდოდა, მთელი მსოფლიოსთვის გვეჩვენებინა, რომ მშვიდობიანი ცხოვრება გვინდა და შეგვიძლია კიდევ.

მწვერვალზე დიდხანს ვერ გაჩერდები, სულ რამდენიმე ათეული წუთი გვექონდა ყველაფრისათვის. მერე ვიდუკამერის წინ მოკლე სიტყვა ვთქვე ქართულ და სომხურ ენებზე, ყველას მივულოცე ევერესტის დალაშქვრა და საქართველოს გაერთიანება ვუსურვე, ჩემთვის კი გულში გავიფიქრე, რომ დედამინის უმაღლეს ნერტილზე ვიდექი და რომ ამ დროს ყველაზე ახლოს ვიყავი ღმერთთან. არაჩვეულებრივი გრძნობა იყო...





ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანძვარტაპიტი ლეჟინკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენილი თბილისში



დასაწყისი იხ. „გზა“, №2-13

ბალსტი ინგ. — 1. ტვირთი აეროსტატის ჰაერში ასვლის მოსაწესრიგებლად ან გემის წონასწორობის განსამტკიცებლად — სამძიმო. 2. (გადატ.) ზედმეტი, უსარგებლო რამ. 3. რკინიგზის ვაკისზე დაყრილი ხვინჭა და ღორღი შპალების გასამაგრებლად.

ბალსტარა — ნაჩქარევად და უხეიროდ გამკეთებელი, მოხალტურე.

ბალდაზინი — (ძვ.) მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ჩარდახი სვეტებზე. 2. მიცვალებულის გასასვენებელი ჩარდახიანი ეტლი.

ბალნეოლოგია ლათ-ბერძნ. — მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის მინერალურ წყლებს, ტალახებს და მათ სამკურნალო მოქმედებას.

ბალღამი — 1. წყლულის, მუნუკის ჩირქოვანი სითხე. 2. ნარწყვეი, ნაღველი. 3. (გადატ.) ღვარძლი, გესლი, ბოროტება.

ბალღოვი — ველური ბლის სახეობა: ისხამს მწარე, შავ ნაყოფს. იყენებენ კულტურული ბლისა და ალუბლის საძირედ.

ბანდი სპ. — წვრილი თოკი ან თასმა (რისამე სახლართავად, მოსართავად). მარლის ლენტისებური ნაჭერი, ხმარობენ ქრილობის, ნაღრძობის შესახვევად.

ბანდაჟი ფრ. — ელასტიკური მჭიდრო შემოსაკრავი (სხეულის ამა თუ იმ ორგანოს გასაჩერებლად ნორმალურ მდგომარეობაში).

ბანდეროლი ფრ. — საფოსტო გზაგანილზე ქაღალდის შემოსაკრავი, რომელზეც აწერენ მისამართს. ამ წესით შეფუთულია გზაგანილი (წიგნები, უფრნალ-გაზეთები და სხვ.) 2. ქაღალდის ლენტის, შემოკრული სავაჭრო საქონელზე (ხელუხლებლობის ნიშნად).

ბანდული — მთაში სასიარულო ქალამანი, რომელსაც ძირი წვრილი ღვედით აქვს დაწნული.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რას პაპირუსი, გრაბნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები

დღე დგება უტყვი და უჩვევი,
მუნამულ ბილიკზე ვდგები, —
ვაჩუქოთ ერთმანეთს სიცოცხლე,
გავუთბოთ ერთმანეთს ძვლები.

თქვენს ლამაზ ფიქრებში ვიჭრები,
თქვენს სარკემელს ვაწყდები
თრთოლოვით...


ვაჩუქოთ ერთმანეთს წვიმები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს თოვლი.

ყველას სიყვარულში გიტყდებით,
გლოცავთ და მიშრება ყელი, —
ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს ცრემლი!

გავუგოთ ერთმანეთს უკლებლივ,
ჩაჭვიდოთ ერთმანეთს ხელი, —
ავუვსოთ ერთმანეთს გულევი,
სიყრმის და სიცოცხლის რწმენით!

ვპოვოთ ერთმანეთი ღვთის ნებით.
სიტყვა გამოვნახოთ თბილი, —
ლოცვით მიმოვყაროთ ნისლები,
ფარად ავეფაროთ თბილისს!

ავუნთოთ ერთმანეთს სანთლები,
შევეწყოთ ერთმანეთს ხმები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს ზღაპრები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს წლები.



ო, სისხლო, რა უცებ წყალდები,
ო, გულო, რა უცებ თვრები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს თვალები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს ფრთები.

ხოროს ცხელი სიმღერით
ვიტადრავ,
ვეხიზლობ და ვჩერჩულებ:
— ამინ!

დავუთმოთ ერთმანეთს დილა და
დავუთმოთ ერთმანეთს ღამე.

მორის ფოცხიშვილი



ყველასთან საერთო ენის გამონახვას?

— მარტივად, თავიანთ ენაზე ველაპარაკებთ.

— ოკეი, მერე ამისხენი და ვიმუშაოთ ამ საკითხზე, — მითხრა მიშამ და დამემშვიდობა.

მძიმე და დატვირთული დღის მერე, სახლისაკენ გავემართე.

— კარგი იყო? — ვიკითხე ზღურბლიდან.

— რა? — გაიკვირვა ჩემმა ქმარმა.

— კარგი რა, მიშკა, ნუთუ არ უყურე, ხომ გაგაფრთხილე, დღეს მნიშვნელოვანი დღე მაქვს-მეთქი, მე და მიშა სააკაშვილმა ალიანსს ხელი მოვაწერეთ, — ვჯაჯღანებდი მე.

ჩემი ქმარი მერამდენედ ტოვებდა ჩემთვის მნიშვნელოვან მოვლენას უყურადღებოდ.

— აა, ფეხბურთს ვუყურებდი და სულ დამავინწყდა. კარგი, რას იბუზები, შენც ახლა ბერლინის კედლის დანგრევის რეზოლუციას მოაწერე რა ხელი...

ჩემთვის ეს ალიანსი ბერლინის კედელზე მნიშვნელოვანი იყო.

წინასწარმეტყველება

მე და სააკაშვილმა ძველი ურთიერთობა აღვადგინეთ და ახლა თითქმის ყველა საღამოს ჩემთან, ვეძისში ვატარებდით. ლამპიონებიანი ვერანდა, დანწული კომფორტული სავარძლები, ცოტაოდენი სასმელი და უღამაზესი ხედი მიშას გემოვნებას სრულად აკმაყოფილებდა. ერთი უცნაურობა კი ჰქონდა სტუმარს, სახლში შემოსული მის ყველაზე დიდ ფანს — ბებიაჩემს ზღურბლზევე ხელში აიტაცებდა და გალუულ, მომცრო ტანის ენობოვნას სულ ჰაერში აბზრიალებდა.

— Слушай, скажи Мише, что мერე у неё წნევები, — რუსულ-ქართულად შემომჩიოდა დეაჩემი, — он же как Эйфелева башня!

— არაფერიც არ მანუხებს! — ჩვეული სიჯიუტით იმეორებდა ნანა, — Какой парень, Манана, помнишь Ивана Дорофеевича, он так похож! — ივან დოროფეევიჩი ბებიჩემის არშემდგარი მეოთხე ქმარი იყო, რომელსაც ენობოვნა, როგორც ჩანს, ყველაზე ხშირად იხსენებდა და მიშა სააკაშვილთან მსგავსება მიძინებულ გრძნობას უღვიძებდა,

ამიტომ ბზრიალზეც თანახმა იყო და მიშას მოტანილ სიგარეტსა და წითელ ღვინოსაც დიდი სიამოვნებით მიირთმევდა.

— საღამოს გამოდი, მანანა ხაჭაპურს აცხობს, ჩემი გოგოებიც მოვლენ, — დავურეკე ერთ დღეს მიშას და ისიც, როგორც ყოველთვის, ხელდამშვენებული მოვიდა.

— რა ხდება, ქვევით ამდენი მანქანა რატომ დგას? — მკითხა სტუმარმა.

— მეზობლის, ძია ნოდარის მამა გარდაიცვალა, აზერბაიჯანელები არიან და უამრავი ნათესავი ჩამოუვიდათ ბაქოდან. სხვათა შორის, შენ, როგორც ამ უზნის ხშირ სტუმარს, კი გეკუთვნის ერთი წრის დარტყმა და ჩათვალე, რომ ყველა აზერბაიჯანელის სიმპათია იქნები, — ვუთხარი მიშას.

— ჰოო, — მოიჩეჩა თმა მიშამ, — არ არის ცუდი იდეა. ხვალ მივალ, თორემ მართლაც ამ ხალხთან არავინ მუშაობს. ისე, ახლა სომხურად და უკრაინულად ლექსებს ვსწავლობ, რომ უფრო ადვილად დავამყარო კონტაქტი. ხომ მითხარი, ყველას თავის ენაზე უნდა ელაპარაკო?

— გითხარი, ოღონდ გადატანილი მნიშვნელობით, თუმცა არც ეგ არის ურიგო. ერთი, რუსულად მეც მტყორცნე, — ვუთხარი მე და ჩავიხიხით.

მიშა ცალი ხელით თავზე თმას გულმოდგინედ იჩეჩდა, მეორეში კი ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა და წრუპავდა. ვილაცამ უთხრა, წითელი ღვინო ენერგიას მატებსო და ამ ბოლო დროს მხოლოდ მას სვამდა.

მიშას თმა ცალკე თემაა, საცოდავს ლაპარაკი რომ შეეძლოს, რამდენჯერ დაიკვნესებდა მოუსვენარი პატრონის გადამკვიდე. ახლაც, რელაქსაციის ჟამს, გულმოდგინედ ირევდა თავზე ვარცხნილობას.

— ლალი, რომელი წელი იყო, მე და შენ თვითმფრინავში რომ დავვლიეთ? — მკითხა მიშამ.

— მაგარი კითხვაა, ვინმე გვისმენდეს, პირნავარდნილი ლოთები ვეგონებთ. ბოლოს 1997-ში ფრანკფურტიდან ვიმგზავრეთ ერთად, მგონი, შენ ჰოლანდიაში სანდრა და ბავშვი დატოვე, მე კი შტუტგარტში კვალიფიკაციის ასამაღლებლად ვიყავი და უკან ფრანკფურტით ვბრუნდებოდი. გახსოვს, პაატა ბურჭულაძეც მოფრინავდა?

— ჰო, ჰო, საქველმოქმედო კონცერტი უნდა გავმართოო, მაგარი კაცია. თვითმფრინავში მინდია უგრეხელიძემ რომ პროგნოზები დაგვიწერა, გახსოვს? ნეტავ სად წავიღე ის ფურცელი?

— მახსოვს, პაატამ ორივე დავვატიჟა, ბატონმა მინდიამ კი მე და შენ დიდი ამბები გვინინასწარმეტყველა.

— რას ვსვამდით, თუ გახსოვს? ჩემი შტუტგარტული სემესტრის პატივსაცემად რაღაც დომხალი რომ გააკეთე, იმას?

— რა იყო, გოგო, დომხალი? კონიაკისა და „კოკა-კოლას“ ნაზავი? ეს ევროპელი სტუდენტების საყვარელი სასმელია, აბა, საიდან აქვთ ამდენი კონიაკის ფული!

— ტრაპს რომ ძლივს მივაგენით, გახსოვს?

— გეყოფათ, თორემ გაცივდა ყველაფერი, так до утра будете болтать, — დაგვიძახა დედაჩემმა.

ჩემი მეგობრები ისე იყვნენ ჭორაობით გართული, რომ მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ გვაქცევდნენ, არც მიშა იკლავდა თავს რევერანსებით.

— რაღაც უნდა გაჩვენო, — მითხრა მიშამ და ჯიბიდან დაჭმუჭნილი ფურცელი ამოიღო.

— რა არის ეს? — ვკითხე მე.

— წინასწარმეტყველება.

— რა? — რა და, ოფისში ერთი მოხუცი ქალი მოსულა და ცაცასთვის ეს დაუტოვებია, წაიკითხე.

პანანინა ქალაღებზე უსწორმასწორო ასოებით ასეთი რამ ეწერა:

„ძვირფასო მიშიკო, მე ვარ ნუნუ სიჭინავა, ორი თვეა, რაც მეუღლე გარდამეცვალა, ქალიშვილი და სიძე რუსეთში მუშაობენ, ბავშვები რომ დავაპუროთ, ღვთის წყალობით გავვაქვს თავი. გუშინ ჩემი გარდაცვლილი ვალერი სიზმარში გამომეცხადა და მითხრა, მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მომავალი პრეზიდენტია, მიდი და უთხარიო. მეც გადაე-





გინა სიბერე, შენს სახლში? — მკითხა ნანა ბებია.

— კარგი რა, ახლა შენც არ გადამრიო, ცუდად ვართ ერთად? რა გინდა? — ვკითხე გალიზიანებულმა და მივხვდი, რომ ეს დღე უიღბლო იყო.

— **Послушай** ლალიკო, მე სოჭში ერთ-ერთი ლამაზი და წარმატებული ქალი ვიყავი და რა ქნა ბაბუაშენმა? სანამ მივლინებაში ვიყავი, სხვა ქალთან გააბა რომანი. რა მექნა, მეპატიებინა? მას კი ვაპატიებდი, მაგრამ ჩემს თავს მის პატივს — ვერასოდეს! ჰოდა, ამერიკა ცხოვრება, ერთხელ გაბზარულის გამრთვლებას ახლის გაკეთება სჯობს.

ერთი რამ დაიმახსოვრე: არასოდეს თქვა სიმართლე, რომელიც ტყუილს ჰგავს. ეს ფუჭად დახარჯული დროა, არავინ დაგიჯერებს, განზილება კი დიდა! შეეცადე ცხოვრება ჩვეულ რიტმში მოაქციო, სანდახან ტყუილი უფრო სასარგებლოა! ნუ გაიმეორებ ჩემს შეცდომებს, ზედმეტი სიმართლე თვალს ნვაკს...

ლოლ, ერთხელ გეტყვი და მეტად ამ თემას ნუ დავუბრუნდებით: მიშკო ძალიან კარგი ბიჭია, ის არასოდეს შეეგუება შენს გაუთავებელ ინსტინქტურ სწრაფვას თვითგადარჩენისკენ. მე ვიცი, ფსიქოლოგიურად ეს რითია განპირობებული, მაგრამ მიშკოსთვის ეს ძნელად გასაგებია. ასე რომ, იმის ილუზია, რომ ქმარი შენს კარიერულ ამბიციას აპყვება, ახლავე გამორიცხე. თუმცა არჩევანი არის: მზრუნველი, მოსიყვარულე ქმარი ან მშფოთვარე მომავალი. ლოლ, კიბეს ორი პოზიცია აქვს: ან ჩადიხარ, ან ადიხარ. მიუხედავად მიშკოს მიმართ ჩემი სიმპათიისა, შენს ვერც ერთ არჩევანს ვერ დაეძრახავ. მით უმეტეს, რომ თეორიას მამაკაცების არამდგრადობასა და ინფანტილიზმზე, სახვებით ვიზიარებ.

ენოხოვნა ბავშვობიდან ჩემი გემოვნებისა და სტილის დიზაინერი და ამავე დროს, დიდი მესაიდუმლე იყო. ნეტავ რა საშიშროება დაინახა ჩვეულებრივ ოჯახურ გარჩევებში?

* * *
2001 წლის შემოდგომის თბილი დღეები გაყვითლებულ ფოთლებს

ეფერებოდა. იმის გაფიქრებაც მზარავდა, რომ ცოტაც და, ზამთარი ყველას თავის ცივ და უშუქო მანტიში გაგვხვევდა.

— რუსო, გახსოვს, დღეს რა დღეა? — მომესმა მობილურზე მიშა სააკაშვილის ოპტიმისტური ხმა.

— რაა, რო? — ვკითხე ძილბურანიდან ახალგამოსულმა.

— რა და, 12 სექტემბერია, ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების დღე. ჰოდა, სიმბოლურად ყველა გიგლა ბერბიჭაშვილის დედის... ამბავში, წინამურში აქცია გვაქვს დაგემილი, იმედია, შენს აღმატებულებასაც ვიხილავთ. ისე, გახსოვს, სკოლაში ლაშა ნადარეიშვილი „დედაო ღვთისას“ რომ კითხულობდა? მაგარია! რაც ვიცით, ის უნდა ვაკეთოთ, — აღმოხდა ლოზუნგივით სააკაშვილს, მე კი პირში მცხეთური ლობიოსა და მჭადის გემო ვიგრძენი. არა, იცის რა მიშკომ უიკ-ენდის მოწყობა. მე ზღაზვნით სააბაზანოსკენ გავემართე. მიშას ლოდინი არ უყვარდა, თუმცა არც მე — დაგვიანება.

ვუკოლ ბერიძის ქუჩაზე ოფისში მარტო მიშა და ბაჩო ახალაია დამხვდნენ.

— ხომ გითხარი, მანქანა შეამონე-მეთქი, — ეჩხუბებოდა მიშა ბაჩოს.

— შევამონე და რა ვიცი... ხომ ვამბობ, ძველია და გამოსაცვლელი-მეთქი, — ბუზღუნებდა კისრამდე მახუთში ამოსვრილი ბაჩო.

— არა, უჩემოდ რა გეშველებოდათ, შენ კიდევ მეუბნები, რად გინდა ახალი მანქანაო. შენი ძველი და უფრო ხარჯიანი არ არის? — ვკითხე ნიშნის მოგებით.

— კარგი, შენით წავიდეთ. ბაჩო, შენ დარჩი და მანქანას მიხედე, — დაუტოვა განკარგულება მიშამ და ჩვენც საგურამოს მივაშურეთ.

— რა გჭირს, რა სახე გაქვს? არ გამოჰპარვია მიშას ჩემი უხასიათობა.

— რა ვიცი, რალაც ისევ ამერია, ქმართან პრობლემები მაქვს, არ მოსწონს ჩემი აქტიურობა. რომ იცოდეს, რა ძნელია წინსვლა! დედას გეფიცები, რამდენს ვეცადე, არასამთავრობო ორგანიზაციის პარალელურად სხვა სამსახურიც მეშოვა, უამრავი პრობლემა შემექმნა. წარმოიდგინე, თვითკმაყოფილი ფუნქციონერი, რომლისთვისაც მე მხოლოდ და მხოლოდ სიმპათიური გოგო ვარ. რამდენჯერ გადაწყვეტილი ამბავი ჩამშლია. მეზობლებმა, როცა მეუბნებიან, „იცი, სწორედ შენისთანა მჭირდება, სიამოვნებით მიგიღებდი სამსახურში, მაგრამ ჩემი ცოლი იეჭვიანებს. ისე, თურქეთში ხომ არ დაგვესვენა ერთი-ორი დღე? დალილი მეჩვენები“. წარმოგიდგენია, ვილაც მაძლარი ტიპი თურქეთს მთავაზობს, თანაც ცოლი იეჭვიანებს თურმე! ვერ ვიტან ამ ბანდაჟიანი ქალების თაობას. მათ მეუღლეებს მილიონი საყვარელი ჰყავთ, საღამოს კი ვითომ იდეალური ქმრები არიან. პრესტიჟულ კონცერტებსა და პანაშვიდებზე მათი ცოლები ძვირფას ქურქებსა და ბრილიანტებს ამზერებენ, მთელი დღეები სამზარეულოებში ჭორაობენ და ახალ-ახალ სერვიზებს ყიდულობენ, ჩემნაირებს კი მიწაში დებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრებას არ ვეგუებით და ჩვენით მივერეკებით. რა უბედურებაა ასეთი მიდგომა? ვითომ უმნიცლო პოზიცია — „დედა, რა იკადრა მოროშკინამ?“ — სიგარეტი პირში მორიგ საყვარელთან კოტრიალის დროს ირჩევა. სამაგიეროდ, საყვარლის სარეცელგამორიდებულები კვლავ „კდებმა და ადათი“ ხდებიან. მერე რა, რომ ნახევარზე მეტი ქალაქი რქებით ჭერს კანრავს? მთავარია, მისი უდიდებულესობა საზოგადოების აზრი! მინდა უპირველესად ჩემს თავს დავემტკიცო, რომ პიროვნება ვარ და გარეგნობა ჩემი პატარა პლუსია და არა დიდი მინუსი! შენს სენიას კი ამის გაგონებაც არ უნდა. მე ვერ ვიქნები საშუალოსტატისტიკური ცოლი, რადგან ერთხელ გამოცდილი მაქვს, რა არის პატარა ბავშვით მარტო დარჩენა. მე უფლება არა მაქვს, ჩემს შვილებს რამე აკლდეთ და არა მამებისაგან, არამედ ჩემგან, მხოლოდ ჩემგან!

გაგრძელება შემდეგ ნომერში





ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
ნ.ბ. „გზა“ №37, 2009
— №13, 2010

გოგა განველიძე

გოგა გაბრუნებული შესცქეროდა რიტას. ქალს, რომელსაც ახლა ხედავდა, ძალიან ცოტა ჰქონდა საერთო მის გადამრჩენელთან.

რიტას სამხედრო ფორმა ეცვა. მხარზე ავტომატი მოეგდო. ქამარზე მორგებულ შალითიდან მჭიდები მოუჩანდა. თავი მწვანე ხილაბანდით ჰქონდა წაკრული. თითქოს სახეც შესცვლოდა. მკაცრი, ცივი თვალებით იმზირებოდა. ის რამდენიმე ნაბიჯით გამოსცდა საავადმყოფოს ეზოს. როგორც კი გოგას მოჰკრა თვალი, უკან მიბრუნდა და სწრაფი ნაბიჯით წასული, მალე თვალს მიეფარა.

გოგა ანგარიშიშეუცემლად წავიდა მისკენ. ამ დროს რომამ გადაუჭრა გზა.

გუშაგი ვერ მიხვდა, რისთვის მიდიოდა შეიარაღებული მეტრძოლი ტყვეებისკენ და შეძახილით სცადა მისი შეჩერება:

— თავი დაანებე, ძმაო! ეგენი ჯერ-ჯერობით ცოცხლები გვჭირდებიან!

რომას ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. გოგას პირისპირ შედგა, სახეში ჩააცქერდა და თქვა:

— არ მეგონა, თუ ოდესმე კიდევ შეგხვდებოდი.

— მე კი ვიცოდი, რომ შეგხვდებოდი, მაგრამ ასეთ ვითარებაში — არა! — უპასუხა გოგამ.

— მიხარია, რომ გადარჩი, — განაგრძო რომამ.

— ამას ეძახი გადარჩენას?! — გოგამ თავით მიანიშნა ასფალტზე მიმოფანტულ ცხედრებზე.

— ქართველებს გუდაუთამდე რომ მოეღწიათ, ჩვენი გვაშები ეყრებოდა ასე! ვიდრე გოგა რამეს ეტყოდა, მათთან გუშაგმა მიიბრინა და რომას შესძახა, — თავი დაანებე!

— მიცნობ? — ცერად გახედა რომამ.

— არა, — თავი გაიქნია გუშაგმა.

— რომა ლაკობა ვარ.

— ვინც გინდა, იყავი, — უკმაყოფილოდ განაგრძო გუშაგმა, — ეს ტყვე მე მამარია და ვიდრე თავის საქმეს არ დაამთავრებს, ვერავინ შეეხება!

— მერე?

— რა, მერე? — დაიბნა გუშაგი.

— რა მოხდება, როცა თავის საქმეს დაამთავრებს?

— არ ვიცი... ეგ ჩემი საქმე არ არის...

— ჰოდა, თუ შენი საქმე არ არის, ლაპარაკი მაცადე! — ცივად თქვა რომამ.

— ყველა ასე ამბობს, — ჩაიბურტყუნა გუშაგმა, — მერე იწყება, „რისთვის ჩამოეთრე აქ?!“, „ჩვენი მინა გინდა?!“ მერე იარაღზე გადადიან!..

— უკვე გითხარი, რომ ნაცნობია და დალაპარაკება მინდა!

— ნაღდად არ ახლებ ხელს? — გამომცდელად შეხედა გუშაგმა.

— არაფერს დავუშავებ, — უპასუხა რომამ.

— კარგი, მაგრამ მალე მოამთავრე... ხედავ, რამდენი საქმე აქვს? — ცხედრებზე ანიშნა გუშაგმა და უკან გაბრუნდა.

— რატომ არ ნახვედი? — განაგრძო რომამ.

— ვერ ხვდები, რისთვის დავრჩი აქ? — თქვა გოგამ და საავადმყოფოს ჭიშკარს მიაპყრო მზერა, რომელშიც ცოტა ხნის წინ რიტა მიიმალა.

— მე უფრო გონიერი მეგონე, — თავი გაიქნია რომამ, — ჭკვიანი კაცი დროზე გაეცლებოდა აქაურობას. ახლა კი... ხვდები, როგორ ძნელი იქნება შენი აქედან გაყვანა?

— არაფერს გთხოვ. მხოლოდ რიტასთან დალაპარაკების საშუალება მომეცი.

— შენ მართლაც სულელი ყოფილხარ! — ბრაზი მოერია რომას. — ვერ ხვდები, რა მდგომარეობაში ხარ?! ნებისმიერი გამველელი აფხაზი ტყვიას დაგახლის და ამისთვის ერთ სანყენ სიტყ-

ვასაც კი არ ეტყვიან!

— მე უკვე გითხარი სათქმელი.

— არა!.. — ცივად მოჭრა რომამ. — ესაა ჩემი პასუხი: მას შენთან საუბარი რომ ნდომოდა, უკან არ გაბრუნდებოდა!

გოგამ სწრაფი მზერა ესროლა, შემდეგ მხარი უქცია და საავადმყოფოსკენ დაიძრა. მაგრამ რომა მაშინვე წინ გადაუდგა, მხარში სწვდა, თავისკენ შემოაბრუნა და ბრაზით უთხრა:

— გონიერებას მოუხმე და ყურადღებით მომისმინე. აქ შემთხვევით არ მოვსულვართ — შენ გეძებდი. შტაბში გავიგე შენი ამბავი. ისიც ვიცი, რომ გურამ ჩამბას ძმა გადაარჩინე. ჩვენ შენი აქედან გაყვანა გვინდა, მაგრამ თუ ჭკუით არ მოიქცევი, არაფერი გამოგვივა. ტყუილად ნუ დაიღუპავ თავს.

— როგორ უნდა მოვუხმო გონიერებას?! ან რომელ გონიერებაზეა ასეთ ვითარებაში ლაპარაკი?!

— ნუხებს ვერ დაგიდგენ. უბრალოდ, შენს რამდენიმე საცქიელს შეგახსენებ, — რომამ პაუზა გააკეთა და შემდეგ განაგრძო: — საავადმყოფოში აფხაზისთვის ავტომატის ნართმევა გინდოდა... შტაბში მთელი ამბავი ატეხე წყლის გულისათვის... ორივე შემთხვევაში შემთხვევით გადარჩი, მესამედ ასე აღარ გაგიმართლებს. თუ აქედან გალწევა და შენ დაბრუნება გინდა, თავის მოთოკვა უნდა ისწავლო...

— ეგ სიბრძნე ქართველების ტყვეობაში ისწავლე?..

— არა... იქ არავის დაუპირებია ჩემი მოკვლა. თავიდანვე მითხრეს, რომ მალე გამათავისუფლებდნენ. შენ კი ასეთ მდგომარეობაში არ იმყოფები. სიკვდილი შენთან ძალიან ახლოს „დაფარვატებს“ და მისთვის გზის გადაჭრას ნუ ეცდები: როცა გეტყვიან, ადექი, როცა გეტყვიან, დაჯექი და ამ დროს ვინმესთვის თვალებში შეხედვაც კი არ გაბედო!.. გაიგე, რა გითხარი?

— გავიგე, — ყრუდ ჩაილაპარაკა გოგამ.

— ასე მოიქეცი და აქედან ცოცხლად გალწევის საშუალება მოგეცემა... — ამ სიტყვებთან ერთად რომამ სიგარეტის კოლოფი და სანთებელა მისცა და აფხაზი გუშაგებისკენ წავიდა.

სალამოს გოგა მარტო დააბრუნეს იმპროვიზებულ საპატიმროში. რა ბედი ეწიათ დანარჩენ ტყვეებს, მისთვის უცნობი იყო. დღის მიწურულს ტყვეებს სატვირთო მანქანის ძარაზე ასვლა უბრძანეს, რომლითაც გაგრის ქუჩებში ცხედრებს აგროვებდნენ, ის კი მიკროავტობუსში ჩასვეს და უკან წამოიყვანეს.

გვიანი ღამე იყო. გოგა თავჩაქინდრული იჯდა კუთხეში, როდესაც ოთახის კარი გაიღო.

— გამოდი! — გაისმა ბრძანება.

„მერამდენედ?!“ — ბრაზით გაიფიქრა გოგამ და თავი ასწია.

ზღურბლზე მ შეიარაღებული აფხ-



აზი იდგა. მათ უკან გოგასთვის ნაცნობი გუშაგები ჩანდნენ. ისინი ცაცხარებულები ეკამათებოდნენ აფხაზებს და...

„არ ღირს ამ ბალაგანის გაგრძელება. ახლა ყელში ვწვდები ამ დამაალს... თუ ავტომატის წართმევა მოვასწარი, ერთ-ორს მაინც წავიმძღვარებ წინ, თუ ვერა, ამით მაინც დამთავრდება ყველაფერი“...

— ნაი! — ცივად თქვა აფხაზმა და კარისკენ უბიძგა.

მის დანახვაზე გუშაგებმა ხმაურს უმატეს. გოგას არ ესმოდა აფხაზურ ენაზე წარმოთქმული ფრაზები, მაგრამ მაინც ხვდებოდა, რომ უცნობებს მისი სადაც წაყვანა უნდოდათ, გუშაგები კი ამის საშუალებას არ აძლევდნენ.

დავა აფხაზების სასარგებლოდ გადაწყდა. ერთ-ერთმა მათგანმა ავტომატი მოზიდა და გუშაგები მიზანში ამოიღო. მათ მაშინვე უკან დაიხიეს და გოგას წაყვანის საშუალება მისცეს.

მანქანაში ჩაჯდომისთანავე გოგა უცნაური სიმშვიდის გრძნობამ შეიპყრო. ერთბაშად გაუქრა შიშის, გაურკვევლობის, დაღლილობის შეგრძნება. იმაზე ფიქრმა, რომ ეს ჯოჯოხეთი სულ მალე რამდენიმე გასროლით დამთავრდებოდა, შვება მოჰგვარა. ისიც კი აღარ აინტერესებდა, თუ საით მიჰყავდათ. როგორც კი მანქანა ადგილიდან დაიძრა, თავით ფანჯრის მიწას მიეყრდნო და თვალები დახუჭა.

ამასობაში მანქანა შტაბის ეზოს გასცდა და ჩაბნელებულ გზატყვილეზე გავიდა.

— ცუდად ხომ არ, ხარ, ბიჭო? — მოულოდნელად ჰკითხა გვერდით მჯდომმა აფხაზმა.

გოგამ თვალები გაახილა და გოცნებით შეხედა.

— აჰა, მოსვი, — აფხაზმა მათარა გაუნოდა, — სპირტიანი.

გოგამ მათარას საცობი მოხსნა. სპირტის მძაფრმა სუნმა მაშინვე შეუღიღინა ცხვირში. უფრო ღრმად შეისუნთქა ნაცნობი სუნი და მოულოდნელად გაეცინა.

— რა გაცინებს? — აფხაზებმა გოცნებით შეხედეს.

— ეს რა, უკანასკნელი სურვილის ასრულებაა?.. — იკითხა გოგამ.

— რა სურვილის?

— ფილმებში არ გინახავთ?.. როგორ უსრულდებენ სიკვდილმისჯილებს უკანასკნელ სურვილს. ფრანგებს კი პირდაპირ „პაიოკი“ ჰქონდათ დანიშნული: გილიოტინაზე გასაყვან სიკვდილმისჯილს 100 გრამ კონიაკსა და სიგა-

რეტს აძლევდნენ. თუ თქვენც მაგ წესს მისდევთ, სიგარეტიც უნდა მომანვეინოთ.

აფხაზებმა გაკვირვებულებმა გადახედეს ერთმანეთს. მერე ერთ-ერთმა მათგანმა სიგარეტი და ასანთი მისცა. გოგამ ერთი ყლუპი სპირტი მოსვა, სიგარეტს მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და მათარა გვერდით მჯდომ აფხაზს გაუნოდა.

— შენ გქონდეს. კიდევ დალიე. ცუდად გამოიყურები, მოგამაგრებს, — უთხრა მან.

— მომამაგრებს?! — გაუკვირდა გოგას. — რაში გჭირდებათ ჩემი მომამაგრება?

— როგორ გგონია — ვინ ვართ და სად მიგყავხარ? — ჰკითხა წინა სავარძელზე მჯდომმა აფხაზმა.

— რა მნიშვნელობა აქვს?! — ჩაილაპარაკა გოგამ, კიდევ ერთი ყლუპი სპირტი მოსვა, სიგარეტი ორიოდ ნაფაზით ფილტრამდე დაიყვანა, ნამწვი გადაადო და ისევ დახუჭა თვალები.

ცოტა ხანში მანქანა გაჩერდა. აფხაზები გადავიდნენ და საუბარი გამართეს. გოგა არ დაინტერესებულა, სად შეჩერდნენ ან რაზე თათბირობდნენ, არ სურდა, სიმშვიდის ბოლო ნუთების რალაცაზე ფიქრით დარღვევა... შემდეგ, მხარზე შეხება იგრძნო. ვიღაცამ ფრთხილად შეაჯანჯლარა და ჰკითხა, — როგორ ხარო? გოგას ხმა ნაცნობი ეჩვენა და მაშინვე გაახილა თვალები. მანქანის ღია კართან რომა იდგა, მის უკან კი გურამ ჩამბა ჩანდა.

— შე-ენ?.. — გოგამ გოცნებით შეათვალიერა რომა, შემდეგ აფხაზებზე გადაიქანა მზერა. — ესენი ვინ არიან?

— ჩემი მეგობრები არიან, — უპასუხა გურამმა.

— თუ შენი მეგობრები არიან, რალა საჭირო იყო ეს სპექტაკლი?! — ჰკითხა გოგამ.

— რა სპექტაკლი?! — აფხაზებს გახედა რომამ.

— შტაბიდან ისე ხომ არ გამოგვატანდნენ. ცოტა „ნავიბუნიეთ“, „ზატვო-

რები“ გააჩხაკუნეთ... მოკლედ, დავაჯერეთ, რომ დახვრეტას ვუპირებდით.

— დაიჯერეს? — ჰკითხა გურამმა.

— მაგას ჰკითხეთ, — გოგაზე მიანისნეს აფხაზებმა.

— ამას აფხაზურის ინჩი-ბინჩი არ ესმის. თქვენი ნალაპარაკებიდან ერთ სიტყვასაც ვერ გაიგებდა.

— დაიჯერეს... დაიჯერეს... — გაიცინა ერთ-ერთმა აფხაზმა. — უნდა გენახათ, როგორ გვთხოვდნენ: ჩამბასთან და ლაკობასთან ნუ შეგვარცხვენთ, ისინი მფარველობენ მაგ ქართველსო!

— ხომ არ გადაამალმეთ?

— არა, არა... — თავი გაიქნია აფხაზმა. — ზუსტად ისე გამოვიდა ყველაფერი, როგორც საქმეს სჭირდებოდა.

— რა ხდება? — რომას მიუბრუნდა გოგა.

— სიტყვა — სიტყვაა, ძმაო: გურამიც დაგპირდა და მეც, რომ აქედან გაგიყვანდით. სხვას რას ელოდი ჩვენგან?!

— ესე იგი... — გოგა ისეთმა სიხარულმა შეიპყრო, სიტყვის დამთავრება ვეღარ შეძლო.

— ესე იგი, სახლში დაბრუნდები, ოღონდ ზუსტად ვერ გეტყვი, როდის, უპასუხა გურამმა.

— ჯერჯერობით რუსეთისკენ ვერ გაგიშვებთ. დღესდღეობით ბევრი ქართველი ცდილობს აფხაზეთიდან მაგ გზით გასვლას. საზღვარი ორივე მხრიდან მკაცრ კონტროლზეა აყვანილი. რუსები ხელს არ შეგიშლიან. ლტოლვილს არავინ მოჰკითხავს საბუთებს, მაგრამ აფხაზები არ გაატარებენ. თანაც, თბილისელი ხარ. ისევ დაგატყვევებენ და საიდანაც წამოგიყვანეთ, იქ დაგაბრუნებენ, — ჩაუბრუნა რომამ.

— ესე იგი, მაინც აქ დარჩენა მომიწევს? — ჰკითხა გოგამ.

— მანამდე, ვიდრე რუსეთის საზღვარი არ „ჩანყნარდება“... დანარჩენს გზადაგზა გეტყვი, — თქვა რომამ და მანქანის საჭეს მიუჯდა.

რომამ გზის პირას გააჩერა მანქანა.

— აქედან ფეხით წასვლა მოგვიწევს, — გახედა გოგას, — შეძლებ ერთი კილომეტრის გავლას?

— შეძლებ, — უყოყმანოდ უპასუხა მან, — მაგრამ რატომ უნდა ვიაროთ ფეხით? გზა ხომ გრძელდება.

— გრძელდება, მაგრამ არ მინდა, მეზობლებმა მომკრან თვალა.

— მაშინ, წავედით, — თქვა გოგამ და კარის სახელური მოზიდა.

— მოიცა... კიდევ რალაც მაქვს სათქმელი, — შეაჩერა რომამ.

— გისმენ, — გოგამ ხელი შეუშვა სახელურს და მისკენ შებრუნდა.

— ის უკვე გითხარი, რომ სახლი, რომელშიც დროებით ყოფნა მოგიწევს, ჩემი და რიტას პაპას





ეკუთნის. წყნარი ადგილია, ახალი ათონის გარეუბანი. სხვა სახლები საკმაოდ მანძილითაა დაშორებული. გარშემო მაღალი ღობე არტყია და ისეთ ნაძვანარშია ჩაფლული, უცხო თვალი ადვილად ვერ მოგწვდება. ჩვენს დაუკითხავად, იქ ვერავინ გაზედავს შესვლას, მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა იყო. ეცადე, არავის



მოხვდე თვალში. ჩემს ოჯახში უცხო სტუმრის ყოფნა არავის გააკვირვებს, მაგრამ ახლა ის დრო არ არის. დღეს აფხაზეთში, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, ყველა ქართველებს ებრძვის. ახალგაზრდა კაცის ჩემს სახლში ყოფნა ყველას გააკვირვებს. ისეთისა კი, რომელიც აფხაზურად არ ლაპარაკობს, დაეჭვებს.

— მესმის, — თავი დაუქნია გოგამ. — ახლა ყველგან არეულობაა. ცოტა ხანი მოცდა მოგვიწევს. ჩემს ხალხს ვერ მივატოვებ და რომც მივატოვო, ქართველებს მაინც ვერ დაველაპარაკებო.

— რომელ ქართველებს გულისხმობ? — ჰკითხა გოგამ.

— არ მინდა რუსეთში შენი გაშვება. შრომაში გადაგიყვან. იქ ადგილობრივები დგანან პოზიციებზე. ყველას ვიცნობ და ბევრი მეგობარიც მყავს.

— მაგას ამბობ ხალხზე, ვისაც ეომები?

— მე იმას ვეომები, ვინც ჩემს სახლში იარაღით ხელში შემოსვლას ცდილობს. ისინი კი მანამდეც ძმები იყვნენ და ახლაც ძმებად დარჩებიან. მათი შიში არ მაქვს. რომ მოვიწოდო, დღესვე გადავალ შრომაში, მაგრამ დრო არა მაქვს. ზუსტად არ ვიცი მათი პოზიციები. არ მინდა, შემთხვევით ვინმეს გადავწყვედე.

— ეგეც გასაგებია, — უპასუხა გოგამ.

— ახლა გადავიდეთ მთავარზე. რაც უნდა ყოფილიყო, მარტოს მაინც არ მივატოვებდი. მით უმეტეს, მამინ, როცა ვიცოდი, რომ ასი პროცენტით დაიღუპებოდი. მაგრამ ეს მარტო შენთვის არ გავაკეთე... იცი, რა შეემთხვა რიტას?

— ვიცი, — ყრუ ხმით უპასუხა გოგამ.

— იმ დღის შემდეგ ჩემს ბიძაშვილს ვეღარ ვცნობ, — განაგრძო რომამ, — რომელიმეც ნაბიჭვრის შეხებამ საერთოდ შეცვალა. ადამიანების შიში გაუჩნდა. ახლობლებს გაურბის. ქართველებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მათ მოსისხლე მტრებად მიიჩნევენ...

— იმიტომ გამერიდა მამინ?

— არ ვიცი... არაფერი უთქვამს, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამიტომ არ გაგრიდებია. ის ღელავდა. რატომღაც, დარწმუნებული იყო, რომ შენ გაგრიდან არ ნახვიდოდი. შემდეგ ექიმებისგან შევიტყვეთ, რაც მოხდა საავადმყოფოში. რიტამ მამინვე მთხოვა შენი მოძებნა და დახმარება.

— რატომ ეცვა სამხედრო ფორმა და რისთვის სჭირდებოდა იარაღი?

— ჰკითხა გოგამ. — ის რა, ომობს?

— ამ ომში ქალებიც იბრძვიან. თანაც, ის ხომ გამოცდილი მედდა! თავიდან დაჭრილების დასახმარებლად წავიდა ფრონტზე. შემდეგ კი იარაღს თავისთავად მოჰკიდა ხელი... ხომ გესმის ჩემი?.. არ მინდა, რომ ჩემი ბიძაშვილი ამ ორომტრიალსა და სისხლის ღვრას შეეწიროს. არ მინდა, ბიძაშვილი რომელიმეც არაკაცის გამო დავკარგო...

— მაგრამ მან ჩემთან ლაპარაკიც კი არ მოისურვა. როგორც კი თვალი მომკრა, უკან გაბრუნდა.

— მამინ ასე ჯობდა, მაგრამ არა მგონია, ახლაც გაგერიდოს...

— ახლაც?! — სწრაფად გახედა გოგამ.

— შენ რა, იმის თქმა გინდა, რომ რიტა აქ არის?! —

— აქ არის, — დაუდასტურა რომამ.

— და იცის, რომ მე შენთან ერთად მივალ სახლში?

— არა... ეგ არ იცის. მე მხოლოდ სახლის წესრიგში მოყვანა ვთხოვე, მაგრამ არ მითქვამს, რისთვის... — უპასუხა რომამ და მანქანიდან გადავიდა.

გოგას დანახვაზე რიტა შეკრთა, თავისდა უნებურად, უკან დაიხია და რომას გაცემული მზერა მიაპყრო.

— გიკვირს? — ჰკითხა მან.

— ძალიან, — უპასუხა რიტამ.

— რიტა... — გოგამ წინ წაინია, მაგრამ მისდა გასაოცრად, ქალი გაერიდა და ისევ უკან დაიხია.

— არ გახარებს ჩემი აქ ყოფნა? — ჰკითხა გოგამ.

— არა... უფრო გამიხარდებოდა, აქედან შორს თუ იქნებოდი.

— მეც მტრად მთვლი?

— რიტამ ჩაფიქრებული მზერა მიაპყრო. მერე თქვა: მაგიდასთან დასხედით, შორი გზა გაქვთ გამოვლილი, მშვირები იქნებით; ახლავე გაგიშლით სუფრასო, — და სამზარეულოში გავიდა.

სუფრასთან დაძაბულობა იგრძნობოდა. არც სტუმარი და არც მასპინ-

ძლები საქმელს არ გაჰკარებია. ყველა თავის ფიქრებს მისცემოდა. რომამ რამდენჯერმე სცადა საუბრის ნამოწყება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. რიტა და გოგა მხოლოდ ორი სიტყვით პასუხობდნენ მის ყოველ ფრაზას — ჰო, არა...

— დადლილობის ბრალია. ახლა ღვინო და პური კი არა, გამოძინება უფრო მოგვიხდებოდა, — ამ სიტყვებთან ერთად, რომამ საათს დახედა, — მაგრამ ამის დროც არ მქონია. უნდა წავიდე.

— ნახვიდე?! — გოგამ თვალი გახედა რიტამ. — გოგა?!

— გოგა აქ დარჩება. მგონი, არ გაგიჭირდება მისთვის მასპინძლობის განწევა.

— ჰო... მაგრამ... — რიტამ ბოლომდე ვერ თქვა სათქმელი.

— უნდა გავიჭირვოთ. ახლა მე თვითონ არ მცალია, სხვას კი ამ საქმეს ვერ ვანდობ.

— რამდენი ხანი? — ჰკითხა რიტამ.

— სამი-ოთხი დღე.

— ახლა სად მიდიხარ?

— საქმე მაქვს. ახალ ათონში ერთ კაცს უნდა შევხვდე. ორ-სამ საათში დავებრუნდები, — თქვა რომამ და მაგიდას მოშორდა.

რომას წასვლის შემდეგ, რიტამ საძინებლის კარზე მიანიშნა გოგას: იქ შენთვის უკვე გაშლილია ლოგინი და შეგიძლია დაისვენო. თავად კი სუფრა აალაგა და მეზობელ ოთახში გავიდა. გოგას არც კი დაუპირებია საძინებელში შესვლა. მცირე ხნით ბუხართან ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა, რამდენიმე ღრმა ნაფაზი დაარტყა, მერე ნამწვი ბუხარში შეაგდო, ადგა და იმ ოთახს მიამშურა, რომელშიც რიტა მიიშალა.

კარი სუსტი ჭრიალით გაიღო. ოთახი მხოლოდ ნავთის ლამპის სუსტი შუქით იყო განათებული. რიტა საწოლზე იწვა, სახით ბალიშში ჩამოხობილიყო და მხრები უთრთოდა.

გოგა საწოლს მიუახლოვდა და მხარზე ფრთხილად შეეხო. რიტა შეკრთა, სახე ბალიშიდან ასწია, კედელს აეკრა და დაძაბული მზერა მიაპყრო.

— დამშვიდდი... ეს ხომ მე ვარ... — თქვა გოგამ და საწოლზე ჩამოჯდა.

— რიტა ისევ გაერიდა, საწოლიდან ადგა და კედლისკენ დაიხია.

— გოგამ ნერვიულად მოისრისა საფეთქლები და შემდეგ თქვა:

— გინდა, წავიდე?

— სად უნდა წახვიდე?

— არ ვიცი... სადმე შორს შენგან!

— არა... — ოდნავ გასაგონად ჩაილაპარაკა რიტამ.

— მამინ რატომ გამირბი?

— იმ დღის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა.

— ძალიან ბევრი რამ... — გოგამ მცირე პაუზა გააკეთა, სიგარეტს მოუკიდა და ლაპარაკი განაგრძო: — ვიცი, შენთვის ძნელია ამის მოსმენა, მაგრამ ახლა ყველაფერი უნდა ითქვას. ხვალ შეიძლება,



ძლიერი სუსტი ქარი

სვება კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი

სასტუმრო ოთახში ყველა ფანჯარა ფართოდ იყო გამოღებული. მიუხედავად ამისა, საღამოს მსუბუქი ნიავი ძლივს ახერხებდა დღის განმავლობაში დაგროვებული დასუთული ჰაერის გაგრილებას. არადა, მოსკოვში ახლა ნამდვილი ზამთარია! სიცვივე, რომელიც ძვლებში ატანს! სალომე ვერაფრით მიეჩვია იმ აზრს, რომ რუსეთის დედაქალაქთან შედარებით, თბილისში ამ დროს სრულიად საპირისპირო ამინდია. თითქოს არც ისეთი შორეული ქვეყანაა რუსეთი... აგერა არის, ა! ყურის ძირში. ბოლოს და ბოლოს, მეზობლად ითვლება!

რა საოცარი თვეა მარტი. ჯერ კიდევ ორი დღის წინ აქაც რუსული თებერვლის სუსხი იგრძნობოდა, დღეს კი ისე გამოიძარა, მცხუნვარე მზის სითბო დილიდან მოყოლებული უხურებდა სხულს. მზეც კი კეთილშობილია

საქართველოში, საოცარი ფერადი სითბოთი იღვრება დედამიწაზე.

რამდენი წელია, აქ არ ყოფილა! როგორ მონატრებია მშობლიური ქალაქი! თითქოს წყურვილს იკლავდა, როცა ჩამოფრენის დღეს, აქაურ, წვიმით გაჟღერებულ ჰაერს ისრუტავდა. ასეთი შეგრძნება მხოლოდ ახალგაზრდობაში ეუფლებათ ადამიანებს, როგორც უნდა გტკიოდეს სული, მაინც გიხარია რაღაც, უკეთესი ხვალისდელი დღის იმედით ივსები. მონატრებულ გარემოს და მონატრებულ ადამიანებს ძალუძთ, აგაღვლონ, გაგახარონ, ბედნიერება განგაცდევინონ. აქ ყველაფერი უჩვეულოდ ლამაზი ეჩვენებოდა სალომეს, მის განცდებში რაღაც ჯადოსნური, იდუმალი იღვრებოდა, ენით უთქმელი, სიტყვებით აუნერული... ვერ გაეგო, საიდან მოდიოდა ეს ყველაფერი და სწორედ

ეს აღევლება ყველაზე უცნაურად.

ახლაც, ღვინით სავსე ბოკალი დაუჭერია, დგას მარინა მამიდას გვერდით და ღიმილით ესალმება ყველა შემოსულ სტუმარს. მარინა მამიდას უყვარს მსგავსი საღამოების გამართვა. მისი სახლი სტუმრიანობით განთქმულია მთელ თბილისში. ამჯერად კარგი მიზეზიც გამოუჩნდა — მძისუვილი ჩამოუვიდა მოსკოვიდან, დიდი ხნის უნახავი ძმისშვილი, უღამაზესი სალი, რომელიც მ წლიდან მასთან იზრდებოდა და რომელსაც შვილივით უვლიდა.

სალი ყველას ესალმებოდა, თავს უქნევდა და იღიმოდა. თან ახალი შთაბეჭდილებებით ივსებოდა. არა, რაც მართალია, მართალია, სულ სხვანაირი ხალხი ვართ ქართველები, სხვანაირი სითბოთი აღვსილები. აბა, სხვაგან სად შეგხვდებიან ასე ტკბილად, ასე აღფრთოვანებით?!

მიუხედავად ამისა, მთელი საღამოს განმავლობაში დაძაბული იყო, თითქოს ვიღაცის თუ რაღაცის უჩვეულო მოლოდინი აეკვიბათ... ჯერ კიდევ უჩინარის, შეუმჩნევლის, ამოუცნობის... სხვა ყველაფერი რატომღაც, მეორეხარისხოვანი გახდა მისთვის.

ბოლოს და ბოლოს, ამ „მოუხელთებელმა რაღაცამ“ კონკრეტული ფორმა მიიღო და... ქალმა ვიღაცის დაჟინებულ მზერა იგრძნო.

ოდნავ შეაჟრუხოლა, მაგრამ არ შეიმჩნია. ღიმილი არ მოუშორებია სახიდან, ისე მოავლო თვალი უზარმაზარ ოთახს. ვერავინ დალანდა ისეთი, მისით რომ ყოფილიყო დაინტერესებული. მერე შემთხვევით აივნისკენ მიატრიალა თავი და წამით გახედა — რიკულებიან მოაჯირს უცნობი მამაკაცი იდაყვით დაჰყრდნობოდა და სალომეს მრავლისმეტყველი მზერით მისჩერებოდა...

„ნეტავ ვინ არის? — გაუელვა გონებაში. — აქამდე როგორ ვერ შევამჩნიე?“ წარბები ოდნავ შესამჩნევად შეარხია ქალმა და უხერხულობის დასაფარავად ღვინო მოსვა. მამაკაცს არაჩვეულებრივი თვალები ჰქონდა, ყველაზე საოცარი, რაც კი აქამდე უნახავს სალის, თითქოს ნაცრისფერი... არა, უფრო კვამლისფერი, ლურჯი ელფერით, ეს თვალები, რომელსაც ხშირი, აპრეხილი წამწამები გალავანივით ერტყა გარს, ყველაზე მომგებიანი ნაწილი იყო უცნობის სახეზე.

მამაკაცი ისე დაჟინებით მისჩერებოდა, სალიმ თავი კიდევ უფრო უხერხულად იგრძნო. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ხელები სად წაეღო. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მამიდისკენ მიბრუნდა და რომ შეხედა, მიხვდა, მასაც არ დარჩენოდა შეუმჩნეველი სტუმრის დაინტერესებული მზერა. მარინა მამიდა ხან სალომეს გადახედავდა ღიმილით, ხანაც იმ უცნობ მამაკაცს.

— იცი, ეს ვინ არის? ვაკოა, ლუდუშაური... — თქვა მან, როცა სალის კითხვით სავსე მზერას წააწყდა. — ნამოდი, გაგაცნობ!

სალომემ უარის თქმაც ვერ მოასწრო, ისე წაავლო მამიდას მამაკაცი ხელი და აივნისკენ გაიყოლა. სანამ ქალები უცნობს მიუახლოვდებოდნენ, ეს უკანასკნელი წელში გაიმართა, თუმცა თვალი არ მოუცილებია ახალგაზრდა სალისთვის, რომელიც დაბნეული აფახულებდა წამწამებს.

შესიმპათიური მამაკაცი საკმაოდ დაუდევრად იყო ჩაცმული — ჯინსის შარვალზე ფინისსავე პერანგი ეცვა, რომელიც გულის კოვზამდე გაეღვლა. ყელზე ვერცხლის ჯაჭვი ეკიდა, ვერცხლისსავე, ბოლნური ჯვრით, რაც მის დაკუნთულ სხეულს კიდევ უფრო მამაკაცურს ხდიდა. იგი ისე იყო გარუჯული, აშკარად ჩანდა, რომ დროის უმეტეს ნაწილს სახლის გარეთ ატარებდა. „საინტერესოა, ამ ზამთარს სად მოასწრო გარუჯვა? — გაიფიქრა სალომემ. — გუდაურში ბრძანდებოდა მისი აღმატებულება თუ ბაკურიანში? სპორტსმენი ხომ არ არის შემთხვევით? თანაც, რა დაუდევრად აცვია!“

და კიდევ... მომაჯადოებელთალებიანი უცხო მამაკაცი მაღალიც იყო. მაღალიც არის და მაღალიც — ძალიან



მაღალი გახლდათ, სალომეზე ორი თავით მაღალიც კი! თვითონაც არ უჩიოდა „უსიმაღლობას“, მოდელის პარამეტრებით ინონებდა ყოველთვის თავს, მეტრი და სამოცდაცამეტი სანტიმეტრი იყო, მაგრამ უცნობის აღნაგობამ, ცოტა არ იყოს, დათრგუნა. რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო ხვდებოდა, უცნობი სვანური კოშკივით რომ გადმოჰყურებდა ზემოდან.

აუ, რა მაგარი კაცია! რამდენი ხანია, ასეთი თვალში მოსახვედრი მამაკაცური სილამაზე არ უნახავს სალის. ქერა, მოკლედ შეკრეჭილი თმა, ვარდისფერი, თითქოს „სპექსეკვეით“ გამოყვანილი, მგრძობიარე ტუჩები, ფართო სახე, მაღალი შუბლი და... მისი აღნაგობისთვის თითქოს უჩვეულოდ პატარა ცხვირი... პატარა, მაგრამ მაინც ვაუკაცური. „ნამდვილი „კრასავიკია“, — დაასვენა სალიმ და ახლოს მისულმა უკეთ შეისწავლა მისი თვალების ფერი. მოცისფრო-მოთაფლისფრო-მოლურჯო... უცნობის გუგები ყოველ მოძრაობაზე იცვლიდა ფერს. როგორი თავდაჯერებული გამოხედვა ჰქონდა! წარმოიდგინეთ მამაკაცი, რომელმაც ძალიან კარგად იცის, რომ არსად, არასდროს, არც ერთი ქალისთვის შეუშინეველი არ დარჩება. ეს ადვილად იკითხებოდა უცნობის მზერაში.

— სალომე, გაიცანი, ეს ვაკო ღუღუშაურია, ჩემი კეთილი მეგობარი და ოქროს ხელების პატრონი. არ ვიცი, რა მემუვლებოდა მის გარეშე. ჩემი მარჯვენაა. ვაკო, ეს მომხიბვლელი ქალბატონი კი ჩემი მისწვლია, სალომე კვერნაძე.

— მიხარია თქვენი გაცნობა, სალი, — მომწუხრებელი ღიმილით აღნიშნა ვაკომ.

„სალი“ მაშინვე ყურში მოხვდა ქალს. ასე მხოლოდ შინაურები მიმართავდნენ. უცნობები ან ახალგაცნობილები უცებ ვერ უთამამდებოდნენ. ამან კი ისე შინაურულად დაუძახა, თითქოს ბავშვობიდან იცნობსო. ერთი ამას დამიხედეთ! ჰგონია, რადგან ლამაზია, ყველაფრის უფლება აქვს? — კოპები შეკრა სალომემ, თუმცა მამაკაცის გამოწვილ მარჯვენას მაინც შეაგება თავისი ნაზი, წვრილი თითები.

ნაცრისფერი თვალები კიდევ ერთხელ დააშტერდა ქალს დაუჩინებოდა და მერე ნელ-ნელა, ჯიუტად ჩააღწია სალის სულის ამოფურცვად, თითქოს ამ სულის ამოფურცვლა აქვს განზრახულიო... ქალმა თვალებიდან მზერა შეუშინეველად გადაიტანა უცნობის ხელებზე... არა უშავს, მშვენივრად მოვლილი თითები ჰქონია, კოსტად ნაჭრილი ფრჩხილებით... ძლიერი მავა, ფართო ხელისგული... ასეთი ხელები ფიზიკური მუშაობისთვის უფრო გამოდგება, ვიდრე ქალის ალერსისთვის. ამის გაფიქრებაზე ღი-

მილი ძლივს შეიკავა და მაქსიმალურად შეეცადა, სხვა რამეზე გადაეტანა ყურადღება.


ვაკომ ორპირივით გაიღიმა, თითქოს ქალის ნაფიქრს ჩასწვდაო. სისულელეა! არავის შეუძლია, ზუსტად გაიგოს, რაზე ფიქრობს მეორე ადამიანი. თუმცა... ეს კაცი ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვისაც სხვების აზრების გამოცნობა ადვილად შეუძლია. „ამას, როგორც ჩანს, უყვარს ქალებზე შთაბეჭდილების მოხდენა, მაგრამ ჩემთან ეს არ გამოუვა... არ გაგიმართლა, სიმპათიურო, შენ ჩემთვის ისევე უინტერესო ხარ, როგორც ყველა სხვა მამაკაცი. ამიტომ ნურაფრის იმედი ნუ გექნება“, — ფიქრებში გამოელაპარაკა სალომე მამაკაცს და ჯიბრიანი მზერა ესროლა.

ამისთვის არ ჩამოსულა თბილისში. მთელი ცხოვრება ეყოფა, რა ტანჯვაც გადაიტანა ბოლო წლებში. სულაც არ სურს, კიდევ ერთხელ ეტკინოს გული. შეცდომას აღარ გაიმეორებს. რაც უნდა ეცადოს მამიდამისი, მაინც არ გამოუვა მამაკაცობა. სალისგან დიდი იმედგაცრუება მოეღობა.

— ცოტა ხნით დაგტოვებთ, ბავშვებო. ნავალ, სტუმრებს მივხედავ. თქვენ კი უფრო ახლოს გაიცანით ერთმანეთი, — რომ იტყვიან, სიცოცხლით სახვე ღიმილი ესროლა მარინამ ორივეს და ოთახში შებრუნდა.

მარინა მამიდა საცაა, სამოცს მიუკაკუნებს. მაღალი, ნელწვრილი, თქოგანიერი ქალი, თავისი ასაკისთვის ბევრად ახალგაზრდულად გამოიყურება. 10 წელია, რაც დაქვრივდა, მაგრამ ხელმოკორედ გათხოვებაზე კრინტი არასდროს დასცდენია. უკვირდა სალის, როგორ ტოვებდნენ მამაკაცები ასეთ ქალს უყურადღებოდ. მით უმეტეს, მას შვილები არ ჰყავდა. მისი ერთადერთი „ნათელი წერტილი“ სალომე იყო, მხოლოდ მასზე ამყარებდა იმედს.

სალომეს მამაც ადრე დაქვრივდა —



როცა გოგონას 3 წელი შეუსრულდა. დედას სიმსივნე აღმოაჩნდა და 6 თვეში მოულო ბოლო. მარინამ იკისრა მისი გაზრდა, ყველანაირად ხელს უწყობდა ძმას, გვერდიდან არ შორდებოდა. შალვაზე ისე იმოქმედა ცოლმის სიკვდილმა, დიდხანს ვეღარ გაძლო საქართველოში და საბერძნეთში გადაიხვეწა. იქიდან უმართავდა ხელს დასა და ქალიშვილს. ამასობაში სალიც წამოიზარდა. შემდეგ მამაც ჩამოვიდა. მეორე ცოლი შეერთო... კარგი ქალი აღმოჩნდა მედეა, გულთ შეიყვარა დაოლებული გოგონა. სალიმაც ადვილად გაუგო დედინაცვალს. მედეა მარინასაც ძალიან დაუახლოვდა. საოცრად კარგი ურთიერთობა დამყარდა რძალსა და მულს შორის. მერე პატარა ოთარი გაჩნდა, უმცროსი ძმა... ნახევარძმა. ისიც შეუყვარდა სალის, თანაც ძალიან. ამასობაში სკოლა დაამთავრა, უნივერსიტეტში ჩააბარა. მარინაც გათხოვდა... შემდეგ...

ბევრი რამ იყო შემდეგ, ახლა არ სურს სალის ამის გახსენება. განსაკუთრებით ბოლოს მომხდარი ამბების შემდეგ. მამაც აღარ ჰყავს, 6 წელია უკვე. მისთვის ახლა მთავარი ის არის, რომ თბილისშია და არა მოსკოვში. ბედნიერებაა, როცა ნერვებს ქმარს არ აჭმევინებს. როგორ გაუმინარა ცხოვრება! როცა მიხვდა, ასეთ ყოფას ვერ გაუძლებდა, მედეას დაურეკა და თავისი განზრახვის შესახებ ამცნო. მანაც, რადგან მარტო ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას, მაშინვე მარინას დაურეკა, როგორ მოვიქცეთო? ამ უკანასკნელმა კი, არც აცია, არც აცხელა, სასწრაფოდ გაუგზავნა სალის ფული და ჩემთან ჩამოდიო, შეუთვალა.

ჰოდა, ახლა აქ არის, თავის გამზრდელ მამიდასთან. არა, განა არ მიიღებდა მედეა, მაგრამ გოგონას მამიდასთან ყოფნა ერჩივნა. მას შვილი არ ჰყავს, არც ქმარი. მარტოხელაა. ყველაფერი სალისთვის უნდა, სიყვარულიც, ქონებაც და სითბოც. დარჩენილი ცხოვრებაც მას უნდა მიუძღვნას. მედეას კი ოთარი ჰყავს, თავისი საზრუნავი აქვს. რატომ უნდა დაამძიმოს თავისი არსებობით?

— აბა! როგორ მოგწონთ დღევანდელი საღამო? — ვაკოს ხმა იმდენად ღრმა და გულში ჩამწვდომი აღმოჩნდა, სალის ძვლებამდე დაუარა ყრუ-ანტილმა. თითქოს მისი სხეული გიტარის სიმები ყოფილიყო, რომელსაც მოულოდნელად შეახეს ხელი.

ახალგაცნობილის აგრესიული მგრძობელობა იმდენად არასასიამოვნო და მიუღებელი იყო სალისთვის, გაქცევა მოუწიდა.

— ძალიან მომწონს, თუმცა ხალხმრავლობა დიდად არ მიტაცებს, — როგორც იქნა, ხმა



ამოილო, — მამიდას უყვარს, როცა მის გარშემო სტუმრები ტრიალებენ, ხალისობენ, ქეიფობენ, მე კი... მე სინყნარეს ვარ მიჩვეული. ასეთ საღამოებს გადამაჩვიეს.

— ამინდის ასეთი ცვალებადობა არ გალიზიანებთ? — მამაკაცი კვლავ მოაჯირს დაეყრდნო, ოდნავ გვერდზე შებრუნდა, ცალი ფეხი რიკულზე შემოდო და სალის მიაჩერდა.

მისი ეს პოზა აშკარად მეტყველებდა, რომ ვაკო ძალზე თავმომნონე ადამიანი გახლდათ.

— არა, არ მალიზიანებს. პირიქით, ისე მიხარია, თბილისში რომ ჩამოვედი, ყველაფერი ზომაზე მეტად კარგი მეჩვენება, მათ შორის, ამინდის ასეთი ცვალებადობაც.

— სამაგიეროდ, ჩემზე ძალიან მოქმედებს.

— არა უშავს, კიდევ რამდენიმე დღე და ისე დაცხება, სიგრილე სანატრელი გაგიხდებათ, — შესცინა სალიმ.

მამაკაცმა ცალი თვალი მოჭუტა და გამომცდელად ამოხედა ქვემოდან.

— თქვენი კანი ჰოლანდიურ ვარდებს მაგონებს, — თქვა უეცრად.

სალომეს ღანვები შეეფაკლა. თან ესიამოვნა ქათინაური, თან გალიზიანდა, ძალზე ბანალური შედარება გამოუვიდა უცნობს.

— დარწმუნებული ვარ, ამას ყველა ქალს ეუბნებოთ, — ირონიულად შენიშნა.

— ყველას არა. პირდაპირობა მიყვარს. ასეთ რამეებს მხოლოდ მაშინ ვამბობ, როცა სიმართლეა... როგორც ახლა მოხდა, თქვენს შემთხვევაში, — მსუბუქად წარმოთქვა ვაკომ, წელში გაიმართა და საჩვენებელი თითი უეცრად სალის ლოყაზე ჩამოუსვა.

შეხება წამიერი იყო, მაგრამ გოგონას მოეჩვენა, თითქოს სახეზე ლითონის ნაწვეტებულწვერიანი ნაჭერი ჩამოუსვესო და მკვეთრად შეაბრუნა თავი.

— არ მოგეწონათ, რომ შეგეხეთ? — უკმეხად იკითხა მამაკაცმა. როგორც ჩანს, იგი ამგვარ რეაქციებს მიჩვეული არ იყო.

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა! — სალიმ მის მხერას გაუძლო, მიუხედავად იმისა, რომ გულისცემამ უმატა და სახეზეც ეცვალა ფერი.

— ვეცდები, მხედველობაში მივილო ეს, — თქვა ვაკომ, თუმცა მისი უდარდელი ტონიდან გამომდინარე, ადამიანი მის სიტყვებს ვერ ენდობოდა. — იცით? ძალიან ჰგავხართ მამიდათქვენს.

— ვიცი. მამიდას უფრო ვგავარ, ვიდრე დედას. მისი თითქმის არაფერი გამომყვა.

— მამას?

— ცოტათი მამასაც ვგავარ, უფრო — ხასიათით. გარეგნულად მხოლოდ კანის ფერი გამომყვა მამაჩემის და კიდევ... ცხვირის ფორმა.

— ასეთი ლამაზი ცხვირი ჰქონდა მამათქვენს?

— მამა უსიმპათიურესი მამაკაცი იყო.

— ეჭვიც არ მეპარება. მარინა ახლაც ისეთი მომხიზვლელია... თქვენც მასსავით ტალღოვანი თმა გაქვთ, მასსავით ლურჯი თვალები, — გააგრძელა ვაკომ, — აი, ტუჩები კი... თქვენი ტუჩები ბევრად უფრო... როგორ გითხრათ, გამომსახველობითია...

— ეგ როგორ გავიგო? — კოპები შეკრა სალიმ.

— მინდოდა მეთქვა, მგრძობიარემეთქი, მაგრამ, რატომღაც ვიფიქრე, რომ ეს არ მოგეწონებოდათ.

— ასე თუ გააგრძელებთ, უდავოდ, დიდ წარმატებებს მიაღწევთ, — უკბინა გოგონამ.

— რატომ ვერ იტანთ ასე ძალიან მამაკაცებს? რატომ უარყოფთ მათ, რა დაგიშავებს ასეთი?

— ვინ გითხრათ, რომ ვერ ვიტან ან უარყოფ? — ცალი წარბი აზიდა ქალმა და უეცრად ისე დაიძაბა, სუნთქვა შეეკრა.

როგორც ჩანს, ახალ ნაცნობს ადამიანების სულში ჩაძვრომა ეხერხება. საიდან მოიტანა, ვინ უთხრა, რომ იგი მამაკაცებს გაურბის?

ვაკომ ნელა, ძალიან ნელა გაიღიმა... გაენელა ღმილი, მაგრამ ისე მოუხდა, სალიმ აღფრთოვანება ვერ დაფარა. თანაც, როგორი თეთრი და ჩანიკნიკებული კეიფები ჰქონია? ახლა კიდევ უფრო სექსუალური გამოჩნდა.

— არავის უთქვამს, ჩემით დავასკვინი. სახეზე განერიათ, რომ მამაკაცები არ გსიამოვნებთ. უყოყმანოდ ტოვებთ ასეთ შთაბეჭდილებას. თუ... ეს მხოლოდ მე ვარ თქვენთვის უსიამოვნო? რამე არ მოგნონთ ჩემში? ვინმემ ცუდად დამახასიათა?

— როგორ გეკადრებათ! ჯერ კიდევ რამდენიმე წუთის წინ, თქვენი არსებობაც კი არ ვიცოდე, — გამომწვევად ესროლა სალომემ.

ესეც ასე! თუ კიდევ ეტყვის მსგავს რამეს, არც მამიდა დაუთმობს. ასეთ მამაკაცს სალი ვერასდროს ენდობა. თუმცა კი ვერ იტყვის, რა აძლევს უნდობლობის მიზეზს, მაგრამ გული უგრძობს, რომ არ ტყუფდება. ეჭვიც არ ეპარება, რომ ეს, ლუდუშაური თუ ვიღაცა, ისეთი მამაკაცების რიგს მიეკუთვნება, ქალებს თავიანთი მიზნებისთვის რომ იყენებენ, მერე კი თვალსაც არ დაახამამებენ, ისე „მიაგდებენ“ და წამითაც არ ინერვიულებენ მათ განცდებზე. ამაზე მისი გამბურღავი მხერა მეტყველებს. როდენ უსირცხვილოდ მიშტერება მკერდზე, თითქოს აქამდე არ ენახოს დეკოლტე! თავხედი!

— გასაკვირი არაფერია. თქვენ აქ ახალი ჩიტი ხართ, თანაც — ნამდვილი ფერია, მინდვრის ყვავილების დედოფალს მაგონებთ, — ადვილად ჩასწვდა მის ფიქრებს მამაკაცი, — გარდა ამისა, ვაფანატებ ქერათმიან ქალებს. თქვენ სრულებით აკმაყოფილებთ ჩემს გემოვნებას.

სალიმ კოპები შეკრა. კიდევ ერთხელ შეათვალიერა უტიფარი სტუმარი. შეიძლება, მართალიც არის ეს კაცი, მისთვის მსგავსი რამ ხშირად უთქვამთ, მაგრამ თავად ძალიან კრიტიკულად იყო განწყობილი თავისი სილამაზის მიმართ. მას მიაჩნდა, რომ შუბლი ზომაზე მაღალი ჰქონდა, თვალები — არა ისეთი, რომ იტყვიან, დიდრონიო, არამედ ძალიან ფართო, ისევე, როგორც პირი... ამიტომაც, სიმპათიური მამაკაცის ყალბა კომპლიმენტება არ დააკმაყოფილა.

— ძალიან ბანალურია.

— მართლა?! რას იზამთ, მე ძველი ყაიდის კაცი ვარ. ამიტომაც არ მოგეწონეთ? თუ მართლა ვიღაცამ რაღაც გითხრათ ჩემზე?

— რა სისულელეა, ხომ გითხარით, აქამდე თქვენი არსებობის შესახებ საერთოდ არაფერი ვიცოდი-მეთქი.

— მაგრამ ახლა? როცა გაიგეთ, რომ ვარსებობ? — ვაკომ წარბები აზიდა, თვალები კი ცნობისმოყვარეობით აენთო.

— ვფიქრობ, თქვენთან კვლავ შეხვედრას არასდროს მოვისურვებ, — გადამწყვეტი ფრაზა მოიშველია სალიმ და გულგრილი იერით აარიდა მხერა, — მამაკაცით, უნდა დაგტოვოთ. იმედია, ცუდად არ გამიგებთ...

თქვენიც არ მომიკვდეთ! ვაკო ღუდუშაური სულაც არ აპირებდა მასთან დამშვიდობებას.

— მაგრამ მე ჯერ არ დამიმთავრებია თქვენთან... — ხმადაბლა შენიშნა მამაკაცმა და თითები იდაყვზე შეახო.

სალიმ მკაცრად დახედა მამაკაცის ხელს, სახე მოექუფრა, მერე კი თვალი თვალში გაუყარა და დაელოდა, სანამ ვაკო ხელს შეუშვებდა.

— გმადლობთ, — გადაჭარბებული თავზიანობით წარმოთქვა ქალმა, — რას ნიშნავს, „ჯერ არ დამიმთავრებია თქვენთან“? მე მგონი, არც არაფერი დაგიწყნია.

— მარინას სურდა, მეგობრები გავმდარიყავით, — მან კვლავ განელილად გაიღიმა, — არ იქნება ლამაზი, ასეთ ქალს იმედი გაუფრუოთ.

სალომეს თანდათან ბრაზი იპყრობდა.

— მამიდას ბევრი რამ შეიძლება სურდეს და ეს მისი უფლებაა, მაგრამ მეგობრებს მე ჩემით ვირჩევ, სხვისი დახმარება არ მჭირდება. მას არ უნდა გაეკეთებინა ეს! ამის გამო აუცილებლად ვუსაყვედურებ. რა საჭირო იყო ამ საკითხის თქვენთან განხილვა?

— მერედა, ვინ გითხრათ, რომ განხილვა?

— მაშინ რატომ...

— თქვენი მამიდა მიიჩნევს, რომ დროა, ცოლი შევიერთო.

— და იმასაც ამბობს, რომ ჩემთვისაც დროა, ახალი ქმარი ვიშოვო, არა? — მშრალად დაამატა სალომემ.

მოულოდნელად ორივეს გაეცინა.



— ჩემი აზრით, აჯობებს, ისეთი სახე მაინც მივიღოთ, ვითომ ძალიან მოგვეწონა ერთმანეთი, — თითქოს შეთქმულებას აწყობსო, ნახევრად ჩურჩულთ წარმოთქვა მამაკაცმა.

— ამაში გეთანხმებით. მას ნამდვილად დაამშვიდებს ეს, — დაეთანხმა გოგონა.

— შემდეგში კი შეგვეძლება, ისე მოვიქცეთ, როგორც ჩვენ გავიხარდება.

— ესე იგი, მხოლოდ ამ საღამოს? ვაკომ თანხმობის ნიშნად, თვალები დახუჭა.

— კარგი, ეგრე იყოს.

— იქნებ ეზოში გაგვეყვირა? — ჰკითხა მამაკაცმა და ქალს ხელი გაუწოდა.

წამიერი ყოყმანის შემდეგ, სალიმაც შეაგება ხელი. უეცრად მამიდას მოჰკრა თვალი, რომელიც, როგორც ჩანს, ორივეს შორიდან ადევნებდა თვალს. ქალმა მოწონების ნიშნად თავი დაუქნია ძმისშვილს.

რამდენიმე წუთიც და ორივენი ეზოში აღმოჩნდნენ. ახლა ისინი მარტოხელა სულებივით იყვნენ, ღამის სიბნელეში ჩაკარგულნი. მათ ესმოდათ მუსიკა, ლაპარაკის ხმები და სიცილი, მაგრამ ვერავის ხედავდნენ და მათაც ვერ ხედავდა ვერავინ.

უეცრად ვაკო მოტრიალდა და სალი მკერდზე მიიხუტა. გაოგნებულმა გოგონამ, მისდა სამწუხაროდ, იგრძნო, როგორ გამოეპასუხა მისი სხეული მამაკაცის შეხებას. ქმართან დაშორების შემდეგ იგი შავი ჭირივით გაურბოდა მამაკაცებს. ახლა რაღა დაემართა? რას შეეძლო, მსგავსი რეაქცია გამოეწვია?

აღბათ მის გარეგნობას. რომელი ქალი არ ანერვიულდებოდა, ასეთ განუმეორებელ მამაკაცს იგი სხვა ქალებისგან რომ გამოეჩინა?! მაგრამ თუ ამ კაცს ჰგონია, რომ სალი მას კოცნის ნებას დართავს, ძალიან მოტყუებულია. მერე რა, რომ ჯადოსნური მთვარიანი ღამეა, იდუმალებით და რომანტიკით სავსე. მერე რა, რომ თბილ ჰაერს ატმის ყვავილის სურნელი მოაქვს საიდანღაც და ხეხილითა და ყვავილებით სავსე ეს ეზო სწორედ რომ სიყვარულისთვის არის შექმნილი?! უკაცრავად, მაგრამ არა სალომესთვის!

— ეს რა, გაცნობის თბილისური ნუსია? — ცივად იკითხა ქალმა და მამაკაცის მკლავებისგან თავი გაითავისუფლა. — არ ვიცოდი, თუ აქ ნებისმიერი შემხვედრი მამაკაცის მკლავებში ჩავარდნა მომიწევდა.

— დამნაშავე ვარ, — ვაკომ ხელები ასნია დანებების ნიშნად, — იქნებ, სადმე ჩამოვსხდეთ და თქვენი ამბავი მომიყვით?

— რომელი ამბავი გაინტერესებთ? — თმა გაისწორა სალიმ და ოდნავ წინ გადაუსწრო მამაკაცს.

— რომელმა არანორმალურმა გადა-

წყვიტა, თქვენთვის ცხოვრება გამეწარებინა?

ამასობაში თუთის ხის ქვეშ დაჭედებულ მერხს მიუახლოვდნენ და ჩამოსდნენ.

— როგორც მახსოვს, თქვენ მითხარით, რომ არ გიჭორავიათ მამიდაჩემთან, — შეახსენა სალომემ.

ვაკომ მხრები აიჩეჩა.

— მარინა მოკრძალებული ადამიანია. მას სიტყვაც არ დასცდენია ჩემთან ამაზე. ეს უბრალოდ, ლოგიკური ვარაუდია, რომელიც თქვენს ქმედებაზეა დაფუძნებული. კრეტინი უნდა იყოს მამაკაცი, თქვენისთანა არაჩვეულებრივი სილაშხის ქალთან ურთიერთობა განწყვიტოს! არ მესმის, ასეთი რამ როგორ უნდა მოუვიდეს თავში ჭკუათამყოფელ ადამიანს!

სალომეს კვლავ ბრაზი მოერიდა. კიდევ ერთხელ უნდა ასწავლოს ჭკუა ამ თავხედს, სხვა გზა არ არის.

— სხვათა შორის, მე მივაცხოვე ის და არა მან — მე, — ცივად თქვა.

კარგა ხანს არც ერთი ხმას არ იღებდა. ეზოს ამ კუთხეში ხმაური ნაკლებად აღწევდა, ამიტომაც სადღაც შორიდან ისმოდა მუსიკა და სიცილი.

— ჰო, მართლა, რამდენი წლის ხართ? — სიჩუმე პირველმა ვაკომ დაარღვია.

„რა უზრდელია! — გაიფიქრა სალიმ. — არ იცის, რომ ქალს ასაკს არ ეკითხებიან?!“

— ოცდახუთის, — მაინც უპასუხა, რადგან წლოვანებას არასდროს მალავდა.

— დიდხანს იყავით გათხოვილი?

— სამი წელი.

— რას წარმოადგენდა თქვენი მეუღლე?

სალიმ ღრმად ამოიოხრა.

— რაში გაინტერესებთ? ეს თქვენი საქმე არ არის.

— უბრალოდ, თქვენთვის კარგი მინდა. საკუთარ პრობლემებზე გულწრფელად საუბარი ადამიანს შევბას ჰგვრის. მინდა, დაგეხმაროთ.

ქალმა თვალები დააკვესა.

— არანაირი პრობლემა მე არ მანუხებს, გარდა იმისა, რომელიც თქვენი გაცნობის შემდეგ გამიჩნდა: დაყინებით მისვამთ ისეთ კითხვებს, რომელზეც პასუხის გაცემა არ მესურს.

მსუბუქმა ღიმილმა ვაკოს მკაცრი ნაკვეთები შეარბილა. ამწუთას საოცრად უწყინარი ჩანდა.

— ცუდი ის არის, სალი, რომ თქვენ საკუთარ ტკივილს გულში ინახავთ. საუბარი ყოველთვის იწვევს სულში სიმსუბუქეს. ასე რომ, ნუ მენიანაღმდეგებით. დიდი ხანია, გაშორდით?

— თითქმის ოთხი თვეა.

— გამოდის, თქვენი ჭრილობები ჯერ კიდევ მოუშუშებელია...

სალომემ თავი უსიტყვოდ დაუქნია. შეგნებულად არ შეხედა მამაკაცს, რათა მის გამოხედვაში თანაგრძნობა არ დაენახა. ვერ იტანდა, როცა ვილაცას ეცოდებოდა.



— გიყვარდათ მაინც? — თითქოს შორიდან ჩაესმა ვაკოს ხმა.

— ეს ძალიან პირდაუღია, არ მსურს ამაზე ლაპარაკი.

— მერე რა?! სამაგიეროდ, გულს მოიოხებთ. პირობას გაძლევთ, არავის ვეტყვი... არასდროს.

— ეგ არც მიფიქრია.

— რატომ? არ მითხრათ ახლა, რომ თვალდახუჭული მენდობით.

— მე ნამდვილად არ გენდობით, მაგრამ, როგორც ვატყობ, მამიდა გენდობათ. ის კი ისეთი ქალია, ცუდი რომ იყოთ, რეკომენდაციას არ გაგინევიდათ, — თქვა და ღიმილმა გაუპო ბაგე.

— უღრმესი მადლობა. ეს ჩემთვის უდიდესი კომპლიმენტია, თუმცა მგონია, სულ სხვა რამის გამო გიფიქრიათ, რომ თქვენს ნაამბობს სხვას არ მოვუყვებოდა.

— სხვა რამის გამო? რის გამო?


— მე მამაკაცი ვარ. კაცს კი არ უხდება, როცა ქალების საიდუმლოს სააშკარაოზე გამოიტანს.

— ბევრი ჭორიკანა მამაკაცი შემხვედრია, სამწუხაროდ.

— ესე იგი, მაინც მარინას უნდა ვუმაღლოდე, რომ ჩემზე ასეთი წარმოდგენა არ გაქვთ?

— ეჭვიც არ შეგეპაროთ ამაში... არასდროს, — მტკიცედ წარმოთქვა სალიმ, ღრმად ამოიოხრა და ფიქრებით თავის მტკივნეულ წარსულს გადასწვდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მარი ჯაფარიძე

ანამ მთელი ღამე იარა და გამთენიისას, როგორც იქნა, ბათუმში ჩააღწია. ქალაქი მოიარა და იმ სასტუმროსთან გაჩერდა, რომელიც გარედან მოეწონა. ნომერი აიღო, ბარგი დააბინავა და ცოტა ხნით მიწვა. დადლილს მაშინვე ჩაეძინა. თვალები რომ გაახილა, ძლივს გაიხსენა, სად იმყოფებოდა. „რა ჯანდაბამ წამომიყვანა წუხელ?! — გაიფიქრა და მოზილურს დახედა. არც ერთი ზარი არ იყო შემოსული. — ჯერ სძინავთ. მთელი დღე რომ არ გამოეჩნდები, მერე ატყდება განგაში. თუმცა არც არავის გაუკვირდება... არა, ირაკლი გაგიფდება. ის არ არის მიჩვეული ჩემს ასეთ გამობდომებს“. სასწრაფოდ წამოდგა, საცურაო კოსტიუმი ჩაიცვა, ზემოდან — თხელი სარაფანი, სასტუმროს რესტორანში ყავა დალია და პლაჟზე გავიდა.

სასტუმრო ისეთ ადგილას იყო აშენებული, რომ მისი უკანა მხარე პირდაპირ პლაჟზე გადიოდა და ზღვას პატარა ხიდით უერთდებოდა... ხიდზე ცოტა ხანს გაჩერდა და ზღვას გახედა. დამსვენებლები ახლა იწყებდნენ გარეთ გამოსვლას. თუმცა პლაჟი ხალხით სავსე იყო მაინც. თავისუფალი ადგილი მოძებნა და თავისი ნივთები დააწყო. შემდეგ შეზღონგი მოათრია და წყალში შევიდა.

ანა კარგი მოცურავე იყო. ცოტა შესცივდა, სანამ ცივ წყალს შეეგუა, შემდეგ კი ლაღად გაცურა. კარგა შორს გავიდა. ნაპირს რომ გამოხედა, შეშინდა კიდეც და სასწრაფოდ უკან გამოცურა. შეზღონგში მოთავსდა, ხელები ძირს ჩამოყარა და თვალები დასუჭა. ცოტა ხანში იგრძნო, რომ ვილაცის ჩრდილი წამოადგა თავს. ახედა. მის წინ ახალგაზრდა მამაკაცი იდგა. ანამ ლამის ხმაბლად გადაიხარხარა: კაცს ვარდისფერი ტრუსი ეცვა და ისე „კვლუცად“ გამ-

ოიყურებოდა, კომპლიმენტის თქმაც კი მოგინდებოდა.

— გაგიმარჯოს, — მის სალამს უბასუხა.

— ამ სასტუმროში გაჩერდით, ხომ? — მამაკაცმა ხელი გაიშვირა და მის წინ ჩაცუცქდა.

— დიას.

— მეც.

ანამ თავი შეაბრუნა, რომ აბზარით თავიდან მოეშორებინა და ეგრძნობინებინა, რომ ლაპარაკი დასრულდა.

იმან მეორე მხრიდან მოუარა.

— სალამოს რესტორანში ვიქნები და იმედია, შევხვდებით, — რალაცნაირად, ირონიულად გაიცინა მამაკაცმა და წავიდა.

ანას მოსწყინდა მართო ყოფნა და გადაწყვიტა, ქალაქის დასათვლიერებლად წასულიყო. დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც ბათუმში ნამყოფი არ იყო. თავიდანვე შენიშნა, რომ ქალაქი შეცვლილიყო და უამრავი კარგი რამ გაეკეთებინათ... ჰოდა, რადგან გარუჯვაც მაინცდამაინც არ უყვარდა, ტანისამოსი გამოიცვალა და გადაწყვიტა, იქაური ნაცნობები მოენახულებინა.

გეზი ნატოს სახლისკენ აიღო. მართო სიარულს, მასთან ერთად სეირნობა ერჩივნა.

„გაგიჟდება, რომ დამინახავს. რამდენი წელია, არ მინახავს“, — ფიქრობდა და მომავალი შეხვედრის სცენით წინასწარ ტყებოდა. კარი შუახნის ქალმა გაუღო. როდესაც ნატო იკითხა, ქალს ყბა და ხელები აუკანკალდა, კედელს მიეყრდნო და ცრემლები თავისით ჩამოუგორდა.

— რა ხდება? ცუდი ამბავია? — ანა დერეფანში შევიდა და ქალს ხელი შეამველა.

ლასლასით მიმავალ ქალს უკან გაჰყვა. ის სამზარეულოში შევიდა და სკამზე ჩამოჯდა. ანას ხელით ანიშნა, მის პირდაპირ დამჯდარიყო.

— თქვენ ნატოს დედა ხართ, ხომ? — ძლივს იცნო ნაადრევად დაბერებული და გაჭალარავებული ქალი. — როგორ შეცვლილხართ! ნატო სადაა?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა ქალმა.

— როგორ თუ არ იცით?

— ვ წელია, არ გამოჩენილა. გავიდა, დაიბარა, 1 საათში მოვალ და დღემდე არ ჩანს.

— მერე პოლიციაში არ განაცხადეთ?

— ეჰ, განცხადება რას უშველის?! — ქალი ლოყავზე ჩამოდენილ ცრემლს ხელისგულებით ინმენდა. — ცოტა ხანს ექებეს, მერე კი ხელი ჩაიქნიეს. არადა,

ვიცი, რომ ცოცხალია, ნამდვილად ვიცი. სიზმარში ვხედავ ხშირად და დანამდვილებით ვიცი... ამ ცოტა ხნის წინ ვილაც ქალის გვამი აღმოაჩინეს. მიუხედავად იმისა, რომ მასში ნატო ვერ ამოვიცანი, დამარწმუნეს, რომ ნამდვილად მისი გვამი იყო. საქმე აღძრეს მკვლელობის მუხლით და გამოძიებაც დაიწყეს, მაგრამ ვერაფერი გაიგეს. თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ ნატოს გვამი არ იყო. გვამი კი არა, ჩონჩხი უფრო ითქმის, რადგან მხოლოდ ძვლები იპოვეს. არც ტანისამოსის ნაგლეჯი იყო სადმე და არც სამკაული, რომ ამით მაინც შემძლებოდა ამოცნობა.

— თქვენ რას ფიქრობთ, სად შეიძლება იყოს, თუ, როგორც ამბობთ, ცოცხალია? — ანა გაოგნებული იყო მოსმენილით და უკვე გეგმაც კი ჰქონდა, თუ როგორ უნდა ემოქმედა.

— არ ვიცი, შვილო, — ქალმა ანა ვერც კი იცნო, მაგრამ გული მაინც გადაუშალა. თითქოს მისთვის სულერთი იყო, ვის ელაპარაკებოდა. მისი მიზანი გულის მოხება და სანუხარის ბოლომდე თქმა იყო...

ანა დიდხანს აღარ გაჩერებულა. იქიდან გამოსული პირდაპირ პოლიციის განყოფილებას მიადგა. იქ როცა შეიტყვეს, თუ რა აინტერესებდა, მკვლელობების განყოფილებაზე მიუთითეს.

ახალგაზრდა მამაკაცმა თავაზიანად მიიღო და მისვლის მიზეზიც ჰკითხა. თუმცა ვერანაირი ინფორმაციის მიწოდება ვერ შეძლო, გარდა იმისა, რაც ნატოს დედამ უთხრა.

— კერძო დეტექტივს ავიყვან და იმედია, თუ დახმარება დასჭირდება, უარს არ ეტყვი, — უთხრა ანამ დამშვიდობებისას.

— სიამოვნებით, — უბასუხა პოლიციელმა, მაგრამ სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ ქალი მიხვდა — ეს მხოლოდ ზრდილობის გულისთვის თქვა.

— გპირდებით, თუ საქმეს გახსნის, თქვენ „დაგაბრალებთ“: მე უბრალოდ, სიმართლის დადგენა მსურს, „დაფინის გვირგვინი“ ვის შეხვდება, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

— კარგი, — მამაკაცი გამოცოცხლდა.

ანამ მისი გამოწვევილი მარჯვენა არაფრად ჩააგდო და კარი გამოიხურა. ცოტა ხანს ბულვარში ისეირნა, მერე სასტუმროში დაბრუნდა.

„სადაც წავედი, ყველგან ცუდი ამბავი მხვდება. უკვე მეშინია კიდეც, ძველი ახლობლები მოვიკითხო“.

ნატო გაახსენდა. ისინი ერთად სწავლობდნენ სამედიცინო უნივერსიტეტში. მეგობრობდნენ კიდეც. ერთ დღეს კი ხმა დაირხა, ნატო გააუბატიურეს, სასწავლებლად აღარ დაბრუნდება, საბუთები გაიტანა და ბათუმში დაბრუნდა. მაშინ ანა შინიდან დავითს გაეპარა და ნატოს ჩააკითხა. მაგრამ გოგონას ვერაფერი ათქმევინა. დედა მყავს ავად და



მას უნდა მივხედო, — ასე ხსნიდა უნივერსიტეტიდან წამოსვლის მიზეზს...

„ნეტავ ამ ამბის გაგრძელება ხომ არაა ის, რაც მერე მოხდა?“ — გაიფიქრა და გადაწყვიტა, მეორე დღესვე მოქებნა კერძო გამოძიებელი და, თუ როგორც დედამისი ამბობდა, ნატო ცოცხალი იყო, მის მოქებნაში დახმარებოდა.

გაახსენდა, რომ მთელი დღე მშვიერი იყო და რესტორანში ჩავიდა. ცოტა ხანში, ჭამაში გართულ ანას ის მამაკაცი წამოადგა თავზე, რომელიც პლაჟზე გამოელაპარაკა. თუმცა მაშინვე ვერც კი იცნო.

— აა, მოზრძანდით? — ისევ ისეთი ირონიული ღიმილი ჰქონდა აკრული სახეზე.

— თქვენ ვინ ხართ? — ანამ განგებ გაითამაშა — ვითომ ვერ იცნო.

— დილით პლაჟზე რომ შევხვდით, — მამაკაცი ჩაცმული უფრო დიდი ჩანდა, უფრო ძლიერი და დაკუნთულიც; შიშველს ასეთი ეფექტი არ მოუხდენია.

— აა, ჩაცმული ვეღარ გიცნობ, უკაცრავად, — სახეზე სინანული გამოეხატა, — იმ ვარდისფერი ტრუსით რომ მოსულიყავით, აუცილებლად, დანახვისთანავე გიცნობდით, რადგან არა მგონია, კიდეც ვინმეს ეცვას ვარდისფერი ტრუსი, თქვენ გარდა, — დამცინავი იყო, რადგან მისი ღიმილი აღიზიანებდა და ახლა მამაკაცის დამცირებას ცდილობდა, რომ ეგრძნობინებინა, მასთან საერთო არაფერი ექნებოდა.

— თქვენ ანა ხართ, ხომ? უცნაური გვარი კი გაქვთ — კალდერონი. სადაური გვარია, თუ საიდუმლო არ არის?

— ესპანური. კეთილშობილი გვარია, — ანამ გოაცების დამალვა მოახერხა.

— ჰოო... ეს გვარი როგორ მითვისეთ?

— ნუთუ ამის დადგენა გაგიჭირდათ?! მანქანის ნომრით ვინაობის დადგენა რთული არაა. სამაგიეროდ, გვარი ვისგან მივითვისე, ეგ მართლა ძნელია, გაიგოთ.

— სამაგიეროდ, ის ზუსტად ვიცი, რომ თქვენი მანქანის უცნაური ნომერი შურისმაძიებელ ქალს ნიშნავს, ლათინურიდან თუ ვთარგმნით, — მამაკაცმა თვალეში მოჭუტა. თითქოს ანას გაოცება ჰქონდა მიზნად დასასული და თავისი ნათქვამი თითოეული წინადადების შემდეგ ისეთ ხანგრძლივ პაუზას აკეთებდა, ნამდვილად, აბლოდისმენტებს ელოდა.

— ეს კი უკვე ინტერნეტის „დამსახურება“ და იმ ლეპტოპის, რომელიც ნომერში დატოვეთ, — ანა უფრო ახერხებდა მის გაოცებას.

— საიდან იცით?

— „ფლეშკა“ „გიჩანთ“, — ანამ ხმამალა გადაიხარხარა და მა-

მაკაცს მაგიდაზე დადებულ, მანქანის გასაღებზე მიუთითა, რომელზეც „ფლეშკა“ იყო მიბმული.

— ანა, თუ საიდუმლო არ არის, ვისზე აპირებთ შურისძიებას?

— ზედმეტად ცნობისმოყვარე ხართ.

— ჩემი მოვალეობაა, ცნობისმოყვარე ვიყო.

— აგენტი 007 ხართ? — ანა თან გემრიელად ილუკებოდა. მამაკაცის დაპატივება კი აზრადაც არ მოსვლია, ვიდრე მიმტანმა არ შეახსენა, მეორე თვეში ხომ არ მოვიტანო?

— დამენვევით, ახალგაზრდავ? — ყასიდად შესთავაზა ქალმა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მამაკაცი უარს ეტყოდა.

— დიხს, სიამოვნებით, — მინვევა მიიღო, — 007 არა, ვინაიდან აგენტის ნომერში ორი ნული იმას ნიშნავს, რომ მას მოკვლის უფლება აქვს, მე კი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს არ შემიძლია.

— მოკლედ, ასე... აგენტი ხართ, მაგრამ მოკვლის უფლება არა გაქვთ. სწორად გავიგე?

— მთლად სწორად — არა, მაგრამ არა უშავს, მაგაზე დროს ნუ დაეხარჯავთ.

— „დროის დახარჯვა“ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, უადგილო ტერმინია. დროს მაშინ ხარჯავ, როცა მას იყენებ და რაიმე სასარგებლო საქმეს აკეთებ. ახლა მეც და თქვენც დროს ვკარგავთ. ეს სხვადასხვა რამ გახლავთ.

— ფილოსოფოსობაც გყვარებიათ...

— შეიძლება, რაღაც გკითხოთ? — ანას თვალეში ისეთი ეშმაკუნები ჩაუსახლდნენ, აშკარა იყო, რაღაც ჩაიფიქრა.

— გისმენთ.

— მაინტერესებს, ვარდისფერ ტრუსს რატომ ანიჭებთ უპირატესობას?

— ანა, მე ის უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია, თუ რისთვის ხართ აქ ჩამოსული.

— ღმერთო ჩემო, რა უაზრო კითხვა! რისთვის შეიძლება ადამიანი ბათუმში ჩამოვიდეს? დასასვენებლად, რა თქმა უნდა.

— პასუხი არც ისე დამაჯერებელია, — ანას ამ მამაკაცის საქციელი უკვე ნერვებს უშლიდა, — მშვენიერი გარეგნობის ქალბატონი, ძვირად ღირებული მანქანით და მასზე მიმაგრებული უცნ-

აური ნომრით, სრულიად მარტო ჩამოდის „სიყვარულის ქალაქში“ და ამაში საეჭვო არაფერია?

— კი, როგორ არა. მე უცხოეთის აგენტი ვარ და ახლად გაკეთებული ბულვარის აზომვა მაქვს დავალებული, — ჩურჩულზე გადავიდა ანა, — იცი, რა? ეეჭვებათ, რომ ბულვარის სიგრძე მთელი 20 სანტიმეტრით მოკლეა, ვიდრე სტანდარტითაა გათვალისწინებული.

— ხუმრობის გუნებაზე ხართ? — მოიღუშა მამაკაცი.

— აბა, როგორ გუნებაზე შეიძლება ვიყო?.. თქვენნაირი ხუმარას გვერდით ადამიანი არ მოიწყენს, — ანა უცებ დასერიოზულდა, — და დიდხანს აპირებთ ოსუნჯობას? თუ გამეცლებით და მშვიდად ვახშობის საშუალებას მომცემთ?

მამაკაცი წამოდგა და დაუმშვიდობებლად გაეცალა.

ანას მხოლოდ ამის შემდეგ გაახსენდა მობილური, რომელიც დილის აქეთ ნომერში ჰქონდა დატოვებული და ვინ იცის, იმდენი ზარი იყო შემოსული, რომ გადასურდებოდა კიდევ...

მართლაც, მისთვის ყველას დაურეკავს — მობილურზე 114 უპასუხო ზარი იყო შემოსული.

ჯერ შინ დარეკა და ნინო და ციცო დაამშვიდა, საქმეზე ვარ ქალაქიდან გასული და რამდენიმე დღეში დაგბრუნდებიო.

შემდეგ, ის იყო, ირაკლის ნომერი აკრიბა, რომ მან თავად დარეკა.

— სად ხარ, ადამიანო, სად? სულ შენს ძებნაში უნდა ვიყო?! პატარა ბავშვივით ხარ, ანა, ჯიუტი და თავნება. რა საქმე გქონდა ისეთი, რომ ტელეფონს არ იღებდი და დღის განმავლობაში 2 ნუთი ვერ გამოქებნე, რომ თავად დაგერეკა?! უზომოდ გაბრაზებული ვარ და არ ვიცი, ამას როგორ გამოისყიდი. ახლა სად ხარ?

— დაასრულე ლანძღვა? — სიცილით უპასუხა ანამ.

— ჰო, — „გაბუტული“ ხმა ჰქონდა ირაკლის.

— ტელეფონი დილით სასტუმროში დამრჩა და ახალა შემოვედი, მთელი დღე გასული ვიყავი, — თან, გაბრაზება ახლა ნახეო, გაიფიქრა.

— რომელ სასტუმროში?! ეს რა, სიურპრიზია?! სად ხარ, ადამიანო, სასტუმროში რა გინდა?! სახლი არ გაქვს?

— ისე, კარგი იდეაა, აუცილებლად ვიყიდი ბათუმში სახლს და სასტუმროში ლამის გათენება აღარ დამჭირდება. დღესვე მოვაგვარებ მაგ საქმეს.

— ბათუმში რა გინდა?! გუშინ საღამოს მე მიგაცინე სახლში... საღამოს კი არა, შუალამე იყო ლამის და ასე უცებ მანდ როგორ გაჩნდი?!





— საქმე მქონდა.
 — ანა! — სასონარკვეთილმა ჩასძახა ტელეფონს ირაკლიმ.
 — ირაკლი, მართლა საქმე მაქვს. ნუხელ წამოვედი. დილით აქ ვიყავი უკვე. — გუშინ არ იცოდი, საქმე რომ გქონდა?
 — არა.
 — რა საქმე გაქვს?
 — უნდა დავისვენო რამდენიმე დღე.
 — ჰო, გადაუდებელი საქმე გქონია მართლა... გადამრევეს ეს გოგო!.. — ჩაილაპარაკა. — კარგი, დროებით. ტელეფონი არ გამოერთო, კიდევ დაგირეკავ.
 ანას სახეზე კმაყოფილი ღიმილი გადაეფინა. თავისი ასეთი უცნაური ქცევებით ხალხს შოკში აგდებდა. ეს იცოდა, მაგრამ განგებ როდი იქცეოდა ასე. დაგეგმილი ცხოვრება არ მოსწონდა და ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც იმ წუთში სურდა. ზოგს ეს თავნებობად მიაჩნდა, ზოგს სიჯიუტედ, ზოგი ამას სვანურ ხასიათს აბრალებდა, მაგრამ ანასთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ თავს კარგად გრძნობდა...
 მოგვიანებით ისევ სასიეროდ გავიდა. სასტუმროს ჰოლიდან თვალი ჰკიდა კარიდან გასულ, „ვარდისფერტრუსიან მამაკაცს“. მართალია, ამჯერად ტრუსით არ იყო, მაგრამ ვინაიდან მისი სახელი არ იცოდა, სწორედ ასე შეარქვა. შეიცადა, რომ იმას არ დაენახა...
 მამაკაცმა სადგომიდან ვერცხლისფერი „აუდი“ გამოიყვანა და გზას გაუყვა.
 ანამ მანქანის ნომერი დაიმახსოვრა და ნუგზართან დარეკა.
 — ანა, მთელი დღეა, გირეკავ, გეძებ, სად ხარ? — შემფოთებული ხმით იკითხა გამომძიებელმა.
 — ბათუმში ვარ, ნუგზარ, და მჭირდება. თუ ფირმაში გადაუდებელი საქმე არ გაქვს, იქნებ ჩამოხვიდე?
 — როდის?
 — ხვალ დილით ადრე რომ წამოხვიდე, შუადღისას აქ იქნები. ახლა მითხარი, შენ რატომ მეძებდი?
 — ჰო, ანა, ბელას ბებია ცუდადაა. ექიმმა თქვა, 2 კვირზე მეტხანს ვერ გაატანსო და მიწოდება, ეს მეთქვა.
 — მისგან შვილად აყვანის ნებართვა გაქვს?
 — კი, ეგ დანერა და ნოტარიულადაც გავაფორმეთ. 2 მონმეც გყავს, ყოველი შემთხვევისთვის, — პალატის ექიმმა და განყოფილების გამგე დავასწარი.
 — კარგი. მითხარი, რას იზამ?
 — ხვალ დილით წამოვალ. დაგირეკავ გამოსვლისას, ვიცი, მაინც ადრე ილვიძებ.
 — გელოდები, ნუგზარ, მაგრამ ვიდრე წამოხვალ, ერთი რამ უნდა გამირეკო, — ანამ „ვარდისფერტრუსიანის“ მანქანის ნომერი ჩააწერინა და სთხოვა, გაეგო, ვინ იყო ეს კაცი, და

რაც შეიძლებოდა მეტი ინფორმაცია მოეგროვებინა მასზე...
 — ვაა, ანა? — მაკა და მისი ქმარი წინ გადაუდგნენ. მაკა დაქალს ეცა და გადააკოცა.
 ანასაც გაუხარდა მათი დანახვა.
 — მარტო ხარ? — მაკამ იქაურობა თვალთ დაზვერა.
 — ჰო, მარტო ვარ. 3-4 დღით ჩამოვედი. გამიხარდა, აქ რომ შეგხვდით.
 — ჩვენ დისკოთეკაზე მივდივართ, წამოხვალ? — მაკა ადგილს ვერ პოულობდა და 16 წლის გოგოსავით ცქმუტავდა.
 — თქვე ბებრებო, რაღა დროს თქვენი დისკოთეკაა?! — სიცილი ვერ შეიკავა ქალმა.
 ...მაკამ მაინც დაიყოლია და გვიანობამდე დარჩნენ საცეკვაო მოედანზე. მერე მეორე დღისთვის შეხვედრა დათქვეს და ერთმანეთს დაემშვიდობნენ.
 ანა ისე დაიღალა ამდენი ხტუნვით, რომ არაფრის თავი აღარ ჰქონდა. შხაბი მიიღო და, სანოლზე მიწვა თუ არა, მაშინვე ჩაეძინა.
 კარზე კაკუნმა გამოაღვიძა. მზე უკვე კარგად ამოწვერილიყო. საათს დახედა — დილის 7 იყო. გაუკვირდა: ვინ უნდა ყოფილიყო ასე ადრე?.. მერე იფიქრა, ნუგზარი იქნებოდა, მაგრამ ისიც გაახსენდა, რომ მისთვის არ უთქვამს, სად გაჩერდა. ისიც კი გაიფიქრა, მომესმავ, მაგრამ კაკუნს გამეორდა.
 ხალათი შემოიცვია და კარი გააღო. ზღურბლზე, ყურებამდე გაღიმებული ირაკლი იდგა.
 — გეგონა, ვერ მოგაგნებდი?! — მიპატიჟებას არც კი დალოდებია, ისე შეაბიჯა ოთახში.
 — როგორ გაიგე, სად ვიყავი?
 — ეს იოლია... — მამაკაცმა წელზე ხელი მოხვია ანას, მიხუტა და მის სურნელოვან თმაში ჩამალა ცხვირი. — ვიცოდი, კარგ სასტუმროს აირჩევდი. ასეთი კი ბათუმში რამდენიმეა... ეზოში შენი მანქანის ცნობას რაღა უნდა?! ჰოდა, მოგაგენი, — ჩურჩულზე გადავიდა.
 — არ გელოდი, — ჩახლჩილი ხმით უთხრა ანამ.
 — არ გაგიხარდა? — ისევ ჩასჩურჩულა მამაკაცმა და უფრო მჭიდროდ მიიკრა გულზე. მერე მისი ტუჩები მოძებნა...
 ანა მამაკაცის ნებას დაჰყვა. გაირინდა და მოწყურებულივით დაწნაფა საყვარელი მამაკაცის ბაგე.
 ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ირაკლი ქალს ხელს არ უშვებდა. საშუალებას არ აძლევდა, ტელეფონისთვის ეპასუხა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ანა მობილურს დასწვდა.
 — სად მოვიდე? — ნუგზარი იყო.
 — უკვე ბათუმში ხარ? — ანა ცდილობდა, მოეშორებინა მის ზურგზე აკრული ირაკლი, რომელიც იხუტებდა და ხარბად უკოცნიდა კისერსა და მხრებს.

— ჰო, ბათუმში ვარ.
 — გავიგებ, ჩემს სასტუმროში თუ თავისუფალი ნომერი, აგიღებ და აქ მოდი, — ქალმა სასტუმროს მისამართი უკარნახა.
 ირაკლიმ უეცრად შეუშვა ხელი და უკმაყოფილო სახე მიიღო.
 ფანჯარასთან მივიდა, ჯერ გარეთ გაიხედა, მერე რაფას ზურგით მიეყრდნო და ანას გახედა.
 — ეგ ვინლა?
 — ნუგზარია, გამომძიებელი.
 — უმაგისოდ არსად დადიხარ?
 — რატომ მიბრაზდები? იმედია, მასზე არ ეჭვიანობ.
 — არა, მაგრამ მეგონა, ახლა მაინც არავინ შემიშლიდა ხელს... მთელი გზა იმაზე ვფიქრობდი, ოთახში შემოვიდოდი თუ არა, მაშინვე კარს გადაკვეთავდი და აღერსით დაგხარჩობდი... აღმოჩნდა — სულ ტყუილად. ეს ნუგზარი ფეხდაფეხ მომყვა და ახლა 10 წუთში აქ იქნება. გაგონილა?! — ირაკლიმ ისე საყვარლად გაშალა ხელები, რომ ანამ თავი ვერ შეიკავა და ჩაკოცნა.
 — ნუ ბუზღუნებ, სად გაგეცევი?! — ქოჩორი მოუჩიქა.
 ტანისამოსი გამოიცვალა და ქვევით ჩავიდა. ნუგზარი სწორედ ისეთ დროს შევიდა ფოიეში, როცა ანა პორტიეს გასაღებს ართმევდა.
 ერთად აუყვანენ კიბეს. ანამ ნომრამდე მიაცილა და შეჰყვა კიდევ.
 — რა ქენი? გამიგე, რაც გთხოვე? — ვერ მოითმინა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.
 — კი. ეგ მანქანა ყურნალისტს, ვანიკო თუთბერიძეს ეკუთვნის. აი, მისი პასპორტის ასლიც.
 ანას მისი ფოტოსურათის ქსეროასლი უჩვენა.
 — ისაა, — ჩაილაპარაკა ანამ.
 — სხვათა შორის, კოლეგები საკმაოდ ხისტი პიროვნებად ახასიათებენ. ცნობილია სკანდალური სტატიებით. ახლა ტელევიზიისა და პრესის შეთავსებას ახერხებს და ორივეგან თავს ისე გრძნობს, როგორ თევზი — წყალში. შენთან რა შეხება აქვს?
 — ამ სასტუმროში ცხოვრობს და გუშინ მოსვენება არ მომცა. თან ჩემზე ინფორმაცია მოუგროვებია. ეს ამბავი არ მომწონს.
 — რა უნდა დაგიშავოს?
 — არაფერი, მაგრამ შესაძლოა, ხელი შემიშალოს... კარგი, ახლა დაგტოვებ და ნახევარ საათში რესტორანში შეგხვდით. ირაკლი ოთახში აღარ დასვდა. ტელეფონზე მესიჯი დაეტოვებინა, ყავის დასალევად ჩავდივარ და ნუგზართან ჭუჭყუს რომ მორჩები, რესტორანში ჩამოდიო. ანა რამდენიმე წუთში ქვევით იყო. ადგილზე გაშემდა: ირაკლის მაგიდასთან „ვარდისფერტრუსიანი მამაკაცი“ იდგა და რაღაცას ელაპარაკებოდა.

გზის გზნიღლები

კახელების იუმორი

„გაზაფხულის პირველი თვის ბოლო დღეს თბილისიდან მშობლიურ კახეთში წავედი. მოგეხსენებათ, „მარშრუტკაში“ უამრავი „პრიკოლი“ ხდება. გზაში თემა განვიხილეთ: პოლიტიკა, შოუ-ბიზნესი და ათასი რამ. მძღოლი რადიოს უსმენდა და ლამის ჩაქოლეს, ე, ბიჭო, გამორთე, ამ გამწარებულ ხალხს რა გვესურამელაშვილებაო (რა სიტყვა მისცა?!)? ღვინო მქონდა გასაყიდად წალბებული და ვერ გავყიდე, ეგ მასწავლის „ბედი ისეთი რამაა“? რუსლანი (მძღოლი) მგზავრების სუნთქვასაც კი აკონტროლებდა, თავში არაფერი ჩამცხონო. გზად მოხუცებული ქალი შემოგვემატა. ადგილი არავინ დაუთმო. ჩემი უსაშველი სიმაღლის პატრონს გამიჭირდა, მაგრამ ფეხზე წამოვდექი და ადგილი დავუთმე. ცხრად მოკაკავულ-მოკეცილი ვოცნებობდი, მალე მივსულიყავით. ჩემმა თანამემამულეებმაც არ დააყოვნეს და დაიწყეს ჩემი „სიგრძე-სიგანის“ „გაზომვა“. — ე რამხელა ხარ, ჯო? მსუქანი ქალი არ შაირთო, გადაგტეხამს, შვილოო. შენ უკვე გადატეხე, ბებო-მეთქი? სად ჰქონდა გადატეხის თავი ჩემს ქმარს, — პასუხმა არ დააყოვნა. მერე ერთი, ლამაზმკერდიანი ქალი, რომლისთვისაც თვალი არ მომიცილებია („მოკუზულობიდან“ გამომდინარე), მეუბნება: ალვის ხეც მაღალია, მაგრამ უნაყოფია. „არ ვარ ქალო, უნაყოფო, დაგიმტკიცო?“ — გავ-



მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, როგორ ბრძანდება „გზის“ მკითხველი? ახლა მეტყვი, კარგადო, მაგრამ ეტყობა გაზაფხულის ბრალია, ასე დაბნეულები რომ ხართ. მე მოგეცით თემა, თქვენ კი სულ სხვა მიმართულებით მომწერეთ მესიჯები. არა, საინტერესო მესიჯები კია, ვერაფერს იტყვი, მარამ თემას რა ვუყოთ? მოკლედ, ახლა მესიჯებს თქვენს სამსჯავროზე გამოვიტან და ნახეთ, შეაფასეთ... და გაითვალისწინეთ, რომ მომდევნო ნომერში აუცილებლად თემის შესაფერისი მესიჯები გამოგზავნოთ. შესავალს აღარ გავაგრძელებ. რა აზრი აქვს? მაინც არ ითვალისწინებთ ჩემს თხოვნას და... ახლა ერთს ვიტყვი... თუ მესიჯი თემაზე არ იქნება, არ გამოქვეყნდება მანამ, სანამ „თავისუფალი თემა“ არ გვექნება. „ვოტ ტაკ“!

რას მბრობას დაუნბრეპია, სიყვარულს უზენებია



იფიქრე, მაგრამ ვერ გავამხილე. აფსუს! უკან მჯდომ ოქრო-ბეზოს (სულ ოქროს კბილები ჰქონდა) ქათამი გაექცა და ვის მიახტებოდა? მე! ბედი არ მაქვს, მამალი იყო. ძლივს მომამორეს. ბოლოს ყველაფერი თბილისში წაყიდი, 5-ლარიანი შამპანურითა და 50-თეთრიანი ხაჭაპურით გაგრძელდა. როცა ჩემი ენერგიული ხმით შევძახე — გააჩერე! და ჩავედი, რადიოში ახალი სიმღერა დაიწყო — „ზოგი ასე უბერავს“. მაგრები ვართ, რა, კახელები. რუისპირი“.

საში იმნაირი უნდა

„დავიბადე და გავიზარდე გურიის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში. გურულები მეგობრული, იუმორითა და სიყვარულით სავსე ხალხია. ეს ამბავი რომ მოხდა, პატარა ვიყავი, მაგრამ უფროსების გადმოცემით ვიცი. ცხოვრობდა ორი უახლოესი მეზობელი და მეგობარი, შაქროია და ლეონიდა. ამ პატარა და ლამაზ სოფელში, ერთ-მანეთის სიყვარულში სული სძვრებოდათ, მაგრამ ხანდახან სწორედ ერთ-მანეთთან გახუმრების გამო კინკლაობდნენ. დილით იჩხუბებდნენ, საღამოს ისევ ერთად იყვნენ. ჰოდა, მორიგი კინკლაობის დროს, შაქროიამ მოხარშა საში და გააფრთხილა მთელი სამო: დილით ადრე, საშუე მოდითო. რა თქმა უნდა, ლეონიდა არ დაპატიჟა. გაუტყდა ლეოს, რა ქნას, არ იცის. დარჩა ხაშის გარეშე და საერთო მეგობრებთან ერთად ამ სიამოვნებას ვერ მიიღებდა. ჰოდა, ამ ლეონიდამაც გააფრთხილა ბიჭები: — მაგი თუ დილის რვა საათზე გეპატიჟებთ საშუე, ჩემთან ექვსზე მოდითო. თან დაამატა — რა იცის მაგან ხაშის გაკეთება, საში იმნაირი უნდა, მე რომ ვიციო. მთელი ღამე ხარშა შაქროიამ საში, ბუხარში დაკიდებულ ჩახანაში. როცა კარგად მოიხარშა, გულდამშვიდებულ ნავიდა დასაძინებლად. სწორედ ამ მომენტს ელოდა ლეონიდა. შეიპარა „ქუნხაში“, სტაცა ხელი ხაშით სავსე ჩახანას და გაარბენინა სახლში. დილით ადრე შაქროია მეზობლის სახლიდან გამოსულმა გურულმა კრიმანჭულმა გამოაღვიძა. — მეიცა პანა, გაჩვენებ მე შენ სეირსო, გაიფიქრა გულში და „ქუნხაში“ გავარდა, ბუხარში ცეცხლის ასანთებად ისე, რომ ჩახანაში არც ჩაუხედავს. აანთო ცეცხლი და ნივრის გაფუქვენას შეუდგა. ცოტა ხანში ოთახში საექვო ბოლი დადგა. შაქროიამ ბუხარისკენ მიიხედა და გაშეშდა — ბოლი ჩახანადან ამოდიოდა. მივარდა, თავსახური ახადა და მტრისას, რაც იქ დაინახა. სადღა იყო ხაში? ხაშის ნაცვლად ძვლები ეყარა და სქელ „კარდონზე“ დაწერილი წერილი უფრო ლექსს წაგავდა — „კარგი იყო, მოგვეწონა, ნახელავი შენი ხაში, აჰა! ჩახანა და ძვლები, შაქროია ირტყი, თავში!“ რაღას იზამდა შაქროია? შეურიგდა

ისევ თავის ძმაცაცს და დილით დასამთავრებელი ქეიფი საღამომდე გაგრძელდა, ლეონიდასთან. მას შემდეგ მათი კინკლაობა არავის გაუგონია. ფიქრია სევდაძე“.

ბრძოლა წესების გარეშე

• ემიგრანტს და ქ-ნ ნანის დაგვიანებული ჩემგან, თქვენ მოკითხვა. გწყალობდეთ უფალი სიკეთის მომკითხავთ. გულში გისუტებთ და მიზეზი ცხადია, რატომო? ნუ მკითხავთ... მეგე.

• თამუნა, ახლა უფრო ვგრძნობ, როგორ მყვარებიხარ. ძალიან მიჭირს, მიჭირს ყოველი წუთის გახსენება, რომელიც შენთან გამიტარებია. არასოდეს დამავინწყდები. დამირეკე. ბეჭა.

• დღეს პირველი აპრილია და უკვე ყველამ მომატყუა. მამიდაშვილმა მთელი საავადმყოფოები შემომატარა. რა ცუდი ხარ?! სამაგიერო გადამიხადა. ერთხელ კაფეში ვიყავით და რომ გავიდა, ყავაში 4 კოვზი შაქარი, ცოტა არაყი და მარილი ჩაუყარე. არომატულია, მაგრამ ტკბილიაო და ბოლომდე არ დალია. ეგ ვუთხარი ახლა და... ედელვასისი.



გილოცავ!

• თამუნია, სიხარულო, 1-ელ აპრილს ვაუკაცის დაბადებასა და გაზაფხულის შემობრძანებას ერთად გილოცავ. სულ მუდამ გაზაფხულივით ლამაზი ყოფილიყავ, მთელი ცხოვრება. ელისო სოფრომაძე.

• ლორე, გილოცავ ვაუკაცის დაბადებას. გაგეზარდოს. გამდლობ ქალბატონო თამარ, გულთბილი სიტყვებისთვის. ვერძო, კარგი ადამიანი ჩანხარ, უცნობო ნაცნობო. :) გრუზინკა.

• მარის, მგზავნილებსა და ჟურნალ „გზის“ კოლექტივს ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ასევე ხარებას! უფალი გფარავდეთ! სოფი19.

• 8 აპრილს დაბადების დღეს ვულოცავთ ვეფხია მიგრიაულს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, გაბედნიერებასა და ღვთის წყალობას. სიყვარულით, ოჯახის წევრები.

• ჩემს მონატრებულ და უსაყვარლეს

შვილიშვილს, საბა მეტრეველს ვულოცავ დაბადების დღეს, 13 აპრილს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. გილოცავ ჩემო კარგო აღდგომის დღესასწაულს. ღმერთი გფარავდეს. მინდა იცოდე, რომ ვამაყობ შენით. გთხოვ, მაგრად იყავი, გაუფრთხილდი შენს თავს. ყველაფერი მოგვარდება. ელენე.

• ქრისტე აღსდგა! გილოცავთ ქრისტეს სასწაულებრივად აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ამ დიდი დღის სიძლიერე და მაღლი გფარავდეთ, თითოეულ თქვენგანს და სრულად საქართველოს! რწმენით, სიყვარულით, სიკეთითა და მშვიდობით გვეცხოვროს, ჩემო კარგებო. არაჩვეულებრივი განწყობილება მაქვს, ისევე, როგორც ყველას. გაკოცეთ. ვერძი.

• ღვთისა და აღდგომის წმინდა დღესასწაულის მაღლი გადმოსულიყოს

„გზის“ თანამშრომლებზე, მგზავნილებზე და ყველა მკითხველზე, ვისაც უყვარს „გზა“. მტკვარინ4.

• ცისარტყელა აკისკისდა, მიეზღინა მზესო, თოლიები ზღვის ნაპირზე ჩუმას კრავენ წრესო, გეფერები და გილოცავ დაბადების დღესო. თეო, მიყვარხარ. გაკოცე! გურამი.

• ჩემს უსაყვარლეს და უძვირფასეს მეგობარს, ზაირა დორეულს ვულოცავ სიყვარულის დღეს. სულ სიყვარულში და სიხარულში გაგველოს მთელი ცხოვრება. სიტყვები არ მყოფნის გამოვხატო, თუ როგორ მიყვარხარ. გკოცნი და მენატრები. თინიკო.

• ჩემს მძახალს, დალი კოჭლამაზაშვილს ვულოცავ 60 წლის იუბილეს, გისურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, უამრავი ლამაზი და ბედნიერი დღე გაატენებოდეს. მზია.

გონიერი მკითხველი

ფოტო, რომელსაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ბალუფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩამაული ვარსია ჯი ასეთია:

„ქვირფასო, შენს თავს გაფიცავი, შენი მილიონების გამო თუ მოგყვებოდა სოლად“



ტაიმ-აუზი

ოლიმპიური თამაშები

1896 წელს მსოფლიო სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით, პირველი ოლიმპიური თამაშები პარიზში, 1900 წელს უნდა გამართოთ, მაგრამ ვერ მოითმინეს და 1896 წელს, ათენში ჩაატარეს.

ზამთრის პირველი შეჯიბრება ლონდონში, 1908 წელს ჩატარდა, მაგრამ მას ოლიმპიადის სტატუსი არ ჰქონდა — ეს სტატუსი 1924 წელს მიენიჭა, როცა ოლიმპიური თამაშები საფრანგეთის ქალაქ შამონში ჩატარდა.

სპორტკომიტეტის წესის თანახმად, ოლიმპიური თამაშები საკურორტო ქალაქში უნდა ჩატარდეს. ამ მხრივ, მხოლოდ ოსლო იყო გამონაკლისი, სადაც 1952 წელს ზამთრის ოლიმპიადა გაიმართა.

1936 წელს გერმანიაში ჩატარებულ ოლიმპიადაზე ცეცხლი ადოლფ

ჰიტლერმა აანთო.

1972 წელს მე-11 ოლიმპიური თამაში პირველად აზიაში — იაპონიის ქალაქ საპოროში ჩატარდა.

1976 წელს ოლიმპიადა აშშ-ში, დენვერში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ორგანიზატორებს ფინანსური პრობლემები შეექმნათ და თამაშები ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში გამართეს. პირველად სწორედ აქ გაჩნდა ოლიმპიური სიმბოლო — თოვლის კაცი სახელად ტიროლინი.

1980 წელს ლეიკ-პლეისიდში (აშშ), ზამთრის ოლიმპიადაზე პირველად გამოიყენეს ხელოვნური თოვლი.

ვანკუვერის 2010 წლის თამაშები ყველაზე ხანგრძლივი ზამთრის



ოლიმპიური თამაშები იყო — იგი 106 დღე გრძელდებოდა, 200 დასახლებულ პუნქტში იმართებოდა და მასში 12 ათასი სპორტსმენი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ვანკუვერის ოლიმპიადა საქართველოსთვის ტრაგედიით დასრულდა.



აკრძალული საქონელი

• ირანში აკრძალულია ბანქოს, აგრეთვე, ისეთი ყურნალებისა და ფოტოების ჩატანა, რომლებიც ქვეყნის რელიგიასა და მორალს შეურაცხყოფს.

• ეთიოპიაში წამსვლელებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ 6 ცალზე მეტი ჰიგიენური ნივთის წაღება არ შეიძლება. და კიდევ, იქ ბინოკლი იარაღად აღიქმება.

• ახალი ზელანდიიდან ვერ ჩამოიტანთ კივის და მისგან დამზადებულ ღვინოს (ვერც ყურძნისას). აგრეთვე, მატყლსა და მწვანე ფერის ნივთებს.

• ჰონკონგში შეგიძლიათ წაიღოთ თითო საათი, ფოტოპარატი, სანთებელა, უთო, თმის ფენი, ბინოკლი, ორი სანერი კალ-

ამი. სათამაშოებს არ შეგატანინებენ, თუ ბავშვთან ერთად არ მოგზაურობთ, ხოლო ანტიბიოტიკების წაღებისას სპეციალური ნებართვა უნდა გქონდეთ.

• ავსტრალიის ტერიტორიაზე თავლს, რძესა და კვერცხს არ შეგატანინებენ, იქიდან კი ვერ წამოიღებთ მარკებს, მონეტებსა და მინერალებს.

• ჯარიმის გადახდა მოგიწევთ, თუ მალიიზიაში ჩასვლისას ჩანთაში აღმოგაჩნდება: ტელეფონი, უთო, თმის ფენი, ორცხობილა, შოკოლადი, კალენდარი და გოლფის ბურთები.





ზოგი რამ ისტორიიდან

ბანოლოგიური რეკონსტრუქციის ფასი

რამდენიმე წლის წინ გერმანიის სავაჭრო მარკებისა და საპატენტო უწყებამ საფეხბურთო გამოგონებათა ჩამონათვალი შექმნა. ეს გახლავთ ტექნიკის ისტორიის უნიკალური მაგალითი და ამავე დროს, საინტერესო საკითხავი მასალა. საფეხბურთო ისტორიიდან საინტერესო ფაქტების გამოკვლევების შესაძლებლობა ორგანიზაციას საპატენტო აღწერის საფუძველზე მიეცა.

თავაზი

ბოლოს და ბოლოს, ვინ გამოიგონა მსოფლიოში ყველაზე პოპულარული და მასობრივი თამაში — ფეხბურთი? რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე ზემოთ ხსენებული საპატენტო უწყება პასუხს ვერ გაცემთ, მით უმეტეს, რომ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება: ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად, ბურთით თამაშს ერთ დროს საკულტო დანიშნულება ჰქონია. თანამედროვე მკვლევრები ფეხბურთის „ნიშნად“ ჩინურ თამაშს — „ცუ კიუს“ მიიჩნევენ, რომელიც პირველად ჩვ.წ.აღ-მდე 2697 წელსაა მოხსენიებული. „ცუ კიუს“ „ბუმბულითა და თმით სავსე ტყავის ბურთზე ფეხის კვრას“ ნიშნავს.

დღესაც ხშირად ნახავთ იაპონელებს, რომლებიც „კემარის“ თამაშით ერთობიან. ეს გახლავთ თამაში, რომელიც „ცუ კიუს“ საფუძველზეა შექმნილი. ჩვ.წ.აღ-მდე 50 წელს „კემარისა“ და „ცუ კიუს“ მოთამაშეთა შორის ასპარეზობა გამართულა — ალბათ, პირველ საერთაშორისო საფეხბურთო პირველობადაც ეს ისტორიული მატჩი უნდა მივიჩნიოთ.

ძველ მობურთავეთა უმთავრეს მიზანს საბრძოლო წრთობა წარმოადგენდა. რომაელებმა ლეგიონერებისთვის ამ თამაშის ადაპტირება მოახდინეს და მას „გარპასტუმი“ დაარქვეს. დაპყრობითი ომების წარმოებისას, თამაში, რომელიც რაგბის უფრო ჰგავდა, ზოგიერთ ბრიტანულ კუნძულზე, გერმანიაში გავრცელდა და მას ფეხბურთის ადგილობრივი ვარიანტების ჩანასახად მიიჩნევენ.

ბურთი

როგორც 1519 წელს, ერთ-ერთ ინგლისურ სახელმძღვანელოშია მოხსენიებული,



ბრიტანეთის კუნძულებზე ჰაერით გაბერილი ბურთები ყოფილა გავრცელებული. 1592 წელს, უილიამ შექსპირმა „შეცდომათა კომედიაში“ საფეხბურთო ბურთის დამზადების მეთოდი აღწერა. ყოველ შემთხვევაში, მისი პიესის ერთ-ერთი გმირი აცხადებს, რომ თუ ფეხბურთის ბურთივით გაპანდურებას მოუწოდებენ, ის ტყავით მაინც უნდა შემოსონ.

ბერძნები ღორის ბუშტს ირმის ტყავით ტენიდნენ — ეს კონსტრუქცია საფეხბურთო ბურთის პირველ ფორმად მიიჩნევა, რომელსაც ორი გარსი ჰქონდა.

1886 წელს რეზინის ბურთი გამოიგონეს, ხოლო სარკველი და სატუმბი 1886 და 1887 წლებში, დიდ ბრიტანეთში დააპატენტეს. დღეისათვის კარგად ნაცნობი შავ-თეთრი ბურთი, რომლის გარსიც ხუთი და ექვსკუთხედებისაგან შედგება, გერმანელებმა 1970 წელს შექმნეს.

ფეხბურთის ბურთის შემდგომი დახვეწა ამერიკელთა 2 გამოგონებაზე დაამოკიდებული: ბურთი, რომელიც შიგნით დამონტაჟებული სატუმბით თავისთავად იბერება და ბურთი — მრავალფენიანი გარსით. 2003 წელს გერმანელებმა შექმნეს ე.წ. „ჭკვიანი ბურთი“, რომელშიც მისი მდგომარეობის განსასაზღვრავად, მრიცხველია ჩაყენებული.

სასტვენო

სასტვენო ბრიტანელმა იოზეფ ჰადსონმა, 1885 წელს დააპატენტა. თავდაპირველად, სასტვენებს პოლიციელთათვის უშვებდნენ, მაგრამ 1878 წელს იგი ნოტინგემის „ფორესტის“ საფეხბურთო მატჩის მსვლელობისას გამოიყენეს. მალე თითბრის სასტვენები უფრო ხმაალაღი სასიგნალო სასტვენით შეცვალეს, რომელიც ასევე, ჰადსონმა გამოიგონა.



ბარათები

ბარათები 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მას შემდეგ შემოიღეს, რაც 1966 წლის მუნდიალზე, არგენტინისა და ინგლისის ნაკრებთა შეხვედრისას დიდი აურზაური მოხდა. დღეს ბარათებს რეფლექტორულ ფერებად მანა-



ტობელი პლასტიმასისგან ამზადებენ. საგულისხმოა, რომ საპატენტო უწყების მონაცემებით, საფეხბურთო ბარათი ამ ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტებში მოხსენიებული არ არის.

ბარი

რთული სათქმელია, ვინ გამოიგონა საფეხბურთო კარი. თანამედროვე ფეხბურთის ჩასახვის პერიოდში, კარის გამოგონებაზე პატენტი არ გაცემულა. 1988 წელს ესპანელებმა გამოი-



გონეს კარი, რომლის ძელებშიც კამერებია ჩამონტაჟებული, ხოლო 2003 წელს გერმანიაში გაიცა პატენტი კარის შექმნაზე, რომელიც გოლის ყოველი გასვლისას ანათებს.

საფეხბურთო ფეხსაცმელი

XIX საუკუნის მიწურულს ორ ისეთ გუნდს ვერ ნახავდით, რომელთა ფეხბურთელებიც ერთნაირი სპორტული ფეხსაცმლით თამაშობდნენ. მაშინ ერთადერთი მოთხოვნა ის გახ-



ლდათ, რომ ფეხსაცმელს ისეთი არაფერი ჰქონოდა, რაც მეტოქის ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნიდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ფეხბურთის ფაქტობრივად, ინგლისის ყველა სახელმწიფო სკოლაში თამაშობდნენ. სამოყვარულო გუნდებისაგან განსხვავებით, სკოლის მოსწავლეებისათვის სპეციალურად ამზადებდნენ „ექვსშიპინ“, გამძლე, კოჭებამდე ფეხსაცმელს.

ფეხბურთელისათვის საჭირო წონის ფეხსაცმლის შექმნა მხოლოდ ახალი ტექნოლოგიის განვითარების შედეგად გახდა შესაძლებელი. სიახლედ მიიჩნევა ბუცის ზედა ნაწილის სპეციალური დამუშავება, რაც სველი ბურთის ასხლეტის ხარისხს ამცირებს — ეს გამოგონება 1991 წელს დააპატენტა.

აღსანიშნავია, რომ 1968 წლიდან, ბუცების დასამზადებლად გერმანელები ზოხსახეობის თევზის კანს იყენებენ.



FIFA World Cup 2010

სულ მალე გაიმართება ლონისძიება, რომელიც მთელი ცივილიზებული სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცევა და თავისი მასშტაბურობითა და მნიშვნელობით ბევრ სხვა მოვლენას დაჩრდილავს. 11 ივნისს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სტარტს აიღებს მსოფლიოს რიგით მე-19 ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელიც 11 ივლისს დასრულდება. სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით, გადაწყვიტეთ, ჩვენს მკითხველს რეგულარულად მივანოდოთ საინტერესო ინფორმაციები არა მარტო მომავალი ტურნირის, არამედ ზოგადად, იმ ფენომენის შესახებ, რომელსაც პლანეტის საფეხბურთო პირველობა ჰქვია.

იოჰანესბურგიდან იოჰანესბურგამდე

მონადილანი

როგორც ცნობილია, მუნდიალის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად მსოფლიოს 204 ქვეყანა იბრძოდა, რომელთაგან სამხრეთ აფრიკაში გამგზავრების უფლება მხოლოდ 32-მა გუნდმა მოიპოვა.

2009 წლის 4 დეკემბერს, კვიბტაუნში ჩატარებული სპეციალური კენჭისყრის შედეგად, გუნდები ქვეჯგუფებში შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

A ჯგუფი: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, მექსიკა, ურუგვაი, საფრანგეთი.

B ჯგუფი: არგენტინა, ნიგერია, კორეის რესპუბლიკა, საბერძნეთი.

C ჯგუფი: ინგლისი, აშშ, ალჟირი, სლოვენია.

D ჯგუფი: გერმანია, ავსტრალია, სერბეთი, განა.

E ჯგუფი: ჰოლანდია, დანია, იაპონია, კამერუნი.

F ჯგუფი: იტალია, პარაგვაი, ახალი ზელანდია, სლოვაკეთი.

G ჯგუფი: ბრაზილია, ჩრდილოეთ კორეა, კოტ დ'ივუარი, პორტუგალია.

H ჯგუფი: ესპანეთი, შვეიცარია, ჰონდურასი, ჩილე.

როგორც აღვნიშნეთ, მომავალი მუნდიალი 11 ივნისს გაიხსნება. სასტარტო მატჩში, რომელსაც იო-

ჰანესბურგის „სოქერ სითი“ უმასპინძლებს, ერთმანეთს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და მექსიკის ნაკრები გუნდები დაუპირისპირდებიან, ხოლო 11 ივლისს ამავე არენაზე, ფინალური მატჩიც შედგება.

საინტერესო ფაქტები მონადილათა შესახებ

საგულისხმოა, რომ მუნდიალის ფინალურ ეტაპზე პირველად იასპარეზებენ სლოვაკეთი (რომელიც ჩეხეთთან ერთად ყოფილი სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მემკვიდრედ მიიჩნევა) და სერბეთი (ფორმალურად იუგოსლავიის, სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაკრებთა მემკვიდრე). ამავე დროს, მსოფლიოს ჩემპიონატის ისტორიაში პირველად, ორი კორეის — ერთმანეთთან მოქიშპე სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის რესპუბლიკის — გუნდი იასპარეზებს.

სანდალაბი შესარჩევ ბურნირზე

რუსეთი-სლოვენია

რუსებსა და სლოვენელებს შორის გამართული 2 მატჩის საერთო ანგარიში 2:2 იყო, მაგრამ სლოვენიის გუნდი, სტუმრად გატანილი გოლის წყალობით, მუნდიალის ფინალურ ეტაპზე მოხვდა. მარიბორში შემდგარი განმეორებითი პაექრობისას, რუსი ქომაგები მეტისმეტად გაცხარდნენ — მათი აზრით, შეხვედრის არბიტრი, ტერიე ჰაუგე მოსყიდული იყო ან სხვა მოტივით ესმარებოდა სლოვენელებს. თანაც, მატჩის მიმდინარეობისას, სლოვენიის ნაკრების ერთ-ერთმა ქომაგმა რუსთა გოლკიპერ იგორ აკინფევეს რალაც საგანი ესროლა (ჯერაც არ გაურკვევიათ, რა გადაადგომ მან მინდორზე — სანთებელა, დასაკეცი დანა თუ სხვა რამ). ამასთან, რუსეთის ნაკრების გულშემატკივრებმა საეჭვოდ მიიჩნიეს ალექსანდრ კერჟაკოვისა და



იური ჟირკოვის მოედნიდან გაძევებაც. ისინი ფიფას ხელმძღვანელობისგან ამ მატჩის შედეგის გადახედვას ან სულაც, სლოვენიელთათვის დისკვალიფიკაციის მიცემას მოითხოვდნენ. მსოფლიო ფეხბურთის მთავარმა მმართველმა ორგანიზაციამ კი მათი მოთხოვნის სრული იგნორირება მოახდინა და ტურნირის ფინალურ ეტაპზე სლოვენიის გუნდი გავიდა. პაექრობის შემდეგ რუსეთის ნაკრების იმჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა, გუს ჰიდინკმა განაცხადა: „რაც შეეხება კერჟაკოვის გაძევებას, ეს ფაქტი მართლაც, ეჭვს იწვევს. ეს არაერთმნიშვნელოვანი ეპიზოდი იყო — მეკარემ კერჟაკოვის პროვოცირება მოახდინა, მაგრამ ალექსანდრს ამ ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენია. ვინაიდან მსაჯს ეს ეპიზოდი არ დაუნახავს, ასეთი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიეღო“. საგულისხმოა, რომ დაპირისპირების შემდეგ, ფეხბურთის ჰოლანდიელმა სპეციალისტმა სლოვენიელთა თავკაცისთვის — მატიაჟ კეკუსთვის ხელის ჩამორთმევა არ ისურვა.

საფრანგეთი-ირლანდია

ირლანდიელები უკმაყოფილონი დარჩნენ ფრანგებთან ჩატარებული 2 მატჩის შედეგით. საერთო ჯამში, ფრანგებმა 2:1 მოიგეს (პირველ პაექრობაში მათ 1:0 გაიმარჯვეს). ყველაზე დიდი ვნებათაღელვა განმეორებით დაპირისპირებას ახლდა, როდესაც ირლანდიის გუნდმა გოლი გაიტანა, რაც დამატებითი დროის დანიშნავს მოასწავებდა. სწორედ ამის შემდეგ, „მამლაციანების“ მიერ შესრულებული სტანდარტული მდგომარეობიდან თამაშგარეში მყოფი სებასტიან



სკილაჩის მისამართით გაგზავნილი ბურთი ტიერი ანრისთან აღმოჩნდა, „ბარსას“ ფორვარდმა კი



იგი საგოლე პოზიციაზე მყოფ უილიამ გალასს გადასცა, რომელსაც ანგარიშის გათანაბრება არ გასჭირვებია. შეხვედრის შედეგით (1:1) უკმაყოფილო ირლანდიელებმა გადათამაშება ოფიციალურად მოითხოვეს, მაგრამ ფიფამ პროტესტი არ დააკმაყოფილა. ირლანდიელებს უარი უთხრეს ტურნირზე 33-ე გუნდად დაშვებაზეც.

ურუგვაი-არგენტინა

გადამწყვეტ მატჩში დიეგო მარადონას მეტისმეტად ემოციური მწვრთნელობით, სტუმრებმა მინიმალური სხვაობით გაიმარჯვეს. სამხრეთ ამერიკის ზონიდან, არგენტინა პირდაპირ, ფლეიოფის ეტაპის გავლის გარეშე, მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე მოხვდა, ხოლო ურუგვაელები იძულებულნი გახდნენ, გადათამაშებაში კოსტარიკის ნაკრები დაემარცხებინათ. სკანდალი კი მონტევიდეოში, ურუგვაისა და არგენტინას შორის ჩატარებული დაპირისპირების შემდეგ მოხდა. არაორდინარულობით სახელგანთქმულმა დონ დიეგომ, რომელიც მანამდე არგენტინული მასმედიის მკაცრი კრიტიკის ობიექტად ქვეუღიყო, თანამემამულე ჟურნალისტებზე „უცნუზურო იერიში“ მიიტანა. ამის გამო, ფიფამ მარადონას რამდენიმე თვით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა და



მუნდიალი

შედეგად, სკანდალისტი დიეგო მარადონას მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრის საზეიმო ცერემონიასაც ვერ დაესწრო.


მუნდილის ბურთი

სპეციალურად 2010 წლის პირველობისთვის, კომპანია „ადიდასმა“ საფეხბურთო ბურთი — ჟაბულანი შექმნა. ეს სახელწოდება ზულუს ძირძველი ენიდან წარმოდგება, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მოქმედი 11 ოფიციალური ენიდან ერთ-ერთია. საგულისხმოა, რომ ამ ენაზე ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 25% მეტყველებს. „ჟაბულანი“ ზეიმს ნიშნავს, რაც ცხადია, იმის ხაზგასასმელად შეარჩიეს, რომ ფეხბურთი მთელი სამყაროს გამაერთიანებელი, ძლიერი ემოციის წარმომშობი სპორტია. სწორედ ძლიერი განცდები და ემოციები უნდა გადასცეს ამ ბურთმა მთელ მსოფლიოს. Jabulani სრულიად ახალი, რევოლუციური ტექნოლოგიით დამზადდა — 8 SD ფორმის, სფერული EVA და TPU პანელი ერთმანეთზეა დაწყობილი. ახალი ტექნოლოგიის წყალობით, ბურთის ინოვაციური მრგვალი ზედაპირის შექმნა გახდა შესაძლებელი. სხვათა შორის, მისი შექმნისას კომპანია „ადიდასის“ მესვეურებმა ისიც გაითვალისწინეს, რომ ფეხბურთელები Jabulani-ს წინამორბედი Adidas Europass-ის ტრაექტორიის ძნელად პროგნოზირებადობის გამო უკმაყოფილონი იყვნენ. Jabulani 11 ფერშია გადამწყვეტილი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ის კომპანია „ადიდასის“ რიგით მე-11 სამუნდიალო ბურთია. გარდა ამისა, ეს ფერები თითოეული გუნდის 11 ფეხბურთე-

ცადეს, როგორებიცაა: მადრიდის „რეალი“, ლონდონის „ჩელსი“ და მიუნხენის „ბაიერნი“. გერმანელთა კაპიტან მიხაელ ბალაკის თქმით, ჟაბულანი ადვილად დასამორჩილებელია, ინგლისელმა ნახევარმცველმა ფრენკ ლამპარდმა მის სიზუსტეზე გაამახვილა ყურადღება, ხოლო ბრაზილიელთა ლიდერი კაკა ბურთთან ბუცის კონტაქტით დარჩა კმაყოფილი.

მუსიკალური გაფორმება

მსოფლიოს ჩემპიონატის მუსიკალური დირექტორი სენეგალური



წარმომშობის ცნობილი ამერიკელი რეპერი, ეიკონი იქნება, რომელიც ჩემპიონატის ჰიმნისა და ოფიციალური ცერემონიალების თანმხლები მუსიკის ავტორად მოგვევლინება.

2010 წლის მუნდილის მასპინძელი ქალაქები და სტადიონები: იოჰანესბურგის „სოქერ სითი“ (ტევადობა 94700), დურბანის „მოზეს მაბიდა“ (70000), კეიპტაუნის „გრინ პოინტი“ (69070), იოჰანესბურგის „კოკა-კოლა პარკი“ (62567), პრეტორიის „ლოფტუს ვერსფელდი“ (51760), პორტ-ელიზაბეტის „ნელსონ-მანდელა-ბეი“ (48000), ბლუმფონტინის „ფრი სტეიტი“ (48070), პოლოკვენანეს „პიტერ მოკაბა“ (46000), ნელსპრეტის „მბომბელა“ (44000), რიუსტენბურგის „როიალ ბაფოკენგი“ (42000).

ლის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის 11 ოფიციალური ენისა და 11 ეთნოსაზოგადოების სიმბოლოც გახლავთ. Adidas Jabulani-ს პრეზენტაცია კეიპტაუნში, 2009 წლის 4 დეკემბერს შედგა. აღსანიშნავია, რომ ბურთი ისეთმა ევროპულმა გრანდებმა გამო-



დედის თვალი...

ინგა ჯაყელი

მზიას შეძლებული ქმარი ჰყავდა და ოჯახიც ყოველთვის „სასუე“ ჰქონდა, მაგრამ ერთ შვილზე მეტი არ გააჩნდა, რადგან მამინ მოდა იყო ასეთი — მდიდრები ერთ შვილზე მეტს არ აჩენდნენ. თანაც ბიჭი ყვოლა და ყველა ვალი ერთბაშად მოხდილად მიიჩნია...

ქმარი არ ამუშავებდა და რადგან მეტი საქმე არაფერი ჰქონდა, შვილს დასდევდა კუდში და სკოლაშიც ისევე მიაცილ-მოაცილებდა, როგორც საბავშვო ბაღში. ჰოდა, რა გასაკვირი იყო, რომ მის საფიცარ ზურჩის ყველამ „დედიკოს ბიჭის“ იარლიყი მიაკერა და თავიც ჰქონდა მოძულებული: არც ბიჭები იყენებდნენ გვერდით კაცურ საქმეში და არც გოგონები ანებივრებდნენ ყურადღებით, მიუხედავად იმისა, რომ ჩაცმითაც სხვაზე უკეთესად ეცვა და მანქანაც მხოლოდ მას აკითხავდა გაკვეთილების შემდეგ შინ წასაყვანად...

პროტესტის გრძნობა პირველად მამინ გაუჩნდა, როცა პირველმა სიყვარულმა აუმღვრია სისხლი და მისმა მონონებულმა გოგომ სარვაშარტოდ ნაყიდი საჩუქარი ყველას დასანახავად დაუბრუნა:

— დედიკოს ჰკითხე, ჩემი სიყვარულის უფლება რომ მოეცა? — მერე კი ზურგი შეაქცია და თავისი სახელის ხსენებაც კი აუკრძალა.

იმას ვერაფერი უთხრა და დედაზე იყარა ჯავრი იმ საღამოს 15 წლის ბიჭმა: დედის შერჩეული ტანსაცმელი ფანჯრიდან გადაყარა და ვიოლინოც მუხლზე გადაიმტვრია (არადა, უყვარდა!):

— ან ჩემგან გაკვეთილების სწავლას ვერ ეღირსები და თუ სკოლაში მომავითხავ, თავს მოვიკლავ, იცოდე! — დაეშუქრა.

— დეი და მამა ჰყავს-ა? — იკვილა მზიამ და ლოყები ჩამოიკანრა.

— გოგოს ამბავი უნდა იყოს! — მიხვდა ზურჩის მამა, ბატონი თენგიზი.

— გოგომ უნდა დამიღუპოს შვილი?! — ახლა მუხლები „აითქვიფა“ მზიამ და ისეთი წყევლა-კრულვით მოიხსენია მთელი მდებრობითი სქესი, ვითომ თავად საშუალო სქესის უცხოპლანეტელი ყოფილიყო...

ზურჩის მამაც ველარ შეუცვალა აზრი და ეს „დედიკოს ნაფრები ბიჭი“ უცებ იქცა აგრესიულ მოზარდად — აღარც სწავლობდა, თმაც მოიზარდა, ჭუჭყიანი ჯინსიც გაუხდელად ეცვა... სიგარეტის სუნაც აუვიდა და ამხანაგ-

ის დაბადების დღიდან მთვრალიც მოვიდა, მაგრამ მისი გაბრწყინებული თვალები მარტო ღვინის ბრალი რომ არ იყო, მზია ამას უცებ მიხვდა:

— დედის თვალს ეგ გამოეპარება?! — შესტირა ქმარს. — აღარაა ჩემი ბიჭი სუფთა და უმნიველო, ჩემი პატარა ბიჭი-ი!!! — გააგრძელა მოთქმით...

ბატონმა თენგიზმა უხმოდ ჩაილიმა და შვილს აღმზრდელითი ლექცია ჩაუტარა თემაზე: „როგორ უნდა იცნოს კაცმა სათავისო ქალი?!“

ზურჩია ვითომ უსმენდა, მაგრამ ისეთი უაზრო ღიმილი ჰქონდა გადაფენილი სახეზე, რა მიხვედრა უნდოდა, რომ „იმ ერთის“ გარდა არავინ ახსოვდა და უნდოდა...

„ის ერთი“ კი 20 წლის ქეთა აღმოჩნდა, რომელსაც გათხოვებაც მოესწრო და „გამოთხოვებაც“ და 2 წლის შვილიც ჰყავდა...

მიუვარდა მზია და თმით ითრია:

— შენ გინდა, ჩაიგდო ხელში 17 წლის უტვინო ბავშვი?!.

ეს ამბავი რომ გაიგო, „უტვინო ბავშვი“ სახლიდან გაიქცა და ძლივს დააბრუნა მამამისმა იმ პირობით, რომ მის საქმეში აღარ ჩაეროოდნენ. ცოლსაც ჩამოართვა პირობა. მაგრამ მზიას შეჩერება ასე ადვილი იყო?! იმ დღიდან ჩუმად დაიწყო მოქმედება, ასი თვალი და ასი ყური გამოიბა და მის მახვილ მზურას არც ერთი გოგო არ გამოჰპარვია, ვისთანაც მისმა ზურჩამ გაიარა:

— ის მსუქანია... ეს გამხდარი... იმას დედა ჰყავს სახელგატვნილი... ის ლოთი მამის შვილია... ღარბის რა უნდა ჩემს ოჯახში?! იმ ყვავივით შავ გოგოს დაუფთომო ჩემს შვილს — ჩემს ანგელოზს?! — ჰოდა, შვილის ზურგს უკან აგვარებდა ყველასთან საქმეს: ზოგს მხილებით ემუქრებოდა და ისე იშორებდა, ზოგსაც საჩუქრით აჩუქებდა და აქრობდა შვილის ცხოვრებიდან... არა და არ გამოჩნდა მისი მოსანონი. ამასობაში ზურჩიამაც გადააცილა ჯერ 30-ს, მერე — 35-ს და ისე მიეჩვია დროს ტარებასა და არხეინად ცხოვრებას, სულ აღარ უნდოდა ცოლ-შვილის ხსენება. თანაც, თინეიჯერობაში მოზრდილი თმაც გასცვივდა და ნიკელივით მოუპრიალდა თავი. სმა-ჭამის სიყვარულმა კი „უდი პატიოსანი“ ღიპი დაადო...

ჰოდა, ამ დროს გამოჩნდა, რომ „დედის თვალი“ არც ისე კარგი დამნახველ-აღმქმელი ყოფილა რეალობის: „ჩემი ანგელოზი ბიჭი“ — ახლაც ასე ეძახის მზია და შვილის ღირსი არავინ ჰგონია...

მხოლოდ ერთი მოენონა ამას წინათ

და გაიგო კიდევ მისი ასავალ-დასავალი: 22 წლის ელენიკო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, კვი ოჯახის შვილი და ადგილობრივი სილამაზის კონკურსის პრიზიორიც აღმოჩნდა და მზიამაც შევებით ამოისუნთქა: მეშველაო! — იფიქრა და იმამი დარწმუნებული, რომ მის ზურჩიას წუნს ვერავინ უპოვიდა, პირდაპირ სახლში მიადგა გოგოს...

— იცი, რა ბიჭი მყავს, იმას ენაცვალოს დედა!

ჯერ გაოცებულმა შეხედა ელენემ, მერე კისკისი აუტყდა:

— ვისზე მელაპარაკები, მზია ბებო, თქვენს მსუქან, მელოტ ზურჩიაზე, ბიძიას რომ უეძახი?..

— ბებიო... ბიძიო!! — ენა დაება წამოჭარხლებულ მზიას და გულზე წაივლო ხელი...

მას შემდეგ დასჩემდა გულის ფრიალი და იშვიათად გამოდის სახლიდან. ზის აივანზე და ისეთ გოგოებს ათვალიერებს, სარძლოდ კი არა, შვილ-



იშვილებად რომ ერგებიან, თან მალ-იმალ ქმარს გასძახებს:

— თენგიზ, შეხედე! მგონი, იმ გოგოს არა უშავს. გაგეგო, ვისი შვილია...

— მთლად გამოპრუტუნდი, ქალო, შენ! — ეჯიჯლინება ქმარი. — ველარ იყურები თვალებში?!

— დედის თვალი სხვანიარად ხედავს და რა გესმით კაცებს?! — ბრაზობს მზიაც...

ზურჩიას კი მხოლოდ ეღიმიება დედამამის კამათზე: კარგა ხანია, შერჩეული ჰყავს სათავისო ქალი და მერე რა, რომ 2 შვილი ჰყავს მადონას?! იცის ზურჩიამ, რომ დედის სიცოცხლეში ვერ შემოიყვანს ამ ქალს სახლში, მაგრამ რა მოხდა მერე? იქით მიაკითხავს!..



ბია ჯაჯანიძის ავტობიოგრაფია

ფსიქოლოგი ბია ჯაჯანიძე ამბობს, რომ მთელი ცხოვრება ზღაპრებს კითხულობს. სათავგადასავლო ჟანრისადმი ინტერესი 16 წლის ასაკიდან გაუჩნდა, მაგრამ ბევრი წიგნის წაკითხვა ვერ მოასწრო — მალე, პროფესიიდან გამომდინარე, მასთან ადამიანებმა იმდენად საინტერესო ცხოვრებისეული ამბების მოყოლა დაიწყეს, რომ წიგნში წაკითხული აღარ აინტერესებდა. ის ნაკლებად ერუდირებული, მაგრამ ძალიან გულახდილი რესპონდენტი აღმოჩნდა.

„ჩემზე ამბობენ, ჯადოებს ახეთებსო...“

თამუნა კვინიკაძე

პრაქტიკული მანიპრაცია

— ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი უცნაურად ხდება. მაგალითად, სახალხო ფსიქოლოგი ისე გავხდი, ფსიქოლოგიაზე ერთი წიგნიც კი არ მქონდა წაკითხული და თუ დამიჯერებ, უზნაძის ნაშრომებს 10 წლის წინ გავცვანი. ბევრი რამ არ წამიკითხავს, ხოლო რაც წამიკითხავს, იქიდანაც ცოტა რამ თუ მახსოვს. ისე, ერთი კარგი თვისება მაქვს — იმ წიგნებიდან, რომლებიც ჩემს ბიბლიოთეკაში ინახება, ყველა წაკითხული მაქვს.

— სახლში ბევრი წიგნი გაქვს?

— ორი კარადა წიგნებითაა სავსეა. გამოგიტყდებით და, როცა ქიათურიდან ჩამოვედი, სელინჯერი მაგნიტოფონი მეგონა (იციან).

— „თამაში ქვავის ყანაში“ რაღა გეგონა?

— ეგ ის მეგონა, რაც იყო. რამდენიმე წლის წინ მეგობარმა მითხრა, — ადამიანებთან ურთიერთობას ადვილად ამყარებ. ეტყობა, ამაში კანტის ფილოსოფია გეხმარებაო. მაშინ კანტი წაკითხული არ მქონდა, ამიტომაც სასწრაფოდ, ბუკინისტებთან გავიქეცი, შევიძინე და გავეცანი. ახლა თავად ვმუშაობ წიგნზე — „როგორ უნდა ვიცხოვროთ სწორად“.

— შეცდომას არასდროს უშვებ?

— ამ ბოლო დროს ნაკლებად, მაგრამ ვალბარებ, წარსულში ბევრი შეცდომა დავუშვი.

— გაა, ყველაზე სწორად რის გამო გაკითხავენ, ფსიქოლოგიურ პრობლემათა აქტუალურობა როგორია?

— პირველ ადგილზე სიყვარულია: მიყვარს, არ ვუყვარვარ, მიმატოვა და ა.შ. სიყვარულის შემდეგ მოდის სექსი, ბოლო ადგილზე — ფულია.

— სად ზემოთ ათენგნობას?

— არ ვიცი.

— ფშავსა და სეფურეთში. ის 1452 წლის 15 აპრილს, ფლორენციასთან ახლოს, დაბა ვინჩიში დაიბადა. მარცხენა ხელით წერდა და ხატავდა. იყო მხატვარი, მეცნიერი, მექანიკოსი, სუროთმოდგარი, გამომგონებელი, მწერალი. ვისზეა ლაპარაკი?

— ვერ ვხვდები.

— მიგანიშნებ, ის ფერწერული ტილოების — „მადონა მლეიმეო“, „მადონა ბენუა“, „მადონა ლიტას“ ავტორია.

— დაბა ვინჩი ახსენე და ალბათ, ლეონარდო და ვინჩიზე ლაპარაკობ.



— დაბ. ვინ იყვნენ საფრანგეთში სუფრაჟისტები? — არ ვიცი.

— ქალთა მოძრაობის წევრები, რომლებიც სუსტი სექსის წარმომადგენლებისთვის საარჩევნო და სხვა პოლიტიკური უფლების მინიჭებას ითხოვდნენ. ვის ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი: „ქალადი ყველაფერს ითმენს“? — არც ეს ვიცი.

— ციციერონს. რომელ ბრძოლაში დაამარცხეს ქართველებმა რომის სულთანს რუქანდინი?

— ეს ბრძოლა თამარის მეფობის დროს არ იყო?

— დაბ, და ისტორიაში ბასიანის ომის სახელით შევიდა. რა ჰქვია დღისა და ღამის გათანაბრება?

— ვიცოდი, ვეღარ ვისხენებ.

— მოიფიქრე, დრო გაქვს.

— (პაუზის შემდეგ) გარიჟრაჟი. რა გაცინებს?

— სწორი პასუხია — ბუნობა. სად დაიწერეს ჯვარი ილია ქაჯვაძემ და ოლლა გურამიშვილმა?

— არ ვიცი.

— სამებაში.

— ეგ როგორ?

— ძველ სამებაში. რომელ კუნძულზეა ქალაქი პალერმო?

— სიცილიაზე.

— მულტიპლიკაციურ ფილმში, რა ჰქვია კომბლეს ძროხას?

— გავისხენებ (ფიქრობს), ვერ გიპასუხებ.

— ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: „წაიყვანეს ჩვენი...“

— ლამაზო (იციან).

— ჭრელა. რა ჰქვია ბედისა და ილბლის ქალღმერთის რომაულ მითოლოგიაში?

— ფორტუნა.

— „მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე სიყვარულით ერთხელაც არ ამძგერებია გული, თუმცა მოჩვენებით სწორად მომჩვენებია, ტრფიალების ალი მწვავს-მეთქი; ეტყობა, ვერც ვერასოდეს ვიგრძნობ ამ გულის ძგერას... ავსორცი თუ ვარ? მაშა! არ მოუტყუებისართ, ოლონდ განა საშიშარი ვარ. ქალს დავინახავ თუ არა, როდი შევიცილებ და ვეძგერები, ვერ არასდროს ვყოფილვარ გასამართლებული ვნებანობის მკაცრი გამოვლინებისათვის, სრულიად ურისკოდ შეიძლება ჩემთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენა, მით უმეტეს, თუ ხმის მისაწვდენ მანძილზე პოლიციელი მორიგეობს.“ — ეს არის მწერლის მიერ შეულამაზებლად დანატული ავტობიოგრაფიკი. დაასახელე ეს მწერალი.

— არ მახსოვს.



— მიგანიშნებ, ფრანგები ამბობენ, როცა ეს მწერალი გარდაიცვალა, პარიზის ყველა საროსკიპომ გლოვა გამოაცხადაო.

— ალბათ, გი დე მოპასანი, არა?

— გამოიცანი. საკუთარი ავტობიოგრაფიის შექმნაზე არ გიფიქრობ?

— მიმაჩნდა, რომ ჩემი ცხოვრების ძირითადი ნაწილი სიყვარულია, მაგრამ ამ გადმოსახედიდან ვფიქრობ, რომ არასდროს არავინ მყვარებია. მართალია, ამ თემაზე ხშირად ვწერ, მაგრამ სიყვარულის აღარ მყვარა. სიყვარული არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ვნება, ლტოლვა და სხვა არაფერი. ჩათვალე, რომ გი დე მოპასანის ავტობიოგრაფიის იმ ავტობიოგრაფიკულ ნაწილზე, რომელიც შეხვედრას არც მაშინ არის საშუალო, როცა ხმის მისაწვდომად ადგილზე პოლიციელი არ მორიგეობს.

— რომ ამბობ, — არავინ მყვარებიაო, ეს შენს ყოფილ მეუღლეს არ ეწყინება?

— არა, არ ეწყინებათ. მათდამი მქონდა ნდომა, ვნება, ლტოლვა...

— რა ჰქვია ლენის ლმერთის — დიონისეს სადიდებელ სიმღერას?

— დითირამბი.

— ნობელის პრემიის გადაცემა მკაცრად რეგლამენტირებული წესების დაცვით ხდება. როგორც წესი, დაჯილდოებულმა პრემია პირადად უნდა მიიღოს. ცერემონია სტოკჰოლმში, რატუმის ოქროს დარბაზში იმართება. დედაქალაქის ბურგომისტრი მეორედ აღფრედ ნობელის სადღეგრძელოს წარმოუქმებს. ვისი სადღეგრძელო წარმოითქმება პირველად?

— არ ვიცი.

— შედეგის მეფის.

— სიგიჟეა. ერთხელ ამ პრემიაზე წარადგინეს ნიგნი, რომელშიც არც ერთი შეცდომა არ იყო (ასეთი რამ იშვიათობაა). ცერემონიამ კარგად ჩაიარა. შეკრებილ საზოგადოებას ეს ნიგნი უჩვენეს და სწორედ მაშინ აღმოაჩინეს, რომ შეცდომა გარეკანზე იყო გაპარული — ნიგნის დასახელებას ერთი ასო აკლდა.

— მინერალების გამოცნობა შემდეგი ნიშნებით ხდება: სიმარცხე, ფერო, მონატქის სასიათი და დასახელები მეოთხე ნიშნით.

— ვერ დავასახელებ.

— ელვარება. ქრისტიანული მსოფლმხედველობით, მაცხოვრის მიერ 7 საიდუმლოა დაწესებული. ესენია: ნათლისღება, მირონცხება, სინანული, ზიარება, მღვდლობა, ზეთის კურთხევა და...

— ქორწინება.

— გადმოცემით, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული, დასავლეთ საქართველოში მდინარეების ნაპირას დაბანაკებული არაბთა ლაშქარი წყალდიდობის მსხვერპლი გახდა. ერთმა მდინარემ არაბთა ლაშქარში მყოფი 23 ათასი აბაში (აბასინელი) წაღეკა, მეორემ — 35 ათასი ცხენი დაახრჩო. ამჟამად, რა ჰქვია ამ მდინარეებს?

— ცხენისწყალი და აბაშისწყალი.

— დასახელები შუა საუკუნეებში გაფრცხლებული ნიგნი მაგის შესახებ, რომლის ავტორიც ისრაელთა ბრძენი მეფე — სოლომონ იყო.

— (ფიქრობს) ვერ დავასახელებ. არადა, ჩემზე ამბობენ, — ჯადოების აკეთებსო.

— „სოლომონის გასაღები“. ბიბლიის მიხედვით, რომელ ქალაქში გაატარა ბავშვობა იესო ქრისტემ?

— ვერ ვიხსენებ.

— ნაზარეთში. სად და რომელ წელს შეიქმნა ინტერპოლი?

— ვიცი, რომ ვენაში შეიქმნა...

— 1923 წელს. მზის სისტემის რომელი პლანეტა

ანდომებს ღერძის გარშემო შემობრუნებას ყველაზე მეტ დროს?

— ვენერა.

— ის წარმოიშობა წვიმის წვეთებში სინათლის სხივების დაშლის შედეგად—

— ცისარტყელა.

— რომელი მეფის მეფობის პერიოდია აღწერილი რეზო ჯაფარიძის „მძიმე ჯვარში“?

— იმერეთის მეფის — სოლომონ I-ის. იმერელმა კაცმა ეს რომ არ ვიცოდე, სირცხვილია.

— რომელი მეფე იყო დემეტრე II თავდადებულის მამა?

— არ მახსოვს.

— მიგანიშნებ, საქართველოში ორმეფობის პერიოდი უნდა გაიხსენო.

— დავით ულუ ან დავით ნარინი.

— დავით ულუ „ვერცხლის თასადამც მაცქია/ რო ლენით აგეცებოდი/ დაფერული მქნა ნითლადა/ შამსაგამდი, შაგერგებოდი/ ანა მქნა ვერცხლის სათითე/ რო ხელზე ჩაგედებოდი/ ანა მქნა ოქროს ბურთავი/ კალთაში ჩაგეშლებოდი“, — ვინ არის ამ ლექსის ავტორი?

— ახლა გინდა, შეცდომაში შემეყვანო, არა? ეს ლექსი ხალხურია!

— დიას და მას „ხვარამხეს ლექსი“ ჰქვია. რა ერქვა მოუხელთებულ, მოღალატე ფერისა შუა საუკუნეების ფრანგული ლეგენდებიდან და რაინდული რომანებიდან?

— არ ვიცი.

— მელუზინა. „არაფერი არ მინდა, არაფრის სურვილი არ მაქვს, არაფერი არ მესმის, არ ვწვალვებ, ვარ ბედნიერი“, — ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?

— ვერ ვიხსენებ.

— პასკალი. „ბიძია თომას ქოხის“ მიხედვით, როგორ დაუახლოვდა ბიძია თომა ევა სენკლერს?

— წყალში ჩაყარდნით გადარჩინა.

— რომელ ქვეყანაშია მდინარე პო?

— იტალიაშია, არა?

— გამოიცანი. ხალხური სიმღერის რომელ ფანრს განეკუთვნება „ალილო“?

— შეგიძლია, უანრები ჩამომითვალო?

— რა თქმა უნდა! ესენია: სუფრული, საგმირო, სანესო და საფერხული.

— (ფიქრობს) ალბათ, სანესოს განეკუთვნება.

— ნამდვილად ასეა! რა ეწოდება თანამედრობათა, წოდებათა თანამიმდევრობას უდაბლესიდან უმაღლესისკენ?

— იერარქია.

— წარმოშობით, რომელი ქვეყნიდან არიან ბოშები?

— არ ვიცი.

— ინდოეთიდან. რა არის რიფი?

— წყალქვეშა კლდე.

— რომელ მეფეზე წერდა ლეონტი მროველი: „ამან განაგრცო ენა ქართული და შექმნა მნიგნობრობა ქართული“?

— ფარნავაზზე.

— როგორი ორკესტრი არ არსებობს — სიმფონიური, სასულე, საორღანე, ხალხურ საკრავთა თუ საესტრადო?

— სასულე და საესტრადო რომ არსებობს, ნამდვილად ვიცი, (ფიქრობს) საორღანე ორკესტრზე არაფერი მსმენია.

— იმიტომ, რომ არ არსებობს. დაბოლოს, დაასრულე ცნობილი მწერლის — ალექსანდრე პუშკის გამოჩინებული „თავმდაბლობის ნაკლებობა“.

— (ფიქრობს) ვერ დავასრულებ.

— „ჭკუის ნაკლებობა“.

— არ ვეთანხმები. თანამედროვე ყოფაში თავმდაბლობა მხოლოდ უსინდისო ადამიანებს არ ძალუძთ.

— უსინდისობაც ჭკუის ნაკლებობისგან მოდის.

— ბევრი ჭკვიანი, მაგრამ უსინდისო ადამიანი მინახავს. ■



გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის (აითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჲნ არ გაგაქცეთ თვალი

1. ვის შესახებ ამბობდა დენი დიდრო — „იგი ნებისმიერ ჟანრში მეორეა“?
2. ვინ იყო პროფესიით მერაბ კოსტავა?
3. სად არის დაკრძალული ნიკო ფიროსმანი?
4. რა არის „გელაზი“?
5. წითელ კხმერებს კამბოჯაში სალოტ სარი მეთაურობდა — სორბონის უნივერსიტეტის ელექტრონიკის ფაკულტეტიდან გარიცხული სტუდენტი, რომელიც პარიზში სწავლის დროს გახდა კომუნისტი. დაასახელეთ მისი სამხედრო ფსევდონიმი.
6. რით იყო განსაკუთრებული დანიელ ბლექბურნის მიერ, 2003 წელს აწყობილი ავტომობილი, რომლითაც უელსელმა გამომგონებელმა ნახევარი ინგლისი მოიარა?
7. რა არის „ბანდული“?
8. რისი სინონიმებია: „საჩქეფი“, „ჩხრილა“, „ჩაბარუხი“, „ჩქერალი“, „ჩხატი“ და „ჩაქუხა“?
9. ინრო პატარა ზომის კოლოფია, რომელსაც იაპონელები ყოველთვის ჯიბით დაატარებენ. რას ინახავენ ამ კოლოფში ისინი?
10. რა ერქვა უხუცესთა საბჭოს ძველ საბერძნეთში?
11. რა არის „არახჩინი“?
12. რა არის „ჭალაფშატა“?

ანექლოცენი

* * *

ქმარი მივლინებიდან ჩამოდის და საკუთარი სახლის კარზე აკაკუნებს — კარს არავინ უღებს. ხმაურზე მეზობლის მოხუცი ქალი გამოდის გარეთ და ეუბნება:

— ეგრე ვერ გაიგონებენ, შვილო, რქებით დააკაკუნე, რქებით.



* * *

— ბიჭო, ვასოიას ცოლი მოუყვანია და შემოგვითვალა, ამოდი-თო.

— თვითონ ვერაფერი მოუხერხა?!

* * *

— რა გვაქვს, ქალო, საჭმელი?
— ევითება გურული ცოლს.
— მჭადი და ტყემალი.
— კარგი, გამომიტანე.
— აჰა, მჭადი... კიბე კი ნალიაზეა მიყუდებული.

— კიბე რა ჯანდაბად მინდა?
— აბა, ტყემალზე რაფრა ახვალ?!

* * *

სახანძრო დახმარების ყალბი გამოძახებისთვის ჯარიმა — 100 ლარი.

პოლიციის ყალბი გამოძახებისთვის ჯარიმა — 200 ლარი.

სასწრაფო დახმარების ყალბი გამოძახებისთვის ჯარიმა — 300 ლარი.

სამივე სამსახურის გამოძახების შემთხვევაში, ფასდაკლება — 20%.

* * *

ჭიჭიკია ბიჭიკიას ეკითხება:
— ბიჭიკია, ქალიშვილთან თუ ყოფილხარ, ოდესმე?

— ქალიშვილთან კი არა, კაციშვილთან არ ვყოფილვარ, მაგის დედა ვატირე!

* * *

— გეფიცებით, ბატონო მოსამართლე, დამნაშავე არა ვარ.

— ადრე ნასამართლევნი ხართ?
— არა, ეს ჩემი პირველი ქურდობაა.

* * *

მუზეუმში ექსკურსიამძღოლი ამბობს:

— მიაქციეთ ყურადღება ამ თავის ქალას! ეს ნაპოლეონ ბონაპარტეს თავის ქალაა, 15 წლის ასაკში... ახლა აქეთ მობრძანდით! ეს წმინდა ელენეს კუნძულზე რომ გადაასახლეს, იმ პერიოდის თავის ქალაა.

— კი, მაგრამ ერთი და იმავე პიროვნების ორი თავის ქალა საიდან გაქვთ?

— ყმანვილო, თქვენ რომელ ჯგუფში ხართ?!

— არც ერთში... მარტო ვარ.

— ჰოდა, გაიარეთ, ახალგაზრდავ, გაიარეთ! ეს ექსკურსია მესტიიდან ჩამოსული ჯგუფისთვისაა!..

* * *

სვანი ტაქსიში ჯდება:
— ჯერ ბაზარში წამიყვანე და მერე — რუსთავეში.

— ბაზარი არ არის, ძმაო, — მანქანა დაქოქა მძღოლმა.

— ჰო, კარგი, მაშინ პირდაპირ რუსთავეში წადი!





გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. ვოლტერის შესახებ.
2. მუსიკატომცოდნე.
3. ფიროსმანის საფლავი დაკარგულია.
4. ზეთის სახდელი დიდი, მრგვალი ქვა.
5. პოლ პოტი.
6. ავტომობილის ძრავა საჭმელ ზეთზე მუშაობდა.
7. მთაში სასიარულოდ განკუთვნილი, წვრილი ღვედით ძირდანული ქალამანი.
8. ჩანჩქერის.
9. ბეჭედს, რომელზეც პატრონის გვარის აღმნიშვნელი იეროგლიფია ამოტვიფრული და რომელსაც ხელმონერის ნაცვლად, რაიმე საბუთს არტყამენ.
10. გერუსია.
11. თხელი ქსოვილის საშინაო ქუდი.
12. ეკლიანი ბუჩქი. მას ხშირად, ცოცხალ ღობედ იყენებენ.

— ბუბგურია, შენ მართლა ერთი ძმა გყავს?

— კი.

— აბა, შენი და რას ახურებს, ორი ძმა მყავსო?!

შიშველი ქმარი სარკის წინ დგას, საკუთარ სხეულს ათვალიერებს და ცოლს ეუბნება:

— იცი, ხუთი სანტიმეტრით მაღალი რომ ვყოფილიყავი, ნამდვილი აპოლონი ვიქნებოდი.

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ხუთი სანტიმეტრით მოკლე რომ გქონდეს, ნამდვილი ვენერა იქნებოდი.

ტიტანიკი ჩაიძირა. ოკეანის ზედაპირზე გადარჩენილი მგზავრები ტივტივებენ, ზოგი რას მოსჭიდებია და ზოგიც — რას. უეცრად, ნავი გამოჩნდა, რომელზეც დედებერი შემოსკუპებულა და ნიჩბებს უსვამს:

— აბა, ცხელი ხაჭაპური! სიგარეტი! წინდები!

მიხო შინ მთვრალი მივიდა. ყველას სძინავს, სინათლე ჩამქრალია და სიბნელეში ლოგინს ველარ აგნებს:

— დედაკაცო, რას გაჩუმებულხარ, დაიწყე წყევლა, თორემ ლოგინს ველარ ვპოულობ.

— ჭიჭიკია, თუ მიშველი, შენ მიშველი, სამუშაო უნდა მიშოვო. ცოლი მყავს და თერთმეტი შვილი! — ეხვენება ბიჭიკია.

— კიდეც, რისი კეთება შეგიძლია?

მეთაურმა ოცეული ხაზზე მოაწყო.

— რიგითო გიორგაძე, გამოდი მწყობრიდან!

გიორგაძე გონნასული დაეცა ძირს.

— რა მოუვიდა?

— მწყობრიდან გამოვიდა, პატივცემულო!

— დედიკო, ყველა ზღაპარი ასე იწყება: „იყო და არა იყო რა“?

— არა, შვილო, ზოგიერთი ასე იწყება: „ძვირფასო, დღეს სამსახურში მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს და სახლში გვიან დავბრუნდები“.

ჭიჭიკიას სტუმრები ეწვივნენ. დაფაცურდა ჭიჭიკია, რაც შეეძლო ყველაფრით გაუმასპინძლდა. იმთაც, სვეს, ჭამეს, მოილხინეს და ბოლოს, წამოიშალნენ. გაცილები-სას ჭიჭიკიამ ბოდიში მოიხადა, ჩემი ცოლი სახლში არ არის, თორემ მეტ პატივს გცემდითო.

— აჰ, მაგაზე არ იდარდო, ჭიჭიკია, ახლა სწორედ ნაშუბიდან მოვდივართ, — დაამშვიდეს სტუმრებმა.



— ჩემი სიძე ნამდვილი ლომია. — კარგი ერთი, სად გინახავს მელოტი ლომი?!

რენიფოსოზი





ჰოროსკოპი

8-14 აპრილი

ვეჩორი:

ამ პერიოდში ზედმეტად გაღიზიანებული იქნებით. კარგია, თუ კოლეგებთან და ოჯახის წევრებთან კონფლიქტს მოერიდებით. კვირას განმარტოვდით და დაისვენეთ.

კუჩრი:

კოლეგების დაუდევრობამ შეიძლება, დაგაზარალოთ. ამიტომაც, გადაამოწმეთ ყველა ინფორმაცია. დასვენების დღეებში საქმიან პარტნიორებთან ერთად, პიკნიკი მოაწყვეთ.

ტყუპი:

დატვირთული და დაძაბული სამუშაო კვირის შემდეგ, უქმე დღეებში ოჯახის წევრებთან ერთად, ქალაქგარეთ გაემგზავრეთ. ნუ გასცემთ სხვათა საიდუმლოებებს.

კირჩხიბი:

ნუ აჩქარდებით, მნიშვნელოვანი დეტალები რომ არ გამოგრჩეთ. საყვარელ ადამიანს საქმეს ნუ გაურჩევთ. უმჯობესია, მას დაეხმაროთ და მხარში ამოუდგეთ.

ლომი:

უკვე დაწყებული საქმეები დაასრულეთ. კარგია, თუ ახალ ტანსაცმელსაც შეიძინეთ. დასვენების დღეები შვილებთან ერთად, ბუნების წიაღში გაატარეთ.

ქვინძვი:

ყველა საქმის მოგვარებას დამოუკიდებლად ნუ შეეცდებით, სხვებიც დაინხარეთ. მოერიდეთ ისეთ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებიც გაღიზიანებენ.

სასწორი:

ამ კვირაში საყვარელი ადამიანი სიურპრიზებით გაგანებიერებთ. მეგობრების პირად საქმეებში ცხვირს ნუ ჩაყოფთ და კონფლიქტურ სიტუაციებსაც აარიდეთ თავი.

მირიანდი:

სამსახურში რეპუტაცია არ გაიფუჭოთ. გაფრთხილდით, მეგობრებმა რაიმე სახის ავანტიურაში არ ჩაგითრიონ. კვირის ბოლოს ავტომობილს ან ბინას შეიძინეთ.

მშვიდდობისნი:

შეხვედრები და ახალი ნაცნობობა გელით. მოსალოდნელია ახალ პროექტებზე მუშაობის დაწყებაც. მგზავრობისთვის კარგი დღეა შაბათი და კვირა.

თხრი:

თქვენთვის პოზიტიური დღეა პარასკევი. კოლეგების დახმარებით ახალ გეგმებსა და იდეებს განახორციელებთ. დასასვენებლად ოჯახის წევრებთან ერთად გაემგზავრეთ.

მეწყობი:

მოსალოდნელია სერიოზული ცვლილებები, სამსახურის დაწყება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, საზღვარგარეთ გამგზავრება ან ქორწინება.

თევზები:

დაუფიქრებელ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. მიერიდეთ კოლეგებთან კამათს. დასვენების დღეებში საოჯახო საქმეები მოაგვარეთ და დრო მეგობრებისთვისაც გამოიხატეთ.

პატარა ბენიოსოკენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან



5 წლის მარი ბერიაშვილმა ფეხმძიმე დედიკოს სთხოვა, პირი გააღო, მერე კი დედას კალთაზე ააცოცდა და იყვირა:

— ბიჭო, გესმის? ეს მე ვარ, შენი ხუჭუჭა დაიკო.



4 წლის ანუკი ბალახაშვილმა, რომლის მამა სამხედრო ნაწილში მსახურობს, ჯარისკაცები დაინახა და დედიკოს უთხრა:

— დედიკო, მამიკოები მოდიან.



პატარა დათუნა ურეკში ისვენებდა. ერთხელ მამასთან ერთად, სანაპიროზე იდგა და შავ ზღვას გაჰყურებდა.

— მამიკო, ეს ზღვა ლურჯი როა, შავი რატომ ჰქვია?

— იქნებ, უფრო საინტერესო

რამე მკითხო? — უპასუხა გაღიზიანებულმა მამამ.

— კარგი, მითხარი, მკვდარი ზღვართი მოკვდა?



4 წლის მანანა ნადაშვილმა კანფეტს ქალაღი შემოაცალა და როდესაც მეორე თეთრი ქალაღი დაინახა, დედას მიუბრუნდა:

— დედა, კანფეტს პერანგი გავხადო?



პატარა რუსუდან მიქავა დიდი გურმანია და ეს ეტყობა კიდეც — ისეთი პუტკუნაა, რომ იტყვიან, კანში ვერ ეტევა. ერთხელ ბებო გააბრაზა. ცოტა ხანში ბებია სა-

ვარძელში ჩაჯდა, თვალები მილულა და შვილიშვილის შესაშინებლად თქვა:

— მე ახლა მოვკვდები...

რუსუდანი ხან აქედან მიუდგა ბებოს, ხან — იქიდან და შეეხვეწა:

— ბებო, ჯერ მაჭამე და მერე მოკვდი, რაა...



3 წლის კახი კახიანს პატარა ძმა, სოსო შეეძინა. ბიჭუნას მეზობელმა ჰკითხა:

— კახი, შენი ძმა რა გვარია?

— მე კახი კახიანი ვარ და ჩემი ძმა სოსო სოსოიანი იქნება, — სწრაფად უპასუხა ბიჭმა.



	1. იესო ქრისტეს ეპითუტი	2. მონღოლეთის არმიის ჯარისკაცი		3. წელიწადის მერთი ხედი		4. ფულის ერთეული რუსეთში	5. ქალთფეხა		
		6. ტანისამოსის კარადა							
		7. მუსიკალური მიმდინარეობა							
					8. ფრანგული ავტომობილი				
						9. საფოსტო მარკების შეგროვება		10. სიტყვების შემადგენელი მოკლე ხაზი	
					11. მარცვლენის საღვთო ადგილი	12. მსხვილი საფანტი			
	13. ჯარის რეგული ნაწილი				14. მანქანის მწერი	15. ოსური ცეკვა	16. ალკოპოლი	17. მედიცინის დარგი	18. შხამიანი გველი
							19. ნაბიჯი ბალეტში		
20. მუქი ნაცრისფერი	21. ოფიცრის წოდება	22. გალაკტიონის ლექსი	23. სასვენო ნიშანი	24. ხელის ნაწილი		25. ნაპოლეონის მარშალი		26. ფულის ერთეული ინდოეთში	
					27. ლატვიის დედაქალაქი		28. ძაღლის ჯიშში		
	29. გარეული ცხოველი	30. სქელი მურაბა				31. წიგნთა წიგნი			
	32. ქართული ტელეკომპანია							33. ჩამოსაკიდებელი საწოლი	
			34. საექლესიო მგალობელთა გუნდი	35. ცხენების ჯოგი					
36. მკურნალი									
37. ქართული ფოლკლორული ანსამბლი	38. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში		39. წამლის ფორმა	40. გეოდეზიური ხელსაწყო					
								41. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია	



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. პარანგონი; 2. რაბატი; 3. ათენი; 4. გალაგანი; 5. ნოვატორი; 6. ნაბელღავი; 7. ლოტი; 8. ღონე; 9. ხაჭო; 10. კანოე; 11. დიაკონი; 12. სტიქია; 13. ტიპიკონი; 14. რუპი; 15. ღონორი; 16. სლაი; 17. კეხურა; 18. ცხარე; 19. სიტყვილი; 20. ვილა; 21. მკვახე; 22. კრამტი; 23. კარადა; 24. რადა; 25. არაქსი; 26. ნისანი; 27. ნეკადა; 28. ნოველა; 29. იესო; 30. კოვობი; 31. მალავი; 32. კიი; 33. მინიმალური; 34. მზე; 35. ღუნაი; 36. დალი; 37. პანამა; 38. მახეპა; 39. ოდა. **სურათებზე:** 1. პენელოპა კრუსი; 2. ემილიო ესტევესი.

ფოტოკუჩიონები

